

136  
1924

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



# მნათობი

ყოველთვიური სამსახურ-სალი-  
ტერატურო, სამეცნიერო ჟურნალი

№ 1

8587



თბილისი == 1924 == თბილისი

საქართველო. პოლიტგანათლების მთავარბმართვე. გამომცემლობა



პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ქართველიშვილი.

# რედაქციისაგან



დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციონური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები.


ჟურნალ „მნათობის“ მიზანია შეაესოს ეს მნიშვნელოვანი ნაკლი.

„მნათობი“ უპირველესად ყოვლისა მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალია. ის ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ყველა საუკეთესო მწერლების მხატვრულ ნაწარმოებს; ის მისცემს ფართე გასაქანს ჩვენს ლიტერატურულ ძალებს.

„მნათობი“ თავის მიზნად ისახავს აგრეთვე საშუალება მისცეს ჩვენს მეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს გააღრმავონ თავისი მუშაობა და ქართულ ენაზე მიაწოდონ ქართველ მუშებს და გლეხებს მეცნიერული და მარქსისტული ცოდნა.

ამრიგათ ჩვენი ჟურნალის მიზანი ვიწრო ფარგლებით არ შემოიხაზება.

იმ მწერლებისათვის, რომელთაც კი აქვთ რაიმე მიღწევები ხელოვნებაში და მეცნიერებაში, ღია იქნება ჩვენი ჟურნალ „მნათობის“ კარები.



# უ ი ნ ა ა რ ს ი



რედაქციისაგან

ქართული  
ბიბლიოტეკა II

1-ლი განყოფილება:

## სამხატვრო-სალიტერატურო.

- |   |       |
|---|-------|
| 1. დემნა შენგელაია — სანაგარდო (დიდი უემური). რომანი.                   | 1 გვ. |
| 2. ი. ხონელი — * * * ლექსი . . . . .                                    | 38 "  |
| 3. სერებრიანსკი — კომუნა. ლექსი. (თარგმ.) . . . . .                     | 39 "  |
| 4. ტარასოვ-როდიონოვ — შოკოლადი (ფანტას-ტიური ამბავი) (თარგმ.) . . . . . | 41 "  |

2-2-1 განყოფილება:

## მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა.

- |  |      |
|--|------|
| 5. ფ. მახარაძე — რუსეთის რევოლუცია და ლენინი . . . . .       | 56 " |
| 6. მაღაქია ტოროშელიძე — დიადი დიადთა შორის . . . . .         | 66 " |
| 7. კ. ორაგველიძე — ლენინი და ბრესტი . . . . .                | 69 " |
| 8. ილ. ვარდინ-შგელაძე — ბოლშევიკები და იაკობინელები. . . . . | 74 " |
| 9. კ. ორაგველიძე — წერილები პოლიტიკურ ეკონომიიდან . . . . .  | 81 " |

2-3-2 განყოფილება:

## მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა .

- |   |         |
|---|---------|
| 10. მოხე გოგიბერიძე — ალბერტ აინშტაინის რელატივობის თეორია (ახალი ფიზიკა) . . . . . | 85 "    |
| 11. ვ. ბარნაბიშვილი — ქვანახშირის მარაგი საერთოდ და კერძოდ საქართველოში . . . . .   | 101 "   |
| 12. იხ. ორაგველიძე — გაახალგაზრდება . . . . .                                       | 109 ✓ " |

2-4-1 განყოფილება:

## უ ც ხ რ ე თ ი .

- |   |       |
|---|-------|
| 13. ნ. კიკნაძე — „მუშათა პარტიის“ მთავრობა ინგლისში . . . . . | 117 " |
|---|-------|

2-5-1 განყოფილება:

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა.

- |   |       |
|---|-------|
| 14. ლარისა რეისნერ — შიმალაების ჩრდილში . . . . .               | 125 " |
| 15. ი. გედევანიშვილი — პროლეტარულ ხელოვნების პრობლემა . . . . . | 141 " |

2-6-1 განყოფილება:

## ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

148—160



# ს ა ნ ა ვ ა რ დ მ

(დიდი რქბრთი)

„უამს სახესელისს ცეცხლებრ შემ-  
წუელი იგი მხურვადებოჲ მზისო, ქარნი  
ხორძაქნი და წყალნი მახეკებნი; რამ-  
ლის მკუდრნიცა მის აღვიდისნი სე-  
სენი სენითა, წყლითა განსაკებულები, და  
განსუალებულები, დაწერტილები და დამ-  
ძრძალები და დამდიერებულები, ჩარადი-  
ვსენი, ჰორმსიკანნი და დემოკლედ ცხაბ-  
რებულები; და მახეცებუელი არეკან არს  
მათი ქუეყანათა“.

(იაკობ ბუცესი. „წამება წმ. შუშანიკისი“).

## ქარბი ბირველი

### უბედურად დაწყებული ამბავი

თავადი ყარამან:—  
ახოვანი ვაჟკაცი.  
იქა-აქ ქალარა შეჰპარუია  
სიარული ნელი, ღინჯი.  
მხარში ოღნავ წახრილი.  
შემოხედვა ამაყი, ჯიშინი.  
ამღვრეული თვალები.  
ჩვეულებად გადაქცეული შუბლზე ხელის ვადასმა,  
(ალბად სისხლი უვარდებოდა თავში).  
მისი გვარი გრგვინავდა წარსულში.

ეს გვარი ჰფლობდა დიდებულ ჰქონდიდელთა კვერთხს და ხეივანად განაგებდა სანავარდოს, საჭილაოს, მარანს, ორპირს, ქორეისუბანს...

თავმომწონედ კითხულობდა ტყვირის ეკლესიაში წინაპართა ხუცურ წარწერებს:

„უფალო იესო ქრისტე ღმერთო, შეეწიე, შეიწყალე და აცხოვნე სული როვანოზ ქილაძე, თანამეცხედრე მათი უტანდარ ჩხეტიძის ქალი, ძიახარს, კაკას, ამინ!..“ \*)

ამაუბდა გვარიშვილობით, მაგრამ ხშირად აფიქრებდა ის საგვარეულო სენი, რომელნიც კვალდაკვალ მოსდევდა მის მოღვმას.

ამ სენმა მოუღო ბოლო მამამისს და მის ძმას კახაბერს.

თვითონ რაღაც ბედათ გადურჩა, თუმცა ხშირად აფიქრებდა თვალები, რომელნიც ისე ამღვრეულად უცქეროდნენ მას თუნუქის სარკიდან თმის დავარცხნის დროს.

ის იყო ერთად-ერთი ნაშიერი ამ უძველეს გვარისა.

თვრამეტი წლის უმაწვილი შევიდა მილიციაში პრაპორშჩიკის ჩინით.

მონაწილეობას იღებდა შამილის წინააღმდეგ ომებში და გმირის სახელი მოიხვეჭა.

ცხოვრობდა ტფილისში ლაღად, უზრუნველად.

დადიოდა მეფის მოადგილის სასახლეში ბალებზე, რაუტებზე.

ქეიფობდა მაშინდელ თავად-ახნაურობასთან ქვიშხეთში, ახალგორში, ორთაქალაში და ლოპიანას მუხამბაზებით თვრებოდა ჰაერი.

საქართველოს დარდსა და წარსულ დიდებას ღვინოში თუ მოიგონებდა.

ტფილისს ჯერ კიდევ მანანა ორბელიანის თვალები ელანდებოდა და მწუხარე იყო მისი იერი ამ მხიარულებაში.

ერთხელ დუელიც ჰქონდა ერთ რუსის ოფიცერთან, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანათ გათავდა.

მალე ბედმა უმტყუნა:

ქვრივი დედის, აბაშიხეს, სიკვდილის ამბავი მოუვიდა და იძულებული გახდა სამსახური და ქალაქი მიეტოვებინა.

ოჯახს, მამულს დაჰპატრონებოდა და ცოლი ეთხოვა.

თავდაპირველად ყველაფერი რიგზე მიდიოდა:

სანავარდო ირეოდა ჭირნახულით.

ბელლები გატენილი იყო გაცეხვილი ღომით, ხულა ყველიან ხალმებითა და თაფლით სავსე კოკებით, სასიმინდეები სიბინდით, ქვევრები ღვინით და საბლის თავანი ტყლაპით, ყაჭით და ნიგვზით.

ბედნიერი იყო მოსიყვარულე ცოლით ციცინოთი, რომელიც მუდამ თვალებში შესცქეროდა რით ესიმოვნებინა ჭმარი.

ციცინო მწიგნობარი ქალი იყო:

ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, კითხულობდა „ეფუთს“ და საღეთო წიგნებს.

\*) სოფ. ტყვირის ეკლესიის წარწერა.

ყარამანის ოჯახში ინახებოდა ჭყონდიდელთა ძველი საშრობელი და და ციციხო მუდამ სასოებით ეპყრობოდა ამ წიგნებს.

გავიდა რამდენიმე წელიწადი.

სანავარდოში მოსაეალი თანდათან ხდებოდა, მაგრამ ყარამანის აუტიკრებდა.

ერთად-ერთი ვაჟი ბონდო წამოიხარდა.

(მეტე ღმერთმა არ აჩუქა, მისი სახელის ჭირიმე).

თავს ევლებოდა შვილს, მაგრამ შეფიქრიანებული იყო მისი და ბაბუას მსგავსებით.

სულგანაბული ადევნებდა თვალ-ყურს და სასოწარკვეთილმა არ იცოდა რა ექნა.

ეშინოდა, რომ ხასიათითაც არ დამსგავსებოდა მამამისს, დიდ ოტიას, რომელიც მთელ სოფელს იკლებდა ავბორცობით.

მისი შიშით ქალიშვილი თავს ვერ გამოყოფდა გარეთ და გლეხი ვერ ითხოვდა ლამაზ ცოლს.

პირველად ეს მსგავსება მაშინ იგრძნო, როდესაც ბონდო ლიზიკიას თმებში ჩააფრინდა, და საოცარი გამწარებით და თითქოს ჟინითაც სწეწდა.

გოგოს წივილი მას კიდევ უფრო აღიზიანებდა, ხითხითით სულს ვერ იბრუნებდა და გულშეღონებული გაიშალა იატაკზე.

ყარამანს თავზარი დაეცა.

აივნის სვეტს აეტმასნა.

— ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!.. პირწავარდნილი მამაჩემია, პირწავარდნილი მამაჩემი!.. — დაკვენესა მან, მოსწყდა სვეტს, თმებში ხელწატანებულმა ჩაირბინა კიბე და უეცრად გაისმა მისი ონახიანი ბრძანება:

— ბაზიერო, შე წუწკო, მიმინო ჩქარა და ნეტებრები!..

გაჩნდა ძაღლების ყეფა.

ეჟენიან მიმინოების ფათქუნი.

ცხენის ფრუტუნი.

და ყარამან წავიდა სანადიროდ.

შეშინებული ციციხო შვილს აბრუნებდა.

თმაგაწეწილი ლიზიკია სამზარეულო სახლს უკან ბურულ ქვეშ ჩამოკიდებულ საბუღართან კედელს მიჰყრდნობოდა და მოსთქვამდა თავის გაჩენის უბედურ დღეს.

ბუდეში მჯდარი კრუხი აფოფრილი კრიახობდა და ლიზიკიას საკორტნავად ეტანებოდა.

ასე იყო...

ხშირად ჩამოდიოდნენ ნათესაეები, მოყვრები, მეზობელ სოფლის თავად-აზნაურობა და იმართებოდა თვეობით გაბმული ქეიფი და დროს ტარება.

იყო თორნეში ლავაშებისა და მჭადების ცხობა.

დასაკლავ გოჭების ჭყვირილი და მოხვრების ზმული.

წუწკი ძაღლები ენაგამოგდებული შესკქეროდნენ დაკლულის გამოშიგნვას და ვადაგდებულ ფაშვზე იყო ღრენა და მზარეულის წყევა-კრულვა.

სამზარეულოში ლომის ხელვა და დაშუშება.

ხარშოს დუღილი, კაიქადებისა და ხაჭაპურების ცხობა.

გაპუტულ გოჭებისა და ინდაურების ღვინვა და ზანვა.

იყო ქეიფი.

თავალებულ სადღვეგრძელოების გადასვლა.

— დალიე!..

— დამილიე!..

თავადის ქალების კოპწიად თავლების ნაბვა და ხაბარდიან კაბების თართაში.

„მრავალ ჟამიერის“ ქერში შეტყორცნა.

ლომში დასვრილ თითების გალოკვა და სუფრაზე უბვად დაყრილ ლელვის ფურცელზე და ხელსახოცებზე წმენდა.

მერიქიფეები ციბრუტივით ტრიალებდნენ.

ტოლუმბაში სუფრაზე ონაბიან ბრძანებას იძლეოდა, ცალ ხელში ცარიელი ყანწი ეჭირა და მეორე ხელით ღვინოში დასველებულ ულვაშებს იწმენდდა.

ხარხარი და სიმღერა.

არშიყობა და საეშმაკო ჩურჩული.

ზმების გადატყორცნა.

ერთ ქართლიდან ჩამოსულ თავადს კნიაჟნა კატომ ხელსახოცის მაგიერ სათუთად დაკეცილი თავისი საცვალი შეაპარა და ქართლის თავადი დიდხანს იწმენდდა ზედ ულვაშებს, სანამ თავადმა პიპინიამ ხანჯლის წვერით არ ასწია იგი და მისი სამკაული არ გამოჩნდა.

— ვოოუ, ქორთუ!.. ქორთუ!.. — გაჩნდა ხარხარი და ყიყინა.

თავადი აენტო.

ხანჯალს ხელი შეაულო, მაგრამ ციციწო მის გვერდით გაჩნდა ანგელოსივით ნაზი და ვააფთრებული თავადი დამშვიდდა.

ასეთ ქეიფის დროს მისცა ცეცხლი თავად ყარამანის სიმინდით გატენილ სასიმინდეს ერთმა აზნაურმა და შუალამეში უხარმაზარ მაშხალასავეით ენთო იგი.

ტაროებს ტკაცუნი გაპქონდათ და მთვრალი სტუმრები თავლების ლიცლიცით შესცქეროდნენ ალტაცებულნი, თუ რა ლამაზად იწვოდა სასიმინდე.

იყო ყანებში მწვერებიტა და მიმინოებით ნადირობა.

ობრდებოდა ყანები, ითელებოდა გლეხის ნაწვავ-ნადაგი.

ყოველ დღე იყო მიმინოების ძართან ბაზიერის ტუჩის წრტპუნი და ახალ დაკლულ ქათმის ნედლი, ჯერ კიდევ თბილი ხორცის ძლევა.

სახაბაზოში მწვერებიასათვის მჭადების ცხობა.

ცხენების ხედნა და მარულა.

გლეხები ყანებში მუშაობდნენ, აკვდებოდნენ დედამიწას.

გულუხვი სანავარდო რამოდენიმე წელიწადში დაბერწდა და არ იყო ის მოსავალი, რომელსაც სასიმინდეებსა და ბელლებში ვერ ატევდნენ.

დედამიწას ძუძუ გაუშრა.

გვალვამ დახეთქა იგი.

ხანდაბან ნალვლიანად მოისმოდა ნადური და მწუხარე სიმღერები.

სანავარდო გახვეული იყო აორთქლილ ხაშში და გვალვაში.

უხარმაზარ ეკლის ჩირგვეებში პაპანაქება ზუზუნებდა და მის ჩრდილში შეწოლილი სიცხით შეწუხებული ღორი ოსრავდა.

ლობის სარზე წამოგებული მზისგან გახურებული გამხმარი ცხენის თავი თეთრათ ლაპლაპებდა და შიგ მომწყვდეული გვალვა ქიხინებდა.



ქართული  
ზმების წიგნი



თაკარა სიცხე დაეცა მიწაზე და სულთქმა იხუთებოდა.

ხაშნი და აღმური იყო დაკრული მთელ სანავარდოზე.

ბატონები, თუ ქეიფი არ იყო ან ნადირობა, ისხდნენ უზარმაზარ კაკლის ჩრდილ ქვეშ, ნებივრობდნენ და, რამდენი მზე მოადგებოდათ, იმდენ კილოფს აჩორებდნენ და უვლიდნენ ხეს ირგვლივ.

იყო ლაზღანდარობა და ძველი ამბების მოყოლა.

პატარა ბონდოც აქ იყო, ყურს უვდებდა უფროსებს ან და „რიკტაფელას“ თამაშობდა.

სოფელი იღუპებოდა.

აბალღამებული ციებ-ცხელება ჩაწვა სოფელში და ხსნა არ იყო მისგან.

არავის ეცალა მისთვის.

გლებს რა ექნა საწყალს!..

ღვინოს თუ იშოვიდა, — დაღევდა, — ეს იყო მისი წამალი.

მღვდელი არ იცდიდა ციების შიშით.

სოფელ იანეთიდან მოპყავდათ წირვისათვის.

სენი მძვინვარებდა ყველგან.

უეცრად გლებთა განთავისუფლების ამბავიც მოვიდა.

შეიქნა მზიარული მითქმა-მოთქმა. ყარამან დაიბნა. მისი ოჯახი დაღუპვის კარამდის მისულიყო.

სოფელი განადგურებულიყო.

გლებები დაბრუნდნენ თავიანთ კერას.

დარჩა ყარამანის ოჯახი მარტო.

მხოლოდ მახინჯი, უპატრონო ლიზიკია არ მოკშორებია მას.

აწეწილი ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფრო აიწეწა.

ერთი პირობა დატრიალდა, სცადა ოჯახის ფეხზე დაყენება, მაგრამ არაფერი განიოვიდა, ბელი ჩაიქნია და მიუშვა სადავე.

მამულებს ღობეები შემოაღება.

თხრილები მიწით ამოივსო.

ეზოს ჯიჯლაყა მოედო.

რაიონიდან გადმოსულ წყლებს გასაეალი არ ჰქონდა.

კაობებით აივსო სანავარდოს მიდამოები.

გხები არ ვარგოდა.

სოფელის შემდეგ მთლად გაოხრდა ურმებისაგან და ყარამან რჩებოდა მთელი ზამთრობითა და შემოდგომობით ჩაკეტილი თავის მამულში.

ერთად-ერთი გზა, ორპირის გზა იყო.

სტუმრად არავინ მოდიოდა.

არც არავინ იწუხებდა თავს.

რა უნდოდათ გაღატაკებულ ოჯახში!

ვინმე თავალებული მგზავრი თუ გაათევედა ღამეს.

ოდას ყავარი შემოაღება და წვეთავდა.

დედაკაცები აპღულებდნენ ტყემლებს, წოიოს და ტყლაპს შეინახავდნენ, კვახს დააბინავებდნენ, ღვინოს გამოსწურავდნენ, ნედლ სიმინდს და ნიგოზს ოდის თავანზე გაწლიდნენ და დადგებოდა შემოდგომის ატირებული დღეები.

საჯაეახოს მთები დაინესტებოდა და ლაინის ფერს გადიკრავდა.

ხანდახან ყანჩების გუნდი თუ გადიფრენდა მწყობრად და მათი ყიყინი შეარყევდა წვიმიან ღამეს.

დაიწყებდა გულის შემაწუხებელ კვირაობით გაბმულ წვიმებს და წყალს გაჰქონდა ნალვლიანი ტანტალი ყავრით დახურულ ოდაზე მიწა დალპებოდა წყალში.

ოდის ოქვათოს სისხლის ფერი ხავსი გადაეკვრებოდა.

ქაობი და ჭონჭყო დაინესტებოდა.

ბუხრის თავში უბინაო ქარი ატირდებოდა.

გაძარცული ძეწნები და ტირიფები გარუჯული ჩონჩხებივით იდგნენ კაობში ნალვლიანად წაფერდილნი და სტიროდნენ ზამთრის სისასტიკეს.

რიონი ზარმაცად მიდუღუნებდა.

იხვებით გაივსებოდა ყველაფერი და გლებები იჭერდნენ მახეებით გედებს, გარეულ ინდაურებს და უგზავნიდნენ ძღვნად ყარამანს.

პატარა ბონდომ არ იცოდა რა ექნა სიხარულით.

მიანებებდა თავს სიმინდის ნაკორტალით აშენებულ გოჯილას და ეალერსებოდა ყელყარყარა გედს.

გრძელ ღამეებით, ფოთის მხარეს წითლად შეიღებებოდა ზეცა მონადირეებისაგან პალიასტომის ღელში და ლაქაშში გაჩენილ ცეცხლის გამო.

პატარა ბონდო ცხოვრობდა ამ ლანდებში, ემუსაიფებოდა მათ, ჰკოცნიდა დასდევდა, ეთამაშებოდა.

ყარამან ასეთ ღამეებში მოუყვებოდა მას ლეკის ომის ამბებს და ბონდო ყურს უგდებდა, ცეცხლის პირას ჯირკოზე მობუზული, ოცნებით გავსებულ თვალებით.

ბონდო:

ნიმინოსავით მაღალი ცხვირი, გრძნობიერ ნესტოები და ვნებიანი ტუჩები.

მისი კაცური, გონიერი და ნალვლით ამღვრეული შემოხედვა მნახველს ფარულ მორიდებასა და სიფრთხილეს აღუძრავდა.

სოფლის ბიჭებსა და თანატოლებს არ უყვარდათ იგი, სამავიეროდ მასაც სძულდა ისინი.

დადიოდა მარტო საკუთარ სამყაროში, სადაც ყველაფერი ცოცხალი იყო. ხალიჩაზე ამოქსოვილი სამკაულები მისი ძვირფასი მეგობრები იყვნენ.

ეალერსებოდა თბილისიდან ჩამოტანილ გენერლების სურათებს.

ყოველ ღამით, როცა ბონდოს დააწვენდნენ, ხალიჩა მოიხსნებოდა კედლიდან, წამოვიდოდა ზღაპარივით გაწლილი და ჩაიხუტებდა ბონდოს.

ყველაფერი დაიტვირთებოდა მოჩვენებებით.

ოთახის ავეჯეულობა სულს აიდგამდა და დაიწყებოდა იდუმალი ცხოვრება. ბონდო ნებიერ ბატონიშვილივით იჯდა ხალიჩაში.

ინდოეთიდან და ქირმანიდან აღჯანაბადით და ინდისხურმით დატვირთული ქარავანი მოემართებოდა მინანქრის სასახლისაკენ.

იგი ელოდა ნუშივით მოგროვო წყვილ თვალებს და მოუთმენლად უჭერდა ხელს ბზის გოგუთს.

თეთრი რაშები მოაგდებდნენ ოქროს მოაჯირთან ძვირფას ტახტრევანდს,

მზისუნახავი გადასწევდა ოქსინოს რიდეებს და მისი თვალები შეანათებდა ბონდოს სულში.

გადმოვიდოდა ოქროს ქოშებით და შეგებებულ ბონდოს ჩამოეკიდებოდა ფარლულივით კდემამოსილი მაღალ კისერზე.

მთელი ღამე იქნებოდა ალერსი ნინანჭრის სასახლეში მონები სდარაჯობდნენ მათ სიყვარულს.

სურნელებით დამთვრალი ბონდო წააძრობდა ნაზ მზისუნახავს ოქროს ქოშებს და მხურვალედ დაუკოცნიდა პატარა ფეხებს.

დიღამდის იცოცხლებდნენ ისინი ნობში და, როდესაც პირველი მამალი იყივლებდა, მზისუნახავი დასტოვებდა ბონდოს სარეცელს და ტრფობით დაღლილი, ლურჯ იებივით მაღლიერ თვალებით აკოცებდა გაცრეცილ ტუჩებში და წყნარად გავიდოდა ზურმუხტის რიკულებიან აივანზე.

ასე გაფრინდებოდა მზისუნახავი ტახტრევანდით.

ალერსით დაქანცულ ბონდოს ჩააწვენდა ნობი ლოგინში და გათენებისას ჩაეძინებოდა.

მეორე დღეს ეინიანობდა, სტიროდა და ნატრობდა მალე დაღამებას.

დადიოდა ჩუმად და ოცნებობდა ღამის სტუმარზე.

თავდაპირველად ბავშვის ეს სენი აშინებდა მშობლებს, მაგრამ მერე შეეჩვივნენ.

ყველაზე ძლიერ ქ.-ნი ციციხო ღელავდა.

სად მკითხავთან არ ჰყავდა კულაში, ნათვალევიც გამოალოცვინა, გამვლელ ჩაჩნებისაგან შანაც იყიდა და გულზე ჩამოჰკიდა, მაგრამ მაინც არა ეშველა-რა.

ერთ ღამეს ქ.-ნი ციციხო მას ზღაპარს უამბობდა. ბონდო იდაყვზე დაყრდნობილი ყურს უგდებდა.

ქ.-ნი ციციხო გაიტაცა ზღაპრის მოყოლამ.

იგი ამბობდა ზღაპარს გასაოცარს: ფოლადის ნიკარტიან ცეცხლის ფასკუნჯზე, უმცროსი ძმის გპირობაზე, მზისუნახავზე, ცხრათავიანი მღვეები სძრავდნენ ქვეყანას, დედამიწა ზანზარებდა მათ ფეხქვეშ, მღვდელს ეკლესია ზურგით დაჰქონდა, — ლაპარაკობს ქ.-ნი ციციხო, და მან უეცრად იგრძნო, რომ აკანკალებული ბავში მიეკრა მკერდში და ანთებულ თვალებით კერში ხელაპყრობილი ემუდარებოდა:

— დედია!.. დედია!.. მეც იქ მინდა დედია, მეც!..

— სად შვილო?.. ვისთან?.. — შეეკითხა ფერშემკრთალი ციციხო შვილს და წელზე ხელი შემოჰხვია.

— მზისუნახავთან დედია, მზისუნახავთან!..

ხედავ, დია, ხედავ, მიფრინავენ!.. იკივლა ბონდომ და ფეხზე წამოიჭრა.

კოტა ხანს ასე იყო გარინდებული, მერე თვალები ცრემლებით აევსო, სახეზე ხელები აიფარა და ამდულრებული ჩაემხო დედის კალთაში.

დედა აყვავებდა შვილს, ცრემლიან თვალებს უკოცნიდა, გულში იკრავდა...

იმ ღამითვე მოილაპარაკეს დედ-მამამ და გადასწევითეს ქალაქში გაეგზავნათ.

— მაკრინე მაღაზონმა თუ გაგვითვალა, იმ წყეულმა!.. — სთქვა ყარამანმა.

ქ.-ნი ციციხოს ფერი ეცვალა.

მთელი ღამე ტრიალებდა ლოგინში, არ ეძინებოდა.

ფრთხილად ეალერსებოდა, ეტოლებოდა მძინარე ბონდოს.

მეორე დღეს იყო ტანისამოსის კერვა.

გამზადება.

საგზლად ხაჭაპურებისა და გომიჯების ცხობა.

ციცინო წიგნს სწერდა ძმას ქალაქში:

ბონდოს თვალის ჩინივით გაფრთხილებოდა.

ძღვენი მზადდებოდა.

ბონდო მოცოცხლდა.

მას უხაროდა ქალაქის ნახვა.

მამისგან ბევრი ჰქონდა გავონილი და მის გონებაში ჯადოსნიურად იღვა

ეს ქალაქი.

იქ ხომ ისეთი გენერლები დადიოდნენ, ოღაში რომ სურათები ეკიდა.

ერთი კვირის შემდეგ მამა-შვილი გაემგზავრა.

მიუუჩდა ოღაში ყველაფერი.

მხოლოდ ციცინოს ნაღვლიანი და წყნარი სიარული არღვევდა დარბაზის მყუდროებას.

ხშირად ჩაემხობოდა ციცინო თავის ლოგინში და სტიროდა გულამომჯდარი.

ბონდოს ბედი უღრღნიდა გულს.

ვინ იცის რა მოელის მის შვილს ქალაქში!

ის ჯერ კიდევ პატარაა, სუსტი.

რამე რომ დაემართოს, ხომ შეიშლება ციცინო, თავს მოიკლავს!

გადიოდნენ დღეები.

ჩამოვიდა ყარამან.

ჩამოუტანა ცოლს ძმისაგან მოკითხვა, პირას კოცნა, რძლისაგან ძღვენი.

უანბო: რა კარგად მოაწყო ბონდო კეთილშობილთა სასწავლებელში, მაგრამ ციცინოს გული მაინც არ ისვენებდა.

გადიოდნენ თვეები.

გავიდა ერთი წელი.

ციცინო თანდათან დადნა, ჩამოხმა.

ქალის სნეულებამ მთლად მოუღო ბოლო.

ხშირად გამოეღვიძებოდა ხოლმე ყარამანს ციცინოს ტირილისაგან და ამ-შვიდებდა, ნუგეშს სცემდა.

— რა დეგემართა, შე ქალო, ხომ არ მომკვტარა ი ბალანა, რა გატირებს?! — საყვედურობდა ყარამან მეუღლეს.

ასე გადიოდნენ დღეები, კვირეები, თვეები...


ყარამან ჰგრძნობდა, რომ სიკეთე არ მოელოდა მის ოჯახს.

სოფელი წყდებოდა ზამთარში ჩაყოლილ ციეებით.

ოჯახის საქმე უკან მიდიოდა.

ციცინოს ხველება დააწყებინა და ყარამანმა მთელი სისრულით მაშინ იგრძნო საშინელების მოახლოება, როდესაც ციცინომ ნახველს სისხლი ამოაყოლა, მაგრამ თავს მაინც ინუგეშებდა, რომ სამე როგორმე მოგვარდებოდა.

ერთ დღეს მან უცნაური წერილი მიიღო ცოლის ძმისაგან: იგი სწერდა:



ქართული

ლიტერატურის ცენტრი

ზონდო მშენიერად სწავლობს, მაგრამ სწუხდა, რომ რაღაც ატირებული სენი გამოაჩნდა: „რაცხა შემოაფრინდება გულში, წააქცევს და კანკალს დააწყებებსო“.

ყარამანს თავზარი დაეცა.

იღვა გაშეშებული და თვალეზე ორი მდულარე ცრემლი მოჰკოვრდა. დიდხანს იღვა იგი ასე, მერე შუბლზე ათროლოებულ ნიკის გაღისვა, შემოტრიალდა და ხელი ნაბიჯით შელასლასდა იმ ოთახში, სადაც მამამისის სურათი ეკიდა ვიღაც მოგზაურ მხატვრის მიერ დახატული.

შეჩერდა მის წინ.

გამოხუნებული სურათი სასტიკად დასცქეროდა.

ყარამან შედრკა.

მასში კიდევ იყო შიში და მორიდება მამის ლანდისადმი,

დიდხანს უცქეროდა იგი მამის ლანდს და ჰფიქრობდა დაძმარებული.

უეცრად ტანში შეაყრყოლა, ათროლოებულ ხელში მოკუმშა წერილი და გაბოროტებულმა დაქრილ ნადირივით დაიბლაგლა:

– მოჰშორდი ჩემ შვილს, რა გინდა მისგან!.. და აქვითინებული ჩაემხო იქვე.

სასტიკი ლანდი ისევ ცივად დასცქეროდა ყარამანს უაზრო თვალებით.

გულგახეთქილი ციციწო მოვარდა.

აყვავებდა ქმარს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

აილო წერილი, წაიკითხა და ისიც ატირდა უნუგეშოდ, ქალური უმწეობით.

შემოვარდა ჩამოძონძილი ლიზიკია, გაკვირვებული უყურებდა ბატონებს

და ვერ გაეგო რა ხდებოდა მის ირვვლივ.

ამის შემდეგ ყარამანმა ლოთობა დაიწყო.

ხშირად ლამესაც არ ათევედა სახლში.

ციციწოს მთელი ლამეები არ ეძინა, ახველებდა, ოხრავდა.

კოტა ხანს შემდეგ ყარამან გაემგზავრა ქალაქში შვილის სანახავად.

გავიდა რამდენიმე კვირა.

ციციწო გზას გასცქეროდა და ელოდა ქმარს ამბით.

დარდით მთლად ჩამოჰქნა და ლოგინად ჩავარდა.

შემოდგომის წვიმები ატირდნენ ოდის თავზე.

ჩამოვიდა ყარამან ნალვლიანი, უამბო ყველაფერი ციციწოს.

უამბო ისიც: როგორ ევედრებოდა შვილი რუსეთში გაეგზავნა უმაღლეს სწავლის მისაღებად და როგორ დასთანხმდა.

ამის გაგონებაზე ქ.-ნი ციციწო მთლად მოსწყდა.

მან დაჰკარგა იმედი შვილის ნახვისა, გადაბრუნდა კედლისკენ და ატირდა.

ყარამან მუდამ დაფიქრებული დადიოდა.

ლოთობას უმატა.

ციციწო თანდათან ცუდათ შეიქნა.

მოხუცდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყარამანს საყვარელი ცხენი მოჰპარეს ბანძელებმა.

ეძება, ეძება, მაგრამ ვერ იპოვნა.

და ასე უკუღმა დატრიალდა ყველაფერი.

ერთ ღამეს ვიღაცეებმა მტრობით ხულა დაუწვეს.

და წავიდა ყველაფერი.

დაქანდა მოლიპულზე...

## ქარი მემრე



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

## ზამთრის წილადოგება

დადგა ღამეები ბნელი, დაყურსული.  
 ატირებული, წვიმიანი ზამთრის ღამეები.  
 წვიმები... წვიმები... წვიმები...  
 ამდორებული რიონი ზარმაცად მიდუღუნებდა.  
 ღამე თუ გაისმოდა გარეულ იხვების ქლივილი.  
 ხანდახან ამოვარდებოდა უბინაო ქარი და დაიწყებდა უზარმაზარ დასვე-  
 ლებულ ფრინველის მხარმოტეხილ ფრთასავით სახლის ყავარზე ხმაურობას.  
 დაათრევდა ფრთას და ჰკვნიესოდა მომაკვდავივით.  
 ქარი ზუზუნობდა.  
 ბუხრის თავზე შემჯდარი გაყინული ჭინკა დამზრალ თითებზე სულს იბე-  
 რავდა და კნაოდა საცოდავად.  
 ხან ადგილს შეინაცვლებდა და ამოვარდნილ ბოლს კუდაწეული ზურგს  
 შეუწევრდა, რომ ჯდომისაგან დასველებული წელქვევითა ადგილი გაეთბო.  
 საცოდავი იყო ჭინკა, გამხდარი მოძუძგული!  
 ხანდახან ცხვირს აცემინებდა, ახველებდა.  
 სურდო სჭირდა ჭინკას!  
 ქ.-ნ ციცინოს ოთახში ბუხარი ღულუნობდა და სველი წიფლის შეშა გუ-  
 ლის გამაწვრილებლად შიშინებდა.  
 ასე დადგებოდა გრძელი, უდაბური ღამეები.  
 ავადმყოფობისაგან მიბნედილი ციცინო იწვა ამ ღამეებში და მორჩილად  
 ეგებებოდა ყოველ წამოხურულ ღამეს.  
 ფიქრები ძაფივით გაიბმებოდა და არ იყო იმედი გათენებისა.  
 ღამე სდარაჯობდა მის უძილო თვალებს.  
 ფიქრობდა წარსულზე:  
 პატარა მოკლე კაბიან გოგონას დაესიზმრა შეილი, რომელსაც ბონდო  
 ერქვა. იგი მეტად ჰგავდა მის დედოფალს და მას, ჯერ კიდევ პატარას, ჯერ  
 კიდევ სულ ახლად აფეთქილ მკერდით, ისე შეებრაღა კიდევ უფრო. პატარა  
 ბონდო, რომ ტირილი დაიწყო.  
 დედა ეფერებოდა ციცინოს, აყვავებდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო რა  
 ატირებდა.  
 ციცინომ მას შემდეგ იგრძნო, რომ იგი მწიფდებოდა, რომ მისი მკერდი  
 ერთ ღამეში დამწიფდა მოულოდნელად.  
 როცა დილით გამოეღვიძა, იგი უკვე ქალი იყო, მას შერცხვა თავის საკინძ-  
 გახსნილ მოვის პერანგის და ყრუოლაატანილი ბალიშს ჩაებუტა.  
 ციცინო ახლაც, ლოგინად ჩავარდნილი, გაქალარავებულ თმებით, ოცნებობ-  
 და თავის შეილზე ისე გატაცებით, როგორც მაშინ, ქალწულობისას.  
 საოცარი ხმები დადიოდა მასზე.  
 რუსეთიდან ორპირში ჩამოსულლები რას არ ამბობდნენ:

— იგი რუსხემწიფის კარზეა პეტერბურგში და თავალებულ ქეიფსა და ნავარდს ეწევა...

— ვილაც ფრეილინას ჰყვარობს...

— ვილაც საეჭვო ხალხთან აქვს საქმე და რუსხემწიფის მოკვლა უნდა...

— ფულს უზომოდ ფლანგავს და გარყვნილ ქალთან უსთურობს და ათასი სხვა.

ხმები... ხმები... ხმები...

მაგრამ ციციხო ყურს არ უგდებდა ამ ხმებს, — არ სჯეროდა...

მის წინ ჯერ კიდევ ის სუსტი, ნაზი ბონდო იდგა და ეს ამბები არ უდგებოდა მის წარმოდგენას.

როცა იგი გაითვალისწინებდა: რა სუსტი იყო ბონდო, — მეორე დღესვე დაიბარებდა განსაკუთრებულ საქმიანობით ყარამანს და იყო ანგარიში რომელი მამული გაეყიდათ, რომ ბონდოს ფული არ შემოჰკლებოდა.

სუჯუნელი ვაჭარი, ურია ცხაკუნია მიხალეშვილი, გადმოთვლიდა ქისიდან ოქროებს და ასე ობრდებოდა, იყიდებოდა, იფლანგებოდა მამა-პაპეული სიამყე. ცხაკუნია მიხალეშვილის ოქრო იყო ყველგან გაბატონებული.

თვით სტამბოლშიც წკრიალებდა იგი.

ცხაკუნია მამობრა დიდება ყარამანის გვარისა.

ნიაუდებოდა ყველაფერი.

ასე მიდიოდა ლამეები ციციხოს ოთახში, სადაც ლიზიკია კუთხეში გაშლიდა თავის დაძონძილ ლოჯინს იატაკზე და ნეტარი ძილს მიეცემოდა.

მისი დასიებული სახე, ძილში ღიად დარჩენილი პირი, ჩაშავებული კბილები და ბინძური თმები ციციხოს ხშირად აშინებდა.

ასეთ ლამეებში იჯდა მამლის ყივილამდე მის ოთახში ბუხართან ყარამან ფერშემკრთალი, სახედაღარული.

აბოლებდა ყალიონს, აფურთხებდა ბუხარში და ფიქრობდა.

ხანდახან ამოიოხრებდა, მდგომარეობას შეიცვლიდა, ჩოხას მუხლის თავზე გადიკეცავდა და ისევ ფიქრებს მიეცემოდა.

გარეთ აწანწალებული, ლამის ლანდებით დამფრთხალი უბინაო ქარი ოდის კედლებს ესრისებოდა და წიოდა თმაგაწეწილი.

აღვის ხეები და გაძარცული თხმელის ფშიარი ხმაურობდა.

— რამსიგძე ყოფილა აი ნავარი ლამეები!.. — ამოიკვნესა ციციხომ და შუბლზე ხელი გადისვა.

— რა უყოთ ციციხო, გზა სიარულმა დალია და ლამე ძილმა!.. დეიძინე შექალო, შეისვენე!.. — უპასუხა ნაღვლიანად ყარამანმა.

— ნეტაი გაზაფხულამდის მივაწევდე და ჩემი ბონდოს ნახვას მომასწრებდეს უფალი!..

— რამ შეგაშინა შე ქალო, პატარა მეითმინე და კარქათ შეიქნები!.. — უსაყვედურა ყარამანმა და ჯირკოზი მდგომარეობა შეიცვალა.

— ეეჰ!.. — ამოიოხრა ციციხომ მწუხარედ.

— ეეჰ!.. — ამოიოხრა ვილაცამ მის გვერდით ბალიშთან და ციციხო შეერთა.

— ყარამან, ვინაა თავზე რომ მადგას?.. დაიკივლა მან ხარდაცემულ თვალებით.

შეშინებული ყარამან ფეხზე წამოიჭრა.

— არაფერ გულო, ნუ გეშინია!..

— ვინაა სარკმელში რომ ოხრავს?..

— არაფერ შე ქალო, რა დევნაა?.. — ეკითხება ეჭვიანული ქმარი.

— ეეჰ!.. — ამოიკვნესა მან უსასოოდ და ხელებნილი მხარეებით დაუშვა.

ღამე შავი ლეკვივით დაგორდა და ყუფითა და ყმუილით გაქანდა ეკლესიის გალავანში და ახლა იქ ატირდება ჯერების რიკულებში და ეკვდერის ჩუქურთმებში.

ასე ებრძოდა ქ.-ნი ციციხო ღამეებს და, როცა იგი ოდნავ დამწყიდდებოდა, ყარამან გავიდოდა თავის ოთახში მოსასვენებლად.

ციცინო დარჩებოდა მარტო თავის თავთან და მძინარე ლიზიკიასთან, რომლის ხვრინვა ფრთას ასხამდა ოთახის ლანდებს.

არ იყო ხსნა აკვიატებულ ფიქრებისაგან:

სოფელი გაწყდა.

ოჯახი წაიქცა.

დიდი გვარი მისი მეუღლისა სულზეა მისული.

არის მხოლოდ ბონდო და ისიც გადაკარგულია, ავადმყოფი.

ციცინო ხედავდა როგორ აწამებდა ყარამანს გაწყვეტის შიში და არ იცოდა რით ენუგეშებინა ქმარი.

ახლა თვითონაც ლოგინად ჩავარდა.

ფიქრობდა ციცინო, მიტოვებული ღამის უდაბნოებაში, ობოლი და უნუგეშო.

ღამის ლანდები სულს აიდგამდნენ და დაიწყებდნენ ოთახში ბორგვასა და ტორტმანს.

ცეცხლი წითლად ანათებდა ოთახს.

ლანდები ეხუტებოდნენ ერთმანეთს, ჰკოცნიდნენ. იცინოდნენ უბოდ, მუნჯად.

ციცინო უცქეროდა მათ ენაჩავარდნილი, საძრაობის უნარდაკარგული. ერთი მათგანი ბუბართან, ჯირკოს ქვეშ რომ იყო მუშტის ოდენად მოკუმშული, ადგა, წამოვიდა ტორტმანით.

იგი ერთი ბეწვაა, ერთი ციდა.

შავი, გარუჯული, მუნიანი და მას დასველებულ ბინძური ლეკვის სუნი ასდის.

მიუახლოვდა ციცინოს ლოგინს და თავი დაუკრა.

— ღამე მშვიდობისა ქ.-ნო ციცინო, როგორ გიკითხოთ?..

ციცინო წევს, განძრევა არ შეუძლია, და აი, იგი ხედავს რომ ჭინკას, არც აცია, არც აცხელა, შეხტა ჭინჭრაქასავით და მის ლოგინზე გაჩნდა.

მისი მუნიანი შავი ბეწვი ბზიალობს.

ქონი წაუსვამს ტანზე და საზიზღარი სუნი ასდის.

სულ მთლად ერთი ბეწვა, სასაცილო, ჩამოჯდა საბნის ნაოქზე, კუდი მუხლებზე გადმოიდო და შიგ მოურიდებლად რწყილების ხილვა დაიწყო.

მისი თვალები გარუჯულ კარდალივით სახეზე ბრმის ბისტებივით ციალებდნენ.



ციცინო წევს გარინდებული და ზარდაცემულ თვალებით უცქერის მას.

— რამ შეგაშინა შე ქალო!.. ერთ ექვსიოდე თვეს კი იცოცხლებ და მერე რა უჭირს, ერთს ღრმად ამოისუნთქავ, დაამთქნარებ და გათავდებ! ყველაფერი!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. გათავდებ!.. ნუ გეშინია!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. მერე უფრო ძლიერი ნემატიანე გამოიძრობს ყურში გარჭობილ ბატის ფრთას და დასწყისს!

„ქორონიკონსა ამასა და ამას, ჯანსა მეფობისა სკვითთა მეფისა, დღესა ამასა და ამას, ოდეს ანგლიჩანები ავებდნენ გზასა რკინისასა და რვალისასა, თანამეცხედრემან ყარამან ბატონისამან ციციხო ხეციხემ განუტევა სული თვისი და წარსდგა უფლისა წინაშე“...

ხე!.. ხე!.. ხე!.. ასე სწერდნენ თქვენი გვარის ნემატიანენი!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. — ხითხითებს იგი, მთლად ტოკავს და იზრჩობა სიცილით, ბრინწიან დედაბურივით ოხრავს, სულს ვერ იბრუნებს, მერე ხველება აუტყდება და ახველებს დიდხანს ახველებს საცოდავად, ბოლოს, როგორც იქნა, ნახველს იღებს და აფურთხებს იატაკზე.

ჩამოვარდა დუმილი.

ცეცხლი ისევ გუგუნობს.

ღანდები ისევ დაეპოტებიან ოთახში.

ძვალგამთბარი ქრიჭინა მოცოცხლდა ბუხარში და გულის წემაწუხებლად ქრიჭინებს.

ჭინკა მაინც არ სცილდება ციციხოს ლოჯინს.

კუდის რიკში ერთი რწყილი მონახა, გაკენიჭა, მაგრამ არ მოეწონა და გვერდზე გადააფურთხა.

იგი ისევ განაგრძობს:

ხედავ, თქვენი სოფელი წყდება!.. თქვენც გაწყდებით, გაპარტახდება ყველაფერი, მაგრამ ეს არაფერია, არაფერი!.. სამაგიეროდ მოვა წვივმაგარი ხალხი და ახლა ისინი დასწერენ ახალ მატთანეს!.. მეც მაციებს, მაკანკალებს!.. ბოროტია ციება და ბოროტია თქვენი სანავარდოც!.. აქ ჭინკებსაც კი აციებს!.. მე საწყალი, პატარა, საცოდავი ჭინკა ვარ, უპატრონო!.. ჩემი სახელი თათარხან, ჩემი ბატონო!.. მაქვს პატივი გაგეცნოთ!.. თათარხან!.. მართალია, სახელი დიდი მაქვს, მაგრამ ეს არაფერია!.. ხანდახან უზარმაზარ მღვეს ჰჭვიან სულ უბრალო, პატარა სახელი!.. ასე რომ თქვენ ახლა მე უკვე მიცნობთ!.. ერთი სიტყვით, დაბრიყვებული ვარ!.. ყველას მე ვძულვარ, არ უყვარვარ!.. შენც მარტო ხარ, ხომ ქ-ნო ციციხო, ამ უდაბურ ღამეებში?.. სულ მარტო, მიტოვებული შენ თავთან!.. ოო, რა ძნელია შენ თავთან მარტო დარჩენა, ძნელია ძნელი!.. მე შეტი არ შემიძლია!.. — და ციციხო ხედავს რომ ჭინკა მართლა სტირის და კუსუნობს გაჭირებულად.

საცოდავი ჭინკა!.. საბრალო ჭინკა!..

— გუწინ სახლის თავანზე კატა გამომეკიდა, ძლივს ავასწარი ბუხრის თავზე. იქ, თავანზე, ბევრი ნიგოზია, ხახვი და ბია!.. მე და ჩემი ცოლი ყაფუზუნა თავს ვიქცევთ, ნიგოზს ვთამაშობთ და იმაზე ვიყოლებთ გულს!.. ახლა ისიც ავათაია!.. ნელოვინეა ჩემი ყაფუზუნა!.. მას ორი პატარა შვილი შეეძინა: ჭია და კოკო!.. ჯერ ჭიპიც არ შეხმობიათ მუცელზე! ახლოს არ მიკარებს და მე სულ მარტო ვარ!.. ვთამაშობ მარტო, თავს ვიქცევ!.. ლარძაყინებზე ჩამოკიდებულ ღამურებს ვიჭერ. ისინი ისე საცოდაენი არიან, წრიპინებენ უმწეოდ!.. და ასე

ვცხოვრობ ჩემთვის!.. ერთ დღეს, როცა მე თავს ვეთამაშებოდი, ხატავერი კატა მომეპარა, მომეპარა, და უცებ გადმოხტა ჩემკენ!.. — დაიძახა ჭინკამ, ციციონოს ყელში ეცა და ახრჩობს, მას კი განძრევაც არ შეუძლებოდა!

უნდა იყვიროს, მაგრამ ვერ ჰყვირის...

შ ი ზ ა მ ი რ ი თ ე ჯ ა

აი... აი... და უეცრად აღმოხდა:

— ლიზიკია!.. ლიზიკია!..

ლიზიკიას არ ესმის, — სძინავს.

ციციონომ მიიხედ-მოიხედა, — არავინ არის.

იგი კანკალებს, აციებს.

— ლიზიკია, შენ დეგვეფსო მაი ყურები!..

ლიზიკიას არ ესმის.

— ლიზიკია, ძლაბო!..

გოგოს, როგორც იქნა, ეღვიძება, თვალებს იშშუშნის და უშნოდ იმანკება, ძილისთვის თავი ვერ წაურთმევეია.

— რას მიბრძანებ ქალბატონო!.. — ბუტბუტებს ჯერ კიდევ ბურანში.

— რას გიბრძანებ და სიკვდილს შენსას.. ხომ ხედავ არ მეძინება, შენ არ დაგაძინა მამა ზეციერმა!.. ცეცხლს მიხედე და ზღაპარი მომიყევი!..

ლიზიკია დგება მთლად მრგვალი, დაბალი და წითელი, დასივებული სხეულით, მოგრებილი დაუბანელი ფეხით, ბინძურ პერანგისამარა და ცეცხლს უხრავს ბუხარში. მის სინათლეზე ხაშის პერანგში გულისშემომყრელად ილანდება მისი სხეული.

მერე თითებით ცხვირს იწმენდს, მძიმე ქშენით მიბაჯბაჯდება თავის ქვეშაგებთან და წვება.

— რომელი მოგიყვე, ქალბატონო?.. ასფურცელაზე, აწირანზე, თუ ბაყაყთა დედოფალზე?..

— რომელცხა გინდა იგი მომიყევი!.. — შეუტევს ქალბატონი ციციონო და მოახლე ლიზიკია იწყებს ზღაპარს.

იგი, თვითონ უხარმახარ, წამოწოლილ გომბეშოსავით, ამბობს ენის მოქცევით ზღაპარს.

ციციონო ყურს უგდებას.

ცეცხლი ბუხარში ღუღუნობს და ქარი სადღაც იქვე ბოკნის ძირში ჰკივის და მოსთქვამს.

ყვავები ყაყანით გადიფრენენ ბუხრის თავზე და სველ ფრთებს ითბობენ ავარდნილ ბოლზე.

ზღაპარი:

იყო და არა იყო რა.

იყო ერთი დოდო ბაყაყი.

იჯდა დიდ ჭაობში გაუთხოვარი.

მთვარიან ღამეში გამოვიდოდა იგი და ციების ლორწოს დაპლვრიდა ირგვლივ.

მისი ყიყინი შიშის ზარს სცემდა მის ქვეშევრდომებს.

გველი ვერ უბედავდა შეტევას.

თვალეზდაკუსული, მწვანე გადმოჯდებოდა ლაქაშის ლერწმზე და გაპყურებდა ნაპირს.

გამვლელს, შეავლებდა თუ არა თვალს, გაიბერებოდა, კიდევ უფრო დაკუსაედა დაკუსულ თვალებს, დააშტერდებოდა და დაბნედილ მგზავრს სიცხის აღმური გადაჰკრავდა, ყურები წივილს დაიწყებდა, ფეხს წაიფორხილებდა, მოსხლტებოდა ნაპირს და ჭაობში ჩაიღრმობოდა — წავეილოდა ბსკერში.

ავი იყო დოდო ბაყაყი, უზარმაზარი გომბეშო იყო იგი!..

მწვანე, მუცელ გასიებული.

ყიყინზე ყბები საბერველივით ებერებოდა.

ცხოვრობდა დოდო ბაყაყი, გაუთხოვარი დედოფალი ბაყაყებისა, უსიყვარულოდ.

მას ისე უნდოდა სიყვარული, ძლიერ უნდოდა!..

მიეხუტებოდა მზისგან გახურებულ ლერწამის ღეროს და იყო ასე გარინდებული.

იგი ნეტარებით ზიდავდა ზურგით თავის ქმარს, შეადუღებოდა და ტკბობის აღმურში დაღვედა სულს...

მოდოდნენ სასიძოვები, ჯიშიანი ბაყაყები, მაგრამ დედოფალს არავინ მოსწონდა, ვერავინ დაიბყრო მისი გული და ისინი, ყბაში წნელგაყრილნი, ისჯებოდნენ თბრილის პირას.

ერთ დღეს, როდესაც დოდო ბაყაყი იჯდა ლაქაშის ლერწზე, მას ფეხის ხმა შემოესმა.

გაისნატა და უცდის მგზავრს, რომ ისიც დაღუპოს ჭაობის უძირო ლორწოში.

— უცდის, და აი, გამოჩნდა თეთრი თავადი, ცხენზე ამხედრებული, მოდის იგი ამაყი და თავაღერებული.

ხელში მწყაზარი მიმინო უფართქალებს და ეყვანი წკრიალობს.

აენტო ბაყაყი, მის დანახვაზე რალაც მოაწვა ყელში, და მზის აღმურში გაფიცებული, ქინატეხილი უცქერის ბიწიერებით აღსავსე ახალგაზრდა ბატონიშვილს, რომელსაც შინდისფერ ახალუბზე თეთრი თივთიკის ასირმული ყაბალახი გადაუგდია.

ბატონიშვილმა მოიხედა, — შეხედა ბაყაყს.

— ღმერთო, რას ჰგავს ეს ბაყაყი!.. — გაიფიქრა ბატონიშვილმა და თვალს ვერ აშორებს გობეშოს.

— ბაყაყი ნთქავს მას ვნებით დაკუსულ თვალებით.

— ღმერთო შემეწიე!.. — ჩურჩულობს ახალგაზრდა თავადი.

— ღმერთო მიშველე!.. — ბუტბუტობს იგი და მას წელი წყდება ცხენზე ვერ მაგრდება, სადავე ხელიდან უვარდება და მოწყვეტილი ეშვება ჭაობში.

გაისმის შემდორებული წყლის ხმაურობა.

ქავლის სალტეები მწვანე ბეჭდებივით იშლებიან და თავადის თმებ, ტივტივებენ წყლის ზედაპირზე.

გომბეშო ეკონება მის ტუჩებს, აკვდება წყეული, ეალერსება, მაგრამ ახალგაზრდა ბატონიშვილი უძრავია, მკედარი.

გომბეშო იკივლებს შემზარავად და მის კივილზე დამფრთხალი კოკორინა ამოვარდება ლელიანიდან და ჭუკჭუკით მიტრინავს გაღმა ნიპირას.

ყანჩა უშნოდ მიებოტება დამბალ წყალში და კვდაბზაუნნი ბოლოს აქანავეებს.

დოდო ბაყაყი მოსთქვამს თავის უიღბლო სიყვარულს.

მწვანე ცრემლები სცვივა მის დაკუსულ თვალებს და მწვანე ყველაფერი.

მზე უზონოდ აჭერს ქაობს და ავარდნილი შხამი სიტკბოსავით ლივ-ლივებს მიწის ზედაპირზე.

გაგანია სიცხეა ირგვლივ.

გვალვით შეწუხებული კოლოები სულს იბრუნებენ და შხამს ინახავენ, რომ საღამოთი მეტი სიმწარით მოშხამონ სანავარდოს მიდამოები სტირის ბაყაყი!..

სტირის ყველაფერი!.. — ლაპარაკობს ლიზიკია.

— გძინავს ქალბატონო?.. — ეკითხება იგი ციცინოს.

— არა, შე სასკვდილე!..

ლიზიკია ისევ განაგრძობს:

იგი უამბობს ქ-ნს, როგორ მოსთქვამს დოდო ბაყაყი.

უამბობს რა უსაზღვროა მისი მწუხარება:

დაჭერივდა დოდო ბაყაყი უდროვოდ.

მას, ახალგაზდა გოროზ სასძლოს, არ ეღირსა სიტკბოება საქორწინო ღამისა და ქაობის სარეცელში სატრფოს გაცივებული გვამი ასვენია. მას კი ისევ უნდა ეხუტებოდეს მის მკერდს, — ძლიერ უნდა. ქეჩოაყრილი დატრიალებს საქმროს ცხედარს, უნერწყვავს დაბუჭულ თვალებს, უბუდნის ოქროს კულულებს დალორწილ თათებით, იფოფრება და სტირის.

მოსთქვამს ბაყაყი...

მოსთქვამს ბაყაყი... — ამბობს ლიზიკია და ისევ ეკითხება:

— გძინავს ქალბატონი?..

— არა, შე სასიკვდილე!..

ლიზიკია ისევ განაგრძობს.

ძილის იღუმალება მეფდება ირგვლივ.

გარეთ ქარი სტირის.

ბუხარში უკანასკნელი დანაკვერცხლებული ცეცხლი ლულუნობს, ლულუნობს ბუხარი და ღუმილია ოთახში გამეფებული, ძილი...

სძინავს ლიზიკიას...

სძინავს ციცინოს...

ყველას სძინავს...

ფრთააწყვეტილი ქარი ზუზუნობს და ჰკივის ბუხრის თავზე, შორს ზარის მოწყვეტილი რეკა გაისმის, — ეს ქარი შეიჭრა სამრეკლოზე.

ქარია გარეთ...

ქარია გარეთ...

ოთახში სძინავთ...

## კარი მახე

## ისევ წილადობილა



ასე მიდიოდა ზამთრის დღეები.  
იქა-იქ ისლით დახურულ ქოხებში ამოდებოდა ბოლი და ნისლს უერთდებოდა. ბაგაში დაბმული ხარები და ცხენები ხმაურობით ცოხნიდნენ გამხმარ ჩალას.

ჩალის ზვინები ყვითლად ჩამოსტიროდნენ ხეებიდან.  
აჭრილი ყანები გაივსებოდა წყლით და გამხმარ ჩაჩიებზე შემჯდარი ყუა-ვეები რალაცას ყაყანობდნენ.  
წაფერდილი სასიზინდეები დაწუწულ ყანჩებივით მობუზულიყვნენ.  
გული ღონდებოდა ასეთ ამინდებში.  
ყარამან ოდაში ბოლთას სცემდა, ყალიონს აბოლებდა; თუ ყალიონს არა, —ოჯალემს შეექცეოდა, ან და გასწმენდდა ვერცხლით მოსევადებულ ძველებურ ფილთას და წაეიდოდა სანადიროთ.

ციცინო იწვა.  
ოდის დარბაზში ყუარის დამბალიყო და წვეთავდა ნელა, ხანდახმით და მის ოთახში ისწოდა ზომიერი ტანტალი წვიმის წვეთებისა.

ლიხიკია შემოიტანდა ახლად მოწველილ რძეს, კვეთს უხამდა და ნიუღ-გამდა ბუბრის ცეცხლს შორი-ახლო.

შეხედავდა ქალბატონს, ჩააქნევდა თავს, კაბის კალთით ცრემლებს მოიწმენდდა და გავიდოდა გარეთ.

ყარამან ან ლოთობდა, ან და საოცარ გულჩახვეულობით ფიქრობდა.  
ხშირად შემოვიდოდა იგი ციცინოსთან, დაჯდებოდა მის წინ, შუბლზე ხელს მზრუნველობით დაადებდა და შეჩვეულ ნალვლით იტყოდა ხოლმე:

შენ ისევლე სიცხე გაქს, გულო, მარა არაფერია, გაზაფხულზე შეიკეთებ!.. ზაფხულისთვის ბონდოც ჩამოვა!..

ციცინო ამოიოხრებდა და უნუგეშოდ შეხედავდა ქმარს.  
ყარამან ვერ გაუძლებდა და ათრთოლებული, სხვას რომ ვერაფერს მოახერხებდა, ფრთხილად დაეკონებოდა მის ტუჩებს.

შენელებული ვნება მყუდრო ალერსში გადადიოდა.  
ციცინო ვერ აიტანდა სითბოს ვნებისას, რომელიც დაღლილ ძარღვებში შეეპარებოდა, და ღრმა სუნთქვას დაიწყებდა.

ყარამან მოსწყდებოდა მის ტუჩებს და დამნაშავესავით დარცხვენილი დაჰბრიდა თავს.

ციცინო მოსიყვარულედ შესცქეროდა მას.  
შუბლზე ხელს გადისვამდა და, ალუღვება რომ არ დაეფარა, ოთახში გაიარდა.

ჩამოვარდებოდა სიჩუმე.  
— ძნელია ციცინო, ძნელი!.. რა გოუძლებს ამ ზამთარს!.. გული მიტირის, მარა რა?.. იმიზა ყოფილა გაჩენილი, აი ნავარი, რომ იტიროს!.. —იტყვის იგი წყნარად და ისევ ჩამოჯდება ლოჯინზე.

— ეჰ, ყარამან, ყარამან!.. რამეფერათ ამ ზამთარს თუ გავაწრე, მერე რაცხას იმედი კიდო მაქს!.. ჩემი ბონდო, ჩემი ოქროს კაკალი ბიჭი!.. ჩამოვა ივიც!.. რავა დენეკარქა ჩემი თვალის ჩინი!.. ვინ იცის ახლა ჭაყვირების შემოველო დედამისი.

— ნუ სწუხარ ციციწო!.. გამოზაფხულდება და ჩამოვა!.. უსაშველო ხომ არაა, შე ქალო!.. იცი, ხანდახან მესიზმება და მიჩივის რომ თავი ტკივა. „აა, აქანა მტკივა თავიო!..“ — მეტყვის აკრემლებული თვალებით და გულზე მომეყუდება!.. — ამბობს ყარამან და კრემლმორეულ თვალებს დარცხვენით დაუშვებს რომ ციციწომ არ შენიშნოს.

— გახსოვს, ყარამან, რავა უყვარდა ზამთრის ლაძეები!.. — ამბობს ციციწო.

— მახსოვს!.. უპასუხებს ყარამან და თავს მწარედ იჭნევს.

— გახსოვს, ყარამან, რავა უყვარდა ცხენზე ჯდომა, მისი ჭირიმე?..

— მახსოვს!..

— გახსოვს, რავა ეშინოდა შეცხადების?..

— მახსოვს!.. — უპასუხებს ოდნავ შემკრთალი.

— გახსოვს, ყარამან, რა ნაღვლიანი გამოხედვა იცოდა?..

— კმარა ციციწო!.. — დაიძახებს იგი ოდნავ ხმამაღლა, „შეშფოთებული ფეხზე წამოიჭრება, შუბლზე კანკალით ხელს გადისვამს და მიდის ნელა წელგაღუნული კარებისაკენ.

ციციწო ამჩნევს რომ მისი მხრები თრთიან ახალუხის ქვეშ.

ამის შემდეგ ყარამან მთელი დღე ბოლთასა სცემდა ოთახში, ყალიონს აბოლებდა, თუ ყალიონს არა, ოჯალეშს შეექცეოდა, ან და გაწმენდდა ვერცხლის ხარნიშიან ძველებურ ფილთას და წავიდოდა სანადიროდ.

ასე მიდიოდა დღეები...

წვიმა სკრიდა, იყინებოდა.

დასველებული ქათმები ოდის ქვეშ მობუზულიყვნენ და ფრთებს იკიკნიდნენ. მოვიდოდა თოვლი, წყლიანი თოვლი და მიწაზე დაცემამდის დადნებოდა. ხნულები და ეკლით დაბურღული ჩაქცეული თხრილები გაივსებოდა ნაწვიმარით.

სადღაც გოჭი ჭყვირილით ეძებდა თავის ტოლებს.

ეზოს უკან ხის ეკლესია და სამრეკლო სტიროდა.

წათერდილ საფლავის ჯვრებზე ყვავები ყაყანებდნენ და სენაკიდან გამოსული მაკრინე მონაზონის მწუხარე ლანდი თუ დააფრთხობდა. აფრინდებოდნენ, დამწვარ ქაღალდის ფერფლივით აიშლებოდნენ ნაცრისფერ ცაზე და ხავსგადაკრულ სამრეკლოზე შემოჯდებოდნენ.

თოვლს გადილებდა.

მწუხარება იყო ყველგან და დუმილი.

ტყეში გლეხი შეშას აპობდა.

დაეცემოდა ნაჯახი უხმოდ თხმელის ნამორს და მერე მოისმოდა ხმა ნაგვიანევად.

სადღაც მამალი ყიოდა უდროვოდ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოფრინდა ზღვა თოლიებისა.  
 მოედო მინდვრებს, მოედო საყანეებს და გადათეთრდა ყველაფერი.  
 ნალველი... ნალველი... ნალველი...



ურია თუ ჩამოივლიდა შარაზე თვისი გაჯახირებულ ცხენებსა და ტუი-  
 ლისიდან დაძრული ქარავანი და დაარღვევდა ეყენების ნალვლიანი წყარუნით ამ  
 მყუდროებას.

ხანდახან ორპირის ბოლაზში გემი აკივდებოდა.  
 ლილის ფერი მთები გულს ამძიმებდნენ.  
 ასე მიდიოდა ზამთარი.  
 დადგებოდა მარტი.  
 ტყემლები და ალუჩა საქორწინო დედოჯლებივით აყვავდებოდნენ.  
 ხე კვირტს გაუშვებდა.  
 დობილო ტირილს დაიწყებდა.  
 ბაგიდან გამოუშვებდნენ ხარებს, ცხენებს.  
 ხბოები კუნტრუმობდნენ ეზოში და თავს ვერ იკავებდნენ გალიბულ  
 მოლნარზე.

დადგებოდა აღდგომა.  
 ნამარხულევი ხალხი დააძლებოდა ღორის ხორცს, საცივს და ოჯალეშითა  
 და ჩხავერით გამოიბრუებოდა.  
 ნასიმშილევ კუჭზე ღორის ქონი და ფქვილის ღომი გულს ასუყებდა.  
 ეკლესიაზე გამთენიას წირვა.  
 ჩაკირული კვერცხები და მანანით დაწითლებული თითები და ტუჩები.  
 გამოყვითლებული, გვიზიანი გოგო-ბიჭები ახალ ხამის ნიფხავ-პერანგით  
 შემოისებოდნენ.

ეკლესიაზე საკუროთხის ნიტანა.  
 საფლავებზე წითელ კვერცხების გორება.  
 ჩამოძონძილი მღვდელი და დიაკვანი დადიოდნენ საცეცხლურის ქნევით  
 საფლავიდან საფლავთან.  
 ლილინებდნენ უშნოდ „ქრისტე აღდგას“ და თან ირიბი გამოხედვით ათ-  
 ვალთვალებდნენ საკუროთხს.

იხდიდნენ მცირე პანაშვილებს და სტენიდნენ ხურჯინს ცხვრის კანკებით  
 ქათმებით, კვერცხებით.  
 ღვინოს კოკებში ასხამდნენ.  
 ყბაახვეული მნათე თან ახლდათ და ზურგზე მოკიდებულ ხურჯინით თებო-  
 ამოგდებული დაჰყვებოდა მღვდელს.

ციცინო იწვა და ახველებდა.  
 მღვდელი სახლში მიულოცავდა აღდგომას.  
 სახლს უკუროთხებდა.  
 ბონდოს აღღვეგრძელებინებდნენ.  
 პარაკლისს გადაახდევინებდნენ.  
 გაძლებოდა მღვდელი და დიაკვანი, ჩაიდებდნენ ჯიბეში კვერცხლის მანე-

თიანს, ციცინოს ანუგეშებდნენ, პირჯვარს გადიწერდნენ, შეჯდებოდნენ ჯორზე და ჩაქჩაქით წავიდოდნენ საკუროთხის გასაყოფად.

ნათლულები ძღვენს მიუტანდნენ.

ლიზიკია გაუმასპინძლდებოდა.

ციცინო უცქეროდა ნათლულებს და თვალეზე ცრემლები მოადგებოდა, რომ ბონდო, მისი ძვირფასი შვილი, ოჯახში არ იყო ამ დღესასწაულ დღეს.

თავს თანდათან უარესად ჰგრძნობდა.

ძლივს მოათავა ბონდოს ჩოხა-ახალუხის ქსოვა.

ნკითხავეები ულოცავდნენ.

ერთი სკაპეციც ექიმობდა, მაგრამ საშველი არ დაადგა და არა.

ასე მივიდა ზაფხულამდე.

ეწერი შეიქოჩრა ჭილოფით და კოლოები აზუხუნდნენ.

დაიწყო ყანების თოხნა.

მარგლა და მოროდო.

ქორთვა სიმინდით დაიფინა მთელი სანაეარდო.

ტყეები ასკრეს და ახალი საყანეები გაჩნდა.

დედამიწამ მოუშვა ძუძუები.

ერთ დილით ციცინოს გამოელეცა.

შეშფოთებულმა სცადა წამოწევა, მაგრამ ვერ მოახერხა.

დამტრთხალ თვალეებით მიიხედ-მოიხედა და, თითქოს პირველად ხედავდა,

ისე ათვალეებდა ყოველივეს.

რა მშვენიერი ყოფილა მის ირგვლივ ყველაფერი და მან მხოლოდ ახლა შენიშნა, როცა სიცოცხლე თითქმის გაიარა.

შეხედა ბუბარს, იგი კირითაა შეფუთილი და ღილით შეფერადებული.

შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ ნამზითვ ნოხს და ახლა შეამჩნია რომ იგი საოცარ სამკაულებით იყო ამოქარგული.

აირია ფერები, ერთი ნეორეს ეთამაშებიან, ეცილებიან ბრწყინვალებაში, და ციცინომ იგრძნო რა გატაცებით უნდა ეთამაშნა ბონდოს მათთან.

იქვე, მის გვერდით, ყაჭის ფთილით ჩანიშნული ნამზითვი მძიმე „ვეფხის ტყაოსანი“ იღო, გადაშალა და იქ, სადაც იყო ტაევი:

„გიჯობს ცუდათ ნულარა სტირ, ვარდი კულადცა რად დასტენე,

„და მზემან მეტი რალა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე“.

გარკვეული ხელით, მაგრამ მკრთალი მეღნით გვერდითვე ეწერა:

„სიყვარულსა მალვა უნდა, როგორც ცხენსა ნაპარევსა“...

მერე: „თუ მთვარე 9 იყოს სისხლის გამოშობა არ ვარგა“...

წაიკითხა ციციანომ და უეცრად, ყოვლად უმიზეზოთ შეებრაღა თავი და თვალეები ცრემლებით აევსო და ბუხარს შეხედა.

ბუხრის თავზე ნახშირით ბონდოს დაბადების წელი იყო აღნიშნული:

„დაიბადა ჩუ... წელსა ნათლის ღებისა სწორსა“.

და უეცრად თითქოს ტვინი გაეხსნაო, ისე ნათლად მიხვდა, რომ მალე მოკვდება.

გადაბრუნდა ლოგინში, თავზე საბანი წამოიხურა და ტირილი დაიწყო.

დაიბარა ყარამან.

მოვიდა იგი და ჩამოჯდა მის ლოგინზე.



— ყარამან, მე ბონდო მინდა, ყარამან, ბონდო!.. — დაიძაბა მან განწირული ხმით.

ყარამანს თავზარი დაეცა.

მან იგრძნო, რომ საქმე ცუდათ იყო და კანკალი დაეწყო. ანუგეშებდა ცოლს, ეფერებოდა.

— მე ბონდო მინდა, ყარამან, ბონდო!.. გული მეუბნება, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია!.. უკანასკნელად მინდა ვნახო!.. — ემუდარებოდა ციცი-ნო ქნარს, გამბდარ მკლავებს კისერზე ჰხვევდა, ჰკოცნიდა, მერე მისუსტებული მოწყდა და ბალიშებში თავჩარგული, მუშტის ოდენად მოხრილი ატირდა უნუგეშოდ...

ამის შემდეგ ყარამანმა საჩქაროდ დასწერა წიგნი და შვილს გაუგზავნა.

ეს მერამდენე წერილია აქედან რომ წავიდა, მაგრამ პასუხად ორის მეტი არ მოსულა...

## ქ ა რ ი მ ე ლ ო ს ე

### ტ რ ა მ ა

ქაობი და ქონკყო.

ლეღი და ლაქაში.

იქა-აქ ისლით დახურული წაფერდილი ქოხები.

ეზოები მოღნარით გადამწვანებული.

ქოხების წინ პერანგის ამარა, მუცელგასიებულ, გამოყვითლებულ ტყირპიან გოგო-ბიჭების ფეხშიშველი ტანტალი და ჭაკუნის თამაშობა.

მზისგან გამთბარ მწვანე ლორწოიან ქაობებში ჭვეწარმავალთა ნებიერი ზმორება და აორთქლილი ხაშში ციებ-ცხელებისა.

რიონის ამდორებული მღვრიე დენა.

პატარა დამპალ მდინარის ლოღობას ნაპირები ხსტეებითა და ფშანით დაბურღული და კალათიანი ქალები ეკალას საკრეფად შეფენილნი.

ახლად გამოროდებული ყანები და სასიმინდეების ტივტივი მწვანე სიმინდებში.

ჩამონგრეული ლობეები.

დამპალი წყლით სავსე თხრილები და შიგ ჩაწოლილ უღლიან გამხმარი ღორის ნეტარი ოხვრა.

თხრილის პირას ანწლებში ფეხდაბორკილი ხის სარეკელიანი თხები და მზეზე გაფიცებული ბაყაყები, რომელნიც მგზავრის გავლაზე წყალში მწიფე ნაყოფებივით სცვივიან.

გვალვის ცხელი ზუზუნი და სადღაც ჭიჭინობელის გულის შემადონებული ჭრიჭინი.

აქა-იქ აშოლტილი ალვის ხეები და დაკრუნჩხული ტირიფები.

ყარამანის ოდის უკან ასწლოვან ცაცხვებში დაძირული ხის ეკლესია და სასაულო.

ამ ცაცხვებზე ჯდებოდა წმინდანიანი, როცა ჭილაძეების ბატონობა დაეცა და მათი ადგილი ყარამანის გვარმა დაიკავა.

ახლა ეს გვარიც წყდება.

უკანასკნელი იმედი და ნაბოლარა ამ გვარისა ავადმყოფი და სუსტი ბონდოა. ყარამანს გული ნალვლით ევსებოდა.

დიდი გვარი სულზე იყო მისული.

სანავარდო წყდებოდა ციებ-ცხელებით.

სასაფლაო ვერ იტევდა თხმელის კუბოებს.

ჭაობი იყო ყველგან.

გაჭრილ საფლავებში წყალი ამოდიოდა და შიგ ალრჩობდნენ მკვდრებს.

არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი.

ორპირიდან სკაპცები გადმოვიდნენ და მოედვნენ სანავარდოს.

ისინი, ამოშვებულ პერანგზე ჟილეტის ამარა ან და სამხედრო მუნდირებში, კისერთან შეკრეჭილ თმებით დადიოდნენ, დაძრწოდნენ გადაბერებულ მგლებივით.

იკარგებოდა თესლი და მოდგმები.

ექსორია მათ, ექსორია!..

ავი თვალი სტეხდა ყველაფერს.

ხატზე გადაცემა გამრავლდა.

თითქმის ყოველ დღე არისხებდნენ ეკლესიის ზარებს.

კლეტი თანდათან ვრცელდებოდა და ისპობოდა ყველაფერი.

ზარდაცემულმა ხალხმა არ იცოდა რა ექნა.

ორპირი ცხენისწყალს მიჰქონდა.

ყარამან ნალვლით უცქეროდა — როგორ მიჰქონდა წყალს სასაფლაო და იქ დამარხულ წინაპართა ძელები.

მოხეთქილი თლატე იფშენებოდა მდინარეში და იღუპებოდა.

მიგორავდა წყალში გამხმარი დაღრჭენილი თავები.

ახლა რკინიგზაც გაჰყავდათ და უნდა დაღუპულიყო მამა-პაპური ხელშეწყებლობა.

მოდიოდნენ პატარა გემები „ვორონცოვკა“ და „ბახმეტიევკა“, მოჰქონდათ რელსები, სოდეები, კრანები, ხელსაწყოები, რკინა, თუჯი და რკინიგზა გაჰყავდათ. ინგლისელები ფუსფუსში იყვნენ.

გალატაკებული მეგრელები მოაწყდნენ ჭალადიდიდან, ონტოფოდან, თეკლათიდან და თვით შორეული ობუჯიდან და ჯვარიდანაც რკინის გზაზე სამუშაოდ.

ცხენისწყალზე უზარმაზარ რკინის ხიდს აშენებდნენ.

ფოთიდან ჭალადიდამდის მოვიდა რკინიგზა და ახლა ჭალადიდის გაუვალ ჭაობებს ებრძოდა.

ჰყრიდნენ შიგ ხრეშს, დაწნულ ჩელტებს, მაგრამ ჭაობი უძირო იყო, იკარგებოდა შიგ ყველაფერი.

სამტრედიისაში სადგურს აშენებდნენ.

დედაკაცები ფუსფუსებდნენ ახლო-მახლო სოფლებში:

— მაი ოუ ეშმაკის მოგონილი არაა, აპა რაგაა, ხარი შით არ ამბია და კამბეჩი, რაფერ უნდა გეიაროს?!

— რკინის ღარი იქნება, ბეჩა, გაყვანილი და შით ისოსიალებსო, ასთე უთქვამს ინჯილერს!..

— სადილს ქუთეისს ჭამს და ვახშამს ქალაქსო!..  
— რკინის ქაჯია რაცხაა, მაი ნაეარი!.. ცეცხლს ჭამს და დუღარეს სვამს თურმე!..



— ღმერთო შეგვეწიე!.. — ჩურჩულობენ დედაკაცები.  
— ღმერთო შენ გვიშველე, შენი სახელის ჭირიმე!..  
მოდის რკინის ქაჯი, მოდის და მოახრჭიალებს ფოლადის კბილებს.  
ვერაფერი შეაჩერებს, ვერაფერი შეაკავებს.  
დასწეწს ყველაფერს, გაანადგურებს.  
დგება ახალი რიჩრაჟი.  
რიჩრაჟი დანთებული ცეცხლითა და ყიჟინით.  
მოფრინდება ახალი წმინდანიანი ცეცხლის ფრთებით და დასწვავს ღამეს.  
დაილუპება ძველი დიდება.  
განიავდება ადათები და ჩვეულებანი.  
ირგვლივ საფრთხე და საშიშროება.  
ახალი ჭინკები გაჩნდებიან, ჭინკები შერუჯულნი ცეცხლითა და აღმურით.  
და ყარამან სრულიად ობლად, მიტოვებულად ჰკრძნობდა თავს.  
მის წინ ახალი ცხოვრება ეჭედებოდა და იგი, ძველ ადათებზე აღზრდილი, შიშმა შეიპყრო.

ერთად-ერთი მისი ნუგეში ციციწოა, ავადმყოფი ციციწო.  
გარეტებული დგას.  
ჭიჭინობელი ჭრიჭინობს და ყურძენს ამწიფებს.  
ეზოში გამხმარი ღორი მიწას დინგით სჩუგნის და ოხრავს.  
დუმილია გამეფებული, შუადღის დუმილი, რომელსაც გვალვის ხუზუნი კიდევ უფრო აძლიერებს, ფრთას ასხამს და ყარამან დაიკარგა, წავიდა სადღაც, თითქოს სიცხეც აქვს, ყურები წივიან და დაყრუვდა ყველაფერი.

— ციციწო!..  
— ციციწო!.. იძახის ვილაც.  
ვინ უნდა იყოს ასე ყრუდ რომ იძახის, ან რა ამბავია, თითქოს ქვეყანას შენით დაკიდებული უცქერის, ყველაფერი უკულმაა, სარჩულით გადმობრუნებული!..  
აა, ეს ახალგაზრდა ყარამანია, იქ, უკან რომ დარჩა, მან რომ გადააბიჯა.  
ციციწო აღვზნებული, აღორთქილი, მწიფე მტევანივით ვნებადაუდუღებელი დგას სანდომიანი და კდემამოსილი.

— უკან!.. უკან!.. დაიკივლა ვილაცამ სულშეტაცებულმა და ყარამან გამოერკვა ამ კვილით.  
დამფრთხალ თვალებით მიიხედ მოიხედა, მაგრამ არავინ იყო.  
შეშფოთებულმა შეტბლზე ოფლი მოიწმინდა და გამტერებული თვალები მოიფშენილა.

— ეებს!.. — ამოიოხრა მან მძინედ.  
— ეებს!.. — ამოიოხრა მის გვერდით ვილაცამ.  
— ვინ ხარ, რომ შეხმაურები?.. — შეეკითხა იგი.  
— არავინ, — მამაშენი!.. — იყო წყნარი პასუხი.  
ყარამან უკან ნოაწყდა და აივნის სვეტს აეკუდა, ნერე შეცრად ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიყო და ტალკვესი ამოიღო, დახედა და თვითვე გაუკვირდა რათ უნდოდა ტალკვესი.

არა, ყარამანს უეჭველად სიცხე აქვს, მას ალბად სიცხე მრავალ!.. არა, არა, ეს მოჩვენებაა, მოჩვენება!.. გვალვიან ზაფხულში ხშირად იცის ხმის მოლანდება და ყარამან თავს იმშვიდებს, მაგრამ მაინც რომ ეშინია!

თავიც სტკივია!

ოჰ, ეს მაგნოლიებიც, როგორ ათრობენ ჰაერს!..

იგი ასჭრის ამ მაგნოლიებს, უეჭველად ასჭრის!..

ოდნავ დაშოშმინდა.

ჩამოჯდა იქვე.

— რავა ისპობა ყველაფერი, რავა პარტახდება!.. — გაიჟიქრა მან და უეცრად ტანში შეაჭრეოლა, გაიწოდინა და გალურჯებულ ბრჩხილებითა და ტუჩებით ძიგძივი დაიწყო.

— არ მინდა!.. არ მინდა!.. — დაიძახა მან თავის ჯიუტ ვაქნევით და იღლიაში ხელებშეწყობილი არაკუნებდა კბილებს.

დღე ისე არ გავიდოდა, ყარამანს შეცხადებულთა კივილი არ გაეგონა, მაგრამ კივილის მას ღამე უფრო ეშინოდა, როდესაც მთვარე უხარმაზარ დამწიფებულ მუწუკივით გამოჩნდებოდა ცაში, სხივებს ყვითელ ბალღამივით დაპლვრიდა სანავარდოს მიდამოებში და კოლოების ზუზუნი წაიღებდა ყურთასმენას.

დაპყრიდა ნისლს და ლეჩაქში გაიხვეოდა არე-მარე.

მაშინ იგი, სიცხე გამონელელებული, მრხირხნელ ტკივილს იგრძნობდა სულის სიღრმეში.

ახლა ბატონებიც მოედო სოფელს და მთლად განიავდა ყველაფერი.

ყველგან მწუხარებაა და დუმილი.

სადმე მეზობლისას თუ გაისმოდა ჩანგურის ხმა და ნაზი ვალობა ბატონებისა:

„თეთრი ზღვიდან გიახელით,  
იაე-ნანიანო!..“

„შვილი და-ძმანი ბატონნი,  
იაე-ნანიანო!..“

„შვიდ სოფელს შევეფინენით,  
იაე-ნანიანო!..“

„ასე დავდივართ სოფელში,  
იაე-ნანიანო“!..“

ასე ხდებოდა სანავარდოსში.

ღამე ყველაფერი ყვითელ იღუმალეებით იყო ხოლმე მოცული და ამ იღუმალეებს ხის ბაყაყის კრუალი კიდევ უფრო აძლიერებდა.

შორს ტბა ნარიონა აქოთდებოდა ბაყაყთა ყიყინით და დაყრუვდებოდა ყველაფერი.

და ასეთ მყუდროებაში გაიელვებდა ქალის ტვინის დამბნელებელი წივილი ბებუთივით.

აივანზე მჯდომი ყარამან ფეხზე წამოიკრებოდა, აკანკალებულ ხელში კრილოსანი გავარდებოდა და პირჯვარს გადისახავდა.

— ღმერთო, შენ აცხონე მისი სული!.. — იტყოდა იგი წყნარად და იღვა გარინდებელი, ყურს უგდებდა ადუღებული მოთქმა-კივილს.

მერე ნელი ნაბიჯით შევიდოდა ციცინოსთან, დაჯდებოდა მის წინ და კრაქის სისხლნაკლებ სინათლით ოდნავ განათებული იტყოდა:

— მგონია, ყაფლამა მოკვტა, საწყალი!..

ციცინო შუბლზე ჩამოუარებულ წითელ მხალს გამხდარე ნელელებით გადიწევდა, პირჯვარს გადიწერდა და თვალებზე ცრემლები ჩამჰქვრივებდა.

— ნუ, ციცინო, ნუ!.. — ემუდარებოდა საოცარ უმწეობით ყარამან და ხელს ასიცხულ ხელზე დაადებდა.

ციცინო ქვედა ტუჩს ჩაიკენებდა და მწარედ ჩაფიქრებული იწეა უძრავად. კოლოები ხუზუნებდნენ გულის შემალონებლად.

გარეთ დახავსებული ღამე დამპალიყო და მთვარე კეთროვანის გასიებულ მუცელივით მოსჩანდა ცაში.

უეცრად ციცინო წამოიწია, ხელით ყარამანს მხარში წაეტანა და თვალეში მიაცივდა.

— ყარამან, მე ბონდო მინდა, ბონდო!...

ყარამანს ხარი დაეცა.

მან იგრძნო, რომ ყელში რალაცა ქაველით ამოგორდა და აღრჩობდა.

აცახცახებულ ხელებით ჩამოიშორა ციცინოს ხელები, ბალიშზე წყნარად მიაწვინა და თმები გაუსწორა.

ციცინო მორჩილ ბავშვივით დანებდა.

— შეითმინე ციცინო, რამენაირათ და ჩამოვა! ახლა ალბათ გზაში იქნება... რამ შეგაშინა შე ქალო, გული გეიმაგრე!.. — სთქვა მან და თვითონვე უკვირდა სად შესწევდა იმდენი სიმშვიდე ასეთ ლაპარაკისთვის.

ციცინომ ღრმად ამოიოხრა და ხველა აუტყდა.

ახველებდა დიდხანს.

სიჩუმე.

კრაქის სინათლეს ფარვანები ებვეოდნენ და ოთახის მიბნელებულ კუთხეებში კოლოები წიოდნენ.

— რა ვქნა ყარამან, რა?.. — წამოიძახა მან უსახლვრო მწუხარებით და დაქანცულმა თავი ბალიშზე მოწყვეტით ჩაჰკიდა.

ყარამანმა თავი ვერ შეიკავა და ათროლოებული ნის ტუჩებს დაეკონა.

ციცინომ სუსტი ხელებით ასწია მისი თავი, თვალეში მადლიერად მიაცივდა და დიდხანს უცქეროდა.

მერე ორი სუნთქვა შეერთდა.

— ყარამან!.. — სთქვა ციცინომ, — მე მალე მოკვდები ყარამან და ხომ გეყვარები, შენ შემოგველო ციცინო?.. ოო, რომ იცოდე, რავა არ მინდა სიკვდილი, რავა არ მინდა ყარამან!.. არ მინდა და რა ვქნა მე უბედურიშვილმა!.. წუხელ სიხმარში ვინცბა შავმა კაცმა შავი ნაბადი მომახვია!.. მინდოდა მემეცილებია, მარა ვერ მევიძვრე!.. არაა ჩემი საშველი ყარამან და მენებმარე!.. — დაიწყო ტირილი ციცინომ.

შორიდან მოთქმა-კივილი შენელებულად მოისმოდა.

კრიჭინა კრიჭინებდა და კრაქი ღია ფანჯრებიდან სიოდაკრული ირხეოდა და ყარამანს მოეჩვენა, თითქოს ოთახი დატორტმანდა.

იჯდა იგი გაშეშებული და თავს იკავებდა, მაგრამ მეტი ვერ შესძლო და მანაკაცურად, უხერხულად აქვითინებული აგაიჭრა გარეთ.

დაეყრდნო მოაჯირს და დადხანს სტიროდა.

იქ, უკან ციციხო კვნესოდა.

შორიდან მოთქმა-კივილი ისევ მოისმოდა.

სადღაც ძალლი აყმუვდა გულის შემალონებლად.

ატირდა ძალლი უმიხეზოდ და უბედურება მოვიდოდა და უფრო უფრო ჩახედა ყარამანს.

დაიკარგა იმედი გათენებისა.

მთვარე ისევ იღვრება თხრამლივით.

ილანდება ყველაფერი.

მწიფე კიტრით დაუყმურებულმა მთვარემ დახაშმა სანავარდო და კოლოები ბოროტად აზუზუნდნენ.

დაფრინავენ სათუთნი ნახი ფრთებით და დააქვთ ნემსივით ნისკარტებით შხამი და პლაზმოდიები.

შხამავენ ადამიანს, საქონელს, ხეებს და ყველაფერს, რასაც დააჯდებიან.

ფარუტობენ მთვარის სხივებზე და მღერიან მწუხარე და ბოროტ Malar'ia-ს.

ციებ-ცხელება ყვითელ ლორწოსავით დაიღვარა მიწაზე.

აციებს ყველაფერს.

ძროხები კანკალებენ და წელგაღუნული, რძეგამშრალი წვანან ქართაში ცალი რქით მიწაზე დარქობილი.

შეციებული თხმელები ცახცახებენ, ვერ უძლებენ სენს და სკდებიან შუაზე, ლერწამივით იბზარებიან ზეითგან ვიდრე ქვედამდე და ხმებიან.

ჩათხრობილ ფშიარში დადის ყვითელი მავნე თეთრ სამოსში, ძაგძაგებს, ზმუის და არწყევს პირიდან ციების წალას.

ნარიონაში ჩაწოლილი ჭაობის ლორწოთი დახავსებული უემურთა-უემური თვალების უსიცოცხლო კუსვით აფრთხობს დალანდულ ღამეს.

და ასე წავიდა ეს ღამე, როცა დილა ისე შორს სჩანდა...

## ქარი მახუთა

### მზობელ მიწაზე

გათენდა, როგორც იქნა.

ციცინოს ალიონის ხანს ძლივს ჩაეძინა.

სოფლის გოგო-ბიჭებს ხვადგები უკვე გაერეკათ საბალახოზე.

მზე მოხვერივით აინართა და მწველი ისრები ჩაუშვა სანავარდოში.

ურთხმელის ბოქნებზე შემდგარი წაბლის ოდა ნალელიანად გამოიციქრებოდა.

ოდის ქვეშ წითელი ხავსით დალორწილი მიწა.

ოდის უკან ისლით დახურული ხულა, ბიჯგებზე შემდგარი სასიმინდე და წაქციული ურემი.

სამზარეულო სახლზე გასული კვახის ლერწები და უზარმაზარი კვახები და კვატულები დაკიდებული.

ეზოში ფეხდაბორკილი, ზურგ გადატყავებული გამხდარი ცხენი და დინგ-წავრძელებულ წუწკი ღორის ხუნეშა.

ხულის წინ კილოფში შეხვეული შეციებულ ბიჭის ძიგძიგი.

მოახლოვდა გვალვიანი შუადღე.

ყველაფერი გარინდებულია, მიმკვდარებული.

პაპანაქება სკასავით ზუზუნობს და ჭიჭინობელის კრეჭინის გულსაწუხებს.

გაშეშებულია ყველაფერი და ხურდება ჰაერი.

ალხიანი სიცხეა და მალე სუნთქვაც გაჭირდება.

შარაზე დაყრილ ხრეშში გვალვა შაქრის სიტკბოსავით ლივლივებს.

შუკაში ჩაფენილ წალიკაში წიწილები ჭუჭუნით შენაღულან.

თხილებზე შემჯდარი წყლის ქაჯი წვერებს ივარცხნის და სიცხისაგან გაბრუნებული სულს იბრუნებს.

ღელვში იხვეები და ბატები ჩაწოლილან და ნისკარტს აკრიკინებენ წყალში.

აორთქლდა ჭაობები და ოშხივარი ასდის გავარუარებულ ჰაერში.

შორიდან ძლივს ისმის ვიდაცის მოთქმა.

დედალი გულს ალონებს ერთგულ კაკანით.

ორპირს მიმავალი კულაშელი ურია თუ გამოჩნდება შარაზე ჯაგლაგი ცხენით.

ხვალ პარასკეობაა და საქონელი მიიქვს სავაჭრო კარავში დასაწყობად.

— აააი, ბუნდლა, ჯაგარი, კვერცხები, ვისა გაქვს გასაყიდი!.. — ჰყვირის იგი და მიჩაქჩაქებს თოხარიკით.

მთელი ღამის უძილობით დაქანცული ყარამან გადმოდგა აივანზე.

პირი შხამივითა აქვს გამოყოლილი.

ლონიერად გადააფურთხა.

— ლიზიკია!.. ლიზიკია!.. — უძახის იგი მოსამსახურე გოგოს, რომელიც საშარეულო სახლში ქვის კეცში მკადს აცხობს.

— რას მიბრძანებ ბატონო?.. ეხმაურება მოახლე, დგება და კარის ზღურბლს მოადგება.

— ერთი ნეშო მომატანე, შენ გაზდას, ავითმყოფს ბუზები მოუგერო, თვარა თვალები ამოჭამა, ი ნავარმა!..

ლიზიკია მიდის ბოსტანში ნეშოს მოსატეხად ფეხშიწველი, ამოვარდნილ თეძოებში ქანაობით.

ფეხის წვივები ზამთარში ცეცხლთან მიფიცხების გამო წითლად აქვს აქრულებული.

ყარამან, ლიზიკიას მოლოდინში, აივნის რიკულებიან მოაჯირს დაეყრდნო:

რა ეშველება, ბონდო რომ დროზე არ ჩამოვიდეს?.. ქემაინც სიკვდილამდე მეესწრო...

ჰვიჭრობს ყარამან და უეცრად წარმოუდგა, რომ აი ციციხო მოკვდა, ზარია და ვიში. იგი დარჩა სულ მარტო, მიტოვებული ამდენ ჭირისუფალთა შორის, სულ უცხო და გაუგებარი ისევე, როგორც თვით მიცვალებული ციციხო, რომელიც რამდენიმე წუთს შემდეგ დაავიწყდებათ ალაპზე.

ამის წარმოდგეზე მას ჭირის ოფლი დაასხა და შუბლზე ხელი გადისვა.

საშველი არაა და აგია!..

ყველგან სიკვდილი და ტრამა.

ციციხო ასეთ მდგომარეობაში.

ბონდო გადაკარგული.

ოჯახი ამოვარდნის გზაზე გამდგარი.  
 ოდას ყავარი შემოაღვა.  
 სამხარეულო სახლი ხელახლა დასახურა.  
 მოსავალი არ ივარგებს.  
 გადახმა ყველაფერი.  
 ძროხა არ იწველება.



ქათამი ჭირმა გასწყვიტა და ორიოდ დედალი დადის ეზოში.  
 სიმინდს, რაც არის, იმასაც ძალღი შეეჩვია და შეჭამა, ი მამალი გელის  
 შესაჭმელმა!..

ლორებს უღელი ვერ აკავებს და გაოხრდა მოსატებად გამხადებული ყანები  
 იქნება ერთი-ორი ინჯრა სიმინდი მოტეხილიყო.

ციცინო ხომ არაა საკითხავი!

ხან ბოდაედა, ხან ლაპარაკობდა.

მერე რანაირად ლაპარაკობდა!..

გაახმო გულ-მანგარა...

აკვიატდა აბეზარა ფიქრები და ხსნა არ არის მათგან.

შორს ისევ ისმის ვილაცის მოთქმა.

საწყალი კესარია თუ დასტირის შვილის ტანისამოსს.

კრუხი მთელი დღე კრუხუნობს და სწუხს, შეაწუხა გული.

წიწილების წიაქმა წაიღო ყურთასმენა.

ასე გავიდა შუადღე.

ოდა თონესავით გახურდა.

დადვა საღამო.

ვასაკა აკრუალდა.

ქართაში მოსული ძროხა ზმუნის.

ბატები ხმაურობენ და ქათამები ფრთების ფათქუნით აღიან ტყემალზე და-  
 სამყუდროებლად.

ჭასთან ლიზიკია ნალომარ კარდალს ჰებეკს.

გაძვალტყავებული ძუ ძალღი გადაყრილ ქვრქებს კბილს უკაპუნებს.

იხეები ირგვლივ კვატკვატებენ.

თვალგაუხელებელი ლეკვები წკმუტუნით მიწაზე დაბობლავენ და დედის ძუ-  
 ძუს ეძებენ.

ყანიდან დაბრუნებული გლეხები თუ ჩამოივლიან ურმის ჭრილით და ორ-  
 ბირის ბოლახში სამუშაოდ წასული გლეხი თუ ბრუნდება შინ.

წისქვილი რახუნობს.

ყარამან იჯდა აივანზე.

სად წავა, როცა ციცინოს დღეები უკვე დათვლილია!..

ბონდო მაინც ჩამოსულიყო!..

რამდენჯერ გაუგზავნა წიგნი, მაგრამ ალბათ არ მიუღია.

რა მწუხარებაა ირგვლივ!..

სად წავიდეს ყარამან, რით უშველოს გაუბედურებულ თავს, რით დაიხ-  
 სნას თავი ამ მწუხარებისაგან!..

უეცრად ცხენის ფეხის ხმა მოესმა.

ყური მუგდო, შარახეა.



— ალბათ ინჯილერია, — ორპირს თუ შიდას!..  
 ფეხის ხმა თანდათან ახლოვდება, აი ჭიშკარს მიუახლოვდა და შეჩერდა.  
 — მაინძელი!.. — იძახის ვილაც.  
 ყარამან შეკრთა, გულმა რაღაც უაზრო, წარმოდგა და კიბისკენ გაემართა.  
 — იქნებ ცოლოურიდანაა ვინმე!.. — იფიქრა მან.  
 ზარმაც, მუნიან ძაღლმა მიქნავეებული ყუფით წელი ძლივს აითრია.  
 — მაინძელი!.. დაიძახა ხელახლა ვილაცამ და ხმაში მოუთმენლობა დაეტყო.  
 — მობრძანდით!.. — გასძახა ყარამანმა და ჭიშკრისაკენ გაემართა.  
 ლიზიკიამ ქვაბს თავი მიანება, თეძოებში რწევით ალაგესკენ წავიდა, ყარამანს გადაასწრო და კარი გაუღო სტუმარს.  
 უცნობი ცხენიდან ჩამოხტა და ლიზიკიას სადავე გადასცა.  
 გაჩერდა და იცქირება იქით-აქეთ.  
 ათვალეერებს ეზოს.  
 ყარამანიც მიუახლოვდა.  
 გაჩერდა უცნობის პირისპირ.  
 დგანან...  
 თითქოს თვალით ზომავენ ერთიმეორეს.  
 მასპინძელი სტუმარს და სტუმარი მასპინძელს.  
 ლიზიკია დგას და გაოცებული უცქერის ორივეს.  
 — მამა!.. დაიძახა ბონდომ.  
 — ბონდო!.. დაიძახა ყარამანმა და მამა-შვილი გადაეხვივნენ.  
 ლიზიკიას სიხარულის ტირილი აუტყდა და კაბის კალთით იწმენდდა ცრემლებს.  
 — ლიზიკია!.. — ბრძანა ყარამანმა, — ოჯალეშს მოხადე და ვახშამი!..  
 მამა-შვილი განშორდნენ და გვერდიდან უცქერიან ერთიმეორეს.  
 ყარამან აკვირდება შვილს.  
 — ღმერთო რაფა გამოცვლილა!.. — ფიქრობს იგი.  
 ბონდო:  
 გამხდარი, მალალი, ხელ-ფეხი თითქოს ჭინძისთავეებით ჰქონდა მხრებზე მიბნეული, ისე ქანაობდნენ. გრძელი, მოლუნული ცხვირი. დედის ეშხიანი თვალები და ამ თვალებში რაღაც უაზრო და დამაფიქრებელი. ტუჩის კუთხეებს თითქოს ვილაც ეზიდებოდა.  
 სიარული აჩქარებული, სულწასწრებული.  
 გრძელი თითები და მამისავით შუბლზე ხელს ისვამდა ხშირად.  
 (მოდგმით თუ გამოჰყვა მამისაგან).  
 ტუჩები მსხვილი, ვნებიანი და ქვედა ბაგე უსიამოვნოდ ჩამოკიდებული.  
 შემოხედვა ბლუ და უაზრო.  
 უყურებს ყარამან და იგი რაღაც ბნელსა და გამოუცნობს მიუხვდა შვილს, მაგრამ არ იცოდა რას და თითქოს მტრული განწყობილებაც იგრძნო მისდამი.  
 ბონდომ რაღაც ბნელი მოიტანა.  
 ეს იგრძნო ყარამანმა.  
 ბონდოს რაღაც საშინელი მოჰყვა.  
 ეს იგრძნო ყარამანმა.  
 ციციხო კინალამ შეიშალა.

ჰკოცნიდა, ეფერებოდა, ეხუტებოდა.

ბოდავდა რალაც უაზროს დედური გრძნობით ატიტინებული.

— შენ შემოგველე ბონდო, შენ გენაცვალე!.. მაკოცე, შენი ჰირი შეეყარა შენ დედას!.. ჩემო ხვითო, ჩემო ოქროს კაკალო ბიჭო, ვნახე უხელო დედას მიტოვება?.. ნანა, შენ შემოგველე!.. — ტიტინებდა ციცინო.

ყარამანმა ვერ გაუძლო ამ სურათს და გარეთ გავიდა.

ციცინო ხან იცინოდა, ხან სტიროდა და გადირია ქალი სიხარულით.

— გიკვდები შვილო, გიკვდები და შენ უნდა დამაყარო მიწა, შენ შემოგველო დედაშენი!.. შენი ჰირი წეილო დედაშენმა!..

ბონდოს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

— დედა, შენ გენაცვალე!.. ჩემო დედია, ჩემო დედია!.. იძახდა იგი და ეხვეოდა დედას, ეალერსებოდა და მან იგრძნო რომ ციცინო უეცრად გარინდდა და მკლავზე უძრავად გადაეკიდა.

— დედა!.. დედა!.. დაიძახა შეშინებულმა ბონდომ.

ციცინომ მიბნედილი თვალები გაახილა, შვილს მოსიყვარულედ ოდნავ გაუღიმა, მერე აკანკალდა, აკანკალდა და ამდურებულნი ბალიშებში ჩაემხო.

ბონდომ იგრძნო რომ იგი დიდხანს ვერ იცოცხლებდა და გაშეშებული იდგა ერთ ადგილას.

შემოვარდა ყარამან, აყვავებდა, ეფერებოდა ციცინოს განებივრებულ ბავშვივით.

უეცრად მას ხველება დააწყებინა, წასკდა სისხლი და გაავსო თითბრის ტაშტი.

ძლივს მოუწყვიტეს მარილიანი წყლით.

მერე მთლად დაოსებული მიაწვინეს ბალიშზე და მიეძინა მისუსტებულს.

ყარამან და ბონდო ფეხაკრეფით გამოვიდნენ დარბაზში.

ბონდომ დაიარა ყველა ოთახები, სალაროში და საქვეშაგებოშიც შეიხედა ილიმებოდა საოცრად, უხაროდა.

შენდეგ აივანზე გავიდნენ და დაჯდნენ.

ჩამოვარდა აბრებული სიჩუმე.

ბაასი ვერ გაიბა.

ბონდო იჯდა და ფიქრობდა თავის წარსულ დღეებზე:

ბავშობა გატარებული აქ, მერე ტფილისში.

უთვისტომობა, სიმარტოვე და დარდი სიხარულზე. მას არ უგრძნია სიბო სულში: იყო მარტო თავის თავთან და ეშინოდა სხვების. მის სულში ბნელოდა, სხვისი დაბურული იყო.

მერე წავიდა პეტერბურგში და იქ მთლად გაიყინა.

ერთხელ ჩამოიხედა მის თვალებში თეთრ სიხარულმა, მაგრამ ისიც ჩაჰქრა.

ფრეილინა... m-lle ჭიჭი...

მერე... სიბნელე...

ვერ გასძლო.

ფრეილინა გაფრინდა თეთრ ოცნებასავით.

m-lle ჭიჭი კი მეტად მხურვალე იყო და გაუმადლარი.

ვერ გაუძლო და გამოიქცა დედასთან, და აი დედა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის...

მოვიდა ლიზიკია და ვახშამზე მიიწვია ბატონი და ბატონიშვილი.  
ბონდო შეკრა, ერთ ადგილას დაფაცურდა, წამოდგა და ~~ახე~~ დაჯდა.  
ღრმად ამოიოხრა და შუბლზე ხელი გადაისვა.

ყარამანს მოეჩვენა, თითქოს ბონდომ მას გასცინა, ~~გინე~~ და ნათესავეური იყო ეს ხელის გადასმა შუბლზე და უსიამოვნობა იგრძნო.

— რა იყო შვილო?..

— არათუერი მამაჩემო, არათუერი... — სთქვა მან, წამოდგა, გულზე ხელები დაიკრიფა და აივანზე გაიარა.

ხის ბაყაყები ნაზად კრუალობდნენ.

შორს კიდევ ისმოდა ვილაცის მოთქმა.

ბონდომ ყური მიუგდო და იდგა დაღონებული.

— წამოდი შვილო!.. ვახშამი ჭამე, მეისვენე!.. დაღალული ხარ!.. რუჩია ყარამანმა და შვილს მხარზე ხელი დაადო.

ბონდომ თავი გაინთავისუფლა და ისევ სიარული დაიწყო.

ტვინი უჯრუოდა.

ყარამან გაკვირვებული უცქეროდა შვილს.

უეცრად ბონდო შეჩერდა, ტუჩზე თითი მიიღო და წყნარად სთქვა:

— გესმის მამაჩემო, ვილაც მოსთქვამს?..

— რა უყოთ შვილო, მერე!.. აქანა სულ ასეა!.. აბა თავი უნდა მევიკლათ! მიუგო ყარამანმა გაადვილებით.

— ჰო და ამან აადულა ჩემი სული მამაჩემო!.. ამ მოთქმამ მომსპო მე და გამანადგურა!.. იქ, პეტერბურგშიც, არ დაყრუედა იგი და ხშირად მესმოდა სიბნელებში!..

— შვილო, მერე მაგიზა იკლავ თავს?.. წამოდი, ვახშამი გაცივდება!.. განებე მაგაზე ფიქრს თავი!.. ხომ გაგიგონია: ქვეყნის დარდი ბუმ იდარდა და თავი გოუსივდაო!.. — სთქვა ყარამანმა ნაძალადევი გაადვილებით.

ეს იგრძნო ბონდომ და უფრო მწვავედ გაჰკაწრა რალაცამ გულში.

— არა, მამაჩემო, არ მშია!.. მოსკრა მან და მერე დაუმატა:

— მამაჩემო!.. მამაჩემო!..

— რა იყო შვილო?..

ბონდო იდგა და ტუჩები უკანკალებდა.

— დედა რომ მოკვდეს, რა ვქნათ მაშინ? — დიდახა მან ქვითინით და მოაჯირს დაეყრდნო.

ყარამან ელდანაკრავივით მოაწყდა უკან.

მან მხოლოდ ეხლა იგრძნო მოახლოვებულ უბედურების სისასტიკე; თითქოს ამისთვის სხვისი თქმა იყო საჭირო.

თავზე ხელები წაიფარა, იქვე ტახტზე დაემხო პირქვე და მხრებმა კანკალი დაიწყეს.

კარგა ხანმა გაიარა ასე...

მერე ჩუმად, ხმის ამოუღებლად განშორდნენ ერთი მეორეს.

ცოტა ხნის შემდეგ ყველას ეძინა.

არ ეძინა მხოლოდ ყარამანს.

იგი აივანზე იჯდა და ლამეს სდარაჯობდა...

## ქარი მამძვხე

## პარასკეობა



მეორე დღეს ბონდო გვიან აღგა.  
 პირი დაიბანა თუ არა, მაშინვე დედასთან გაჩნდა.  
 ეფერებოდა დედას, აყვავებდა.  
 თმებს უსწორებდა, ჰკოცნიდა.  
 — ნანა, შენ შემეგველო დედაშენი!.. — ნეტარებდა იგი.  
 ჩემო დია, შენ გენაცვალე დედია!.. შენთან ვარ დედიკო, შენთან!.. —  
 ტიტინებდა ბონდო, გულს უღელავდა და დამკვნარ ძუძუებს უკოცნიდა.  
 ტკბილი იყო დედა, მეტად ტკბილი.  
 ლიზიკია იქვე ბუხარზე მიყრდნობილიყო და გულაჩუყებული სტიროდა.  
 შემოვიდა ყარამან დინჯად, ღამის უძილობით თვალეზ ამოლურჯებული.  
 შეხედა დედა-შვილის ალერსს და ერთ წუთს დაიბნა, მეორე წელში გაი-  
 მართა, მივიდა ბონდოსთან და მხარზე ხელი დაადო.  
 — შვილო!.. — სთქვა მან, — დღეს პარასკეობაა ხომ არ გეიარ, პატარა-  
 აქმეც ქე მაქ!..  
 ბონდო წუთით ჩაფიქრდა, მეორე უეცრად დათანხმდა და ერთ ადგილას  
 დაფაცურდა.  
 დიდი ხანია არ ყოფილა აქეთ და გავლა უნდოდა.  
 ციციანომ ლიზიკიას გამოატანინა ახალი შინ მოქსოვილი შინდისფერი  
 ჩოხა-ახალუხი, ყარამანდული ხვანჯრიანი შარვალი, საცვეთები და ასირმული  
 ყაბალახი.  
 ბონდოს უხაროდა დედის ნახელავი.  
 ჩაიცვა, გვერდზე ძველებური მამა-პაპური ხმალი გადიკიდა.  
 შუბლზე ხელი გადისვა, გრძელი სანაჯურები გადიკეცა და ოთახში თავ-  
 ნომწონედ გაიარა.  
 ციციანო უყურებდა შვილს და ვერ ძლებოდა მისი ცქერით.  
 მეორე საჩქაროდ ისაუზმეს და გაუდგა მამა-შვილი ცხენებით ორპირს პა-  
 რასკეობაზე.  
 მიდიოდნენ ისინი ჩრდილებ ქვეშ დედის პირად და ტირიფების ნორჩი  
 შტოები ეალერსებოდნენ მათ თმებს.  
 შეხვედრილი ხალხი მდაბალ სალამს აძლევდა.  
 ეზოებში მოსჩანდა ლობეზე გაკიდებული ხამის ნიფხაე-პერანგი და გარე-  
 ცხილი ყაჭი გასაშრობათ.  
 ბონდო ყველაფერს ყურადღებით ათვალთვრებდა.  
 — აი საყანე როდის გაჭრეს ბაბა?.. — ეკითხება ყოველ ახალ საყანეზე და  
 ყარამან უპასუხებს მოკლედ.  
 ასე მითოხარიკობდნენ ისინი შარაზე.  
 ბურულიან სახლებში ბოლი ამოდის და სხვენზე ასხმული თუთუნი, ნიო-  
 რი და წითელი პილპილი ჰკიდია გასაშრობად.  
 ორპირს უკვე მიუახლოვდნენ და მოსახლეობა გახშირდა.

ენკენისთვის ცხელი მზე აჭერს და აღუღებს ყველაფერს.

რიონი წყნარად მიდუღუნებს და ნაზად ირხვევია წყლის ხრდაპირზე კვატულუმზე და ფელოზზე ზუთხის დასაჭერად ჩაკიდებული ანკესები ცოტა მოშორებით ცხენისწყალი ეხუტება რიონს და წყნარად დუღუნით მიედინება სირიაჩქონისკენ ფოთში.

აუარებელი ხალხი აწყდება პარასკეობას.

მოდინ ურმებით, ნავეებით, ფეხით.

მოდინ პირახვეული დედაკაცები ყვერულებით, ბატებით, კვერცხებით.

არის ელივილი და ყიჟინა ბაზარში.

ჰყიდიან შეავე კიტრს, ყაჭს, წინდებს.

მოტანილია ყურძენი მრავალ ჯიშის: ჩხავერი, ალადასტური, ათინური, პუმპულა, ყურწითელა...

საჯაგახოდან გადმოდიან გურულები, მოაქვთ ქვის კეცები, ახალ დაღობილი კალათები, გოდრები, გიდელი, თავსაბანი შიშა...

გორიცებით ხილი, გობებით ფელამუში, ქოთნებით მძაღუ და გულებით წყავის ღვინო.

იმერლებს შეშა ანჯელიდან, ფიცრები, ბზე, თივა, სიმინდი, ხის, ჯამები, კათხები, გობები.

ქუთაისიდან ჩალვადრები.

ტფილისიდან მეურმეები და სპარსეთიდან წამოსული აქლემები დატვირთული ბამბით, ქიშმიშით, ინდის ხურმით, მატყლით, ნოხებით...

სამეგრელოდან ხვადგები, ნაბდები, ქეჩა, თუთუნი, ყაჭი.

ცხაკუნია მიხალეშვილი ბარჯგებს ტვირთავს და საქონელს გზავნის სტამბოლში.

არის ფაცა-ფუცი, ყიჟინა, დედაკაცების ერიამული, ვაჭრობა და ურიის რჯულის ფიცი.

მოდინ სასიძო ბიჭები ქალის გადასანახულებლად.

მაჭანკლები ფუსფუსობენ.

ხის ქოშებზე შემდგარი ქალიწვილები თვალებს ნაბავენ და ტანს მიარხვევენ სკაპცებს გამოუტანიათ კარები, ფანჯრები, წისქვილის მოწყობილობა, თაფლი, „კისლი შჩი“ და ისინიც ჩაბმულან საერთო ფერხულში.

ბანძელებს მოუყვანიათ დაღშეცვლილი ნაპარავი ცხენები, ხარები და ჩალის ფასად ჰყიდიან.

მათი მეთაური მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი ოტია ჭიქოვანი დაფაცურობს ყველაზე უფრო.

ჩქარა უნდა გაათავოს ეს მეტად სახიფათო ვაჭრობა და მერე სახლში გაუდგეს.

ნეხვის, ტარანის და გამხმარი ფარგის სუნი ამძიმებს ჰაერს,

ხარაზები საცვეთებს ჰკერავენ.

მეფურნეები კრენდელებს და თეთრ პურს ჰყიდიან და მეგრელი ბიჭები ყიდულობენ და მჭადზე აკმევენ საქამანდის მაგივრად.

ორპირში სდულს სიცოცხლე.

პატარა გემები ქმინავენ.

ღუქნებში მოქეიფენი შეყრილან და ხრინწიანი „მრავალ ჟამიემ“ ისმიის.

დუქნის სვეტებზე მიბმული მოსართავ მოშვებული ცხენები ჭიხვინობენ და ერთი მეორეს ჰკბენენ.

ურიების ყვირილი აყრუებს ყველაფერს.

გატენილია მათი საქონლით ორპირის სავაჭრო ქუჩები  
ჰყიდიან ფართალს, ფოლაქებს, ფერ-უმარულს, გუნდა-ლახუსტაკს, ალის-ყურებს, კაკილებს.

წამლებს: საყმაწვილოს, უშვილობისას, შვილოსნობისას, შაკიკისას, უქმურისას, ავი თვალისას...

ყარამან და ბონდოც აქ არიან.

ივაჭრეს.

უკვე შეგვიანდა და გვალვამ დაჰხუთა ჰაერი.

მზე ცეცხლის კრუხივით გაიფოფრა ორპირზე და გახურდა ყველაფერი.

ცხენების და აქლემების აორთქლილი შარდი აბრჩობს მათ.

დაიქანცნენ და სიმშვილაც იგრძნეს.

შევიდნენ სადილის საკმელად დუქანში.

ჯერ არც კი დამჯდარიყვნენ, რომ უეცრად მოესმათ:

— აა ყარამანს ვახლავართ!.. მობრძანდით ბატონო, გვეწვიეთ!..

ყარამანმა მოიხედა და ხედავს აპოლონია, ადგილობრივი აზნაურიშვილი, ასეთი გავრცელებული შაირი რომ მოიგონა:

„აგერ მოდის ერთი ქალი,—

„კვერცხი მოაქ კალათშიო.

„წინამ რუსი შეეგება:

— „პაჩომ კვერცხი ფარაშიო?

„— დავჯდეთ და ვიანგარიშოთ,

„არ შეგიყვან ზარალშიო. —

„დაჯდენ და იანგარიშენ,

„რუსმა ნახა ბარკალშიო,

„ . . . . .

„ოკამინის ტალახშიო“...\*)

აპოლონი დაეინებით ეპატიყებოდა.

— მობრძანდით ჩემო ბატონო, გვიკადრეთ!.. — მიუბრუნდა ბონდოს, რომელიც ვერ იცნო.

ყარამან მადლობას უხდის, მაგრამ თავაზიანმა უარმა არ გასჭრა და იგი აცნობს შეილს მასპინძლებს.

აპოლონი კინალამ შეიშალა.

გადაჰკოცნა სამჯერ და კითხვა-მოკითხვისა და მობოდიშების შემდეგ დასხდნენ, როგორც იქნა.

თითქმის ყველა მთვრალია, მხოლოდ ერთად-ერთი სკაპეცი არის ფხიზლად.

მას „კისლი შჩი“ უდგას წინ.

დაიწყო სადღერგძელოები.

\*) ეს ლექსი იმდროინდელი მეტად გავრცელებული ლექსია. ის ყველამ იცოდა ორპირში. ოკამინე კი პატარა ადგილი იყო ორპირში შესასვლელ გზაზე, სადაც გაუვალი ტალახები იცოდა.

შემოსწრებულის.

ბონდო სკაპეცის გვერდით ზის.

დალია ღვინო.

სკამს საცივს და ლომს.

„მრავალ ჟამიერი“ სკექეს მასპინძლებმა.

მიკიტანი დარბის და ფაცურობს.

ხან ღვინო მოაქვს, ხან საცივი.

— რაგაა ბატონო ა?.. მალე რაცხა რკინიგზაა გვექნება და არ მგონია რომ კაი დღე დაგვაყენოს!..

— სწორეთ რომ გითხრა ბატონო, ვერ გამიგია მაი ამბავი, ცხენი შით არ ემბება და კამბეჩი, რაფერ უნდა გეიაროს არ მესმის!..

— რაცხაა ჩემო ბატონიშვილო, კაი ნაქნარი არაა!.. რაცხა ეშმაკოულის სუნი უდის მაგ ამბავს!.. — დაუმატა გურულმა.

ბონდო ჩუმად არის.

არ ერევა მუსაიფში.

ლაპარაკობდნენ ისინი ამ მთისას, იმ მთისას.

ლაპარაკობდნენ სუჯუნელ ურია ცხაკუნია მიხალეშვილზე, როგორ გამდიდრდა იგი.

სკაპეცი იჯდა საოცარი.

აპოლონს რაღაც ეყიდა მისგან და ახლა „მაყარიჩს“ შეექცეოდნენ.

ბაასში არ ერეოდა.

ეტყობოდა თავის კანში ვერ ჰგრძნობდა თავს.

ბონდოს მოსვლაზე მთლად დაიბნა, ჩაიფუფქა.

ბონდო თვალ-ყურს აღევნებდა მას და თან ღვინოს შეექცეოდა.

უნდა გააბას სკაპეცთან მუსაიფი, მაგრამ ვერ ახერხებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოაგდო სიტყვა რუსეთზე და სკაპეცი უფერად დაფაცურდა თავის ადგილზე, ცმუტვა დაიწყო, მოიხედა საოცრად და ბონდომ შენიშნა რომ მის მიბეჭუტულ თვალებში რაღაც ცეცხლი დაინთო.

მას უხარია მოსკოვზე ლაპარაკი.

იგი თვითონ იქიდან არის.

მის წინ ნათლად გამოიხატა: „კიტაი-გოროდი“, კრემლი, „ტალკუჩკა“ ორმოცთა-ორმოცი.

აიდგა სკაპეცმა ენა და გაიბა ხელჩართული ბაასი.

აზნაურებს „რუსხემწიფის“ ამბავი აინტერესებდათ.

ბონდო ელაპარაკებოდა სკაპეცს ხან რუსულად, ხან ქართულად.

ყარამანს თავი მოსწონდა შვილის რუსულით.

სკაპეცი საცოდავით ამტვრევდა ქართულს და ყარამანს უნებლიედ ელიმებოდა, დანარჩენები გიყებევით ხარხარებდნენ.

მეზობელ სუფრების ყურადღებაც აქეთ მოიქცა.

სკაპეცი თავის რწმენაზე იშვიათად ლაპარაკობდნენ და ეს მეტად საინტერესო იყო.

ბონდო თან ღვინოს სვამდა, თან სკაპეცს ებაასებოდა.

ღვინო კარგათ ჰქონდა მოკიდებული.

თვალეში ულიცლიცებდა და ტვინი უქრუოდა.



ყარამანს ცოტათი ესმოდა რუსული, ტფილისში ესწავლა და, როგორც შეეძლო, უთარგმნიდა მეინახეთ.

ლაპარაკობდა სკაპეცი უსაზღვრო ნაღვლით დედა-რუსეთზე, დედა-მოსკოვზე. გაიტაცა იგი სამშობლოს ამბებმა, უჩვეულოდ მოეცნა და სასაცილოდ ასავესებდა ხელებს.

თვალეზ მიბეჭუტული, ქოსა, დაპრანჭულ სახით.

— ევჰ, ჩემო რუსეთო, ჩემო დედაე მშობელო!.. ამოიკვნესა მან და თავი ჩაჰკიდა.

— ჩვენ გადმოგვასახლეს კავკასიაში ჭეშმარიტ რწმენისათვის!.. — დაიწყო მან, — მაგრამ ჩვენ მაინც ერთგული ვართ ჩვენი რწმენისა!.. ჩვენ გვძულს ხორცი, იგი მძორია ხრწნილებისათვის გაჩენილი, არ გვწამს თესლი!.. ჩვენი სული ჩვენ მაცხოვართან მიილტვის!.. დიდება მის მადლს!.. დიდება კონდრატი ქრისტე-მაცხოვარს!.. დაიძახა მან სასოებით და ხელები ცაში აღაპყრო.

— სხეული ამძიმებს სულს!.. ხელს გვიშლის, რომ უზენაესს ვეზიაროთ და ჩვენ უარი უთხარით მას!.. ჩვენ არ გვინდა მიწა. გვძულს იგი!.. მიწა ცოდვილია და ცდუნებით დატვირთული, მანკიერებით აღსავსე, და ჩვენ მოვიცილეთ იგი, შევიბერტყეთ!.. ჩვენი სასუფეველი უმწიკელო ზეცაშია!.. განა იმისთვის არ ეწამა წმ. კონდრატი სელივანოვი!.. ჩვენ გვწვავდნენ, ჩვენ გვგვეზავდნენ, გვდალავდნენ, გვავდებდნენ ნაობახში, მაგრამ ვერ გაგვტეხეს რწმენით და სულით ძლიერნი!.. ეს ძალა ჩვენმა ქრისტემ მოგვანიჭა, დიდება მის სახელს და უკვდავება!.. განა იგი არ იყო, ურწმუნოთა მიერ რომ ეწამა?.. 3 დღე და ღამე ხაროში იწვა, 10 დღე და ღამე პურის ყანაში იმალებოდა, 12 დღე და ღამე საბძელში ღორის სალაფავ გეჯის ქვეშ ევდო მისი წამებული წმიდა სხეული და განგებამ იგი ტულამდის მიიყვანა უვნებელი.

სკაპეცი გაიტაცა ამბავმა და შეუმჩნევლად გადავიდა რუსულზე:

— Вся наша надежда на его пришествие для новаго царствія; его страды претерпенные им для спасения душ его милых детушек. Не сам ли батюшко говорит: „А прислал меня сам отец и матушка Акулина Ивановна — великая мильйонщица. Прикашицы у ней были по всей вселенной, торговали да ужь жили, не горевали, а толькѣ грех из себя выгоняли и на крест свой люди отдавали в руки иудеям“... — ლაპარაკობდა სკაპეცი არაწმინდას და ყველა ყურს უგდებდა განაბული.

ყველა გაიტაცა ამ ამბავმა.

დაყრუვდა ყველაფერი და სკაპეცის სიტყვები გამზმარი ნაყოფებივით სცვივოდა ორპირის სამიკიტნოში.

ყველა გარინდებული იყო, მაგრამ უეცრად რაღაც ზმუილმა შეაკრთო ისინი.

ბონდოს საოცრად შეაქრუოლა და ზის გაშეშებული.

ყველა გაფაციცებით იცქირება ვარეთ და ხედავენ: მოდის გუჯუ ლაბახუა მთლად წიშველი და ატყდა ხარხარი.

მისი მკერდი გოდორივით არის დაწნილი და მოდის აღერებული.

ქალები წივილით გარბიან, თვალეზზე ხელს იფარებენ და ფარდულებს უკან ამომალულნი ნატრობენ გუჯუს.

ხალხი ეხვევა ხარხარით.



გუჯუ დგას ანთებული, კბილებს აღრქიალებს და ფშვინავს/კურატი მო-  
ზვერივით.

ბონდო წამოდგა.

შუბლზე ხელი გადისვა, თმები უკან გადიყარა და წაქცია მისი შიშველი მიუ-  
ანლოვდა.

მივიდა მასთან, თვალებში ჩახედა.

გარგა ხანს იყო იგი ასე, მერე შემოტრიალდა და ხალხმა დაინახა, რომ  
მას მიწის ფერი ედო.

მივიდა მამასთან და წყნარად სთქვა:

— წავიდეთ მამაჩემო!..

მოუყვანეს ცხენები და შესწდნენ.

ბონდომ ერთი კიდეე მოიხედა შეხედა გუჯუს, შეხედა სკაპეცს, ცხენს ქუ-  
სლი შემოკრა და გაუდგნენ გზას.

კიდეე კარგა ხანს ესმოდათ გუჯუს ბლავილი, მაგრამ ბოლოს ისიც მი-  
წყდა...

(გაგრძელება იქნება)

ი. ხოხელი\*  
\* \*

ჩვენ დავიბადეთ შემოდგომის ავდრიან დღეში,  
წვიმა და თოვლი იყო ჩვენი სულის საფარი,  
ქარიშხლის ფრთებით დაექროლა ვდით კლდესა და ღრეში  
მუდამ უღრევი, გაბედული, მტკიცე, მაგარი.

ჯანთა დენაში სულს სიცივე შემოეპარა  
და ვიცრიცებით ისე როგორც კლდეთა ნაპრალი;  
ცხოვრების მედგარ ზღვაურ მკერდზე ვთრთით და ვქანაობთ,  
როგორც ლენცოფა შემოდგომის ცეცხლით დამთვრალი.

ტანჯვის წუთებში თუ არვინ სჩანს ჩვენს გარეშემო  
დე ასე იყოს, მოგვარიდონ სიცოცხლის თვალი,  
ნუ დალონდები, სადაც ბედი მიგწევს ჩემო,  
გასწი, გაფრინდი ისე როგორც ღრუბელი მალი.

და თუ კვლავ ზეცა დაიქუხებს, ატყდება ლელვა,  
ჩვენი სტიქია ბრძოლა არი, რა შეგვაშინებს!?  
მტერთა ზარმცემი ნიაველრული სეტყვა და ელვა  
ბრძოლის აღმურში ახალ სიტყვას აშალაშინებს.

დე, ამ ცხოვრების მოუსვენარ ორომ-ტრიალში  
გადავექანოთ, რას მიქვია სევდა და დარდი!  
სული ციმციმებს, ცხოველდება ბედის ტრიალში  
და ლტოლვის ფრთებზე იფურჩქნება სიცოცხლის ვარდი!

მ. სერებრიანსკი

## კ თ შ უ ნ ა

მოთმენის წლები გადააღაგეს,  
ველარ დაადგეს უღელი დათვის.  
პარიზი ებრძვის ყველა ქალაქებს  
განწირულია სიკვდილისათვის.

პარიზი ცეცხლში ჯანყის პლიუსად,  
როგორც მზე ომში ელავს პარიზი  
გაკვეთილია ორ პოლიუსათ  
ქვეყნები, თითონ კი უარესი.

პარიზი მოსჩანს, როგორც მონმარტრი  
სოროებიდან პირგამურვილი  
და ცალი ფეხით უკვე მომართეს  
ხვალის ისარი, ამ დღის სურვილი.

ის იძახოდა ომს ომი უნდა,  
დამპალ მტვერს კიდევ სულის შებერვა,  
მშრომელთა ღერბი არის კომუნა,  
მას ვერ გაუძლოს მხარემ ბებერმა.

მზე იცინოდა ისე ლამაზად,  
თითქო ცვიოდა თვალ ნაპერწკალი,  
ფიქრი შეჩერდა ისევ დანახე  
ხიშტების წვერზე მოკვდა ვერსალი.

ტკივილებისგან მომართეს მუჭი,  
თითქო მბეცები მოდიან მღვეზე.  
გადმოეყარა თმები ხუჭუჭი  
მხიარულ პარიზს ბარიკადებზე.

ციხე კომუნის ისე მაგრდება,  
როგორც ვერსალის კისერში ძვალი,  
ტიერის სულში ბრაზი მარდდება  
და ზარბაზნების ისნის: „შეეძარი“.

ყველგან დროშების ფერი მოედვა,  
ხმით იხჩეებიან ბატარეები  
ქუჩაზე, სახლზე და მოედანზე  
წითელი დროშა დაიარება.

ბარიკადების რკინის ბეჭდები,  
 არის კარებად, არ გაგიოცდეს!  
 არც ერთი მუშა არ დაეჭვდება  
 თუ თავის გულით აცოცხლებს მოძმეს.



ქართული  
 ენის ენციკლოპედია

პარიზი ბორგავს, იქცევა მართლაც,  
 ფოლადის ბეჭებს უავთ დაჭერილი,  
 და გაბრაზებით ამტვრევენ კვარტალს,  
 მუშაობს ხელი გადასერილი.

მოსჩანს უცნობის გამხდარი ხელი  
 და ის გასაქანს არავის მისცემს,  
 ისევ დაადევს თეთრი უღელი  
 ბარიკადების გაბერილ კისერს.

ქუჩას ასველებს სისხლის ღარები,  
 როგორც მზის თალი მოსჩანს ქალაქი,  
 ბაირაღები კომუნარების  
 გრილით დაბლა გადმოალაგეს.

პარიზი რკალის და ბარიერის  
 ყრიან ორმოში კომუნარები,  
 როგორც ფოლადის ბულბული მღერის  
 გათენებამდე ტყვია ნარევი.

დაპატიმრებას — ყვირის ვერსალი,  
 თითონ სალამო ტანსაფარს ეძებს,  
 მზე დაცხრილული და უეცარი —  
 სისხლში მცურავი მზე.

სისხლიან ორთქლში კვდება კომუნა  
 და ნაპერწკლების ასინათლებით.  
 ისეთი რაღაც მოქსოვოს უნდა  
 რომ მომავალმა ზომის ადლებით.

და აქოთებულ ორმოებიდან,  
 სადაც ცხოვრების ხრინწი ხმა ისმის,  
 ყველა მხარეებს მოურიდებლათ  
 ედება სისხლი და კომუნიზმი.

გამარჯვებულებს არ უხარიათ,  
 ღამის სილურჯეს ეფარებიან,  
 ეხლა ელიან ახალ ვარიანტს —  
 რუსეთს ალესილს და დანებიანს.

იყო კომუნა და სამუდამოთ,  
 ცოცხალი ხმები გულში უწივის,  
 რომ ყველგან ცეცხლი გადაუტანონ  
 მუშებმა მუშებს რევოლუციის.

ტარასოვ - როდიონოვ



შ თ კ ო ლ ა დ ი

(ლანცასცაიური აზშავი)

ამღვრეული, თან ნათელი იღუმალეზა დაეცა ისევ ნაცრისჟერ ბადეთ გახელილ თვალზე. ნერვიული ჟრუანტელი დარბის გაყინულ სხეულში და ფეხი დაბრუშებულია, მაგრამ აი უცებ რალაც შეიჭრა გულში და ყველაფერი გახდა აშკარა, აშკარა მხეცობამდე: ვიწრო, გრძელი ფიცრის სკამი, ძვირფასი ტყავის წამოსასხამი ჩამოვარდნილია, ბალიშის ნაცვლად მუფთა და ყრუ სიჩუმე, რომელსაც იშვიათად არღვევს ვისილაც უჩვეულო ხროტინი. აი კიდევ, კედელს იქეთ, როგორი მოწყენილი ხმა. ეს ალბათ წყალის წვეთი ეცემა ტაშტზე.

მოწყენაა მზგავსი უამინდობის და ისევ უნდა ტირილი, მაგრამ მთელმა ლამემ გატარებულმა ცრემლებთან ერთად ამოაშრო თვალის უბეები, შიგ—კი ყელში თითქო მლაშე პატარა ფენა იყოს ჩაწოლილი. ელენემ ფრთხილად გამართა გაშეშებული ფეხი, მოიკრიფა წამოსასხამი და მოემზადა.

— ნეტავ არაფერზე, არაფერზე არ მათიქრა? — გაუელვა თავში.

მაგრამ მეორე წვრილი, თან ყინულივით ცივი ხმა, თითქო ღია—თათლისფერ თმის კულულებიდან, რომელიც ეხლა ჩანონგრეული და აწეწილი იყო დაჟინებით იმეორებდა: როგორ არ ვიფიქრო?!—როგორ არ ვიფიქრო—ან ეხლა რომ მოვიდენ, წამიყვანონ და დამხვრიტონ?! და ისევ ცივი ჟრუანტელით აივსებოდა ელენეს სხეული.

კედელს იქეთ, კორიდორში კი მოისმოდა ფეხის ხმა. როგორც თავგმა, კატისაგან თავს რომ იმაღავს გროვა ნახშირში, პატარა ყურები დაცქვიტა ელენემ. ვილაც მოდიოდა თანაბარი, აუჩქარებელი ნაბიჯებით და ფეხის ხმა ფარავდა წვეთის უსიცოცხლო ხმაურს. აი ნაბიჯები უახლოვდებიან კარებს, უკვე ახლოა მოვიდა კიდევ და ჩაიარა. გაიფანტა შიშის ტალღა, მაგრამ ელენეს გული თითქო სიბნელეში მოემწყვდა. ჩარჩოები თანდათან ნათლდებიან და ისევ ხვრინავენ კუთხეებში მიწოლილი მამაკაცები.

— ცხოველები, როგორ შეუძლიათ იძინონ ასე მშვიდათ, — ფიქრობს ელენე, — დღეს ხუთი მათგანი წაიყვანეს და აოც ერთი არ დაბრუნებულა. ღმერთო, ღმერთო ჩემო, სად არიან ეხლა ისინი?..

წარმოდგენები კი მზად არიან სამსახურად და მას თვალწინ ეღობება ბნელი კუთხე, ქვით მოგებულ ეზოში, სადაც ქვები სისხლით არიან დასვრილი, სისხლით რომელიც სდიოდა ალბად დახვრეტილებს. არასოდეს არაფერა ამის მსგავსი არ უნახავს ელენეს, არც სინამდვილეში, არც სურათებზე, მაგრამ მას ახსოვს ყველაფერი, მას მოუქვა ვილაც, წარსულში — დაბეჯითებით და სახეები ამ საუბრიდან ეხლაც ცოცხლდებიან წარმოდგენებში.

— ეს ხომ ლიტველმა სთქვა, რომ ყველას ბედი დღეს უნდა გადაწყდეს, — გაუელვა ელენეს — ხუთი მათგანი უკვე აღარ არის, მხოლოდ ოთხი-ღა დარჩა და შეიძლება კიდევ ნაკლებიც? შეეშინდა თავისივე მოსახრების. შიშისაგან წამოდგა, ცერებზე დგომით, ფრთხილად დაიარა ოთახის კუთხეებზე. სინჯავდა ყველა იყო თუ არა დარჩენილთაგან... აი თანჯარასთან მხატვრობის გიტანოვი, ის ისედაც მსხვილია და თან ქურქშია გახვეული. მისგან სულ ორ ნაბიჯზე კუთხეში, ჯარისკაცის ნაცრისფერ ფარაჯაში, ფეხებ გაჭიმული იწვა კოვალენსკი, იქ კი ცოტა მოშორებით მაგიდასთან, ცალ-მხარზე გაწოლილა, ისიც. უცნობი, უაზრო გაყინული მზერით რომ ჭრის სივრცეს.

— მისი გვარიც სხვანაირია, გაიფიქრა ელენემ; — ფინიკოვ! — არასოდეს, არასოდეს არ სმენია მას ასეთი გვარი: ტკბილი, გადამდები, ეგზოტიური.

როგორც ადამიანი... სხვანაირია. არასოდეს აქამდე არსად არ ყოფილა ან იქნებ მან მოამკვლია ჩვენ დასაქერათ?

— ფინიკოვ, ჩაიბურღლულა მან ყრუდ და საჩქაროდ, ისეთი ძალით რომ ლიტველმაც კი ყველა ამხანაგები რომ გადახატა, დაიფიქრა შეწუხებული ხმით — კვაკ? კვაკ? კვაკ?

— ფი-ნი-კოვ! მოისმა გამოკვეთილი ხმა უცნობის და ლიტველმა დამშვიდებით გადახედა გამომცდელი თვალებით კოვალენსკის.

— ნუ თუ ის არის... კოვალენსკი?... იფიქრა ელენემ.

— ეე! ძნელია გაგება, სხვის სულში ხომ ვერ ჩაძვრები; გვარდიის პორუჩიკი, თეთრების დამხმარე ეჟირი, ბალეტომანი... დაეხარბა მოქალაქეობრივ ვალდებულებათ და... საცოდავი, საშინელებაა ამაზე ფიქრიც კი — უეცრად დაფი შეირბა, თითქო შეწყდა და ნეტავ ვის ეჯიბრებოდა მისთვის რომ გამხდარიყო მორიგი მსხვერპლი დახვრეტის?

— ან ეს გიტანოვი? სხვილი, ბელატი, ყოველთვის გაპარსული და დავარცხნილი სუფთად, გაწმენდილი, ლებივით, საყვარელი რეჟისორი, ახალგაზრდობის კერპი... ანდა რა საფიქრალია, განა აქვს საღი განსჯა ან უნარი პატიების ამ სისხლზე დახარბებულ ადამიანების ხაფანგს? ყველას, ყველას დახვრეტენ, და მასაც, ელენე ვალცს, მათ. რიგში, მათთან ერთად; და რისთვის, რისთვის, გაიფიქრა ქალმა, თითები თითქო დაიმტვრია და ხელები მაშინაღურად მოიყვანა პლასტიურ მოძრაობაში. აგრილდა. სოველი, ყვითელი, ჩრდილოეთის დილა, როგორც ნათელი სხეული დამხჩვალის ნელა და მძიმედ ჩაეშვა ბნელი ეზოს ჭის სიღრმეში. პირველი თვალი თანჯრიდან აქ ეცემოდა. ისევ მოიცვა ყველაფერი მოწყენამ — უამინდობის სურნელით: საჩქაროთ და ფრთხილად დაბრუნდა ელენე თავის ნართან; დაწვა და თავი გაახვია წამოსასხამის ალერსიან ბეწვში.

— ფიქრი არაფერზე, ფიქრი არაფერზე, — კბილები დაუახლოვა ერთმანეთს ღრეჭნით, ფიქრები თითქო შეკრიბა და ჩაახჩო. წამოსასხამიდან იყურება ფართოთ თვალი, მაგრამ ის არაფერს არ ხედავს. სუნთქვის ორთქლმა გაათბო ელენე და ტყავის ბეწვი ნელა ეხვევა პატარა ცხვირს და ცრემლიან ლოყებს. სურნელემა იყო მზგავსი მაისის დილით ნორჩი პალახის.

— ალბად თავქვეშ მუფთაში, ცხვირსახოცის, ცრემლებით რომ არის დასველებული — მაგრამ ალება არ უნდოდა. მოღლილი ხელები, უცებ ირგვლივ ყველაფერი გახდა მშვიდი ხალვასი და ალერსიანი. მოაგონდა რბილი, თბილი სა-

წოლი. და შეიძლება ეს არ იყო უკვე საწოლი... შეიძლება ეს იყო პატარა გუბე ამწვანებულ ბაღში ფიჭვის ქვეშ მზის სხივების ალერსი და წარსული ნაზად ეფარება, თითქო ხელებით ეხება მის პატარა ყურებს...

აქ კი ხევით, მტრედისფერ და უძირო დიდ მღვიმეში მხიშტის ბრუნავენ და მიიჩქარიან ღრუბლები. არა, ეს არ არის ღრუბელი, ეს — მხიშტის ღრუბელი, რომელიც უჩვეულო სისწრაფით ბრუნავენ, ღეჭავენ სუსტ ქვიშას ხეივანებისას, ელენას ფეხები გახვეულია ხავერდის მოსახურავში. ხშირად მას უსწორებს ახლო მჯდომი. ის მეტად საყვარელი პიროვნებაა, მის ხელს ფარავს ყავისფერი ლაიკა. მას ისე უნდა გადიცილოს წამწამები, ღრუბლებათ რომ დაწოლიან თვალებზე და სხივად ესროლოს მის სახეს მზიარული, ნაზი, ალერსიანი მზერა. ეს ხომ მისი ედუარდია, ინგლისის საელჩოდან. ნუ თუ მას არ მოაგონდება გამოუწოდოს ერთი ნაქერი კაიე — შოკოლადის, რომლის წაშენა ასე უყვარდა მას სეირნობის დროს. ის ახელს თვალებს...

— ღმერთო! რა საშინელებაა. ეს არ არის ედუარდი, ეს ვილაც სხვაა, გაპარსული, დიდი სახის, — შიშისაგან ირხვეიან ელენეს თმის კულულები — ეს ხომ ის ლიტველია! სწორედ ის, რომელიც მათ იჭერდა. ის, მტრული და მკაცრი დაცინვით აცლის მას ფეხთაგან ხავერდს.

— ელენ ვალენტინოვნა, ელენ ვალენტინოვნა! გეთაყვათ, ნუ ღელავთ თქვენ უკან!..

ეს ხმაა სხვილი გიტანოვის; ის როგორც მსუქანი მძორი, დგება მის წინაშე და მორჩილად არხვეს ელენეს ტყავის წამოსასხამს, იქამდე თმის დავარცხნაც მოუსწრია, მხოლოდ ყელსახვევი და საყულო აკლია, ერთიც და მეორეც გდიან თანჯარაზე. ცოტა მოშორებით, მთლად მოღუშული, სახის კუნთების მოძრაობით, მისჩერებია მას კოვალენსკი და მზერით თითქო უნდა ჩაყლაპოს ელენე; გვერდით კი უფერო, მშვიდი გამოხედვა ფინიკოვის. ის ყველაფერს ერთნაირად უყურებს. მას არ აშფოთებენ არავითარი სიტყვები, არავითარი მოძრაობა... მაგრამ ეს ყველა ერთი წამით. კულისები ისევ მსვლელობაშია. რაც მთავარია ეს ვილაც შავგრემანი. — ის ალბად ებრაელია. — გაუელვა ელენეს თავში. ის დგას იქვე სკამთან და მის უკან ამართულია ჩრდილივით მორიგი, დარაჯი წითელარმიელი ხიშტით. ელენე უცებ წამოხტა, ტანისამოსი დაიფერთხა და მხრებზე მოივდო წამოსასხამი.

— წამოიღეთ თან ყველაფერი, დაუმატა შავგრემანმა და მიუთითა სკამზე.

— როგორ ყველაფერი? მაშასადამე მე აქ აღარ დავბრუნდები? და ელენეს გული თითქო გაეყინა. აცაბცახებული ხელებით მოიხურა აბრეშუმის ღაზლი, ხელი მოავლო მუფთას, ჩაიცვა გაღოშები, და ისე რომ არავისაც არ გამომშვიდობებია, — ებ მოხდეს, რაც იქნება — ნერვიული ნაბიჯებით მოყვა უკან შავგრემანს კორიდორში. უკან, მძიმე ნაბიჯებით მისდევდა მორიგე და მხოლოდ ერთი წუთით გააცილა ისინი საკანში დარჩენილ ამხანაგების დაბნეულმა გამოხედვამ. მოხდეს რაც იქნება, ოღონდ ჩქარა. უცებ დაცხა ისე რომ ლოყები ცეცხლივით აენთენ.

გაიარეს კორიდორი, დაეშვენ კიბეზე. გაიარეს ისევ მეორე კორიდორი, გადვიდენ ისევ მეორე კიბეზე, ავიდენ ცოტა მაღლა და ორი ოთახის გავლით, გაჩერდენ მესამესთან.

— თქვენ აქ მოიცდით! უთხრა შავგრემანმა მორიგეს და გაუშვა თავის წინ ელენე.

ოთახი ბორდოს ფერი შპალერებით. თითქო ვისიმე სისხლით არის შეღებილი, გაუელვა თავში ელენეს. ქუჩაზე გადის ერთი დიდი ფანჯარა, რომელსაც ალუბლის ფერი მაუდი ფარავს, ფანჯარასთან დამტვერული ქაღალდები, კარების ახლოს, კვდულთან, მაგიდა სავსე ისევ — ქაღალდებით, ოთახის შუა ადგილზე კი დიდი მაგიდა, რომელსაც უზის ქერათმიანი, კარგად ჩაცმული მამაკაცი.

— ელენე ვალც, თქვა მომცილებელმა. მან კი შეხედა მოღლილი და უაზრო გამოხედვით.

— დაჯექით, აი აქ, — მიუწია სკამი და სინათლე ფანჯრიდან დაეცა სახეზე. ქერათმიანი ისევ განაგრძობს წერას მეტოდურიად, მშვიდათ. დაჯდა ელენა. მის გვერდით კი თანამგზავრი — შავგვრემანი, მათ მჭიდროთ აკავშირებთ და სიჩუმე და მხოლოდ ელენეს საფეთქლები ჩქარობენ.

დაბოლოს ქერათმიანმა გაათავა წერა. კალამი ჩაუწო. დაწერილი ფურცლის ნაცვლად, მეორე სუფთა ქაღალდი დაიდო წინ, რაღაც აღნიშნა და ჩუმად, მოწყენილად შეეკითხა: — თქვენი სახელი, წოდება, პროფესია და მისამართი?

— ელენე ვალენტინოვნა ვალც, ბალერინა, კაპიტანის ქუჩა 38, ბინა მე-4-ე.

— რამ გაიძულათ თქვენ გუშინ ყოფილიყავით გიტანოვთან?

— ის ჩემი ძველი ნაცნობია, მასთან იკრიბებიან სტუზრები, დიდი ხნის მეგობრები თეატრიდან. ეხლა როდესაც ირგვლივ შიმშილობაა... პირდაპირ შიმშილობა... და ცრემლების ღვარი მისდა უნებურათ მოდის ელენეს. ფერ არეული სილუეტი ქერათმიანის იწევს მისკენ გრაფინით და ჭიქით.

— დიახ, დიახ, ის ეხლავე დაწყნარდება.

— მას არაფერი არ მოეღის, თუ ის იტყვის მხოლოდ სიმართლეს, რა, დიახ, ეს ელენემ იცის, მაგრამ როგორი სიმართლე გინდათ თქვენ? თუ მე არაფერი არ ვიცი.

აი ქერათმიანი აწოდებს მას კონვერტს, იღებს იქედან წერილს.

— არა, ეს მას არასოდეს არ უნახავს, პირველად ხედავს ეხლა.

— როგორ შეიძლება რომ ის ყოფილიყო ნოხის ქვეშ, მაგიდის ახლოს, როდესაც ის დაპატიმრების დროს იყო გიტანოვის ბინაზე?

— ახ რა იცის მან?

თითქო რაღაც რკინის შეკრა, ძაფების კი არა, დიდი თუჯის ჯაჭვების, ბაწრების, უჭერს მას გამხდარ, პატარა სხეულზე.

— დავილუპე, უტრიალებს თავში.

— დავილუპე ფუჩუნობენ ვადვითრებული ტუჩები.

მუფთა ჩამოვარდა და მჭრელი გამოხედვა ამ ორის, მშვიდი ქერათმიანის და ნერვიულ შავგვრემანის, თითქო ჩველეს ელენეს რაც შეიძლება ღრმად, თითქმის გულამდე. ხელები საშველად ეხვევიან მაგიდას, ჯირყვლები აწვებიან ყელში, ყველაფერი ცურავს, ყველაფერი ირყევა.

ისევ დაღლილი და მოწყენილი ხმა — დაწყნარდით!..

რბილად და კარგად გადაადგა თავი სავარძელს. თვალწინ კუთხე მოჩუქერთმებულ ლუმელის. განა ის აქ იყო? დიახ, დიახ იგივე ოთახი და იგივე მკაცრი ხალხი, მაგრამ შავგვრემანის გამოხედვა თითქო უფრო აღერსიანია. — მითხარით, — მოულოდნელად ეკითხება ის შეწუხებული ხმით — ვინ იყო თქვენ ახლოს მაშინ, როცა ალყა შემოგარტყეს და ოთახში საგანგებო კომისიის აგენტები შემოვიდნენ?



— ო, დიახ, მას ახსოვს. ის ეალავ იტყვის. ნუ თუ უსათუოდ უნდა თქვას? გასცეს... სიმდაბლეთა... დანაშაულიც იქნება და უსინილისობაც...

— იქონიეთ მხედველობაში, — არღვევს მყუდროებას ჩვენი უკვე ვიცით ვინც იყო თქვენთან იმ მომენტში, თქვენამდე... და თქვენს ხუთმა, ფაქტი ერთნაირად აღნიშნეს, თქვენი პასუხი გამოარკვევს მხოლოდ თუ როგორი როლი გქონდათ თქვენ ამ საქმეში, თქვენი თანაშრომლობის ხარისხს, რომელიც ჩვენთვის ისე უდავოა, როგორც ის რომ მე ვარ გამოძიებელი.

— მაშ ეს ის არის, უსაშინელესი გორსტ, ელენე ისევ მიიწვევს ჭიჭისაკენ. კბილები ნერვიულად უცახცახებენ, და მოისმის თანაბარი, ჩქარი ხმა კბილების მინასთან შეხლისა.

— არა, ის არაფერს, არაფერს არ დატარავს! დიახ, მის გვერდით იჯდა ოფიცერი კოვალენსკი, მაგრამ მას ხელში... ხელში არაფერი არ ქონია, — ახ, თქვენ რომ მოინდომებდეთ და დამიჯერებდეთ, — არავითარი კონვერტი, არავითარი წერილი... ის ამისათვის დაიფიცებს ყველას. რაც მიაჩნია წმინდათ, ძვირფასათ, რაც კი გააჩნია ხალხს ქვეყნად.

— თქვენ სიცოცხლესაც იფიცებით? გააწყვეტინა უეცრად ქერათმიანი.

— მაშ ვინ იყო კოვალენსკის გვერდით?

— გვერდით?

— დიახ, გვერდით!

— გვერდით არავინ არ იყო... ისე კი ცოტა მოშორებით, ასე ორ ნაბიჯზე, თანჯარაზე იჯდა ის, რა ქვია?.. ფინიკოვი.

— თითქო თქვენ ის წინათ არ გინახავთ? არა? — ეხლა უკვე იცინის ქერათმიანი.

— ო, ღმერთს გეფიცებით: არასოდეს, არასოდეს მე ის მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში. არსად არ შემხვედრია!

— ძალიან კარგი. რა შეგიძლიათ თქვათ კიდევ?

— არაფერი.

— არაფერი?

— არაფერი.

უსმოდ მიცოცავს კალამი ქალაღზე; ის მიიჩქარის სტრიქონებზე, როგორც მენუეტი.

— გამიგონეთ!

— ჰო კარგი, ის ისმენს; მაგრამ არაფერი არ ესმის და ფიქრობს მხოლოდ: — რა იქნება შემდეგ?

— ხელი მოაწერეთ!

მორთოლარე ხელით იღებს კალიმისტარს. კალანი უინიანობს. კალიმისტარი არ ემორჩილება. მოკლე ვალც-ის მაგივრად გამოვიდა ვალიუ.

— მოიცადეთ ცოტახანს.

ქერათმიანი შედის იქვე მეორე კარებში და შეაქვს ქალაღები.

შავგრემანმა, ბრილიანტის თვალისანი ბეჭდით ხელზე, ახ, როგორ ვერ შეამჩნია ელენემ ის ამდენხანს, იღებს პორტსიგარს, ოქროს დიდი მონოგრამით. თითი დაარტყა უშნოთ:

— თქვენ არ ეწევი?

— არა. — უპასუხა ელენემ ბრაზით.

როგორ უნდა მას, სწრაფ კატასავით დააფრინდეს შავგვრემანს გაპარსულ ლოყებზე და გამოქნილ ფრჩხილებით — ღმერთო ჩემო! — რამდენი ხანია არ გამიკეთებია მანიკიური, დღეს იქამდე პირიც არ დამიბანია, ~~ქვედა ყბაქვეთი~~ ელენემ.

— წარმოდგენილი მაქვს რას ვემზგავსები... მ ი ზ ლ ი მ ი თ ე ჯ ა

წვრილი, ლურჯი ზოლი კვამლის მედიდურად მოცოცავს ზევით. შავგვრემანი ქაჩავს პაპიროსს და თვალებით ელენეს კისერს მისჩვრებია.

— მობრძანდით, — უცვებ გაიღო კარები და ქერათმიანი ეძახის ელენეს.

ისევე დაურბინა ტანში ცივმა ჟრუანტელმა. ხელებზე კანი თითქო აეწვა. შეშინებული თვალებით მიყვება ელენე ქერათმიანს, თამბაქოს ფერ აბრეშუმ ჩამოშვებული, მოოქრული ფარდები. ის ეხლა არის მეტად-ლურჯი, ზევით ისრებით შელამაზებულ გოტიურ კაბინეტში. ფანჯარასთან დგას ვიღაც მაღალი, რომელსაც ჩრდილი ფარავს. მაგიდამდე ძლივს ლა მიაღწია... დაჯდა.

— კარგი ამხ. გორსტ, დაგვტოვეთ ჩვენ მარტოთ ერთი წუთით და უთხარით ამხ. ლიპშაევიჩს, სანამ მე არ დაურეკავ არავინ არ შემოუშვას. არავინ, ასე უთხრას შიკრიკს.

— რა უნდა ამას — გაუელვა ელენეს თავში და შეეზიზლა ფანჯარასთან მდგომი. ხმა კი თითქო პირდაპირ გულიდან მოდის, ის ამდენად სასიამოვნოა...

გარეთ გავიდა, კარები მაგრათ გაიხურა.

— მოქ. ვალც! მე ვარ თავმჯდომარე აქაურ საგანგებო კომისიის, ზუდინი — აი ვინა ვარ მე, — ამბობს უცნობი. მაგრამ ელენეს როგორდაც არ ეშინია, თითქო ის მისი ძველი ნაცნობია, მოულოდნელად შეხვედრილი გზაზე და ცდილობს მოუყვეს საინტერესო ამბავი. შორეულ მღვიმეთ ეჩვენება მას ბინდი, შპალერების, ფანჯრების ფარდების ოქროსფერ მიბნედილ სინათლესთან.

ჩარჩოვებში მინები არც კი ჩანან. თითქო ქუჩა, მოტორის სასიამოვნო სუნით, მოძვრება თავისუფლად აქ, კაბინეტში. მაგიდასთან კი ტრამვაების და საყვირების ხმით თითქო გაყრუებული ზის გაუცნობელი ნაცნობი.

— რაზე ლაპარაკობს ის ასე დიდხანს? — ეხლა ელენა არჩევს მის სახეს-გამხდარი, დიდი თვალებით, ავადმყოფური სითეთრე სახის, პატარა უღვაშები, ჩაყვითლებული წვერები. გლახად გაპარსულ ყელზე შავი ხალათის საყელო, ზევით კი შავი ფიჯაკი.

— ეს ალბათ ყოფილი მუშაა, წუხს ელენე...

— აი, როგორი ყოფილა ის... ზუდინი რად ეჩვენებოდა მას, ამხანაგების გადმოცემებში ის ასე საშინლათ? და რათ მოიყვანეს ის პირდაპირ მასთან?

ნუთუ ასეთი სერიოზული საქმეა? ეს თავსამტვრევი, საშინელი წერილი... ან იქნებ მათ თითონ შემოაპარეს? რომ ყველა ისინი დააბნიონ დასაბერეტის ამორჩევის დროს...

— მერე რაზე ლაპარაკობს ის? ეს ხომ ზუდინი ლაპარაკობს?..

— თქვენ უნდა მოყვეთ ყველაფერი დაწვრილებით, ნუ მოგერიდებათ ჩემი, ნურც რაიმეს დაფარავთ.

— რა უნდა მოვყვე მე?

— ის, რაც მე ჩამოვთვალე: ამ მამაკაცებში რომელთან და რა დროს იყავით ახლო კავშირში. თითქო მათრახი გადაკრეს სახეზე. წითელი ფერი მოერიო ქარბად.

— არაფრის გულისათვის, არასოდეს, როგორ ბედავს? თუ კი ელენე ბალერინაა.

კრემლები მოსკდენ ნიაღვარივით და დაფარეს მთელი მისი გრძნობა-ფიქრები. მაგრამ თითქო დიდი მთა ირეცხება ელენეს გულში ამ კრემლთა დენით.

— სად არის გრაფინი? არაეინ არ აწოდებს მას ცივ წყალს.

ზუდინი ზის ისე როგორც იჯდა, გაუნძრევლათ.

— თქვენ ვერ გაშიგეთ მე, მოქალაქე ვალც, მე სრულად მომიფიქრია თქვენი შეურაცყოფის მოყენება, ან თქვენი პატიოსნების შელახვა, როგორც დედაკაცის. მე მინდა ვიცოდეთ თქვენი როლი, თქვენი როლი ამ საქმეში და არა სცენაზე.

ახ, როგორი სისწრაფით იზრდება მის ხმაში მკაცრი კილო!

— თქვენი როლი, სცენაზე კი არა, არა!.. როგორც დედაკაცის, რომელსაც თქვენ ასრულებდით, ამ მამაკაცთა წრეში. პოლიტიკა მეტად მკაცრი რამ არის, მოქალაქე ვალც.

— იმ წერილში, რომელიც ნახეს სკამის ახლოს ნოხის ქვეშ, სწორედ იქ, სადაც თქვენ იჯექით, ლაპარაკია მკვლელობაზე: პოლიტიკურ მკვლელობაზე, რომელიც შეეხება ჩვენ პასუხისმგებელ ამხანაგებს, ქალაქლებში კი, რომელიც აღმოუჩინეს თქვენთან ერთად დაქერილ ამხანაგებს, ამ დილით, ნახეს რამდენიმე წერილი... თქვენგან მინაწერი... მე იმედი მაქვს, თქვენ ეხლა გაიგებთ, თუ რად მჭირდება მე თქვენი პასუხი... პასუხი სწორი, სრული და ყოველგვარ დარცხვენის გარეშე.

მაგრამ ელენე გაჩუმებულია.

— ახ, როგორი სიმკაცრით ეპურობიან მას—გაიფიქრა ელენემ. ან როგორ მოასწრეს ყველაფრის ასე დაწერილებით გაგება? ასე მალე? ჩემი წერილები? ვის ხელთაა ეხლა? წაუღიათ.

მაგრამ ზუდინი მას აღარ უყურებს. ის იყურება თანჯრისკენ. შეიძლება ასე ჯობს კიდევ. არ შეხედავს თვალებში, ასეთი ამბების მოყოლის დროს. ნეტავ ქალს აძლევდეს ჩვენებას. მაგრამ, არა, არა, არაა საჭირო ქალი... ქალთან კიდევ უარესია. ქალი ამას ვერ გაიგებს...

— ახ, რა საშინელებაა! გაიფიქრა ელენემ ხშიანად.

— ვნება ადამიანისთვის ჩვეულებრივი ამბავია და არც ერთი ჩვენგანი არ არის პურიტანი. ძიება გულის ხშირად სრულდება სრულიად უნაყოფოდ. მათში არაფერია სასირცხვილო?! გაანხნევა ისევ მოფერების კილოთი ზუდინმა. მაშ ასე ნუ გრცხვენიათ ჩემი: თქვენი საიდუმლება მოკვდება აქვე სამუდამოთ, მე მას არ გადავიტან ქალაქდზე. მე განგებ დავაკეტიწე ყველა კარები.

— როგორ უპასუხოს? რომელი მათგანი იყო მასთან ახლო კავშირში? ჰო, დიახ, თფიცერი კოვალენსკი, მაგრამ... ეს იყო დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ ომის პირველ ხანებში. მან ის გააცვილა თეატრიდან, შემდეგ ეწვია კიდევ სახლში... შემდეგ... შემდეგ ისინი დიდხანს აღარ შეხვედრიან ის იყო ფრონტზე. ეხლა... ეხლა? ის იყო ელენესთან როგორღაც ერთხელ, მის ბინაზე კი ელენე არ ყოფილა, არასოდეს.

— კიდევ ვინ?

— ფარსის მსახიობი დარილოვსკი, ის ხომ იყო უკვე თქვენთან დაკითხვაზე. სცენიდან დაუახლოვდით ერთმანეთს, ჩვენ თითონ არ უყურებთ ასეთ დაახლოვებას სერიოზულად. ასევე... გიტანოვი... ის დიდხანს, დიდხანს ელოდა ელენესაგან გამოხმაურებას თავის საყვარელზე. ის ისეთი ერთგული, საყვარელი და სასაცილოა... ამასთანავე ის ბევრ ფულს შოულობდა.

- კიდევ? — კიდევ, თითქო დაქერილებში არ იყო მეტი მოსაგონარი...
- ფინიკოვი?
- ფინიკოვი?! არა!.. ხომ გითხარით: მე მხოლოდ პირველად შევხვდი მას. ჩვენ შევხვდით აქ, გოტანოვთან. ის იყო მეტად ზრდილობიანი და ჩემი. მე მას თითქმის არაფერზე არ დავლაპარაკებია.
- იღებდა თუ არა ელენე ფულს მამაკაცებიდან?
- ისევ სიწითლე სახის და ცრემლები წამწამებთან.
- როგორ? ესეც უნდა იცოდეთ თქვენ? არაფერი, არაფერი არ ყოფილა წმინდა, შემნახველი ქალის საიდუმლოებისა?
- იღებდა თუ არა ის ფულს? დ-დ-დიახ... იღებდა... ცოტას... ყველასა-გან... ახ, რომ იცოდეთ თქვენ ამხ. ზუდინ...
- ახ, ღმერთო ჩემო რას ლაპარაკობს? გონს მოდი ელენე, რა მისი ამხანაგია?
- არა, არა, არა — შეყვირის ელენე თითქო განყენებულ პიროვნებას.
- თქვენ რომ იცნობდეთ, ბალერინების ცხოვრებას, როდესაც მას თუთხმეტი წლიდან... უკვე უხდება... დიახ, დიახ, ეს აუცილებელია! ამ ტრადიციას არ შორდება ბალეტი, — მან თუთხმეტი წლისამ უკვე უნდა მიყიდოს თავის სხეული წვირიან, გაოფლიანებულ მამაკაცებს!
- ზუდინ, ჩემო კარგო!.. ზუდინ ამხანა-ა-გო!.. არა თქვენ არ მესროდით მე ტალახის გუნდს სახეში... ყალბი ცხოვრება... გადამდები სენივით... ცხოვრებამ ჩვენ შეგვსვარა თავისი ტალახით, აქოთებული ტალახით და არ არის ჩვენთვის ხსნა... ჩვენ დაცემულები და საცოდავები!..
- რომ შეიძლებოდეს... რომ მჭოდეს მე საშვალემა... ჩემი შრომით, პატიოსნათ, ლუკმა პურის შოვნის უნარი და ვიშუშაო, განა მე... განა მე ასე მოვიქცეოდი?.. ახ, რა გითხრათ თქვენ! თქვენ ხომ არ იცით მთელი უბედურება და საშიშროება დაცემის!!!
- მე ხომ გუტანოვმა მიმიხმო მისთვის, რომ მე შევხვედროდი ა... იმას... რა ქვია? ფინიკოვი!.. მან მითხრა: ფული იქნება... ბლომად! მე ხომ ვშიშვლობდი! დიახ!
- ჰო!
- ვშიშვლობდი!
- გავყიდე გარდერობი!.. აი რა დამარჩა: ეს წამოსასხამი, მუფტა და სამი კაბა...
- ჩემო კარგო... ჩემო ნეგობარო! ამხა-ა-ნაგო ზუდინ! მე ხომ ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვიყავი... ხუთი კლასი ცოტა რამ სიცოცხლის...
- მონობის კი არა, სიცოცხლის.
- პატიოსან სიცოცხლეს... და ლუკმას... ვითხოვ... მე თქვენგან!..
- მე თანახმა ვარ, მე მინდა მუშაობა! განა მე ვივაჭრებდი ჩემი სხეულით?!
- ქუჩის ქალი, აი ჩემი ფასი!!
- ისტერიული სუნთქვით, თითქო სევდით დასველებული, ის ულონოთ დაეშვა პირდაპირ იატაკზე. დაზლი ჩამოუეარდა. ვარდებოდა წამოსასხმელიც. თმის კულულები შემოეწნენ ნიკაპს. მხოლოდ ნაფელი წაბლილსფერი ნაწნავების და ვარდისფერი პატარა ყური, მოლურჯო გოტურ კაბინეტის გამჭვირვალე შუშე-

ბიდან ამცნობდენ რუხ შორეულ ცას, რომ აქ კაბინეტში ტერის უბედური ქალი.

სისაწყლის გამოძახებული პატარა ხელი ელენესი, უცრად გაათბო მამაკაცის თბილმა და ნძიმე ხელის შეხებამ.

— გეყოფათ, ამხანაგო ვალც, ადექით, ტანისაგან გსურს რაქო.

ამას ლაპარაკობდა ზუდინი და როგორი სიხარბით უნდოდა კიდევ ეთქვა ელენეს დაწყნარდით.

გაიგონა ეს სასიამოვნო ხმა.

— ჩვენ კომუნისტები, სწორედ მაგისტვის ვიბრძვით, კაპიტალისტური მონობისაგან გაუბედურებულთათვის, ჩვენ ვზრუნათ მათ ბედნიერებაზე და მაშასადამე თქვენზედაც.

— ადექით და დაწყნარდით. და თუ მოისურვებთ შემდეგ მოხვიდეთ აქ, მიკითხეთ მე... თუნდაც ზეგ... ასე, პირველ საათზე... მე თქვენ დაგეხმარებით, როგორც ამხანაგს... მაშ, ეხლა გაისწორეთ, ჩაიცვით და წადით, თქვენ თავისუფალი ხართ. ზუდინმა ხელი დააჭირა მაგიდის კუთხეს და კარებთან გაისმა ზარის მაგარი ხმა.

II

ჰაერი სავსეა მზის სხივებით. დახრილ სხივს დაკრავს მოწითლო ფერი. სინგურის სხივი ეცემა, ზეიმობს და ცეკვავს მზის მტვერის გასაოცარ ვალსში. ნაზად მიეპარება ლოყას და რბილი, თბილი თათით ეფერება წამწამებს საგანაჯუხულო მზის ჩრდილ ქვეშ, რომელსაც ესიზრმება სიმშვიდე. თვლემს მზე მშვენიერ მოგონებებში.

— ვინ არის?

— ვალც?

— რომელ საქმეზე?

— მე დავიბარე!.. არ მახსოვს. კარგი, გამოუშვით!

საოცრად უნდა ძილი. ხელები აღარ ემორჩილება: თვალები ძალაუნებურად ეხუტება, მოუეჭრების უნარიც კი სუსტობს. უნდა წავიდეს სახლში და გამოიძინოს; საღამოთი კი ისევ სამუშაოა.

— დაუძახეთ, ამხანაგ კაცმანს!

— ვალცმა მოიცადოს ცოტა.

ამხანაგო, ამხანაგო პლასტოვ! ერთი წუთით! მიიღეთ თქვენ ცნობები ამხანაგ დინიდან... რა ქვია?... მეზღვაურთა ოფიცერის შესახებ, ფინეთში რომ იყო? — არა? — საკვირველია! — შეეკითხეთ ხელმეორედ, საჩქაროდ. ალყა რასაკვირველია არ მოგიხსნიათ.

— ძალიან კარგი... ჰაერობლანზე მომუშავე ფრანგი გამოგზავნეთ აქ, დასაკითხავად, რაც შეიძლება საჩქაროდ. უკვე შეუძლებელია?

— ცუდია! მაშ, ყოველ შემთხვევაში, უთვალთვალეთ, რომ ის მეზღვაური არსად გაგვეტყეს.

— აი, რა ამხანაგო აბრამ!

— თქვენ ამხანაგო პლასტოვ, დღეს საჭირო აღარა ხართ, ხვალ დილით კი მომახსენეთ ყველაფერი, უფრო დაწვრილებით.

— აი რა ამხანაგო აბრამ! მოიხურეთ კარები მაგრად... ეხლა როგორაა საქმეები? — ვერ ნახეთ ინგლისელი?

— მაშ კარგი, კეთილი:— რას იტყობინება პანშეტტ? რა გვარია?

— მისტერ ხეკევი! ჩინებულია. ძირს ნუშზე ფიქრები. ეს რომ ლოკარტი არ არის. ოღონდ მოხედეს და... აი რა, კიდევ, ამხანაგო აბრამ:— პავლოვმა გადმომცა მე თავისი დასკვნა კარტის მოთამაშეთა კვარტალის შესახებ. ის ლაპარაკობდა ისეთი ვეშაპის განთავისუფლებაზე, როგორცაა ბოჩარკინი. მე როგორღაც არ მესმის ყველა ეს. გამოირკვიე ეს საქმე, თითქო შენ ისე, სხვათაშორის. აი ყველაფერი რაც მინდოდა მეთქვა... მე დაებრუნდები ალბად ექვს საათზე. თუ გორსტმა გამოიძინა, მოამზადოს კვაშინენის საქმე გადასახედავათ. უმცროსს მე თითონ გამოვკითხავ...

— ჰო!... შენთვის არ მოუხსენებია დაგნისს? რას უშვება იმ ფინიკოსს? ლიკვიდაციაში მოხდა? როდის? დღეს გათენებისას? კარგი. გაგზავნე ტელეგრაფმა მოსკოვში ჩემი ხელმოწერით. ოღონდ სასწრაფოთ. — ჯერ-ჯერობით მეტი არაფერი — მაშ, ასე, ბოჩარკინის საქმე თუ ძმა ხარ გამოარკვიე. გაიგე? — კარგი, — ნახვამდის, საღამომდე...

— ალლო, ქალიშვილო: 22 — 28.

— მოითმინეთ ამხანაგო! მოიცათ დავათავო ლაპარაკი;

22 — 28. გმადლობთ. — ეს თქვენა ხართ ამხანაგო იგნატიევ?

— ეს მე ვარ, ზუდინი. გაგიმარჯოს. გმადლობთ... მშვენიერად... მე მინდოდა თქვენთვის შემეტყობინებინა, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე თქვენთან ერთად ვფიქრობდით... ჰო, რასაკვირველია, მისგან... სავინკოვისაგან? ძაფი რასაკვირველია ქალის გაბმულია. დიდი ეშმაკური ხლართი კი იყო!.. დღეს დილით მოჰკლეს. ჰოო? კარგი. — მაშ ნახვამდის! საღამოს ვიქნები; დღით კი შეიძლება წინაურულათ... გადავწყვიტე გამოვიძინო... ადრე!

დალლილი დაეშვა სკამზე. თვალები თავისით ეხუჭებიან. აქ კიდევ მზე... თითქო გაზაფხულის მზეა... თამაშობს, თვალებს აბრმავეებს, მიძვრება უინიანი ყვირლით იჭრება ფანჯარაში. მთელი ოთახი კუთხეებამდე მტვერის ბოძებით დაასახლა. მის ოქროსფერ ღრუბლებში ვერ გაიხედავ. მის წამწამებზე კი ყვავიან სხივიანი ცისარტყელები.

— მზად არის ავტომობილი. მე მოვდივარ... ო მართლა... ვალცს — თხოვეთ! შემოვიდა. თითქო სურათია. ღია ლურჯის-ყავისფერთან შერეული შოტლანდიური მოკლე კაბა. ეს უკვე ძალიან მყვირალაა და მხატვრულიც. მზის სხივით თავზე ადვას მტვერის ნათელი ბოძი.

თმის კაულულები სჩანან ცეცხლის ფერად.

— დაბრძანდით... რა მშვენიერი დღეა, არა?

— მე თქვენ მაპატიეთ, მე ისე დავილაღე, რომ...

— თქვენ ვინდით სამუშაო? კარგი... კარგი...

— რა გლახაა, რომ არა გვაქვს ფარდები... გაზაფხულისთვის უთუოდ უნდა ვიშოვოთ, თორემ წითელი ლაქები თვალში მწვანდებიან თეთრი ქალაღლისაგან.

— კარგი ჩვენ მოგცემთ სამუშაოს. — შეგიძლიათ აწარმოოთ ალფაბეტი? — მაშ კარგი! აი, დასწყელოს, როგორი ხმა აქვს ან ზარს. შხაპივით ძლიერი.

— აი რა ამხანაგო ლიპშაევიჩი... უნდა ჩავრიცხოთ ამხ. ვალც სამსახურში გადამწერად. ვეცადოთ, მივცეთ მას დასრულებულ საქმეების ალფაბეტზე დალაგება... ნუმრების დასმა და გვარების შეტანა. სნეგროვას ქალის გადაყვანა შეი-

ძლება შალენკოსთან, მიმდინარე საქმეებზე, კარგიც იქნება! — სად დაეაჯინოთ? დაჯენა შეიძლება აქ ნაცრისფერ ოთახში, გვერდზე რომ არის. იყოს არბივიც. მაშ აი რა, — ეხლა კი მე თქვენ დაგტოვებთ. თქვენ, ამჟამად უნდა შეიყვანეთ ეს საქმის კურსში. მაშ, ასე არქივის დალაგება — ნახვამდის!

გაფრინდა, როგორც ციკლონი. ჰაერში აშალა ოქროს კონები მზის მტვერისა. მხოლოდ დაბლა აგუგუნდა ავტომობილი და... წავიდა.

აი კაბინეტიც? ეს სრულიადაც არ ჰგავს დიდ ინკვიზიტორის სარდაფს. აი ეს მზეც, ქარვისფერ მარწყვით რომ გამოიყურება.

კარგი წავიდეთ! თქვენ მაჩვენებთ? — თქვენი გვარი — ლიპშაევიჩ? ამხანაგი ლიპშაევიჩ? — მე მჭვია ელენა ვალენტინოვნა ვალც. თუმცა, თქვენ ხომ იცით!..

მოტორი ყურყუმალაობს უსწორო გზაზე და მიჰქრის, თითქო უნდა გარედ გამოისროლოს მგზავრი. გადუგდო ქუდი და პორთფელიც გაიხსნა. გვერდებზე კი სწრაფად გარბიან, ყურდღღებათ ჩანან ჩარჩოები, ფანჯრები და მინები. სახურავებიდან ეცემა წვეთი, ფილაქანზე ფეხი ვერ მაგრდება. ჩრდილები კი — იისფერ ფიქრებივით ჩანან. რომ დახატოთ — არ დაგიჯერებენ, თითქო მგზავრებსაც იისფერი სახეები აქვთ. თითქო იის რიდეები აქვს აფარებული ყველას და როგორ თბილა, როგორ თბილა. იქამდე ყინულიც მდინარეს რომ გადაკვრია, მანაც იცვალა ფერი. გაჩერდნენ ნაცრისფერ სახლთან. ჩრდილი ლურჯია და ანთებული.

— ექვსისთვის... და მოიხურა კარები. აირბინა კიბეები მიეშურება მზით განათებულ ფანჯრების მიმართულებით. ზარის ხმა მორჩილი.

— ეს მე ვარ, ლიზა.

— იცი, მე მხოლოდ დავიძინებ. ერთი წუთითაც არ მცალია. თავი ამენგრა. სადილზე — თუთხმეტი წუთი. სუფრას რომ გააწყობ გამალვიძე! რა გაქვს დღეს? ცერცვი? — კარგი! არაფერია. უერბოოდაც ივარგებს. — აბა, ლიზა, წადი — შემდეგ მოვილაპარაკოთ, დამაცა დავიძინო.

— ე, დღეს თითქო გაზაფხულია. საწოლ ოთახში კუნკულს ვერ ნახავ რომ მზე არ იყოს. არაფერია, შემიხიციხოს, ოღონდ ჩექმები კი გამხადოს.

— არა მე ისე, საბანს არ გავსვრი.

— მიტია, გენაცვალე გახვიდოდით შენ და მაშა სასადილოში მე ცოტას დავიძინებ.

— ლიზანკა, დაუძახე მაშას მხოლოდ ერთი წამით, მე დავიძინებ და მერე თუნდაც ზარბაზნები ისროლონ.

— კარგი, კარგი მაკოცეთ, მაგრამ მაგრე ნუ, მაგრე ნუ... ფეხსაცმელები აღარა გაქვს? — კარგი ვიშოვით ახლებს სააღდგომოთ.

ტს—ს—ს!

— ძინავს.

— მიტენკა, ფარდა ჩამოუშვი. წადი წიგნით სასადილოში: დააცათ მამას ძილი. მამამ ძალიან ბევრი იმუშავა. — მაშა წაიყვანე. გაართვე როგორმე სურათებით. მე კი სუფრას დაეხურავ. მალე სადილიც იქნება.

ნელა და გარკვევით იწივს საათის ისარი, თითქო განვლილი წუთების მესერს აშენებს. ნელი ჩურჩულით მიიწივს წინ და კანკალით კვეთს თითოეულ დარტყმას.

აი, უკვე, — სამი სრულდება.

- ლიოშა, ადექი.
- ა? ვინ... შემდეგ... გაემგზავრეთ!..
- ლიოშა? აღარ გინდა გაიღვიძო? ადექი, ვისადილოთ! მაშა მოქაჩე მამას ფეხზე. — მიტია ნუ ხტუნავ!..
- როგორ მეძნელება ადგომა! ბრ-რ-რ... მაკანკალებს!..
- როგორღაც მცივია... თუ ეს ძილისაგან არის, ა? მაშ წავიდეთ, წავიდეთ... აი, შე ეშმაკო მაშიკ! — გინდა ჩემი კოვზი დაითრიო?
- ე! ჩვენ თითქო დღესასწაული გვაქვს: ეს რისი წვეცია?... ხორციით!
- იცი, მე შემეშინდა რომ ცხენის ნაჭერი არ გაფუჭებულიყო. ხომ ხედავ როგორი სიციხეა დღეს. მთელი თოვლი გაადნო; სახურავებზე მისი ნამცეცვიც არ არის.
- ასე, რომ შენ ის მთლად მოვიხარშავს? ეხ, ლიზოკ! ხომ იცი ულუფაზე მეტს ვერ ვითხოვ, რაღაც უნერხულია. ეხლა რაღას გავაწყობთ, — მოდიოთ, ვქამოთ. დოგვი არ არის?
- აი ბურჭუი!
- რათა ვარ — ბურჭუი?
- უწინ ქარხანაში როდის სჭამდი დოგვს?
- უმისოდაც იყო სიმწარე.
- არა, არც აგრე! —
- აგრე არა, მაგრამ — უფრო მეტი კი იყო: ერბო იყო ყოველ დუქანში. ეხლა კი...
- აი, დაიწყო... რომ კითხოთ კომუნისტკაა! —
- რათ არა ვარ კომუნისტკა? — იდეა — რჩება იდეათ. მე გული არ მომდის, მე ვიგონებ. მხოლოდ ლიოშა, გეთაყვა, შენ გული ნუ მოგივა! და არ შეიძლება ასე, სრულიად უქონო? მიტია და მაშა ხომ ეხლა ზრდაში არიან? შეხედე როგორი გაფითრებული სახე აქვს ორივეს. ძვალი და ტყავი. ასე უნდა იკვებებოდნენ ეხლა ესენი? ჩვენაც ხომ გაჭივრებულები ვიყავით, მაგრამ ამათ ჰასაკში გაცილებით უფრო კარგად გვაჭმევდნენ!.. ხომ ხედავ და მეც გული მტკივა. ჩვენი ბავშვებია... შენთან კი ამას ვერ გაამხელ.
- რა გინდა, ეხლა ხომ არ გინდა რძის მდინარეები?
- აი, როგორ პასუხს იძლევი?!
- მიტია, ნუ ათამაშებ ჩანგალს!
- მდინარე არა, მაგრამ შეგეძლო დაგერევა იგნატიევისთვის, ან და სულ უბრალოდ, მდიენისთვის. შენ არ იფიქრო თითქო ეს კაბრიზია. ყველა ღებულობს ნორმაზე მეტს. თითონ განსაჯე: რას გეცხარ შენ ეხლა? კატორლაში, იქაც შენ უფრო კარგად იყავი. სასაცილოა სწორედ, იმუშაო როგორც ხარმა, — დღე და ღამე გააერთიანო და საქმელი ქამო ბელურას კერძიდან. აქ და დიქტატურაა პროლეტარიატისო! ეცადეთ! ცერცვის ფელამუში არ დაკიმფავდეთ.
- აი, შენაც ეძებ რაღაც კალამბურებს! — შენ, მოხოცე ერთი დედა შენს ცხვირი, თორემ შენზე დიქტატურის მოპოვებით გავგანადგურებს. — სამართლიანად რომ ვთქვათ: მთელი შენი მსჯელობა — სისულელეა, მარტო ჩვენ ხომ არ ეცხოვრობთ ასე. ასე ათასობით არიან, რომელთაც ასეთებიც არ უნახავთ. რას იტყვიან, ისინი, შენ რომ ხაჭაპურები აკეთო? — ის არის რომ ქარხნებში



ლაპარაკობენ: კომისარი ისეა როგორც ღმერთთან მზეთა მზეო! ქალაქში არ არის ერთი ღერი შეშა და ჩვენთან?

განა შენთან შეიძლება ლაპარაკი? — ორი თვეა, საპონის ნაკერიც არ არის აი, გაურეცხავი ტანისამოსით დაეიარებით. ერთი გბრუნენქნ მანც გეშოვნა. ეს მინც მოგესმინა...

— რომ მომესმინა, რომ მომესინა. მესმის... დღეს, მოვიდა ერთი ბურჟუი ქალი, ბალერინა, ერთი ლუკმა პურისათვის ყველას ნებდებოდა... შპიონების წრეში მოხდა და ერთი ბეწვით აცდა დახერეტას... ვერ მოასწრო დაახლოება... ესეც ხომ მხოლოდ ერთი ლუკმა პურისათვის ხდება, რალაც გროშებისთვის... მოუხერხე ჩემთან ადგილი, ფილანტროპობა გავწიე. — რას მიყურებ? მართლა, სერიოზულად ვლაპარაკობ. —

— უყურე, უყურე, თვალები არ ავიხვიოთ იმ ქალმა,

— ვერაფერსაც ვერ იხამს!

— მიტკა, მომიტანე ერთი პაპიროსი, ფიჯაკის ჯიბიდან, თუმცა მე თითონ...

მზის სხივი ლოგინიდან მიცოცავს კედელზე. ფანჯარაზე გადატყდა და შპალერები შეღება სპილენძის ფერად.

— ვინ მოხსნა ტელეფონს მილი? ეს ბავშვებო, ერთ სასჯელად ჩემთვის თქვენაც საკმარისი ხართ; ვინმე იქნებ რეკდა კიდევ და ჩვენ ვერაფერს ვერ გავიგონებდით.

ხუ ჯავრობ, ლიოშა, ეს მე გინეგობრე. უნდა დაისვენო თუ არა... სამოვარი არ დავდგა?

— დაადგი, ოლონდ, იცი, მე კიდევ წავიძინებ. თორემ ღამით იმდენი სამუშაო მაქვს... აეტომობილი რო მოვიდეს გამალეიძე?

ე-ებ, შენ ისევ აცოცდი? ფეხსაცმელი გახვეია და უწინდოთ კი დადის...

— მე რამდენი ხანია ვითხარი, რომ ბავშვებს არა აქვთ წინდები...

— ჰო, ჰო, ჰო, მაგრამ როგორ მოვიტყუოთ ლიზა? აი დავარღვევთ ბლოკადას... ე-ე-ახ!

— კარგი დაიძინე, დროზე გაგალეიძებ.

— დედიკო რა არის ბლოკადა? —

— ჩუმად, მაგას ძინავს.

მაგას ძინავს! ბავშვები კი ჩუმად აცოცდენ ფანჯარაზე, რომ უყურონ თუ როგორ ეფარება სახურავებს მზის ბურთი და როგორ ღებავს წითლად მის ირგვლივ ზეცას. პატარა ეზოს, ტალახიანი ძირით, დაეცა უკანასკნელად მზის სხივი, რომელიც ღიმილით ემშვიდობება ირგვლივ ყველაფერს, გადადის კედლებზე. ფანჯრის ქუქრუტანაში ქარი უბერავს. ქარი გაძლიერდა. ღრუბლებს აცლის ნაკუწებს და ცისკენ მიაქანებს. წერილი ხმით ამღერდა სამზარეულოში სამოვარი. ზეცა ბნელდება და სიბნელეში მორცხვად გაივლია მოცანცახე ვარსკვლავმა, თითქო ალმასის წვეთი წვრილ ძაფზე ირბევა და სწუხს, ემინია დაბლა ჩემოვარდნის — დაბლა მიტიასთან და მაშასთან, რომელთაც დაუღლიათ პატარა პირები გაორთქლილ ფარჯარასთან. ვალცმა აკრიბა ყველა ქალღმერთი, მოიხურა წამოსასხამი და დაბლა დაეშვა.

მოედანზე მას უდარაჯებდა ლიპშაევიჩი.

ჩვენ ერთი გზით წავალთ? სად ცხოვრობთ თქვენ? კაპიტანის ქუჩაზე? ეს ხომ ჩემ ახლოს არის. თუ მე არ შეგაწუხებთ?

და წავიდენ ერთად რხევით, თეხი სრიალობდა ქვაფენილზე, სალამო იყო გვიანი და სოველი. ლიპშაევიჩს ეცვა დიდი გალიფე და ვენგურული ფეხსაცმელები. ხელზე უკიაფობდა ბეჭედი, ალბად ამის მიზეზით ბეჭედიც ხელს ხშირად აქნევდა. მან დაიწყო მუსაიფი თეატრებზე, დრამაზე, ბალეტზე, ცირკებზე ვალცს ფეხი გაუსხლტა, ლიპშაევიჩმა ხელი მიაშველა და სახლამდე მიდიოდნენ ხელი ხელ გაყრილი. მისი თვალები სხვანაირად ანათებდნენ და მისი მძიმე სუნთქვის ხმა ელენეს პირდაპირ ყურში წვდებოდა. კარებთან გამოემშვიდობენ. ვალცმა საჩქაროდ გაიბრინა კარიბჭეები, გაიარა ატალახიანებული ეზო. სიხარულით მისჩერებოდა ცაზე მოკიაფე ვარსკვლავს. ათასჯერ დათვლილ საფეხურებს ავიღდა სწრაფად, დააკაკუნა და ჩუსტებიან დედაკაცის გამოხმაურებაზე უპასუხა მაგარი ხმით.

— ეს მე ვარ.

— თქვენთან კი თქვენი ძველი ნაცნობი იყო, უთხრა დიასახლისმა და მოქაჩა პაპიროსი.

— ნაცნობი? — და სწრაფად გაქრა ნათელი ზღაპარი, წასულ დღის.

— ის, შარშან რომ დადიოდა ხშირად, დატოვა შეხვეული რაღაც, და წერილი. ზომაზე მეტად აინტერესებდა სად იყავით თქვენ: მე მახ ყველაფერი მოუყევი.

სასწრაფოდ გამოტაცა კლიტეები დიასახლისს. მიქრის თავის ოთახისკენ და მართლაც: მაგიდაზე დევს ქალაქში შეხვეული ნივთი და ლურჯი კონვერტი. ანთო სანთელი, ათრთოლებულ ხელებით ხსნის შეხვეულს.

ღმერთო ჩემო, შოკოლადი! ეს ხომ ნახევარი ფუთი იქნება!

იჭრება თმის შპილკით კონვერტი.

„ჩემო საყვარელო ნელი“!

მე ჩამოვედი აქ შემთხვევით, ჩამოვიტანე ცოტა შენთვის. მე არ შემეძლო რასაკვირველია ასე მალე დამვიწყებოდა, რომ ჩემ კატუნიას უყვარს შოკოლადის წუწნა და რამდენხანს გაძლო მან უმისოდ, მაგრამ ეხლა დიასახლისიდან გავიგე რომ ჩემი კატუნია მივიდა პირდაპირ ვეფხვებთან სამსახურისთვის. რა გაეწყობა? შენ კარგად იყავი!

თუ ეს სერიოზული განზრახვაა, მაშინ უკანასკნელ მოგონებათ ჩემზე დარჩეს ეს შოკოლადი.

და თუ ეს მხოლოდ კაპრიზია, ჩვეულებრივი, რომელიც მალე გაქრება, უნდა ითქვას რომ ის მეტად სახიფათოა და გაბედული. მე შინდა დავიჯერო, რომ ჩემი კატუნია დარჩება ისევ ჩემ საყვარელ, ძვირფას პატარა მხეცად, თუ ეს ასე მოხდება, მაშინ (იმ მომენტში, როცა თქვენ ამ ფურცელს კითხულობთ, მე ეზოდან ვადევნებ თვალყურს თქვენს ფანჯარას) თქვენ გადაიტანთ სინათლეს მთლიანად ფანჯარაზე და იმ წამსვე ჩააქრობთ; ამის შემდეგ ფრთხილად გამოხვალთ უკან და გამიღებთ კარებს. დიასახლისმა არ უნდა იცოდეს არაფერი ჩემი მოსვლის შესახებ. ნახვამდის! მე გიცდი: როგორც გინდა. ან ვეფხვებთან—ჩემ წინააღმდეგ, ან ჩემთან, შენს ნაზ ედვარდთან.

P. S. პასუხის დაგვიანებას მე ვერ დაუცდი და საჩქაროდ გავშორდები ამ ადგილს, სამუდამოდ.

ე. ბ.

ფურცელი უვარდება ხელიდან ვალცს. როგორ მოიქცეს? ასე ჩქარა? ფანჯრის გადაღმა ედვარდი. პირუპაპარსული, სუფთა, ფაფუკი, სანდომიანი, მაგიდაზე

მის წინ ხომ მისგან გამოგზავნილი შოკოლადი დევეს. როგორ მოიქცეს? ანიშნოს? იქ კი დიდ კაბინეტში, მოლურჯო კაბინეტში, ის,—ბატონ-პატრონი/ მის ახლო განზრახვების, მის მიმართ ასე ფაქიზი და დანარჩენებთან ~~ქვეყნის~~ ზუდინი. როგორ მოიქცეს?


გ ი ბ ლ ი ი მ ი მ ე კ ა


„პასუხის დაგვიანებას მე ვერ დაუცდი“.

მოხდეს, რაც მოხდება. ის ხომ თავს არაფრის ნებას არ მისცემს. მართლაც და არ შეიძლება ამისთვის, შენს თავს აუკრძალო ედვარდთან დალაპარაკებაც კი, არ შეიძლება გახდეს ასეთი არაკეთილშობილი.

ძვირფასო, საყვარელო ედვარდ! მან გაბედა და მის ფანჯარასთან იცდის! ეხლავე. ეს კი?.

სინათლე, როგორც ჰეპელა გადაფრინდა მალლიდან ფანჯარაზე. ორი წუთიც და დაბნელდა.





ვ. ი. ულიანოვი-ლენინი

ფ. მახარაძე

## რუსეთის რევოლუციონერ და ლენინი

ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა — ეს რუსეთის რევოლუციონერ მოძრაობის ისტორიაა ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში; ეს იმავე დროს რუსეთის მუშათა კლასის, პროლეტარიატის და გლეხკაცობის ისტორიაა. სავსებით სამართლიანად შენიშნავს ანხ. ტროცკი ლენინის შესახებ ერთ თავის დახასიათებაში: „ლენინი ასახიერებს თავის თავში რუსეთის მუშათა კლასს არა მარტო მის პროლეტარულ აწმყოში, არამედ მის ახლო გლეხურ წარსულშიაც“. ამ სიტყვებს მეტად ღრმა მნიშვნელობა აქვს.

საიდან მომდინარეობს ლენინის უდიდესი, თითქმის უმაგალითო მთელ ისტორიაში, როლი რუსეთის რევოლუციაში? საიდან დაიშახურა მან თავის სოცხლენივე ასეთი ენით გამოუთქმელი სიყვარული მთელი მშრომელი ხალხისა, როგორც ქალაქის მუშის, ისე სოფლელი გლეხისაც? ერთი სიტყვით მოკლედ რომ ვთქვათ, რაში მდგომარეობს საიდუმლოება ლენინის მართლაც განუზომელ,

ჯერ არავისგან მიღწეული ვავლენისა მუშათა კლასზე ერთი მხრით, და რევოლუციონურ მოძრაობაზე მეორე მხრით?

აშკარაა, ამის ახსნა შეუძლებელია მარტო ლენინის უდიდესი მუშა-გონებით ან გენიოსური ნიჭით. კაცობრიობას შეიძლება ყავდეს და ყავდეს ახლაც მასთან შედარებით უფრო ნიჭიერი პირებიც. საქმე მარტო-მარტოა და დიდი ნიჭი როდია. საქმე ისაა, რომ ლენინი იყო **მარქსის მოწაფე**, და მასთან ისეთი მოწაფე, რომლის მსგავსი მარქსს ჯერ არ უოლია და რომელმაც ბევრ რასმეში, პრაქტიკაში, აჯობა თავის მასწავლებელს. არავის ისე მდაბიურად და იმავე დროს ცოცხალის სინამდვილით არ ვადმოუცია ეს ჯერ ჩვენთვის, როგორც ვადმოგვცა ეს ჩვენ ამას წინად ამხ. **კრუპსკიამ**, — ლენინის განუყრელმა ამხანაგმა და მეგობარმა: „მხურვალე სიყვარულით უცემდა მას (ლენინს) გული ყველა მშრომელთადმი, ყველა დაჩაგრულთადმი... ეს გრნობა მიიღო მან მემკვიდრეობით რუსეთის თავგანწირულ და გმირულ რევოლუციონურ მოძრაობიდან. ამ გრძნობამ აიძულა იგი ვაფაციცებით და მხურვალედ ეძებნა პასუხი იმაზე თუ რანაირი უნდა იყოს მშრომელთა განთავისუფლების გზები. ამ კითხვაზე მან პასუხი მიიღო მარქსიდან. არა როგორც მწიგნობარი მივიდა იგი მარქსთან. იგი მივიდა მარქსთან, როგორც ადამიანი, რომელიც ეძიებდა პასუხს გულსაკლავ და გადაუღებელ კითხვებზე, და მან პოვა იქ პასუხი, ამ პასუხით მივიდა იგი მუშებთან... მივიდა და მოუთხრო მათ ის, რაც მან გაიგო მარქსიდან... იგი მივიდა მათთან, როგორც ამხანაგი... იგი არა მარტო ელაპარაკებოდა და ასწავლიდა მათ, იგი უურადლებით ისმენდა, რასაც მას მუშები ელაპარაკებოდნენ და მუშებიც მოუთხრობდნენ მას არა მარტო ფაბრიკებში არსებულ წესების შესახებ, არა მარტო მუშების ჩაგვრის შესახებ, ისინი უამბობდნენ მას ცხოვრებას თავიანთ სოფლებშიაც.“ ამ სიტყვებში ნათქვამია მოკლედ და მდაბიურად თითქმის ყველაფერი.

პირველად, სიყვარული მშრომელთადმი, მუშისა და გლეხისადმი, მაგრამ არა ისეთი სიყვარული, რომელიც იწვევს მხოლოდ სიბრაღულს და ან სიტყვიერ თანაგრძნობას, არამედ ისეთი, რომელიც იწვევს მოქმედებას, რომელიც შეანძრევს მთებსაც კი; მეორედ, ცოდნას მუშის და გლეხის მდგომარეობისა და შეგნება იმის, თუ რა ესაჭიროებოდა რუსეთის მუშათა კლასს, რომ ამ მდგომარეობიდან თავი დაეღწია; მესამედ, მემკვიდრეობა, რომელიც ვადმოცემული იყო რუსეთის წინანდელ გმირულ რევოლუციონურ მოძრაობის მიერ; მეოთხედ, მარქსის მოძღვრება, რომელიც ერთადერთი ნარჯვე იარაღი უნდა გამხდარიყო რუსეთის რევოლუციის მოწვევალ განვითარებაში.

ლენინმა პოვა მარქსის მოძღვრებაში ის გზა, რომლითაც მოწვევალში უნდა ეცდო რუსეთის რევოლუციას. მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ორი მთავარი გარემოება.

**პირველი გარემოება.** რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობას, სანამ მასში დაიწყება ახალი ხანა ქალაქის მუშათა კლასის ამოძრავებით, ე. ი. მარქსიზმის გამოყენებით, ქონდა საკმარისად ხანგრძლივი და საკმარისად მდიდარი ისტორია. „დეკაბრისტების“ აჯანყების შემდეგ ამ მოძრაობამ განვლო ხანა: ჯერ მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე და მეორმოცდაათე წლების განმანათლებლების (ბელინსკი, სტანკევიჩი, გრანოვსკი, გერცენი, ივარევი და სხვ.) შემდეგ მესამოცე წლების მოღვაწეების (ჩერნიავსკი, დობროლიუბოვი, ანტონოვიჩი, მი-

ხაილოვი, შჩაპოვი და სხვა.) და ბოლოს მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლების ნაროდნიკულ პარტიების რევოლუციონური მოღვაწეობა მუშათა კლასის გამოსვლით რევოლუციონურ მოძრაობაში. იწყება სრულიად ახალი ხანა რუსეთის რევოლუციაში არა მარტო იმ მხრით, რომ იცვლება მეთოდები, არამედ მით, რომ ანიეროდან რევოლუციის მეთაურად იქნებიან მებრძოლად გამოდის პროლეტარიატი. მაგრამ ეს არ უნდა გაგვოთ ისე, რომ ვითომც გავლილი ხანის რევოლუციონური გამოცდილება და მდიდარი მემკვიდრეობა სრულიად უკუგვეგდო. სამწუხაროდ, ბევრს ეს სწორედ ასე ესმოდა და წარსულ მოძრაობაში ვერ ხედავდენ აქა-იქ გაბნეულ მარგალიტებს, ანუ მრავალ უარყოფით მხარეების გვერდით ვერ ამჩნევდენ ზოგიერთ დადებით მხარეებსაც. შეიძლება ითქვას, რომ თითქოს ერთადერთი, და მეტად გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ლენინი, რომლის სიდიადე სხვათაშორის, მდგომარეობდა იმაშიაც, რომ იგი არა თუ შეიქნა მუშათა კლასის ნამდვილი მეთაური და გზის მაჩვენებელი რევოლუციონურ მოძრაობის ახალ ხანაში, არამედ მან მოგვცა შესანიშნავი მაგალითი იმის, თუ როგორ უნდა წარსული გამოცდილების გამოყენება და გადმოღება და შეთვისება იქიდან იმის, რაც იქ კარგი და უაღრესად რევოლუციონური იყო. ლენინი იყო პირველი, რომელმაც საესებით გადმოიღო და შეითვისა ის, რაც იყო კარგი და რევოლუციონური ბელინსკში, ჩერნიშევსკში, მესამოცდაათე წლების ნაროდნიკებში და „ხალხის ნების“ პარტიაში (партия „Народной Воли“), ევლიაბოვში, პეროვსკაიაში და სხვ. მართალია, ბევრ რამეში ისინი ცდებოდნენ, შემცდარი გზით მიდიოდნენ, მაგრამ განა იმათ ცოტა თესლი ჩაყარეს ხალხში მის გამოსალვიძებლათ და ასაჯანყებლად არსებული სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ, განა ნაკლები თავგანწირულება ან ცოტა მსხვერპლი გაიღეს იმათ ხალხის თავისუფლების სამსხვერპლოზე? ამიტომ ლენინს არ შეეძლო არ დაეთასებია ყოველივე ეს და არ მიეღო ის „რევოლუციონური მემკვიდრეობა“, რომელზედაც ჩვენ მოგვაგონა ამხ. კრუპსკაიამ. ეს იყო სიყვარული ხალხისადმი ერთი მხრით და სიძულვილი მეფობისადმი და ბრძოლა მის დასამხოებად მეორე მხრით.

**მეორე გარემოება:** „ჩვენი მოძღვრება არაა დოგმა (ე. ი. ერთხელ და სამუდამოდ მოცემული სწავლა, თეორია) არამედ ისაა სახელმძღვანელო მოქმედებისათვისო“, — ამბობდენ ხშირად მარქსი და ენგელსი და ამავე სიტყვებს იმეორებდა ლენინიც. მარქს-ენგელსის მოძღვრება იყო უაღრესად რევოლუციონური: ის ქვას-ქვაზედაც არ ტოვებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. მარქსი და ენგელსი შეურიგებელი მტრები იყვნენ ბურჟუაზიის ბატონობისა და ბურჟუაზიული წესწყობილებისა, ისინი მთელი თავისი ძალღონით და ყოველი თავისი მეცნიერული სწავლა-ცოდნით შეიარაღებულნი ქადაგებდნენ ბურჟუაზიის ბატონობის ძალდატანებით დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. ისინი იყვნენ ნამდვილი რევოლუციონერები. მაგრამ დროთა ვითარების განმავლობაში მარქსიზმის რევოლუციონური მხარე თანდათან იჩრდილებოდა და მის ადგილას ნელნელა და შეუმჩნევლად იჭერდა უფრო ზომიერი მიმდინარეობა, რომელიც სიტყვით თუმცა რევოლუციის დროშით გამოდიოდა, მაგრამ საქმით მოქმედების რევოლუციონურ მეთოდებს უარყოფდა. მარქს-ენგელსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე, როგორც მუშურ სახელმწიფოს აუცილებელ ფორმაზე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ ხანაში, თანდათან

მივიწყებულ იქნა, ან და მას პრაქტიკულ მნიშვნელობას აღარ აძლევდნენ. გასული საუკუნის მეოთხმოცე და მეოთხნოცედაათე წლებში გერმანიაში ჩინოყალიბდა **სოც.-დემოკ. პარტია**, რომელიც დაადგა პარლამენტარულ ბრძოლის გზას, პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დასაბყარეფიერებელი რევოლუციონური გადატრიალება ეხატებოდათ თვალწინ ოცნებაში. მარქსის ხლოცვლილება, როგორც თანდათან ცვლილება საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში და მშვიდობიანი უთანხმოება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის სოციალურ რეფორმების მოხდენის და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების ნიადაგზე. საინტერესოა აგრეთვე ის, რომ **გლებკაცობა**, რომელიც, ზოგიერთი ქვეყნების (როგორც, მაგ., ინგლისის) გამოკლებით, ყოველგან მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენდა და რომლის დიდი უმეტესობა უკიდურესად იჩაგრებოდა, თითქმის სრულიად უყურადღებოთ იყო დატოვებული და მის გამოყენებაზე ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანიის სოც.-დემ. პარტიის პროგრამა არაფერს ამბობდა.

გერმანიის სოც.-დემოკრ. პარტიის პროგრამა და მისი ტაქტიკა იმ ხანებში დასაბუთი იყო როგორც მაგალითი ყველა სხვა ქვეყნების სოც.-დემოკრ. პარტიებისათვის და საერთოდ მთელი **მეორე ინტერნაციონალისათვის**. მაგრამ შეიძლებოდა განა ასეთი მეთოდით, ასეთი გეგმით მოქმედება მაშინდელ რუსეთის პირობებში? მასთან არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ იმ დროს უკვე გერმანიის სოც.-დემოკრატია და მთელი მეორე ინტერნაციონალი არსებითად აღარ იდგენ რევოლუციონურ მარქსიზმის ნიადაგზე. როგორც ერთი, ისე მეორე მაშინ უკვე უხვევდნენ **რევიზიონიზმისა, მარქსიზმის გადაშინჯვისა და რეფორმიზმისაკენ** (ე. ი. ძალდატანებითი რევოლუციონური გადატრიალების უარყოფამდე). ყოველივე ამას სულ ერთიანად ეწინააღმდეგებოდა ნამდვილი მარქსიზმი. მარქსიზმი უარყოფდა ყოველივე დოგმას. **მარქსიზმი ისტორიულ ანალიზის მეთოდია**. მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესობას ეს ასე როდი ესმოდა. ფიქრობდნენ, რომ მარქსმა ერთხელ და სამუდამოდ ყველა ქვეყნისათვის და ყველა დროისათვის ჩამოაყალიბა და განსაზღვრა საჭირო ფორმულებიო. ეს იყო სრული გადამაბინჯება და გაყალბება მარქსის მოძღვრებისა, მაგრამ ასეთი ტრადიცია უკვე შექმნილი იყო იმ ხანებში, როცა რუსეთში დაიწყო მარქსიზმის გადმონერგვა. მაგრამ ასეთი მიდგომა, ასეთი მეთოდი სრულებით არ შეეფერებოდა რუსეთის პირობებს. რუსეთში ქალაქის მუშები თავის რაოდენობით წარმადგენდნენ ხალხის უმნიშვნელო ნაწილს, და ამასთან სრულიად აბალგანდა კლასს. დიდ უმრავლესობას შეადგენდა ძალზე გაჭირვებული, უკიდურესად დაჩაგრული გლებკაცობა, თუმც სრულიად შეუგნებელი და ბნელი, მაგრამ თავისი ობიექტიური მდგომარეობით ერთად-ერთი **მოკავშირე რევოლუციონური პროლეტარიატისა**. პროლეტარიატს შეეძლო გამოსულიყო როგორც **ორგანიზატორი** და როგორც **მეთაური რუსეთის რევოლუციისა**, მაგრამ მარტო თავის საკუთარ ძალით, სხვა რომელიმე კლასის დაუხმარებლად, იგი ვერ შესძლებდა რევოლუციის მოხდენას.

მაგრამ რომელ კლასზე შეეძლო პროლეტარიატს დაყრდნობა, ან რომელი კლასი შეეძლო მას გაეხადა თავის მოკავშირედ რევოლუციაში? თუ ეს საკითხები დღეს ამკარაა ყველა ჩვენთვის, ეს სრულებით ასე არ იყო მაშინ, როცა ჩვენში ისახებოდა სოც.-დემოკრ. მოძრაობა და ლენინი მის მეთაურად იწყებდა გამოსვლას. მეორე გარემოება, რომელიც განსხვავებას ქმნიდა მუშათა კლასის

მოძრაობაში რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის, იყო პოლიტიკური პირობები ჩვენში და დასავლეთ ევროპაში. თუ დასავლეთ ევროპაში მუშების პოლიტიკური და პროფესიონალურ ორგანიზაციების არსებობა და იმათი ჩამოღწევიმე მუშაობა დაშვებული იყო ადგილობრივ კანონმდებლობათა ჩარჩოებში და ამ ორგანიზაციებს რანდენიმედ ითმენდნენ იქ-სპიტალის-ტების და მემამულეების მთავრობები, რუსეთში ყოველივე ეს წარმოუდგენელი იყო, რადგან აქ მძინვარებდა მეფის აბსოლიუტიზმი, ანუ შეუზღუდველი თვითმპყრობელობა. თავისთავად იკულისხმება, რომ ევროპის ყალიბი რუსეთისათვის არ განოდგებოდა; რევოლიუციონური მოძრაობა აქ სხვა გზით უნდა წასულიყო. საჭირო იყო უფრო ღრმად დაკვირებოდენ მარქსის სიტყვებს: „ჩვენი მოძღვრება დოგმა როდია, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის“. ე. ი. იხელმძღვანელებთ ამ მოძღვრების მეთოდით, და არა ერთხელ და სამუდამოდ გამომუშავებულ ფორმულებით.

ლენინმა თავიდანვე აღლო აუღლო რუსეთის ამ თავისებურ პირობებს და რევოლიუციონურ მარქსაზმით შეიარაღებული იგი სავსებით დაებჯინა რუსეთის ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებზე. რუსეთის ხალხის პოლიტიკური განთავისუფლება და შემდეგ სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენა ლენინმა გამოიხიმა თვით რუსეთის ხალხთა შინაური საკუთარი ძალების მიხედვით. ეს იყო რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში სრულიად ახალი და დამოუკიდებელი გზის ჩვენება და გაკვალვა, ისეთი გზის, რომელიც თითქმის არსებითადაც განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპაში შემუშავებულ და ჩამოყალიბებულ გზიდან. ეს მეტად ძნელი ამოცანა იყო, მაგრამ ლენინის გენიოსურმა ტენიმა მშენიერად შესძლო მისი გადაჭრა. ერთ უმთავრეს ამოცანათაგანი იყო პროლეტარიატის და გლეხკაცობის დაკავშირება ისე, რომ პროლეტარიატი გამოსულიყო რევოლიუციის მეთაურად, ხელმძღვანელად და გლეხკაცობა კი მის დამხმარედ და მოკავშირედ.

ამ მიზნით ჯერ იგი შეუდგა პროლეტარიატის პარტიის მოწყობას და ორგანიზაციას სოც.-დემოკრატიის სახით. ამ პარტიის საშუალებით პროლეტარიატს თავის გაღწევისათვის უნდა დაემორჩილებია გლეხკაცობის უმრავლესობა, ანუ მისი უღარიბესი ნაწილი; ე. ი. გლეხკაცობა გამოეთიშა ყველა ბურჟუაზიულ თუ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებიდან და გამოეყვანა გადაჭრით რევოლიუციის მომხრედ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა რუსეთის რევოლიუციის საქმე სავსებით უზრუნველყოფილი. რა თქმა უნდა, თავი და თავი იყო ამ მეტად სერიოზულ საკითხის დასაწყისშივე სწორად დაყენება.

სრულიად გასაკვირალი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რუსეთის სოც.-დემოკრატიაშიაც იმ თავითვე გაჩნდნ დასავლეთ ევროპის შაბლონის მომხრეები, ე. ი. ისეთები, რომლებიც თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწყევდენ რუსეთის თავისებურ პირობებს, რომლებიც გერმანიის ს.-დემ. პარტიის მეთოდებს პირდაპირ უცვლელად უპირებდნენ რუსეთში გადმონერგვას, რომლებიც არ აფასებდენ გლეხკაცობის უდიდეს მნიშვნელობას რევოლიუციისათვის და, პირიქით, ხედავდენ მასში რევოლიუციისათვის უარყოფით ძალას ან ფაქტორს და ამიტომ ამჯობინებდენ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დაკავშირებას. ესენი იყვნენ მენშევიკები, მარტოვის, მარტინოვის და შემდეგ თვით პლეხანოვის მეთაურობით, რომლებიც ჩამოყალიბდნ 1903 წელს რუსეთის სოც.-დემ. პარტიის მეორე ყრილობაზე. ლე-



ნინი და მისი მომხრეები (ბოლშევიკები) სასტიკათ შეებრძოლნენ მარქსიზმის ამ გადამახინჯებას და გაყალიბებას. ეს ბრძოლა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის სწარმოებდა თითქმის მთელი ორი ათეული წლების განმავლობაში, და უნდა ვთქვათ, რომ ამ ბრძოლის მთელი სიმძიმე დააწვათაქვს განსაკუთრებით მარტო ლენინს, და ბოლოს იგი იქიდან გამოდის სრულ განმარტებულად.

მაგარ და ძლიერ პარტიას (სოც.-დემ. ბოლშევ. ორგან.) უნდა დაერაზმა და შეეკავშირებია პროლეტარიატი, როგორც მუშათა კლასი, და პროლეტარიატის საშუალებით კი სოც.-დემოკრატიას უნდა აემოძრავებია გლეხკაცობა. და სწორედ ლენინის მთავარი ყურადღება იყო მიმართული გლეხ-კაცობის დარაზმვისაკენ და მის ამოძრავებისაკენ; ამიტომ ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის წინ მან პირველად გადაისროლა ლოზუნგი **საგლეხო კომიტეტების** შედგენის შესახებ. 1906 წლის დასაწყისში, მარტის თვეში, იგი სწერდა: „განა აშკარა არაა, რომ რესპუბლიკისათვის ბრძოლა პროლეტარიატისთვის წარმოუდგენელია ხალხის წვრილ ბურჟუაზიულ მასასთან დაუკავშირებლად? განა აშკარა არაა, რომ პროლეტარიატის და გლეხკაცობის რევოლუციონური დიქტატურის გარეშე ამ ბრძოლაში გამარჯვებაზე არავითარი იმედი არ უნდა ვიქონიოთო“. თავის აგრარული პროგრამა და ტაქტიკა ლენინმა თითქმის სავსებით დაუმტკიცებდებარა სწორედ პროლეტარიატის და ჯღარბესი გლეხკაცობის რევოლუციონური დიქტატურის განხორციელებას. როგორც პირველ რევოლუციის დროს, ისე ამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი გაუაცოცებით ადევნებს თვალს იმას, რომ ეს საკითხი, ე. ი. კავშირი პროლეტარიატსა და გლეხკაცობას შორის არ იქნას დაჩრდილული ან მით უფრო დავიწყებული, რომ აქ არ იქნას დაშვებული რაიმე შეცდომა. შემდეგ თავის ცნობილ **აპრილის თეზისებში** (1917 წ.) ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა საგლეხო საკითხს, მაშინ მან ხელახლა წამოაყენა **საგლეხო კომიტეტები** მით უფრო, რომ ახლა უკვე შესაძლებელი იყო ამ ლოზუნგის პრაქტიკაში განხორციელება. **ოქტომბრის რევოლუციის** შემდეგ, როგორც სამოქალაქო ომის, ისე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის („ნეპ“) ხანაში ლენინი შესანიშნავად იცავს პროლეტარიატის და გლეხკაცობის კავშირს, რადგანაც ამაში ხედავს იგი რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე მიყვანის საფუძველს.

ამნაირად საგლეხო საკითხის გაშუქებაში და გადაჭრაში ლენინმა შეიტანა სრულიად ახალი შეხედულება, მან სრულიად გაადატრიალა და შეესცვალა ამ საკითხის დაყენება, როგორც ის დაყენებული იყო მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიებში.

ამასვე უხედავთ ჩვენ აგრეთვე მეორე არანაკლებ საყურადღებო და კიდევ უფრო რთულ და დახლართულ საკითხში, ესაა **ეროვნული საკითხი**. როგორც აგრარული ანუ სახლეხო საკითხის სწორი და ახალი დაყენებით ლენინმა მრავალმნიშვნელოვანი გლეხკაცობა რევოლუციისაკენ მიიმხრო და პროლეტარიატის ერთგული მოკავშირე გახადა, ისე ეროვნული საკითხის სრულიად ახალი გაშუქებით და სწორი გადაჭრით მან შესძლო ყოფილ რუსეთის იმპერიაში მრავალ პატარა და წვრილ ჩაგრულ ეროვნებათა გულის მოგება და იმავე პროლეტარული რევოლუციის სასარგებლოდ დარაზმვა და გამოყენება. ვინ წარმოიდგენდა რომ ეს დაბეჩავებული ერები, რომლებიც უკვე გადაგვარების და გადაშენების გზაზე იყვნენ დამდგარნი, ისე გამოფხიზლდებოდნენ, რომ პროლეტარულ რევო-

ლიუციას მხარს დაუჭერდნენ! ლენინმა პირველად და გადაჭრით ითელ თავის ძალღონით გაილაშქრა **ყოველი შოვინიზმის** და განსაკუთრებით **რევოლუციონარო-სული** "შოვინიზმის წინააღმდეგ, მან პირველად და შეუდარებლად **ნიტაბი** ახადა, როგორც ლიბერალების, ისე წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტებს (მენშევიკების, ესერების) პოლიტიკას წვრილ და დაჩაგრულ ერების შესახებ და შეუბრალებლად გამოაშკარავა ამ პოლიტიკის სრული სიყალბე და მოღალატური ხასიათი; ლენინმა გამოაცხადა ამ ერების სრული განთავისუფლების ლოზუნგი, იმათ ცალკე **სახელმწიფოებათ გამოყოფამდე** და შემდეგ გაერთიანება იმათი სრული თანასწორობის და ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე. როგორც კი შემთხვევა მიეცა ყველა ეს ლოზუნგები ცხოვრებაში განხორციელება, ლენინი გადაუახვევლად შეუდგა მის განხორციელებას. ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა ჯერ ისტორიას არ ახსოვს. ამით მან **სამუდამოთ შეარყია უდიდეს და ძლევამოსილ კლასების ბატონობა და მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძველი.**

შეუძლებელია აქ უფრო დაწვრილებით განვიხილო ლენინის როლი რუსეთის და საერთაშორისო რევოლიუციაში. მე მსურს მიუთითო მკითხველთ მხოლოდ რამდენიმე მომენტზე. **ავაზაკური** და **მტაცებლური** ომის ატება ევროპაში 1914 წ. აგვისტოში, ლალატი სოციალისტურ პარტიების და მეორე ინტერნაციონალის საერთო არევ-დარევა და დასნეულება. მთელ ამ აურზაურის და არევ-დარევის დროს, იყო მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც ფაქტების ნამდვილი და სწორი მარქსისტული ანალიზის საშუალებით ზომავდა და ითვალისწინებდა აწმყო და მომავალ ამბებს, რევოლიუციის აუცილებლობას და ახალ კომუნისტურ ინტერნაციონალის დაარსებას. **ეს იყო ლენინი.** იგი ოდნავაც არ შედრკა და შეუშინდა იმ გარემოებას, რომ იგი ერთად ერთი იყო იმ დროს, როცა მის ირგვლივ მარტო ლალატი, სისხლის მორევი და ბნელი წყვილი სუფევდა, მაგრამ მან იცოდა და დარწმუნებული იყო, რომ ის მარტო არ იყო, რომ იგი გამოხატავდა მუშათა კლასის სულისკვეთებას, რომ სოციალისტურ პარტიების და მეორე ინტერნაციონალის ლალატს პროლეტარიატი ჩქარა გაიგებდა. იგი პირველად ნათლავს მეორე ინტერნაციონალის სოციალისტებს, როგორც **სოციალ-შოვინისტებს, სოციალ-პატრიოტებს და სოციალ-გამცემლებს.** მას შემდეგ ეს დახასიათება სამუდამოდ დარჩა. წინასწარმეტყველება გამართლდა.

1917 წელს რუსეთში, თებერვალ-მარტში, **იფეთქა დიდმა რევოლიუციამ.** ლენინგრადის მუშებმა, რომელთაც მხარი დაუჭირეს ჯარისკაცებმაც, ტახტიდან ჩამოაგდეს რომანოვების გვარი. შესდგა **მუშათა დეპუტატების საბჭო,** მის გვერდით დაწესდა **დროებითი ბურჟუაზიული სამინისტრო,** ანუ **მთავრობა კაპიტალისტების და მემამულეების მეთაურობით.** ამნაირად ერთბაშად გაჩნდა ორი მთავრობა: **მუშების (საბჭო) და ბურჟუაზიის (დროებითი სამინისტრო).** **ნამდვილ ფაქტიურ მთავრობას წარმოადგენდა მუშათა დეპუტატების საბჭო,** მაგრამ იქ დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ მენშევიკები და ესერები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ მუშურ-გლეხური მთავრობისა და მომხრენი ბურჟუაზიასთან. ე. ი. კაპიტალისტებთან და მემამულეებთან შეთანხმების. მენშევიკები და ესერები ხელს უწყობდნენ ბურჟუაზიულ პარტიებს იმპერიალისტურ ომის გაგრძელებაში და მაგარ ბურჟუაზიულ მთავრობის მოწყობაში. ეს ნიშნავდა

რევოლუციის ბოლოს მოღებას და მუშათა კლასის სრულ დამარცხებას. ამ ლა-  
ლატს ეს ვაჟბატონები ფარავდენ მყვირალა რევოლუციონურ ფრაზებით და-  
მფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ და სხვა. შეიქმნა მეტად რთული პირო-  
ბები, პოლშევიკური პარტია ვერ პოულობდა მარჯვე დასწრეებს. ლენინი  
კი ამ დროს ისევ საზღვარგარედ (შვეიცარიაში) იმყოფებოდა და მხოლოდ ცნო-  
ბებსაც ვერ იღებდა რუსეთიდან. მაგრამ მან უკედ იცოდა, თუ რა ხდებოდა  
რუსეთში. მან გაუკეთა სწორი ანალიზი მომხდარ ამბებს და სანამ რუსეთში  
მოვიდოდა, შეიმუშავა მთელი პროგრამა და ტაქტიკა მოქმედებისთვის. მოსვლი-  
სთანავე ლენინგრადში (1917 წლის აპრილის დასაწყისში) მან გაუზიარა თავი-  
სი პროგრამა თეზისების სახით, როგორც ახლობელ ამხანაგებს, ისე ფართო  
წრეებსაც. პირველ ხანებში მან ვერ იპოვა თანაგრძნობა თავისიანებშიაც. მენ-  
შევიკებმა თითქო მწუხარებით განაცხადეს, რომ ლენინი რევოლუციისათვის  
დაკარგულიაო. ბევრი პასუხისმგებელი ბოლშევიკებიც კი ლენინს ექვის თვალით  
უყურებდნენ.

რას ამბობდა ლენინი თავის თეზისებში? იგი ამბობდა: „1. ჩვენს დამოკი-  
დებულებაში ომის მიმართ, რომელიც რუსეთის მხრით ლეოვის და სხვების ახალ  
მთავრობის დროსაც უსათუოდ რჩება მტაცებელ იმპერიალისტურ ომად, ხულ  
მცირედი დათმობაც კი „რევოლუციონური დაცვის“ მიზნით დასაშვები არაა.

2. „რადგანაც ხალხის ფართო მასა ბურჟუაზიას შეჰყავს შეცდომაში ომის  
გაგრძელების მიზნით, საჭიროა რაც შეიძლება საფუძვლიანად, შედგრად, მოთ-  
მინებით ავუხსნათ მასაც ეს შეცდომა, ავუხსნათ მას დაურღვეველი კავშირი კა-  
პიტალისა და იმპერიალისტურ ომის შორის, დაუშტკიცოთ მას, რომ იმპერია-  
ლისტური ომის დაბოლოვება მართლა დემოკრატიული და არა ძალდატანე-  
ბითი ჯავით შეუძლებელია კაპიტალის დაუმხოვლად.

3. „არავითარი დახმარება დროებით მთავრობას; ახსნა იმის, რომ ყვე-  
ლა მისი დაპირებები დატყუილებაა. განსაკუთრებით ანექსიის უარყოფა...

4. განუმარტოთ მასაც, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო რევოლუცი-  
ონური მთავრობის ერთად-ერთი შესაძლებელი ფორმაა, მაგრამ რადგანაც უმე-  
ტეს შემთხვევაში საბჭოებში ჯერ ჩვენ (ბოლშევიკები) უმცირესობას შევადგენთ,  
ჩვენი ტაქტიკა მდგომარეობს იმაში, რომ მასაც ავუხსნათ შეცდომები და იმა-  
ვე დროს შევაგნებინოთ მას აუცილებლობა სახელმწიფო ძალა-უფლების გა-  
დახვლისა მუშათა დეპუტატების საბჭოების ხელში; საჭიროა, რომ მასა თავ-  
ისივე გამოცდილებით განთავისუფლდეს თავის შეცდომებისაგან.

5. არა პარლამენტარული რესპუბლიკა, მასთან დაბრუნება მუშათა დე-  
პუტატების საბჭოებიდან იქნებოდა უკან გადადგმული ნაბიჯი, არამედ მუშე-  
ბის, ბატრაკების (ბოგანო გლეხების) და გლეხების დეპუტატების საბჭოთა რე-  
სპუბლიკა მთელი სახელმწიფოში. ძირიდან მალლამდე.

6. „გადაყენებ პოლიციის, არმიის მოხელეების, შემამუღეთა ყველა მი-  
წების კონფისკაცია.

7. „სახელმწიფოში ყველა მიწების ნაციონალიზაცია და იმათი გადაცემა  
გლეხების და ბატრაკების დეპუტატების საბჭოებისთვის.

8. არა „შემოღება“ სოციალიზმის, როგორც ჩვენი პირდაპირი ამოცანა,  
არამედ დაწესება დაუყონებლივ მხოლოდ კონტროლის საბჭოების მხრით საზო-  
გადოებრივ წარმოებაზე და ნაწარმოების განაწილებაზე.

„პარტიული ამოცანები:

ა) პარტიის პროგრამის გამოცვლა.

ბ) გამოცვლა პარტიის სახელწოდების („სოც.-დემოკრატიული“ მაგიერ „კომუნისტურის“ დარქმევა).

10. „ინტერნაციონალის განახლება“

აქ მოკლედ და ნათლად ნაჩვენები იყო მომავალი მოქმედების პროგრამა, გზა და ღოზუნგები. ამათი დაუფასებელი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველივე ეს ადვილი გასაგები და მისაბვედრი იყო მასისათვის. „პროლეტარიატის მასიურ პარტიის ტაქტიკა უნდა იყოს მარტივი, ნათელი და პირდაპირი“, ამბობდა ლენინი ჯერ კიდევ 1903 წელს. ასეთი იყო იგი ამ შემთხვევაშიაც. ყოველივე შესრულდა ისე, როგორც იწინასწარმეტყველა ლენინმა. რევოლიუცია წავიდა არა იმ გზით, რომელსაც უმზადებდნენ მას ბურჟუაზიული და ოპორტიუნისტული პარტიები (მენშევიკები და ესერები), არამედ იმ გზით, რომელიც ლენინმა დაგვისახა. მუშები და გლეხები ფიზიკურად აღიარებდნენ თავისი გამოცდილებით, თავისი შეცდომების დანახვით, სწორედ ისე, როგორც ლენინმა იწინასწარმეტყველა. მეტად საყურადღებო და საგულისხმეოა ის, რომ ლენინი სულ მუდამ გვაფრთხილებდა: არამცა და არამც, არც თავისი თავი, არც პროლეტარიატი და არც ხალხი შეცდომაში არ შეიყვანოთ. უნდა ვთქვათ სიმართლე, რადგან „კლასების დატყუილება არ შეიძლება“ არასოდეს არც თავის და არც პარტიის შეცდომებს იგი არ ფარავდა: იგი ამყარებდა იმათ დაუხოგველად. მან იცოდა ანგარიშის გაწევა, როგორც თავის საკუთარ ძალების, ისე თავისი მტრის ისე, როგორც არაფინ. ამიტომ ლენინი იყო უდიდესი სტრატეგი, უდიდესი სარდალი. მან საუცხოვოდ იცოდა, როცა საჭირო იყო თავდასხმა, ან იერიშის მიტანა მტერზე; მან იცოდა ამავე დროს, როცა საჭირო იყო უკან დახევა. იგი იყო სამოქალაქო ომის უდიდესი ოსტატი. მან არა თუ საუცხოვოდ შეისწავლა ის, რაც ამის შესახებ ქონდათ დაწერილი მარქსს და ენგელსს, არამედ მან გამოიჩინა ამ დარგში შეუდარებელი ნიჭი და ბევრად გაასწრო წინ თავის დიდებულ მასწავლებლებს.

ლენინმა ყველაზე უკედ იცოდა, თუ რამდენად დაბეჩავებული, თუ რმდენად ჩამორჩენილი და ბნელი იყო ჩვენში არა თუ გლეხკაცობა, არამედ პროლეტარიატიც თავის მასაში, მაგრამ ამავე დროს მან ყველაზე უკედ იცოდა ის რომ „რევოლიუცია მასას სწრაფად აკავშირებს და სწრაფად უნერგავს მას შეგნებას“, და ამიტომაც რევოლიუციის მოწინავე რაზმის — კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) — ამოცანა მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ მან საგნებით გამოიყენოს ასეთი მდგომარეობა (რევოლიუციონური სიტუაცია). ის, რაც შესაძლებელია რევოლიუციის დროს, ჩვეულებრივ დროს პირდაპირ სისულელე იქნებოდა. იმავე დროს ლენინი გვასწავლიდა იმას, რომ ყველა ადგილისთვის შეუძლებელია ერთი ყალიბით, ერთი შაბლონით მიდგომა. „ცენტრალური რუსეთისთვის, უკრაინისთვის, ციმბირისთვის რომ შეექნათ ერთნაირი ყალიბი, ერთნაირი შაბლონი, დაუქვემდებაროთ ერთ შაბლონს, ეს იქნებოდა უდიდესი სისულელეო, ამბობდა იგი პარტიის მეათე ყრილობაზე. ეს იქნებოდა თვით მარქსიზმის სულის, მარქსის დიალექტიკის უარისყოფა, რომელიც ასე სამაგალითოდ ქონდა შეთვისებული ლენინს. ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიური პირობების ცოდნა, იმათი გამოყენება და ანგარიშის გაწევა, და

არა მზამზარეულ ფორმულები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები, აი მარქსიზმის დედა-აზრი. ყოველივე საკითხი უნდა იქნას „შემოწმებული მსოფლიო ისტორიის ფაქტებით და ვაკვეთილებით“, — ამბობდა ლენინი.

ამ მეთოდის სასტიკი გამოყენებით ცხოვრებაში, პრაქტიკაში ლენინმა მიიყვანა რუსეთის რევოლუცია ბრწყინვალე გამარჯვებამდე. ლენინის მეთოდი უზრუნველყოფს რევოლუციის შენარჩუნებას ჩვენს საბჭოთა ფედერაციაში. ლენინიზმი თავდება პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა მთელ მსოფლიოში.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ლენინის თხზულებათა ქართულად გამოცემის შესახებ.

ამას წინედ, ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ერთ გერმანელ კომუნისტს ასეთი სურვილი განუცხადებია: „ჩვენი თხოვნაა, მოგვეცით დაუყონებლივ ლენინის ყველა თხზულებები გამოუკლებლივ ვეროპის უმთავრეს ენებზე, და არა მარტო მისი რჩეული ნაწერებიო“. ეს სურვილი მეტად საგულისხმიეროა. ლენინის თითოეული ნაწერი, თითოეული ნათქვამი, თითოეული მოხსენება და წინადადება, ჩაწვნილია რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიაში ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში. უამისოდ შეუძლებელია რუსეთის რევოლუციის ისტორიის შესწავლა და გაგება. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ლენინის ერთი ან რამდენიმე ნაწერის გამოცალკავება, ეს იქნებოდა ამ ისტორიიდან რამდენიმე გვერდის ამოგლეჯა და მკითხველისთვის მიწოდება. ეს არ ვარგა. მაგრამ მეორე მხრით აშკარაა, რომ მეტად ძნელია გერმანელი კომუნისტის სურვილის დაკმაყოფილება.

როგორც ვიცით, საკავშირო მთავრობის დადგენილებით ლენინის ყველა თხზულებათა გამოცემა უნდა მოხდეს, სხვათაშორის, ქართულ ენაზედაც. რა თქმა უნდა, ამას დიდი დრო უნდა. დღეს კი მაინც საჭიროა, რომ ქართველ მკითხველებს მივაწოდოთ ლენინის ზოგიერთი ნაწერების კრებული, რომელიც რამდენიმედ დაეხმარება ჩვენ მკითხველებს ლენინის მოღვაწეობის გაცნობის საქმეში. მაგრამ მკითხველებმა უთუოდ უნდა იქონიონ მხედველობაში ის, რაც ჩვენ ვთქვით ხევით ლენინის თხზულებათა შესახებ საერთოდ.

## მალაქია ტოროშელიძე



# ღიაღი ღიაღთა უორის

რამდენსა ვწერთ და რამდენს კიდევ დავწერთ ლენინზე, მაგრამ რამდენიც არ უნდა დავწეროთ და რამდენიც არ უნდა დავწეროთ კიდევ, მაინც არ იქნება საკმაო ამ აზრისა და საქმის გოლიათის დასაფასებლათ.

ლენინი გენიოსია. მაგრამ განა ცოტა გენიოსი იყო ქვეყნად რომელნიც ღირსეულადაც დააფასა ისტორიამ, და რომელთაც უკვე გადააჭარბეს შემკვიდრებმა?

ლენინი მხოლოდ მაშინ დაფასდება ღირსეულათ, როდესაც კაცობრიობა საფუძვლიანად და უკანმოუხედავად შევა აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში და დაამყარებს სრულ ჰარმონიას ადამიანთა შორის ურთიერთობაში.

მაგრამ ლენინს ველარავინ გადააჭარბებს, რადგან ისტორიის ჩარხი უკულმავერ მოტრიალდება, პროგრესიულ წინსვლის დროს კი ისტორიას აღარ ძალუძს მოგვეცეს მეორე ლენინი — მან ამ მხრით უკვე ამოსწურა ყველა შესაძლებლობანი.

განა შესაძლოა მეორეჯერ იქნეს აღმოჩენილი ცეცხლი ან რაიმე, რაც მას სჭარბობდეს?

ცეცხლი უკვე არსებობს და მან უკვე შეასრულა, ახლაც აკეთებს თავის საქმეს. ადამიანმა არ იცოდა ცეცხლის აღმოჩენი, მაგრამ გრძნობდა მისდამი დიდ მადლობის გრძნობას და თვითონ ქმნიდა ოცნებით პრომეთეოსებს და ამირანებს, რომლებიც ღმერთებს ებრძოდნენ და მათზე იმარჯვებდნენ. მაგრამ ვინც უნდა იყოს მისი აღმომჩენი, ცეცხლი ცეცხლათ დარჩება, ის დარჩება მთელი კაცობრიობის კულტურის განუყრელ ნაწილათ. რამდენიც უნდა იცოცხლოს კაცობრიობამ, რა სასწულიც არ მოახდინოს მან, როგორთაც არ უნდა დაიბუროს მან ჰაერის და მიწის ქვეშეთის სტიქიონი, პირდაპირი მიმოსვლაც რომ მოაწყოს მარსზე და სხვა ვარსკლავებზე, სიკვდილსაც რომ სძლიოს მან, ცეცხლი მაინც ცეცხლათ დარჩება, დარჩება აუცილებელ პირობათ ადამიანის არსებობისა მის გარდაქმნათა დაუსრულებელ გზაზე, სანამ ის არ გადაიქცევა სხვა არსებათ, სანამ ადამიანი დარჩება ადამიანად.

აგრეთვე ლენინის უკვდავი საქმე ასახლოებს კაცობრიობას მთელი მისი

არსებობის დროს, რომელიც დაშორებული იქნება მონურ ხანას და პირუტყულ სიცოცხლეს.

ცეცხლი იყო ბუნებაში, სანამ ადამიანი მას აღმოაჩენდა. ტყეში ჩამოვარდნილი მეხით გაჩენილი ცეცხლი ატკობს თვით ცხოველებს და მათგანებს, რომლებიც თბებიან გაღვივებულ კოცონის ახლო. მაგრამ ადამიანი ცეცხლს დაეპატრონა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრომეთეოსმა მოსტაცა ის ღმერთებს და ხელთ მისცა ადამიანს მისი საიდუმლოება.

თავისუფლება, თავისუფლების სამეფოც, არსებობდა ქვეყნათ. ეს იყო ისტორიის განთიადზე. მაშინ ადამიანი თავისუფალი იყო ადამიანთან ურთიერთობაში და მონა იყო ბუნებისა. შეუპოვარი შრომით ის განთავისუფლდა ბუნების ბატონობისაგან, თვით დაიმორჩილა მისი ძალები, და შეიქმნა მათი ბატონი, მაგრამ ამავე დროს მან დაჰკარგა თავისუფლება და გახდა მონა თავისივე მზგავსი ადამიანისა. მას აქეთ თავისუფლება მხოლოდ თეორიაში დარჩა და ის შეიქმნა მსოფლიო გენიოსად, მიდმივ ძიების საგნად და მასიურ მოძრაობათა ლოზუნგად.

მხოლოდ მარქსმა თანამედროვე მეურნეობის დინამიკაში აღმოაჩინა თავისუფლების საიდუმლოება, ლენინმა კი მოუტანა ის კაცობრიობას და უშიშრად გაუძღვა მას აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში.

ვარდებით არ იყო მოფენილი ლენინის სავალი გზა, და არა ერთი ღმერთის ჩამოგდება დასჭირდა მას, სანამ მიაღწევდა დანიშნულ მიზანს, მის მიერ დამარცხებულ ღმერთებს აღარ შეეძლოთ შეებოროკათ ამაყი და ყოვლის შემძლე პროლეტარული პრომეთეოსი, რომელმაც დაბეჩავებული პროლეტარული კლასი უძლეველ მეხის-მტყორცნელ ზევესათ გადააქცია.

განა ამ მხრივ ლენინს გადააქარბებს ვინმე?

მთელ ისტორიაში, ახალ ქვეყნის ყველა მოციქულთა შორის, აზრის და საქმის უდიდეს გენიოსთა შორის, მხოლოდ ლენინს ხვდა წილად არა მარტო ჯვარის ზიდვა გოლგოთაზე, არამედ გამარჯვებაც. **ლენინი პირველი გამოვიდა გამარჯვებული შრომისა და კაპიტალის შორის ამტყდარ ომში და დაარსა ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში.**

არ არის შესაძლებელი და არც საჭიროება მოითხოვს, რომ გადააქარბოს ვინმემ ისტორიის ამ ნებიერს, რომლის ხელითაც ჩაეყარა საფუძველი საზოგადოების ახალ ფორმაციას. საჭიროა მხოლოდ შესაფერათ გამოყენებულ იქნას მისი უკვდავი საუნჯე და მიემატოს მას სიდიადე. არ კმარა მარტო გათბობა მის მიერ გაღვივებულ დაუშრეტელ ცეცხლთან. მეტად უნდა იქნეს გამოყენებული მისი ძალები. საბოლოოდ შეეძრად მთები და ქვეყნები — აი რა დაგვიტოვა და გვიანდრედა მან მის მემკვიდრეებს.

პრომეთეოსმა ცეცხლი მისცა ადამიანს და მით გამოიყვანა იგი ცხოველთა სამეფოდან. ლენინმა პროლეტარიატის დიქტატურა განახორციელა და მით გამოიყვანა კაცობრიობა მონათა სამეფოდან.

განრისხებულმა ღმერთებმა კლდეს ნიაჯაქვეს პრომეთეოსი, მაგრამ ამით არ დამქრალა მისი ცეცხლი, რომელიც შეუსრულებლათ ღვივდებოდა, იპყრობდა ბუნების ძალებს და შეეძლო გაეწია მზის და მთვარის მაგიერობა. ლენინმა თვით ნიაჯაქვა კლდეს ბნელი ძალები და მისი დაწყებული საქმე გუზგუზით ედება მთელ ქვეყანას.

ლენინი არა მარტო მოაზრეა, არამედ მოქმედი, არა მარტო მებრძოლი, არამედ ბრძოლაში გამარჯვებულიც, ის დიადია დიადთა შორის, რომელმაც სოციალიზმი ოცნებისა და იდეალიდან რეალურ სინამდვილეთ გადააქცია.

ხომ არ ეწინააღმდეგება ასეთი დაფასება მარქსისტულ მემკვიდრეობას პიროვნების როლზე ისტორიაში.

ეს მაშინ იქნებოდა ჩვენ რომ ვამტკიცებდეთ ვითომ ლენინის გენიამ შექმნა რალაც აბსოლიტურად შეუძლებელი და შექმნა მარტო საკუთარი სურვილის ძალით.

არა, თვით ლენინის გენია შექმნა და ასაზრდოვა შიშმა წარმოშობმა პროლეტარულმა კლასმა კაცობრიობის ისტორიის განსაზღვრულ ეპოქაში. მაოლოდ ამის შემდეგ და ამ პირობებში ის შეიქმნა მიუცილებელ ფაქტორათ ქვეყნის გარდაქმნისა.

სახალხო მოძრაობა, რომელიც ღირსია ამ სახელისა, ქმნის თავის ბელადებს და მათი შემწეობით ააშკარავებს თავის ზრახვებს და ნების ყოფას. სანამ მასის ყოველი წევრი თავისთვის ფიქრობს და თავისთვის ცდილობს მომწიფებულ საკითხის გადაჭრას, ჯერ კიდევ არ არის მოძრაობა. როდესაც მომწიფდება დრო საერთო მოქმედებისათვის, აუცილებელი ხდება საერთო მოთხოვნილება, საერთო პროგრამის წამოყენება. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა მოქმედება. მოქმედებისათვის კი აუცილებელია: ყველა ძალები (მასის წევრთა) აღრიცხვა, დროს შერჩევა, თავდასხმა, უკან დახვევა და სხვა, ერთი სიტყვით ყოველგვარი მოქმედება, რომელსაც მიმართავს მტერი, რომელსაც ისტორიაში და ბრძოლის მსვლელობაში სხვა იარაღთა შორის ბელადებიც წარმოუყენებია.

ისტორიამ არ იცის სახალხო მოძრაობის სხვანაირი ფორმა, არ იცის მოძრაობა, რომელსაც არ ყავდეს ბელადი, ისტორია ქმნის ბელადს, როგორც მთელ აუცილებელ ელემენტს და აკისრებს მას განსაზღვრულ ფუნქციას, რომლის არც შენაცვლება შეიძლება და არც თავიდან აცილება. არ არსებობს ბელადი გარეშე მასისა, მაგრამ არც მასა არსებობს უბელადოთ. მასის მიერ წარმოშობილი და აღზრდილი ბელადი, მთელად გამსჭვალული მასის ინტერესებით ამოძრავებს მას, სანამ ის გამოხატავს ამ ინტერესებს. ქვშმარიტი ბელადი კი მუდამ გამოხატავს მათ და საქმეს აბოლაეებს მასის თანახმით.

ჯერ მასა, შემდეგ ბელადი. ყველა გენიოსი როდი ხდება ბელადი, ყველა როდი მოულობს თავის მასას. უნდა ვიფიქროთ რომ ბუნების კაპრიზის გამო ბევრი ნიჭიერი, ბევრი ტალანტი გენია იბადება ყოველ დღე დედამიწის ზურგზე, მაგრამ ისინი არ ჩდებიან ასეთებათ, რადკენ ისტორია არ მიჰყვება ფეხდაფეხ ბუნებას, არ ქმნის მათთვის ნიადაგს, არ ქმნის პირობებს. ასეთ პირობებს ის თავს უყრის მთელ საუკუნეში ერთხელ ან ორჯელ და სწორედ იმდენჯერვე ჩდებიან გენიოსები, შუქმფრქვევად სხივოსნობენ ლენინები.

მასის ძალა და უნარი უშუალოდ გადადის ბელადზე. ლენინში ნახა თავის გამოხატულება მებრძოლ პროლეტარიატის შეუდრეკლმა ძალამ.

პროლეტარიატი არა მარტო ამაყია, ის ბედნიერიცაა თავისი ბელადით.



კ. ორაბველიძე



# ლენინი და ბრესტი

ამ თემაზე შეიძლება დაიწეროს მთელი შრომა. ერთ წერილში შეუძლებელია ყოველმხრივი გაშუქება ამ საკითხისა, მეტადრე მაშინ, როდესაც არ არის დრო რომ გაეცნო ყველა მასალებს მის შესახებ. ჩვენ არ ვფიქრობთ ამ წერილით ამოვწუროთ საკითხი. თუ მისი სწორად დასმა შეესძელით, ესეც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მკითხველებს, რომელთაც არა აქვთ საშუალება ქართულ ენაზე გაეცნონ ლენინის თხზულებებს.

„დიახ, მე გამამართლებს ყოველი სერიოზული გლეხი და მუშა, იმიტომ რომ მათ ესმით, რომ ზავი არის საშუალება ძალთა მოკრებისათვის,“—ასე ამბობდა ლენინი პარტიის შეშვიდე ყრილობაზე თავის სიტყვაში ბრესტის ზავის შესახებ. ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. დღეს მართლაც ნათლად ესმის მუშათა და გლეხთა ფართო წრეებს, თუ რატომ იცავდა ლენინი ბრესტის ზავზე ხელის მოწერას. კიდევ მეტი. დღეს ამაში დარწმუნებული არიან ისინიც, რომლებიც მაშინ ცხარე ბრძოლას აწარმოებდნენ ლენინის პოზიციის წინააღმდეგ. მახსოვს ერთხელ ამხ. ბუხარინის განცხადება სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტების საღამოზე, რომელიც მოწყობილი იყო პარტიის 25 წლის თავის აღსანიშნავად. ამხ. ბუხარინმა იქ გარკვევით აღიარა, რომ ლენინი ბრესტის საკითხში მართალი იყო და რომ „მემარცხენე“ კომუნისტები, და მათ შორის ბუხარინიც, სასტიკად სცდებოდნენ.

როგორ იდგა ბრესტის ზავის საკითხი? როგორ უნდოდათ მისი გადაწყვეტა ლენინს და ბუხარინს? რაში იყო ამ ცხარე ბრძოლის შინაარსი? უნდა ითქვას, რომ 1918 წ. დასაწყისში, ე.ი. მაშინ, როდესაც პარტიის წინაშე იდგა ზავის საკითხი, შინაპარტიულმა ბრძოლამ უმწვერვალეს საფეხურს მიაღწია. უკანასკნელ დისკუსიის შედარებაც კი არ შეიძლება მაშინდელ დისკუსიასთან. პარტია განხეთქილების პირზე იყო მისული და ამას აშკარათ აღიარებდნენ ისეთი პარტიული ორგანოები, როგორიც იყო, მაგალითად, მოსკოვის საოლქო ბიურო. ასეთი მდგომარეობა გასაგებიც იყო იმ დროს, რადგან მაშინ პარტიის წინაშე იდგა გადასაკრელათ უმძიმესი და ურთულესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებული იყო საბჭოთა ხელისუფლების ბედი. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ რევოლუციის დაწყება და გამარჯვება რუსეთში უფრო ადვი-

ლია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, მაგრამ, ამ გამარჯვების შემდეგ რევოლუცი-  
ამ უფრო ძნელი გზა უნდა გაიაროს რუსეთში, ვიდრე სხვა განათლებულ ქვეყ-  
ნებში. ამ დებულების სიმართლეში დღეს ჩვენ ეჭვი არ შეგვიძლია, აშკარაა  
რომ სოციალისტური აღმშენებლობა გერმანიაში უფრო უწყობს ინტერესებს, ვიდ-  
რე რუსეთში. ჩვენ ვიცით, თუ როგორ ჯოჯობეთურ პირობებში მოექცა საბჭო-  
თა რუსეთი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ეს იყო პირველი  
მძლავრი აფეთქება კაპიტალისტური სამყაროსი, პირველი შენძრევა მისი კედლე-  
ბისა. ამ რევოლუციის მნიშვნელობა არ იყო მარტო ადგილობრივი ხასიათის.  
რუსეთის რევოლუციის პრობლემა ეს მსოფლიო რევოლუციის პრობლემა იყო  
და არის. ის ცეცხლმჭვინავი მთა, რომელმაც ქვესკნელიდან ამოხეთქა და ზეს-  
კნელს მიასკდა, შეუწყვეტილვ ისროდა ცეცხლის ენებს დასავლეთში. ამ რევო-  
ლუციონური ნაპერწკლებიდან იქ ღვივდებოდა მძლავრი მუშათა მოძრაობის  
ცეცხლი. მაშასადამე, თვით საბჭოთა რუსეთის არსებობაში იყო უდიდესი საფ-  
რთხე კაპიტალისტურ დასავლეთისათვის, — აი რა დასკვნა გამოიტანეს ბურ-  
ჟუაზიულ მთავრობებმა. აქედან გამომდინარეობს პრაქტიკულ ხასიათის დასკე-  
ნაც, რომ ყოველმხრივ ხელი შეუშალონ საბჭოთა წყობილების განმტკიცებას.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ღვაწლი მიუძღვის ბურჟუაზიულ გერმანიას,  
რომელსაც ხელმძღვანელობდა კაიზერი. მან თავისი ჯარებით დაიპყრო რიგა,  
პსკოვი, მთელი უკრაინა და ემუქრებოდა პეტროგრადსა და მოსკოვს. დამოკლეს  
მახვილივით იყო ამართული საბჭოთა რუსეთის წინაშე გერმანიის ოკუპაციის  
საფრთხე. მენშევიკები, ესერები და სხვა პარტიები სიხარულით ცას ეწეოდენ  
და დარწმუნებულ იყვნენ იმაში, რომ დადგა ბოლშევიკების აღსასრული დღე.  
ჩვენი ხელისუფლების კრახი, მათის აზრით, აუცილებელი იყო. გარეშე ძალას კი-  
დეე მიემატა ბრძოლა პარტიის შიგნით ომის და ზავის საკითხში, რაც კიდევ  
უფრო ამწვავებდა მდგომარეობას და ხდიდა მას უფრო საშიშრად.

საჭირო იყო ამ რთულ მდგომარეობისათვის ალღოს აღება და სწორი გა-  
მოსავალის მონახვა. თუ ეს არ იქნებოდა, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება სას-  
ტიკად დამარცხდებოდა.

ეს გამოსავალი. ეს სწორი გზა ჩვენმა პარტიამ იპოვა ლენინის ხელმძღვა-  
ნელობით.

ლენინს არ ჰქავდა უმრავლესობა პირველათ ბრესტის ზავის საკითხში. უმ-  
რავლესობა მიყვებოდა ამხ. ბუხარინს და სხვა ნემარცხენე კომუნისტებს. თუ არა  
ლენინი, შეუძლებელი იყო უმრავლესობის თავის გარეშემო შემოკრება და ბრეს-  
ტის ზავზე ხელის მოწერის გადაწყვეტა. მაგრამ ლენინმა, მისმა გენიოსურმა გამ-  
ჭრიახობამ და შორსმჭვრეტელობამ შესძლო ეს.

ნემარცხენე კომუნისტები ამხ. ბუხარინის შეთაურობით წინამძღვარი იყვნენ  
ბრესტის ზავზე ხელის მოწერისა და ჰქადაგებდნენ რევოლუციონურ ომს. ეს ზავი  
იმათ შიამნდათ სამარცხვინოდ და მასზე ხელის მოწერა დასცემდა პარტიის და  
ხელისუფლების ავტორიტეტს ხალხის თვალში. მათი აზრით, მსოფლიო რევო-  
ლუციის იდეა, ის გამოსავალი წერტილია, რომელსაც შეგვიძლია მსხვერპლა-  
დაც მიუტანოთ ჩვენი ხელისუფლება. ჩვენ აუცილებლად უნდა გადავიდეთ რე-  
ვოლუციონურ შეტევაზე და დავამხოთ გერმანიის, ავსტრიის და სხვა კაპიტა-  
ლისტური მთავრობები.

ლენინმა მრავალი წერილები უძღვნა ომის და ზავის საკითხს. მან კრიტი-

კის ქარცეცხლში გაატარა მემარცხენე კომუნისტების რევოლუციონური ფრაზეოლოგია.

პირველი რაც არ ესმით მემარცხენე კომუნისტებს, ეს ის არის, ამბობდა ლენინი, რომ მათ არა აქვთ ნათელ წაროდგენა იმ ობიექტურ მდგომარეობაზე, რომელშიაც ვიმყოფებით ჩვენ. ჩვენ არ შეგვიძლია ბრძოლა. გლესკაცობას მობეზრდა ომი და ზავი მოითხოვა. ჩამოგდებული იქნება ყოველი მთავრობა და მუშათა მთავრობაც, თუ მან ეს ზავი მას არ მიანიჭა. ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ დემობილიზაცია ჯარებისა, გაუშვით ისინი სახლში. ჩვენი ფრონტი გაშიშვლებულია და მისი დაცვა ჩვენს ძალებს არ შეუძლია. ბრძოლის ხაზს იქით კი არის მტრის გაწვრთნილი და საუკეთესოდ შეიარაღებული დისციპლინიანი ჯარი. ამ მდგომარეობამდე მიიყვანა ჩვენი ჯარები ჯერ მეფის და მერმე კი კერენსკის პოლიტიკამ. ჯარისკაცებმა არ იცოდნენ პირველ ხანებში თუ რისთვის იბრძოდნენ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათთვის ნათელი გახდა რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტური ზრახვები. ჯარი გაიხრწნა, რადგან არ იყო მისი შინაგანი მამოძრავებელი მოტივი და ის უმიზნოთ ღვრიდა სისხლს.

ასეთი იყო მემკვიდრეობა, რომელიც მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ კერენსკის მთავრობისაგან. ზავი, რათაც უნდა დაგვიჯდეს, — ეს იყო ამოძახილი ფართო მასსების. ბოლშევიკურ მთავრობას უნდა შეეკრა ასეთი ზავი.

მაგრამ მემარცხენე კომუნისტები გაიძახოდნენ: ეს ლალატია საერთაშორისო რევოლუციის აღდგენისა, ეს ობიექტიურად ხელს უწყობს გერმანიის იმპერიალიზმის ტრიუმფალურ მსვლელობას.

ვინ იყო მართალი, ლენინი თუ ბუხარინი? ეს საკითხი დღეს მოძველებულია, რადგან მას თვით ისტორიამ გასცა პასუხი.

ძველი ჯარი იშლებოდა და ახალი არ სჩანდა. წითელგვარდიელთა რაზმებს არ შეეძლო შენოტეულ მტრის ძალების შეჩერება. თვით საბჭოთა ხელისუფლება უძძიმეს პირობებში იყო. ის არ იყო ჯერ გამაგრებული. საჭირო იყო დრო, რომ ძალები მოგვეკრიბა და დაგვერაზმა, საჭირო იყო შექმნა ახალი წითელი არმიის. აშკარაა რომ რევოლუციონური ფრაზებით ბრძოლა გერმანიის მილიტარიზმთან არ შეიძლებოდა. მტრის ძალისათვის ჩვენი ძალა უნდა დაგვეპირდაპირებია. ყოველი წუთი, ყოველი საათი ძვირფასი იყო, რადგან მას მოქონდა ჩვენი ხელისუფლების განმტკიცება.

მემარცხენე კომუნისტები ამბობდნენ: თუ რევოლუციონური ომი არ დავიწყებთ, ამით ხელს შეუწყობთ გერმანიის იმპერიალიზმის გამარჯვებასო, მაგრამ იმათ ავიწყდებოდათ, რომ თუ ამ ომს დავიწყებდით, ამით ობიექტიურად ხელს შეუწყობდით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ამ მებრძოლ სახელმწიფოების რკალიდან გამოსვლა.

ჩვენი ძირითადი მიზანია მსოფლიო რევოლუცია, რომელსაც მსხვერპლად უნდა შევსწიროთ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლებას, ამბობდნენ მემარცხენე კომუნისტები. ლენინი კი მათ ეკითხებოდა: განა სჭირია მსოფლიო რევოლუციას, რომ რუსეთის საბჭოთა წყობილება მას მსხვერპლად შეეწიროს? პირიქით, ამ წყობილების არსებობას უდიდესი აგიტაციური მნიშვნელობა აქვს. მსოფლიო რევოლუციისათვის უმჯობესი იქნება თუ ჩვენ მოპოვებულ წყობილებას შევინარჩუნებთ და გავამაგრებთ. არ შეიძლება ქვეყნის პოლიტიკის აშენება საერთაშორისო რევოლუციის იმედებზე.

მემარცხენე კომუნისტები თავის იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ გერმანიაში რევოლუცია აუცილებლად მოხდება და პროლეტარიატი გაიმარჯვებსო. ამას ჩვენ შეგვიძლია ხელი შეუწყოთ რევოლუციონურ ომის დაწყებით. ლენინი კი მათ უპასუხებდა: საკითხის ასე დასმა არ შეიძლება, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, თუ როდის მოხდება ეს რევოლუცია. მართალია, ის მზადდება, მართალია, ის უნდა მოხდეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის ხვალ მოხდება. შესაძლებელია ის მოხდეს ორი კვირის განმავლობაში, მაგრამ შესაძლებელია მას მთელი თვეებიც დასჭირდეს. ამის წინასწარმეტყველება ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ არ ვიცით თუ როდის გაიმარჯვებს გერმანიაში ლიბკნეხტი. ამიტომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა უნდა ავაშენოთ არა რევოლუციონურ ფრაზებზე, არამედ ძალთა რეალურ შეთანასწორებაზე.

შეგვიძლია თუ არა **ეხლა** რევოლუციონური ომის წარმოება? ლენინი უპასუხებდა, რომ არ შეგვიძლია. ამ ომის წარმოება დაგვჭირდება მომავალში, მაგრამ **ეხლა, ამ წუთში საჭიროა ზავი**, რანაირიც არ უნდა იყოს ის, რომ ამით დრო მოვიგოთ, ძალები დავამზადოთ და შემდეგ შეუტოთ მტერს. თუ ეხლა ომი დავიწყეთ, ჩვენ აუცილებლად დავმარცხდებით და მაშინ იძულებული იქნება მთავრობა უფრო უარესი ზავი შეჰკრას გერმანიასთან, ვიდრე ეხლა. ამ ზავს შეკრავს მაშინ არა მუშათა მთავრობა, არამედ ბურჟუაზიული, რადგან მუშები და გლეხები დაამხოვენ ისეთ მთავრობას, რომელიც მას ეხლა ზავს არ მოუპოვებს. ხალხის ფსიქოლოგიას ეხლავე უნდა აუღოთ ალღო და შეეკრათ ზავი გერმანიასთან.

მემარცხენე კომუნისტები გაიძახოდნენ — ჩვენ ხელს არ მოვაწერთ სამარცხვინო ზავს, რომელიც უკრაინას, ფინლიანდიას, ლიტვას და სხვ. მტერს აძლევს ხელში საჯიჯგნად. ნაციონალურ თვითგამორკვევის უფლება ფეხქვეშ იქნება გათელილიო. ლენინი სვამს საკითხს ასე: სოციალიზმი, თუ ნაციონალური თვითგამორკვევა სდგას მალლა? სოციალიზმი — უპასუხებს ის. მაშასადამე, ჩვენ მტერს **დღეს** უნდა დაუთმოთ **სივრცე** (ტერიტორია), რომ მოვიგოთ **დრო**, რომ გადავარჩინოთ სოციალისტური ხელისუფლება.

რომ ზავი სამარცხვინო და დამამცირებელი იყო, ეს კარგათ ესმოდა ლენინსაც, არა ნაკლებ, ვიდრე ამხ. ბუხარინს. „მე კიდევ ვიტყვიო, ამბობდა ლენინი მეშვიდე ყრილობაზე, რომ მზადა ვარ და ვთვლი ჩემს მოვალეობად მოვაწერო ხელი ოკჯერ, ასჯერ უფრო დამამცირებელ ზავს რომ ამით მოვიგო რამოდენიმე დღე მაინც პეტროგრადის ევაკუაციისათვის, ვინაიდან მე ამით ვამსუბუქებ მუშების ტანჯვას, რომლებიც უამისოდ მოექცეოდნენ გერმანელთა უღელ ქვეშ. ამით მე ხელს შეუწყობ პეტროგრადიდან სხვა და სხვა მასალების, ასაფეთქებელი მასალების გამოტანას, რომელიც ჩვენ გვჭირია, რადგან მე — ობორონეცი ვარ, რადგან მე მხარს უჭერ არმიის შექმნას და სხვ....“ „ასე და მხოლოდ ასე მიდიოდა ისტორია, ამბობს ლენინი, ისტორია გვეუბნება, რომ ზავი არის დასვენება ომისათვის, რომ ომი არის საშუალება მივიღოთ ასეთი თუ ისეთი ზავი“. რომ უფრო ადრე მოგვეწერა საღ ზავზე, ხელი, მაშინ ის არ იქნებოდა ასე დამამცირებელი. თუ მას ეხლა არ მოვაწეროთ ხელს, მაშინ ის იქნება ოკჯერ უფრო სამარცხვინო და დამამცირებელი მომავალში, რადგან ჩვენ ბოძოლა არ შეგვიძლია. და თუ ომში ჩავებით, აუცილებლად დავმარცხდებით. თუ ამ ზავმა ჩვენ გადაგვარჩინა დამარცხებას რამდენიმე თვით, ისიც კარგია, რადგან

იმ ხანად ჩვენ რევოლუციაც მოგვისწრობს გერმანიაში და ამით ეს სამარცხეინო ზავიც გაუქმდება.“

ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ ლენინი მართალი იყო. საბჭოთა წყობილება უფრო გამაგრდა, საფუძველი ჩაეყარა წითელ არმიას და 1918 წ. ნოემბერში მოხდა გერმანიაში რევოლუცია, რასაც მოჰყვა ბრესტის ზავის დარღვევაც.

მემარცხენე კომუნისტები გამოდიოდნენ რევოლუციონური ფრაზიდან, ისინი აშენებდნენ თავის პოლიტიკას გრძნობაზე და იმედებზე. ლენინი კი ემყარებოდა ობიექტიურ სინამდვილეს და შესაძლებლობას, ის გამოდიოდა ძალთა რეალურ შეთანასწორებისაგან. პოლიტიკის აშენება, მისი აზრით, შეიძლება მხოლოდ ამ რეალურ სინამდვილეზე.

დღეს ყველა ჩვენგანი ხედავს, რომ მსოფლიო რევოლუცია ისე სწრაფად არ მოხდა, როგორც ჩვენ ვფიქრობდით. ამას კი ყველაზე უფრო ფიქრობდნენ მემარცხენე კომუნისტები. რომ ჩვენ მათ გავყოლოდით, ჩვენ არ გვექნებოდა არც მსოფლიო რევოლუცია და არც საბჭოთა კავშირი. ჩვენი დამარცხებით მსოფლიო რევოლუციის საქმე ათასჯერ უფრო შეფერხდებოდა. ამ დამარცხებით ჩვენ უფრო დავშორდებოდით მსოფლიო რევოლუციას, ვიდრე მისგან დაშორებული ვართ ეხლა.


ლენინის გენიალური პროგნოზი გამართლდა. ჩვენ შევინარჩუნეთ ხელისუფლება და გავმაგრდით. ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოვოთ ომი თავდამსხმელ მტრების წინააღმდეგ, უპასუხოთ ყველა იმპერიალისტებს, მაშინ კი ეს არ შეგვეძლო.

**ბრესტი**, — ეს განხორციელებაა ლენინის გენიალური ტაქტიკის ერთი მხარის. ეს არის უდიდესი უკან დახევა, რომელზედაც მიდის ლენინი, რომელზედაც უნდა წასულიყო ჩვენი პარტია, რომ გადაერჩინა საბჭოთა ხელისუფლება.

**ბრესტი** უკან დახევაა იმ მიზნით, რომ დარაზმულ იქნეს ძალები გრანდიოზულ შეტევისათვის და საბოლოო გამარჯვებისათვის.

**ბრესტი** აუცილებელი ეტაპი იყო ჩვენი რევოლუციისა, ეს იყო უმცირესი ბოროტება.

**ბრესტით** ჩვენ გავაუქმეთ შემდეგში ბრესტის ზავი და გავხდით უძლეველი. ავტორი ამ ბრესტისა იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.



ილ. ვარდინ-მგელაძე

## ბოლშევიკები და იაკობინელები

ვინ იყვნენ იაკობინელები? - რევოლიუციონური პარტია ბურჟუაზიისა, რომელმაც იტვირთა გადაწყვეტა თავისი კლასის ისტორიული ამოცანების, თავისი ეპოქის ისტორიული ამოცანების. ეს ის პარტია იყო, რომლის დროშის ქვეშ რევოლიუციონურმა ბურჟუაზიამ გააერთიანა **ნაცია** და მიიყვანა იგი ფეოდალიზმზე გამარჯვებამდე.

ვინ არიან ბოლშევიკები? - რევოლიუციონური პარტია პროლეტარიატისა, რომელმაც იკისრა გადაწყვეტა თავისი კლასის ისტორიული ამოცანების, თავისი ეპოქის ისტორიული ამოცანების. ეს არის ის პარტია, რომელმაც რევოლიუციონური პროლეტარიატის დროშის ქვეშ გააერთიანა **ნაცია** და მიიყვანა იგი გამარჯვებამდე კაპიტალიზმზე, კერძო ფეოდალიზმზე, საკუთრების სისტემაზე. ეს არის ის პარტია, რომელმაც თავისი გამარჯვებით დაიწყო ხანა უშუალო ბრძოლისა კაპიტალიზმის მოსასპობად და სოციალიზმის დასამკვიდრებლად.

საშუალო ევროპის რევოლიუციამ, „მსოფლიო ბოლშევიზმის“ ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლამ აიძულა ოფიციალური მენშევიზმი ელიარებია, რომ ოქტომბრის რევოლიუცია იყო ისტორიული აუცილებლობა, რომ ჩვენი დროის ბოლშევიზმი/საერთოდ ასრულებს მე-18 საუკუნის მიწურულის იაკობინელთა როლს.

მენშევიზმის მარჯვენა ფრთის წარმომადგენლებს, რათქმა უნდა, არ შეეძლოთ შერიგებოდენ ასეთ აღიარებას. 1920 წლის სექტემბერში აქსელროდი გამოვიდა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისის გადაჭრილი კრიტიკით. მარტოვთან გაგზავნილ წერილში (ეს წერილი დაიბეჭდა „Сов. Вестник“-ში 1921 წლის აპრილს) იგი სწერს.

„თქვენ გვითითებთ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მაგალითზე... **გარეგანი მსგავსება** იაკობინელების და ბოლშევიკების რეჟიმს შორის უეჭველია არის, მაგრამ ეს მსგავსება დაახლოვებით ისეთია, როგორც არსებობს **მოხერხებულ პაროდია**სა და ორიგინალს შორის, ან დიდებული, სტიქიური მოვლენისა და მისს. **ოხტატურ მიბაძვის** შორის“.

ამრიგად, საფრანგეთის რევოლიუცია არის „დიდებული, სტიქიური მოვლენა“, ხოლო რუსეთის რევოლიუცია — მარტოდენ „მიბაძვა“. „დიდებულ სტი-

ქიას“ აქ არ უმოქმედია, მოძრაობაში აქ ათი მილიონობით არ ჩაბმულან მუშე-  
ბი, ჯარის-კაცები, გლეხები... აქსელროდი განაგრძობს:

„ბოლშევიკური იაკობინიზმი“ არის ჰეროსტრატისმისა და „ხეკაცური“ ამორალიზმის ფსიხოლოგიურ სანდუქტუზურ ხელმოცენე-  
ბული ტრალიკული პაროდია. იაკობინელების შიურ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შედეგად მოჰყვა საფრანგეთის დიდ რევოლიუ-  
ციის სტიქიურ მსვლელობას, ხოლო ბოლშევიკებმა დიქტატურის უზურპაცია გასწიეს, მათ ძალით ჩამოაშორეს ხელისუფლებას მთე-  
ლი სოციალისტური დემოკრატია.“

რა თქმა უნდა, იაკობინელებს წინ ეწეოდა, მტკიცე ნაბიჯებს ადგმევინებ-  
და „სტიქია“, რა თქმა უნდა, ისინი მოქმედებდნენ პარიზის კომუნისა და სექცი-  
ების (რაიონების) ენერგიული ზეგავლენით. ეგრედწოდებული მთა გადაიქცა  
რევოლიუციონური პროცესის იარაღად, მთამ რევოლიუციის სახელით „მიაღწია  
ხელისუფლებას“. მაგრამ ფორმალურად იაკობინელებმა „დიქტატურის უზურ-  
პაცია“ გასწიეს, რადგან უირონდა ძალით ჩამოაშორეს ხელისუფლებას. ფორ-  
მალურათ მათ ლახვარი ჩასცეს „დემოკრატიზმის“ პრინციპებს.

როგორ მოხდა უირონდის დაცემა? აღვადგინოთ მოკლეთ ეს დიდებული  
ისტორიული მოვლენა ისე, როგორც მას აგვიწერს ჟორესი, რომლის ავტორი-  
ტეტიც ურყევია ყველა მენშევიკისათვის.

უკვე დიდი ხანი იყო, რომ რაც უირონდა რევოლიუციის ტორმაზად გა-  
დაიქცა. მაგრამ, ამბობს ჟორესი—„მონტანიარებს შანსები არ ჰქონდათ კანო-  
ნიერ ნიადაგზე ბრძოლისა, როგორც ამას რობესპიერი ცდილობდა, რომ დაემა-  
რცხებია უირონდელები. რჩებოდა ერთი გზა, რომლისთვისაც მარატი და დანტო-  
ნი იბრძოდნენ ძალით განდევნა უირონდელებისა ვენტიდან. და ჟორესი იწო-  
ნებს „ხალხის ნებისყოფის“, „დემოკრატიის“ პრინციპების ამ აშკარა დარღვე-  
ვას, რადგან სხვა გზა არ იყო, რადგან, ასე რომ არ მომხდარიყო, უირონდა და-  
ლუპავდა რევოლიუციას. მაგრამ რობესპიერი დიდხანს ყოყმანობდა. „იგი, — ამ-  
ბობს ჟორესი, — მომხრე იყო ცდის პოლიტიკის და უირონდელებთან ბრძოლის  
მეთოდების, ისეთი მეთოდების, რომელიც არ დაარღვევდა დეპუტატების  
ხელშეუხებლობის პრინციპს და არ შელახავდა სახალხო წარმომადგენლო-  
ბის იდეას.“ მაგრამ „ხელშეუხებლობის პრინციპი“ ბოლოს მაინც მძაფრად  
დაირღვა, „ხალხის წარმომადგენლობის იდეა“ უდიდესად შეილახა. ეს საქმე  
ჩაიდინა სწორედ იმ „დიდებულმა სტიქიამ“, რომელიც, როგორც ეტყობა, აქ-  
სელროდს ასე მოსწონს... მე-18 საუკუნის საფრანგეთისთვის.

უირონდა ენერგიულად გამოვიდა „დემოკრატიის“ უფლებათა დასაცველად,  
„ძალადობის“ წინააღმდეგ, უზურპაციის წინააღმდეგ. 1793 წლის 25 მაისს კონ-  
ვენტის თავმჯდომარე უირონდისტი ისნარი ამბობდა: „თუ ოდესმე კონვენტი  
მოსპობილი იქნება, თუ ოდესმე ერთ-ერთი იმ ამბოხებას, რომელიც შეუწ-  
ყვეტლივ ხდება ეროვნული კონვენტის ირგვლივ... შედეგად მოყვება ეროვნუ-  
ლი წარმომადგენლობის ხელის შეხება, — გიცხადებთ მთელი საფრანგეთის სა-  
ხელით, რომ პარიზი მიწასთან იქნება გასწორებული და მალე მდინარე სენის  
ნაპირზე საძებარი გახდება ის ადგილი, სადაც იგი მდებარეობდა.“

„ამბოხება შეუწყვეტლივ ხდებოდა“ კონვენტის ირგვლივ. რევოლიუციო-  
ნური სტიქია ძალას ატანდა მონტანიარებს და აიძულებდა მათ აშკარად დაეს-

ვით საკითხი ჟირონდის ლიკვიდაციის შესახებ. 27 მაისს ხალხი **შეიჭრა** კონვენტის სხდომის დარბაზში და აიძულა იგი მიეღო გადაწყვეტილება ჟირონდელების ინიციატივით შექმნილი კონტრ-რევოლუციონური თიომეტთა კომისიის გაუქმების შესახებ. ამრიგად, კონვენტი „დამცირებულ“ მდგან იგი „ბრბოს“ ზეგავლენას დაემორჩილა.

31 მაისს იფეთქა რაიონების მიერ მოწყობილმა აჯანყებამ ჟირონდის წინააღმდეგ. ფორმალურად გადაქმნილი კომუნა დაემორჩილა პარიზის რევოლუციონური ხალხის ნებისყოფას. კომუნის რევოლუციონურმა საბჭომ პარიზის ეროვნული გვარდიის მთავარსარდლად დანიშნა თავგამოდებული სანკიულოტი **ანრიო**. აი ჟორესის სიტყვით, რა მდგომარეობაში ჩავარდა იმ მომენტში ეროვნული კონვენტი:

„საბრძოლველად მომწვევი ხარი განაგრძობდა იმ დროს რეკას. საბაჟოები ქალაქში შესასვლელთან დაკეტეს, **შეიარაღებული ხალხი**, რომელიც უფრო და უფრო მატულობდა, კონვენტისაკენ მიიწვედა, ბოლოს, ანრიოს ბრძანებით, მოისმა **ბუკისა და ნიშნის მიმცემი ზარბაზნების ხმა** და ამით დარღვეულ იქნა კანონი, რომელიც **მხოლოდ კონვენტს** ანიჭებდა უფლებას ამ საბრძოლველად მოსაწვევი ნიშნების მიცემისა.

ხომ ხედავთ, როგორ „არადემოკრატიულად მოქმედებს“ „სტიქია“. დიდ-შიაც და მცირედშიაც უზურპაცია ეწვია კონვენტის უფლებას. საჭმეს სწყვეტს **შეიარაღებული ხალხი**, — ყველაზე უფრო ძლიერი საბუთი ზარბაზანი გამოდგა...

31 ივლისმა ვერ გადასწყვიტა ჟირონდის ბედი, ეს დღე დასრულდა კომპრომისით და კონვენტის ერთი ზედმეტი „დამცირებათ“: კონვენტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც განაცხადა, რომ პარიზმა თავისი აჯანყებით ჟირონდის წინააღმდეგ დიდი სამსახური გაუწია სამშობლოს...

კონტრ-რევოლუციონური ჟირონდის ბედი 2 ივლისმა გადასწყვიტა... კომუნისა და რევოლუციონურ სექციების დელეგატებმა მოსთხოვეს კონვენტს „საბრალმდებლო დეკრეტი“ ჟირონდის წინააღმდეგ. **ხალხის ზეგავლენით**, — სწერს ჟორესი, — „ქაობის“ დეპუტატებმა წინადადება შეიტანეს ხსენებული დეპუტატების **დროებით დაპატიმრების** შესახებ.“ ჟირონდელების 32 ბელადი საპრობილისკენ გაისტუმრეს, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ მათ გილიოტინისთვის გაეშვირათ კისრები. **იაკობინელებმა ხელისუფლებას მიაღწიეს.**

რით განირჩევა ეს გზა იმისაგან, რომლითაც ბოლშევიკები ხელისუფლებასთან მივიდნენ? ჯერ ერთი იმით, რომ ის „სტიქია“, რომელმაც ბოლშევიზმი ზევით მოაქცია, ბევრათ უფრო გრანდიოზული იყო, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის სტიქია; მეორე, იმით რომ ბოლშევიკები **ხელმძღვანელობდნ** მასების მოძრაობას, მაშინ, როდესაც იაკობინელებმა ეს ხელმძღვანელობა ძალიან ნაკლებად განახორციელეს; დასასრულ, იმით რომ ბოლშევიკებმა, რომელნიც ემყარებოდნენ გაცილებით უფრო ფართო და მტკიცე სოციალურ ბაზას, არ მიმართეს ჟირონდის ბელადების ფიზიკურად განადგურებას, არ მიმართეს მაშინაც-კი, როდესაც ამას სავსებით ამართლებდა გარემოება. ექვს ვარუშეა, რომ საფრანგეთის იაკობინელთა ტაქტიკაში „ძალადობის“, „უზურპაციის“ და ტერორიზმის ელემენტები ნაკლები არ იყო, ვიდრე ბოლშევიკების ტაქტიკაში. ასე რომ სრული უაზრობაა დაპირისპირება, როგორც ამას აქსელროდი სჩადის, იმ იაკობინური „სტიქიური“ გზისა, რომლითაც მათ ხელისუფლებას მიაღწიეს,



იმ ბოლშევიკურ „უზურპატორობასთან“, რომლითაც მათ ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში. იაკობინელებმა რევოლუციონური ძალადობის გზით დაამხვეს უირონდა, ბოლშევიკებმა იმავე რევოლუციონური ძალადობის გზით დაამხვეს კოალიციის მთავრობა, ხელისუფლებას ჩამოაშორეს რუსეთის რევოლუციონერი უირონდა. ხომ არ შეიძლება არც ერთი წუთით დავიწყება იმ ფაქტისა, რომ **უირონდელები იაკობინელებისაგან ისეთივე მანძილზე იყვნენ დაშორებულნი, როგორც ესერები და მენშევიკები ბოლშევიკებისაგან.**

ცხადია, ამრიგად, რომ მხოლოდ მეშჩანურ უტვინობით გაეღწეოდა, მხოლოდ ისტორიის საცოდავ მაჩანჩალას შეუძლია სთქვას, რომ „ბოლშევიკური იაკობინიზმი ტრადიციული პაროდია“ არის. დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწეები სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდნენ იმ გოლიათურ გაქანებას, რაც ოქტომბრის რევოლუციას ჰქონდა. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ იაკობინელების ჯარი 400—500 ათასი კაცისაგან შესდგებოდა, მაშინ, როდესაც ბოლშევიკების ჯარი **ხუთ მილიონს** აღემატებოდა...

რუსეთის რევოლუცია საფრანგეთის რევოლუციას ბაძავდაო! რუსეთის რევოლუცია „მოხერხებული პაროდია“ იყოო საფრანგეთის ორიგინალთან შედარებით! ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს თავიანთი „ზეკაცურ ამორალიზმის“ წყალობითო! აი ასეთია თავისი სისულელით „ისტორიის“ ჭეშმარიტად „ზეკაცური ფილოსოფია“ რუსეთის მენშევიზმის ბელადისა...

მარტოვი არ დაეთანხმა აქსელროდს. ოტტო ბაუერთან ერთად მას ნიაჩნდა რომ ბოლშევიკებს სრული უფლებით შეუძლიათ თავიანთი თავი გვერდშე ამოუყენონ იაკობინელებს. მათ შეასრულეს იგივე ისტორიული ამოცანა, რაც იაკობინელებმა, მაგრამ, მარტოვის აზრით, შეასრულეს უფრო ცუდათ, ვიდრე მათმა წინამორბედებმა. რაშია საქმე? „ბოლშევიკებმა, — სწერს მარტოვი, — იკისრეს და იაკობინელებივით გადასჭრეს ისტორიული განვითარების მაერ დასმული ამოცანა, — ძველი მონარქიის სოციალურ საფუძველთან რადიკალურად ჩამოშორება“. ეს კარგია.

„მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას აღმოაჩნდა უნარი სწრაფად მოესპო პოლიტიკა ერთი ადგილის კოალიციურ-თავდაცვითი ტკეპნისა“. მხოლოდ ბოლშევიკებმა შესძლეს ომის გათავება, რომელიც ანტანტის ინტერესებისათვის სწარმოებდა.

ყველა ამას მარტოვი იწონებს. ამ მუხლამდე ბოლშევიკები კეთილი იაკობინელები არიან და აქსელროდი ტყუილად ლანძლავს მათ. აქედან-კი რალაც ძალიან ცუდი იწყება: ბოლშევიკებს „უტოპიზმის“ ავადმყოფობა იპყრობს. მათ თვითონვე გააფუჭეს საქმე, რადგანაც **სცდილობდნენ** ამ ისტორიულად პროგრესიულ პროცესში **ხელმძღვანელი მდგომარეობა გამოეყენებიათ**, იმისათვის რომ **კომუნისტური რევოლუცია განეხორციელებიათ** („Соц. Вестник“ № 8, 1921 წლის აპრილი).

აი რა დანაშაული ჩაუდენიათ ბოლშევიკებს! „გამოიყენეს ხელმძღვანელი მდგომარეობა“. „ხელისუფლების ბოროტათ მოხმარებაც“ ეს არის! მათ არ იკმარეს „ძველი მონარქიის სოციალურ საფუძვლების“ მოსპობა — ხელი წაატანეს ბურჟუაზიის „სოციალურ საფუძვლებსაც“. სწორედ ამაზე ამბობს მარტოვი, რომ ბოლშევიკებმა თავიანთი ამოცანა „თავიანთ ისტორიულ წინამორბედებზე ბევრათ უფრო ცუდათ შეასრულესო“. ამრიგად, მეოცე საუკუნეში ბოლშევიკებს

სავსებით უნდა გადმოეღოთ ის, რაც ნეთვრამეტე საუკუნის იაკობინელებმა გააკეთეს: ბრმად, მონურად უნდა მიებაძათ მათთვის. საფრანგეთში ბურჟუაზიულმა რევოლუციონერებმა მოსპეს „ძველი მონარქიის სოციალური საფუძვლები“. რუსეთში მე-20 საუკუნის პროლეტარული რევოლუციონერებმა მონარქიის გულსათვის არ უნდა გასცილებოდნენ ანტიფეოდალურ, წმინდა ბურჟუაზიულ ჩარჩოებს. ბოლშევიკებს „თავიანთი ხელმძღვანელი მდგომარეობა“ უნდა გამოეყენებიათ არა „კომუნისტურ რევოლუციის განსახორციელებლად“, არამედ „ბურჟუაზიის გასამაგრებლად“, მაშინ ყველაფერი წესზე იქნება, მაშინ აქსელროდიც ალბად კმაყოფილი იქნებოდა ასეთი „სასახლო რევოლუციით“. მარტოვის აზრით, ბოლშევიკებს არსებობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი „ძველი მონარქიის სოციალურ საფუძვლებს“ მოსპობენ იმ ნინუშების მიხედვით, რომელიც იაკობინელებმა მოგვცეს. ყოველივე ნაბიჯი, იაკობინელებზე უფრო წინ ან შორს გადადგმული, მათ (ბოლშევიკებს) აყენებს წინააღმდეგობაში იმ ამოცანებთან, რომელთა გადაწყვეტაც მათ არსებობას ამართლებს...

რა უბადრუკი აზრების მატარებელი ყოფილა მენშევიზმის ეს განსვენებული ბელადი! 1919—20 წელს თვითონ მან და მისმა პარტიამ ბოლშევიკური რევოლუცია გამოაცხადა „იმ გიგანტიურ ძალად, რომელსაც მთელი ქვეყნიერება მოძრაობაში მოჰყავს“, რომელიც კაპიტალიზმს შიგ გულში სცემს ლახვარს და სოციალიზმისთვის ბრძოლის ხანას იწყებს. 1921 წლის მაისში იგივე მარტოვი, გვარწმუნებს, რომ ბოლშევიკების არსებობის გამართლება შეიძლება იმდენად, რამდენადაც ისინი ნაყოფიერად გადასჭრიან საკითხს კაპიტალის „სოციალურ საფუძვლების“ განმტკიცების შესახებ. მარტოვს აზრადაც-კი არ მოსდის, რომ ბოლშევიკურ პარტიას არ შეეძლო ბურჟუაზიის მონა-მოსამსახურედ გაეხადა ის ანტი-ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც ჩატარებულ იქმნა მემამულეების ბურჟუაზიის, ნეშჩანობის, წვრილ ბურჟუაზიის ზედა ნაწილის, ინტელიგენციის, უმაღლეს მოსამსახურეების წინააღმდეგ.

რობესპიერი ბურჟუაზიული რევოლუციონერი იყო, ლენინი პროლეტარული რევოლუციონერია. მათ არ შეეძლოთ ერთი და იგივე მიზანი დაესახათ, ერთისა და იმავე მიზნისთვის ემოქმედნათ. საფრანგეთში მუშათა კლასი მე-18 საუკუნის დამლევს ჯერ არ გამხდარიყო „კლასად თავისთვის“, იგი მაშინ ბურჟუაზიას მისდევდა. რუსეთში მე-20 საუკუნის დამდეგს პროლეტარიატი გამოვიდა, როგორც ყველაზე უფრო მოწინავე კლასი, და მას თან მიჰყავს დიდი უმრავლესობა ხალხისა. საფრანგეთის რევოლუცია მოხდა კაპიტალიზმის განთიადისას. რუსეთის რევოლუციამ იფეთქა კაპიტალიზმის დასამარების ხანაში, იგი იშვა იმპერიალისტურ ომიდან, რომელიც შედეგი იყო კაპიტალისტურ მშვიდობიანობის უმძიმესი კრიზისისა, იგი **განაგრძობს და წინ უსწრებს** ევროპის მუშათა კლასის დიდებულ რევოლუციონურ მოძრაობას...

ყველა ეს მოსაზრება მარტოვისთვის არ არსებობს. ბოლშევიკებს უფლება არა აქვთ „გამოიყენონ თავიანთი ხელმძღვანელი მდგომარეობა“, — ისინი უნდა მუშაობდნენ ბურჟუაზიის და არა მუშათა კლასის ბატონობის განმტკიცებისთვის...

\* \*

დავასკვნათ ნათქვამი. **აქსელროდი** ბრალსა სდებს ბოლშევიკებს, რომ ისინი, „ოსტატურათ ბაძავენ“ იაკობინელებს, რომ მთელი მათი რევოლუცია არის

„მოხერხებული პაროდია“, „ტრადიკული პაროდია“ იაკობინიზმის მარტოვი, პირიქით, ზრალს სდებს ბოლშევიკებს, რომ ისინი არ დასჯერდნენ იაკობინელების „მიბაძვას“, რომ მათ ძალიან შორს შესტოპეს „უტოპიაში“, რომ ბოლშევიკები არიან **ზე-იაკობინელები** და სწორედ ამიტომ **ტრადიკული იაკობინელებზე** უფრო „ცუდი“ ხალხი. ერთი სიტყვით: „не довернись — нѣхот“ (აქსელროდი), **перевернись — нѣют**“ (მარტოვი).

რას წარმოადგენს ნამდვილად ბოლშევიკური იაკობინიზმი? 1922 წელს ლენინმა კითხვაზე: რა არის ჩვენი დროის იაკობინიზმი, მიუგო: მუშათა კლასთან დაკავშირებული რევოლუციონური სოციალ-დემოკრატი, რომელსაც ეს კლასი მიჰყავს მის უდიდეს ისტორიულ ამოცანის გადასაწყვეტად, არის მეოცე საუკუნის იაკობინელი. ჩვენი დროის ასეთი იაკობინელები, პროლეტარიატის იაკობინელები არიან ბოლშევიკ-კომუნისტები. მათ წინაშე სდგას გაცილებით უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ის იყო, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის იაკობინელს უნდა გადაეჭრა. ძველმა იაკობინელებმა მონობის ერთი ფორმა შესცვალეს მონობის მეორე, უფრო პროგრესიულ ფორმით, კერძო საკუთრების ერთი სისტემა მეორე სისტემით.

პროლეტარიატის მეოცე საუკუნის იაკობინელები ანთავისუფლებენ კაცობრიობას ყოველგვარ მონობისაგან, სპობენ კერძო საკუთრების მთელ სისტემას, საძირკველს უყრიან ჭეშმარიტად ახალ ადამიანს, რომელიც ღირსი იქნება შრომისა და სოლიდარობის სამეფოსი.

როგორია როლი ჩვენი საუკუნის ჟირონდელებისა? სად არიან ეს ჟირონდელები? პასუხისთვის აქსელროდს მავმართოთ. იგი სწერს:

„**ბოლშევიზმი რომ მართლაც ისეთივე ისტორიულად დამთავრებული მოვლენა იყოს, როგორც იყო იაკობინიზმი 1792-1793 წელს, ჩვენი პარტია, რომელიც მის წინააღმდეგ იბრძვის, რუსეთის რევოლუციაში ჟირონდელების როლს ითამაშებდა**“. (Сов. Вестник“ № 6, 1921 წლის 20 აპრილი).

ცხადია, ბრწყინვალე პასუხია. მხოლოდ კრეტინებს შეუძლიათ ეხლა კამათი იმაზე, არის თუ არა ბოლშევიზმი „ისტორიულად კანონიერი მოვლენა.“ მენშევიზმის ადგილიც რევოლუციაში თავის თავად ცხადია: იგი ჟირონდის როლს ითამაშობდა... მოუსმინეთ რას ამბობს შემდეგ აქსელროდი:

„**მოკლეთ, — თუ ბოლშევიკები და მარტოოდენ ისინი ასრულებენ სათანადოდ ჩვენში რევოლუციის ისტორიულ ამოცანებს, ისე როგორც საფრანგეთში თავის დროზე იაკობინელები ასრულებდნენ, ჩვენი ბრძოლა მათ წინააღმდეგ არსებითად კონტრ-რევოლუციონური ყოფილა. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ჩვენი რევოლუციონური ვალია შეუერთდეთ მათ რჩევებს, და თუ საჭიროა ოპოზიცია, იგი უნდა იყოს ფრთხილი, ნაწილობრივ წარმოებული და, რასაკვირველია, კეთილმოსურნე.**“

აღსრულდა. განაჩენი გამოტანილია. აქსელროდმა საკუთარი ხელით, თავისი სურვილის წინააღმდეგ ყელი გამოსჭრა მენშევიზმს. თავის დაძვრენა შეუძლებელია. „რევოლუციის ისტორიული ამოცანები“ სათანადოთ გადაჭრილია სწორედ ბოლშევიზმის მიერ. მენშევიზმის ბრძოლა კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ იყო და არის კონტრ-რევოლუციონური ბრძოლა.

მენშევიზმის საუკეთესო ნაწილი, რომელმაც უარყო კონტრ-რევოლუციონური ბრძოლა, დაადგა აქსელროდის წერილში აღნიშნულ მეორე გზას. მენშევიზმის ეს საუკეთესო ნაწილი იწყებდა იმით, რომ ეწეოდა „მეტად ფრთხილ, ნაწილობრივ და, რა თქმა უნდა, კეთილმოსურნე ოპოზიციას, რომელიც უახლოვდებოდა რა ბოლშევიზმს საერთო რევოლუციონურ მუშაობაში, რომელიც დაიბრუნებდა მის რიგებში.“ აქსელროდმა სამართლიანად აღნიშნა მენშევიზმის ორი გზა—რევოლუციონური და კონტრ-რევოლუციონური. იმან, ვისაც უნდოდა ბრძოლა და მუშაობაც რევოლუციისთვის, საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი მენშევიზმთან და დადგა ბოლშევიკურ იაკობინიზმის დროშის ქვეშ. ის, ვისაც უნდოდა ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ, მენშევიკთა რიგებშივე დარჩა და წინანდებურად სდგას ეროვნდის თეთრ-ყვითელ დროშის ქვეშ.

ილ. ვარდინ-შგელაძე\*)

მოსკოვი

\*) ჩვენი რედაქცია სისტემატიურად მიიღებს ორიგინალ წერილებს მოსკოველ ამხანაგებისაგან.

კ. ორაბველიძე

## წერილები პოლიტიკური ეკონომიიდან

## I

## პოლიტიკური ეკონომიის განმარტება და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები.

პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერების საგანი, არ შეიძლება დღემდის გარკვეულად ჩაითვალოს, ამ საკითხის შესახებ მთლიანი პასუხი არ არსებობს თვით მარქსისტებს შორისაც. ამიტომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა, ვიქონიოთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რასთან გვაქვს საქმე პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების სახით.

ზოგიერთების აზრით პოლიტიკური ეკონომია იგივეა, რაც სახალხო მეურნეობის ისტორია ან და საზოგადოებრივი ფორმების ისტორია. ეს აზრი სიმართლეს არ შეეფერება, რადგან სოციალურ მეცნიერებათა განვითარებამ მოგვცა ჩვენ მათი დიფერენციაცია და უაღრესი სპეციალიზაცია. დღეს ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მეცნიერებათა, რომლებიც სწავლობენ საზოგადოებას, მის სხვადასხვა მხარეებს. ასეთია მაგ. სოციოლოგია, სახალხო მეურნეობის ისტორია, პოლიტიკური ეკონომია და სხვა.

პოლიტიკურ ეკონომიას, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, თეორეტიულ პოლიტიკურ ეკონომიას მიზნად აქვს დასახული შეისწავლოს ის სოციალური კანონები, რომლებიც მოქმედებენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში და მართავენ წარმოების, აღებ-მიცემობის და განაწილების პროცესს. აქ საგანი პოლიტიკური ეკონომიისა აშკარაა. ის არ იხილავს, მაგალითად, პირველყოფილ კომუნისმს ან და პატრიარქალურ საზოგადოებას. არა, მისი ამოცანები მხოლოდ კაპიტალიზმით და საქონლის მეურნეობით შემოიფარგლება.

ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა: პოლიტიკური ეკონომია სწავლობს საზოგადოებრივ მეურნეობის განსაზღვრულ — კაპიტალისტურ ფორმას. მაშასადამე პოლიტიკური ეკონომიაც საზოგადოებრივი ანუ სოციალური მეცნიერებაა, განსაზღვრულ, წინასწარ გათვალისწინებულ მიზნებით.

რა კი ეს ასეა, მაშინ აქედან გამოდის ბუნებრივი დასკვნა, რომ პოლიტიკურ ეკონომიას და სოციოლოგიურ სწავლას შორის უნდა იყოს რაიმე კავშირი. არ შეიძლება, რომ თეორიული პოლიტიკური ეკონომია არ დაეყრდნოს, ამა-

თუ ჩემ სოციოლოგიურ მოძღვრებას. პირიქით, სოციოლოგიის დასკვნები, საერთო ისტორიული კანონები ედებიან სარჩულად ამა თუ იმ ეკონომიურ თეორიას. ეს ეკონომიური თეორია, ამ შემთხვევაში, არის მხოლოდ ილლუსტრაცია აღნიშნულ სოციოლოგიურ კანონებისა, მათი დასაბუთება.

გასაგებია რომ ასეთივე ორგანიული პავშარი არსებობს მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიასა და მარქსისტულ სოციალოგიას შორის. პირველი მეორის დამტკიცება და დასურათხატებაა, მისი ხორცშესხმა. დაანგრეთ მარქსის სოციალოგიური credo და ამით დაინგრევა მისი პოლიტიკური ეკონომიაც. მაგრამ სანამ ეს საფუძველი ხელუხლებელია, მანამ ეკონომიური თეორიაც ხელუხლებელი რჩება.

შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ მარქსმა თავის „პოლიტიკური ეკონომიის გამო“-ს წინასიტყვაობაში მოვეცა თავისი სოციალური ფილოსოფიის უკეთესი ფორმულიროვკა. მარქსი კარგად გრძნობდა, რომ მისი სოციალური თეორია, ეს, შესავალია მისი პოლიტიკური ეკონომიის. და, მართლაც, „რომ კარგად გავიგოთ „კაპიტალი“, აუცილებლად საჭიროა ჯერ კარგად ჩაუფიქრდეთ ცნობილ წინასიტყვაობას „Zur Kritik der politischen Oekonomie“, ამბობს გიორგი პლენხანოვი. აქედან აშკარაა, რომ სოციალოგიური თეორიის ცოდნა დიდათ აადვილებს მარქსის ეკონომიურ სისტემის გაგებას.

მარქსის სოციალოგიური თეორია, ეს, — მისი ისტორიული მატერიალიზმია. ისტორიული მატერიალიზმი კი, უპირველეს ყოვლისა, დიალექტიურ მეთოდის მიხედვით გენერირული თეორია არის. დიალექტიკას „არ სწამს რაიმე მუდმივად მოცემული და წმინდათა წმინდა. ყველაფერში ხედავს ის ბეჭედს აუცილებელ ნგრევისას და ცვალებადობისას...“ (ენგელსი). გამოდის რომ ქვეყანაზე არაფერი არ არის უცვლელი, — ყველაფერი იცვლება. ეს ისტორიული თვალთახედვის წერტილია, რომელზედაც იდგენ მარქსი და ენგელსი. ყველა საზოგადოებრივ მოვლენებს მარქსი იხილავს მოძრაობის, განვითარების და დაღუპვის პროცესში.

კაპიტალისტური საზოგადოება ხეციდან არ ჩამოვარდნილა. ის არის ნაყოფი ხანგრძლივ ისტორიულ განვითარებისა. თავის მხრივაც ეს საზოგადოება იცვლება, თავის საკუთრებიდან წარმოშობს წინააღმდეგობებს, რომელთა მსხვერპლიც ხდება ის ბოლოს და ბოლოს. ყველა ეკონომიური მოვლენები კაპიტალისტურ საზოგადოებისა წარმოიშვენ მხოლოდ ამ საზოგადოების წარმოშობასთან ერთად. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეკონომიური კატეგორიები ბურჟუაზიულ საზოგადოებისა ისტორიულ ხასიათის არიან. განვმარტოთ ეს კონკრეტ მაგალითებით. ავიღოთ ღირებულების კატეგორია. ღირებულება არ არის მუდმივი, ისტორიის გარეშე კატეგორია. ის წარმოიშვა საცვლელი მეურნეობის წარმოშობასთან ერთად და განვითარების შემდეგ მიიღო ფულის სახე-გამოხატულება. მაშასადამე ღირებულება ასახვია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელსაც ადგილი აქვს საქონლის მეურნეობის დროს. ამიტომ გასაგებია, რომ ამ მეურნეობის მოსპობასთან ერთად, მოისპობა ღირებულების კატეგორიაც.

თუ განვიხილავთ კაპიტალის კატეგორიას მივალთ იმავე დასკვნამდის. კაპიტალი ბურჟუაზიულ საზოგადოების აუცილებელი თვისებაა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია წარსულში და არ ექნება მომავალშიც. სამუშაო ქირა, მოგება, მიწის რენტა და სხვ. ჩნდებიან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ე. ი. იქ, სადაც არის დაქირავებული შრომა და მისი ექსპლოატაცია. მომავალ საზოგადოებაში მათ

ადგილი არ ექნებათ, რადგან ის აგებული იქნება კომუნისტურ და არა ექსპლოატაციის პრინციპზე. მაშასადამე, ღირებულება, კაპიტალი, ხამუშეთ ქირა, მოგება, მიწის რენტა და სხვ. — ისტორიული კატეგორებია. ამ ისტორიულ კატეგორიებს სწავლობს პოლიტიკური ეკონომია. ერთი სიტყვით: **მარქსის საქმე ისტორიულ ე. ი. ცვალებად მასალასთან.** ასე სწამდა მარქსს ეკონომიური პრობლემები და ის ტყუილა კი არ უსაყვედურებდა პრუდონს თავის ღია წერილში 1865 წ. რომ მან „ეკონომიური კატეგორიები გადააქცია რალაც მუდმივ, დასაბამიდან არსებულ იდეებათ, იმის ნაცვლად რომ ვაეგო ისინი, როგორც თეორეტიული გამოსატულება ისტორიულ საწარმოვო ურთიერთობისა, რომელიც შეეფერება მატერიალურ წარმოების განსაზღვრულ დონეს.“ ყველა ზემონათქვამიდან გამოდის, რომ მარქსის პოლიტიკური ეკონომიის პირველი მეთოდოლოგიური საფუძველია — **ისტორიული თვალსაზრისი.**

მაგრამ მას აქვს მეორე მეთოდოლოგიური საფუძველიც. ეს არის — მისი **ობიექტივიზმი.** შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს თუ რატომ ვხმარობთ ჩვენ ამ სიტყვას პოლიტიკურ ეკონომიაში. მაგრამ ეს გასაკვირი არ არის, რადგან ჩვენ ვიცით, რომ არის ფსიქილოგიური (ანუ სუბიექტიური) ეკონომიაც, რომლის საუკეთესო წარმომადგენელია ავსტრიელი მეცნიერი **ევგენი ბემ-ბავერკი.**

როგორ უნდა გავიგოთ ობიექტივიზმი პოლიტიკურ ეკონომიაში? ობიექტივიზმი „გამოდის იმ დებულებიდან, რომ წარმოება და მასთან ერთათ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, შეადგენს ყოველ საზოგადოებრივ წესწყობილების საფუძველს“. გამოსავალი წერტილი არის არა სუბიექტი, არამედ წარმოება ადამიანთა საზოგადოებისა. მარქსი ამბობს: „ინდივიდები, რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებაში — და, მაშასადამე, **განსაზღვრული საზოგადოებრივი წარმოება ინდივიდებისა** — აი რა არის გამოსავალი წერტილი. განმარტოებულები და დამოუკიდებელი მონადირე და მეთევზე, რომელთაგანაც იწყებენ სმიტი და რიკარდო, ეკუთვნიან მეთვრამეტე საუკუნის ფანტაზია მოკლებულ ქიმერებს“. (კურსივი ჩვენია კ. ო.).

როგორ უნდა გავიგოთ სუბიექტივიზმი პოლიტიკურ ეკონომიაში? მისი გამოსავალი წერტილი არის არა საზოგადოებრივი მეურნეობა, არამედ დამოუკიდებელი ინდივიდუალური მეურნეობა (რობინზონადა). დავიწყებულია კავშირი ინდივიდებს შორის, დავიწყებულია ის, რომ საზოგადოება წარმოადგენს მწარმოებელ ინდივიდების ურთიერთ მტკიცე კავშირს.

განსხვავება ობიექტივიზმს და სუბიექტივიზმს შორის პოლიტიკურ ეკონომიაში, ნათელია. პირველი ემყარება მარქსისტულ მატერიალისტურ თეორიის მეორე კი სუბიექტურ სოციალოგიურ შკოლებს.

შეიძლება თუ არა მივიღოთ სუბიექტიური თვალსაზრისი პოლიტიკურ ეკონომიაში? არა, და აი რატომ. ნართალია, რომ საზოგადოება შესდგება ინდივიდებისაგან; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის არის უბრალო არითმეტიკული ჯამი უბრალო აგვრევატი, არამედ იმას, რომ ის წარმოადგენს მჭიდრო ორგანიულ მთლიანობას.

დავუშვათ, რომ საზოგადოება მართლაც შესდგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ინდივიდებისაგან. მაგრამ შეიძლება ასეთი საზოგადოება ჩაითვალოს საზოგადოებათ? წარმოსადგენია ასეთი რამე? ჩვენ ვამბობთ რომ ინდივიდი, მისი თვისებები, შედგება საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ავსტრიის შკოლას

და მის მამამთავარს — ზემ-ბავერკს კი ჰგონია, რომ პირიქით, საზოგადოება შედეგია ინდივიდისა. რატომ აყენებენ ასე წინ ინდივიდს ფსიქოლოგიურ შკოლის წარმომადგენლები? იმიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ იაზროვნონ კოლექტივისტურათ, იმიტომ რომ მათ ძვალრბილში გამჯდარნი ინდივიდუალიზმი, იმიტომ რომ მათ დაეკარგათ მეცნიერული აზროვნების უნარი და კაპიტალისტურ ეპოლოგიის უფსკრულში გადაიჩეხენ.

ვიწრო ეგოიზმზე გადაახურდავა კაარტალიზმმა მეცნიერება: ვიწრო ინდივიდუალისტურ მსოფლ-მხედველობას დაუმორჩილა მან კაცობრიობის უკეთილშობილესი ზრახვები და მისწრაფებები.

პროლეტარიატმა აიღო ხელში მეცნიერული მსჯელობის დროშა. პროლეტარიატმა უარყო და შორს გადაისროლა ეგოიზმი და ინდივიდუალიზმი.

ობიექტივიზმი — ეს მეორე მეთოდოლოგიური საფუძველია მარქსის პოლიტიკურ ეკონომიისა. **ისტორიული თვალსაზრისი და ობიექტივიზმი** — ეს ორი მეთოდოლოგიური საფუძველები, ერთად აღებული, წარმოადგენენ პრობლემის მარქსისტულად დასმას. დაემყარა რა ამ მეთოდოლოგიურ საფუძველეს, მარქსმა თავის „კაპიტალში“, მოგვცა ჩვენ გენიალური ანალიზი ბურჟუაზიულ ურთიერთობისა.

12 თებერვალი 1924 წ.



# ალგებრს აინშტაინის რელატივიზმის თეორია

(ასკლა ივიზიკა)

## A.

### 1. აინშტაინამდის.

მთვარიან ღამეში მოგზაურობის დროს უსათუოდ გიფიქრია შენ, პატივცემულო მკითხველო, იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი ჩვენი სამყარო, რა ძალები ამოძრავებს მას, რად არის ცა მოქედილი ვარსკვლავებით, რად მისცურავს ზეცაში მთვარე, რად ამოვა დილას მზე და სხვ.

მე ვიგულისხმებ, რომ საშუალო სწავლა მაინც მიგიღია, მაშინ შენ იცი მთელი რიგი პასუხებისა, რომელიც მეცნიერებას ამ საკითხებისათვის სხვა და სხვა დროს გაუცია და ამაყობ კიდევ ამ პასუხების ცოდნით. შენ თავისუფალი ხარ რელაგიური ლეგენდების გავლენისაგან და გგონია რომ იცი ქვეყნის ბრუნვის საიდუმლოება. ბუნების მოვლენების ასახსნელად შენ აღარ გჭირდება ღმერთის დახმარება, ღმერთის მოციქულებზე უკეთ იცი სხვადასხვა მოვლენების მიზეზები. მეცნიერებას, რომელიც ასეთ პასუხებს იძლევა, შენ უწოდებ ფიზიკას და უსათუოდ ამაყობ იმით, რომ შენ გაქვს ფიზიკის მიცნიერება. და მართლაც აზროვნების ისტორიას არ წარმოუშვია არც ერთი მეცნიერება, რომელიც უფრო მტკიცე და საიმედო პასუხს იძლეოდეს ბუნების და სინამდვილის გაგებისათვის, ვიდრე ფიზიკა. ამიტომ ნათლად წარმოსადგენია შენი გულისწყრომა და გაკვირება, როდესაც გეტყვიან, რომ ის ფიზიკა, რომელსაც შენ იცნობ, დღეს მეცნიერების მიერ უკუგდებულია და მის ადგილს იჭერს ე. წ. ახალი ფიზიკა; ახალი ახსნა სამყაროის და უნივერსის, ახალი საშუალება აზროვნებისათვის. შენ, რასაკვირველია, სკოლაში გისწავლია გეომეტრიაც, გახსოვს თუ როგორი სიმტკიცე და თანმიმდევრობა ახასიათებდა ამ მეცნიერების ყველა დებულებებს; შენ არ იცი, რომ გეომეტრია, რომელიც შენ ისწავლე და რომელიც ბერძენმა მეცნიერმა ევკლიდემ შეადგინა, დიდი ხანია ჩვენი მეცნიერების მიერ მიუღებელი შეიქნა და მისი ადგილი სხვა გეომეტრიულმა სისტემებმა დაიკავეს.

ესეც გაგაკვირვებს შენ, მაგრამ ისე არა, როგორც ფიზიკის დანერგვა. ვინაიდან ფიზიკალური კოდნა შენი აზროვნების სიამაყე იყო, ის, რის საშუალებით შენ ეცნობოდი ბუნებას და მის კანონებს. გასაგებია შენი გაკვირვებები კანონიერია გულისწყრომა. შენსავით გაკვირვებული დარჩა ერთ-ერთი მათემატიკოსი პროფესორი. მან მოისმინა პირველი მოხსენება ახალ ფიზიკის შესახებ, დაბრუნდა სახლში, დაქანცული და დაღალული, შევიდა თავის სამუშაო ოთახში და მოხუც კოლს შეკითხვაზე უპასუხა: „ეხ, ყოველივე დაინგრა; ყოველივე, რასაც ჩვენ ქვეყანას ვასწავლიდით, რაც გეწამდა, ფუჭი ოცნება გამოდგა, დღეს ჩვენ ვდგევართ ჩვენი საამაყო მეცნიერების ნანგრევების წინაშე“. პატივცემული პროფესორი ლაპარაკობდა ალბერტ აინშტაინის მიერ ფიზიკაში მომხდარ რევოლუციის შესახებ. ჩვენც გვინდა ამ რევოლუციას გავეცნოთ. ყველასათვის გასაგებ ენით ამის გადმოცემა არა თუ ძნელი საქმეა, თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვეცდებით, რაც შეიძლება პოპულიარულად ავაშენოთ აინშტაინის შენობა:

საშუალო საუკუნეების აზროვნება, მისი მეცნიერება და ფილოსოფია თითქმის ერთ მიზანს ემსახურებოდა. მას სურდა ყოფილიყო თეოლოგია, ე. ი. მოძღვრება ღმერთის შესახებ. ფილოსოფია თეოლოგიის მსახური არისო, იტყოდა საშუალო საუკუნის მოაზროვნე. აზროვნების საშუალებით ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ ღმერთი არსებობს; ამისათვის საჭიროდ მიაჩნდათ ღვთის ყველა დადებითი თვისებების ჩამოთვლა და დამტკიცება. მაგ. ფიქრობდნენ: თუ ღმერთი შეიცავს ყოვლის შემძლეობას, ყოვლად კეთილობას და ყოვლის კოდნას, მაშინ რეალურად არსებობის ცნებასაც უნდა შეიცავდესო. ბუნებისმეტყველება ამ ხანაში ჩამოგავდა ღვთისმეტყველებას, აქაც თვისებებს დაეძებდნენ. მაშინდელი ქიმია „ამხადებდა უკვდავების ელექსირს, ხელოვნურ ოქროს და სხ.“ ფიზიკა კი სუბსტანციის მთავარ თვისებებს დაეძებდა.

ახალი დრო, რომელიც ახალ ქვეყნების აღმოჩენით და ძველ ქვეყანაში საწარმოვო ძალთა და ტექნიკის განვითარების ნიშნით მიმდინარეობს, დაიწყო ადამიანის თვალსაზრისის ძირბუდიანად შეცვლით. ახალმა ბუნების მეცნიერებამ, რომელიც პირმშო შვილი იყო ტექნიკურ რევოლუციების და საერთო მატერიალურ კულტურის აღორძინებისა, უნდობლად უკუ აგდო სუბსტანციის თვისებების ბუნებაში ძიება და დაიწყო ბუნების მოვლენების გამოანგარიშება. ბუნების კანონი გადათარგმნა რიცხვის კანონად და სწორი მეთოდით იქნა გამოანგარიშებული.

ბუნების მოვლენების და მისი კანონების გარიცხვობრიობა — აი, ახალი დროის, ახალი სიტყვა. მით დაიწყო ჩვენი ფიზიკა, რომელიც კებლერმა, გალილეო-გალილეიმ და ნიუტონმა დაარსეს, ის მეცნიერება, რომელსაც სახელად კლასიკური ფიზიკა ეწოდება. მთელი ბუნება ამ ფიზიკაში გადაქცეულია მოძრაობად და მოძრაობა გამოანგარიშებულია რიცხვის საშუალებით. სრული სამასი წელიწადი ემსახურა კლასიკური ფიზიკა აზროვნებას და კოდნას. მე-19 საუკუნის მიწურულში კი, მას შემდეგ, რაც თვით ის მათემატიკა და გეომეტრია, რომლის კანონებზე ბუნების კანონები ემყარებოდა, შესწორებულ და გადაკეთებულ იქნა, ფიზიკის კლასიკური სიმსტემა გაიხლართა წინააღმდეგობათა მთელ რიგში, რომლიდანაც მან თავი ვერას გზით ვერ დააღწია. კლასიკური ფიზიკა უმთავრესად ნექანიკა იყო, ე. ი. ის მთელ ბუნებას მოძრაობად

აქცევდა და შემდეგ ამ მოძრაობას ანგარიშობდა. ახალ დროის ფიზიკაში კი მექანიკის გვერდით აღიმართა ელექტრო-დინამიკა, რომელიც მექანიკის კანონებით არ აიხსნება და განიმარტება. ელექტრო-დინამიკის პრობლემებმა საჭირო გახადეს ფიზიკის მთავარ დებულებათა რევიზია; სამი მთავარი დებულება, რომელზედაც აშენებული იყო გალილე-ნიუტონის ფიზიკა, განსაზღვრავს დრო, სივრცე და მოძრაობა. საჭირო შეიქნა ამ სამი დებულების ახალი გადასინჯვა, მათი ან უკუ გდება, ან ახალი გამოყენება და ახალი დაკანონება. მე-19-ტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ექსპერიმენტალურადაც აღმოჩენილ იქნა ისეთი ფაქტები, რომლის ახსნა ძველ ფიზიკას არა გზით და არაეითარ საშუალებით არ შეეძლო.

სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნით ფიზიკის მეცნიერებას მსხნელად მოველინა ცნობილი მეცნიერი და მოაზროვნე ერნსტ მახი. ერნსტ მახი უკანასკნელი საფეხურია კლასიკურ ფიზიკის ისტორიისა. მახმა უცნაური გონებამახვილობით გამოამხეურა კლასიკურ მექანიკის წინააღმდეგობაში ჩაეარდნილი სისტემა, მან ნათელპყო ზროსა, სივრცესა და მოძრაობის შესახებ იმ შებედულეების შენარჩუნების შეუძლებლობა, რომელიც ჰქონდა ნიუტონს. მახმა დაშალა ძველი შენობა, მაგრამ ახალი სიტყვა ვერ იპოვა და ეს ფიზიკის ისტორიის დიდი პესიმისტი დაუბრუნდა უკან საბერძნეთის სოფისტს პროტაგორას და მასთან ერთად განაცხადა: ადამიანი არის საზომი ყოველივე იმის, რაც არსებობს და იმის, რაც არ არსებობს. მახმა გადაწყვიტა ამ ადამიანური თვალსაზრისის ფიზიკაში მეთოდოლოგიურად გადმოტანა და ამით ფიზიკის მეცნიერების ახალი განმტკიცება. სინამდვილეში კი ამ ბიოლოგიურ-ანტროპოლოგიურ თვალსაზრისის წყალობით ფიზიკის მეცნიერება დადგა დიდ განსაცდლის წინაშე. მის წინ აღიმართა მეცნიერული გაკოტრების საშიშროება. დიდმა ბერლინელმა ფიზიკოსმა მაქს პლანკმა უცებ გაიგო ეს საშიშროება და ლაიდენში წარმოთქმულ სიტყვაში უკუაგდო მახის ადამიანის თვალსაზრისზე და ბიოლოგიაზე დამყარებული ფიზიკა, მაგრამ პლანკს არ გააჩნდა მჭრელი იარაღი მახის საწამლავის წინააღმდეგ. მას არ გააჩნდა ახალი რევოლუციონური სწავლა, რომელიც ფანჯრიდან გადისროლიდა კლასიკურ ფიზიკის სისტემას და მახის სოფიზმებსაც. ფიზიკის ასეთ განმახლებლად გამოვიდა ალბერტ აინშტაინი. მახი ნიშნავს რეაქციას აზროვნებაში და პესიმისმს ფიზიკაში. აინშტაინი არის რევოლუცია და ოპტიმიზმი. აინშტაინის რელატივისტური ფიზიკა არის ახალი ქვეყანა და ახალი დასაწყისი. ყოველი ახალი, თუ ის ცხველყოფილია, ძველზე უნდა ეყრდნობოდეს, ასე ეყრდნობა კლასიკურ ფიზიკაზე რელატივისტური ფიზიკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი დიდი და უღმობელი რევოლუცია აზროვნების და კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ ახსოვს. კოპერნიკის ცნობილი დიდი რევოლუცია, აინშტაინთან შედარებით ქარიშხალი იყო ერთ ქიქა წყალში. აინშტაინმა მოახდინა ქარიშხალი უნაპირო ოკეანეში.

## 2. დრო და სივრცის პრობლემა კლასიკურ ფიზიკაში.

კლასიკური ფიზიკა არის მექანიკა. მექანიკა კი არის სწავლა მოძრაობის შესახებ, ის ხსნის, თუ როგორ და რა კანონების მიხედვით იცვლებიან სხეულები ე. ი. მოძრაობენ. მეცნიერულ ენაზე ამის თქმა შეიძლება ასე: მექანიკა აღწერს, თუ როგორ სხეულები დროით თავიანთ ადგილს იცვლიან სივრცეში.

სხეულის მიერ დროის მიხედვით სივრცეში ადგილის შეცვლა. მოძრაობა არის. ე. ი. თვით მექანიკის და მისი მოძრაობის დასაკანონებლად ნაგულისხმევია სამი საფუძველმდებელი ცნება: დრო, სივრცე, ადგილი. ჯერ უნდა გავიხსენოთ მხოლოდ დრო და სივრცე. დრო და სივრცე ფუნდამენტალურად უნდა განვიხილოთ ნიუტონის ფიზიკის, სამასი წლის გასწვრივ, მიუხედავად ფიზიკის ყველა პრობლემებისათვის გადამუშავებისა, დრო და სივრცე რჩებიან ხელუხლები ისე, როგორც ის წარმოედგინა ნიუტონს. ფიზიკა ყოველთვის ამუშავებს იმ მატერიალურ სუბსტრატს, რაიც ავსებენ დროსა და სივრცეს. დრო და სივრცე წარმოდგენილია, როგორც აბსოლიუტი ჭურჭლები, რომელშიაც ვტივთ ქვეყნიერება.

ნიუტონი იძლევა აბსოლიუტ დროსა და სივრცის განმარტებას.

„აბსოლიუტი, ჭეშმარიტი და მათემატიკური დრო — საკუთარი ბუნების მიხედვით მიმდინარეობს თანაბარად, თანასწორად და არ აქვს არავითარი დამოკიდებულება რომელიმე მის გარეშე მყოფ საგანთან“.

„აბსოლიუტი სივრცე — საკუთარი ბუნების მიხედვით — რჩება სულ თანასწორი, უძრავი და არ აქვს არავითარი დამოკიდებულება რომელიმე მის გარეშე მყოფ საგანთან“.

ძნელი გასაგებია თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ ცნებების ქვეშ. თუმცა ჯერ კიდევ ფილოსოფოსმა ბერკლიმ წამოაყენა დებულება ნიუტონის საწინააღმდეგოდ, რომ უაზრობაა დროსა და სივრცეზე ლაპარაკი, როდესაც ყოველივე დამოკიდებულება საგნებთან გამორიცხებულია, ასევე აზროვნობდა ლაიბნიციც, მაგრამ ფიზიკის მიერ ეს არ იქნა მოსმენილი და ბუნებათმეცნიერება 1905 წლამდის აბსოლიუტ დროს და სივრცის ცნებებით მუშაობდა. წინააღმდეგობათა ჩიხში ჩავარდნილი ბუნებათმეცნიერება ამით გადაარჩინა აინშტაინმა. მან სწორედ დრო და სივრცის პრობლემას დაუწყო ახალი გადამუშავება. თუ მივიღებთ აბსოლიუტ დროის და სივრცის ჰიპოთეზას, ამით შესაძლებელი რჩება მექანიკის სისტემის შენარჩუნება, მაგრამ მთელი რიგი ექსპერიმენტალურად დაცდილ ფენომენებისა აუხსნელი რჩება. ავიღოთ უბრალო მაგალითი: თქვენ დგებართ მიმავალ მატარებელში და იყურებით ფანჯრიდან. თქვენ გადააგდეთ ქვა ფანჯრიდან. და დაინახავთ, რომ ის დაეცემა მიწაზე და მის მიერ განვლილი გზა იქნება სწორი ხაზი. წარმოიდგინეთ, რომ რკინის გზაზე სდგას მაყურებელი. ის იტყვის რომ ქვამ მიწაზე დავარდნის დროს აღწერა მოღუნული ხაზი (პარაბოლი). აქედან ნათლად სჩანს რომ აბსოლიუტი მოძრაობა ყველა სისტემისათვის არ არსებულა; ჩვენი მაგალითისათვის მდგომარეობა იქნება შემდეგი: თუ ქვას განვიხილავთ ვაგონთან მიმართებით, მაშინ მის მიერ მიწაზე დავარდნის დროს გავლილი ხაზი იქნება სწორი, თუ ქვას განვიხილავთ მიწის სისტემიდან (მიწასთან დამოკიდებულ კოორდინატის სისტემიდან) მაშინ ქვა აღწერს მრუდვ ხაზს. ე. ი. ე. წ. მოძრაობა სივრცეში ძალიან რელატივისტური ცნება უნდა იყოს; აბსოლიუტი მოძრაობა არ არსებობს; მოძრაობა ყოველთვის დამოკიდებულია ამა თუ იმ მიმართებითი მკვირივი საგნის სისტემიდან. ადგილის შეცვლა, რომლის შესახებ მექანიკა ლაპარაკობს სინამდვილეში, არის სრულიად რელატივისტური ცნება. ეს თავისებურად გათვალისწინებულია გალილეი-ნიუტონის ფიზიკაში.

3. კლასიკური მექანიკის რელატივიზმის პრინციპი და ე. წ. მოძრაობის სიჩქარის ადიციის თეორემა.




წარმოვიდგინოთ კიდევ რომ ჩვენ ვიმყოფებით თანასწორად მიმავალ მატარებელში. მატარებელი თანასწორად მოძრაობს, ე. ი. ის იცვლის ადგილს, მაგრამ ის არ ბრუნავს, ამიტომ მატარებლის მოძრაობას უწოდოთ თანაბარი ტრანსლაცია. წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ რკინისგზიდან მაყურებელი ხედავს ჰაერში მიმფრინავ ყვავს, ის ამბობს რომ ყვავის მოძრაობა არის სწორხაზოვანი და თანაბარი. ვაგონში მყოფი მაყურებელი ამჩნევს, რომ ყვავი თუმცა სხვა სიჩქარით და სხვა მიმართულებით, მაგრამ მაინც სწორხაზოვანად და თანაბრად მოძრაობს. აქედან გალილეი-ნიუტონის ფიზიკა დაასკვნის: დავარქმევთ რომელიმე სისტემას (კოორდინატის სისტემას)  $K$  გალილეის სისტემას, მაშინ ყოველი სხვა სისტემა  $K'$ , რომელიც  $K$ -ს მიმართ სწორხაზოვან და თანაბარ მოძრაობას აწარმოებს, არის აგრეთვე გალილეის სისტემა, ე. ი. ნიუტონის მექანიკის კანონები ერთი და იგივენი არიან, როგორც უძრავი სისტემა  $K$ -სათვის, ისე სწორხაზოვანად და თანაბრად მოძრავი სისტემა  $K'$ -სათვის. ეს არის ე. წ. კლასიკური ფიზიკის რელატივიზმის პრინციპი. ის ამბობს შემდეგს: თუ  $K'$   $K$ -ს მიმართ სწორხაზოვანად და თანაბრად მოძრავი სისტემა არის, მაშინ ბუნების ყველა მოვლენები  $K'$  იმავე კანონით მიმდინარეობენ, როგორც  $K$ .

წარმოვიდგინოთ ჩვენ ერთ წუთს, რომ სწორხაზოვანად და თანაბრად მიმავალ მატარებელში მატარებლის მოძრაობის მიმართულებით მიდის ადამიანი. როგორი იქნება ამ ადამიანის მოძრაობის სიჩქარე მიწის მიმართ? ცხადია, მატარებლის მოძრაობას მიემატება მისი მოძრაობა, ე. ი. თუ მატარებლის მოძრაობის სიჩქარე არის  $v$ , კაცის ვაგონში მოძრაობის სიჩქარე არის  $w$ , მაშინ მისი მოძრაობა მიწის მიმართ ( $W$ ) იქნება —  $W = v + w$ . თუ ჩვენ ახლა ავიღებთ ყოველივეზე უფრო ჩქარ საგანს, ე. ი. სინათლის სხივს და მის მოძრაობის სიჩქარეს  $c$  დაუპირდაპირებთ მატარებლის სიჩქარეს და გავითვალისწინებთ ე. წ. ადიციის თეორემას, ჩვენ ჩაეარდებით განსაცდელში. თუ ვაგონი მოძრაობს სინათლის მოძრაობის მიმართ, მაშინ, ცხადია, რომ  $c$ -ს სიდიდე ადიციის თეორემის მიხედვით უნდა შეიცვალოს. ასე ასწავლის კლასიკური მექანიკა. ძველი კანონის ძალით სინათლის მოძრაობის სიჩქარეს უნდა მიემატოს ვაგონის მოძრაობის სიჩქარე. თუ ეს ასე არ არის, მაშინ დაირღვევა კლასიკური მექანიკის მთავარი პრინციპი და სწორედ ამ წერტილთან განიკადა მექანიკამ თავისი დამარცხება.

4. ფიზოს და მაიკელზონის ექსპერიმენტი.

ამ მდგომარეობის ექსპერიმენტალურად გამოსარკვევად იმუშავა გენიალურმა ფიზიკოსმა ფიზომ. მან რთული აპარატების საშუალებით შეადარა ერთი მეორეს სინათლის სხივის მოძრაობა გაჩერებულ წყალში და შემდეგ ჩქარად მოძრავ წყალში. მექანიკის კანონის ძალით სინათლის მოძრაობას მოძრავ წყალში უნდა მომატებოდა წყალის მოძრაობა და მიგველო ცნობილი ფორმულა  $W = v + w$ . ფიზომ ვერას გზით ვერ მიიღო ეს ფორმულა, აქ გამოდიოდა, რომ თუმცა რაღაც სიჩქარე ემატებოდა სხივის სიჩქარეს, მაგრამ ეს არ იყო მოძრავი წყალის სიჩქარე. ფიზომ მიიღო ფორმულა  $W = w + v \cdot (1 - 1/n^2)$ , თუ მხედვე-

ლობაში მივიღებთ, რომ  $n = c/w$  არის სიბრტყის გადატეხის ექსპერიმენტისათვის ფორმულა, მაშინ, ცხადია, რომ კლასიკურ ფიზიკაში როდესაც აუხსნელი და-რჩენილა. ამ მდგომარეობის მიხედვით ჰოლანდიელმა ფიზიკოსმა ლორენცმა წა-მოაყენა ჰიპოთეზა, რომ მსოფლიო სავსეა უძრავი ეთერით, რომელიც სხეულებს მოძრაობის დროს თან არ მიჰყვება. ამ ჰიპოთეზის განსაზღვრავათ ამერიკელმა ფიზიკოსმა მაიკელზონმა მოაწყო გრანდიოზული ექსპერიმენტი. მაიკელზონის ექსპერიმენტის მიზანი იყო ეჩვენებია თუ რამდენად ჰქონდა გავლენა სინათლის მოძრაობაზე დედამიწის მოძრაობას.



L, არის სინათლის წყარო, C მინა, რომელშიაც სინათლე გადის, მაგ-რამ, რომლისგანაც სინათლე უკან-ვე ბრუნდება, A და B არის სარკე.

წარმოვიდგინოთ, რომ L-დან სი-ნათლე მოხვდა C-ში, აქედან ის მოდის B-საკენ. B ისერის მას პი-რდაპირ უკან და სხივი მოხვდება C-ს იქ, სადაც ის L-დან მოხვდა, ამ ადგილიდან სხივის ერთი ნაწილი

გადის C-ში და ხვდება A-ში. ეს სხივიც ბრუნდება C-სკენ უკან და ხვდება იქ, სადაც B-დან გამობრუნებული სხივი. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მიმართულება B-C არის პარალელური მიწის მოძრაობასთან. ფიზიკის კანონების მიხედვით, სხივს C-სა და B-ს მისვლა-მოსვლის და C-ს და A-ს მიმოსვლის დროს უნდა დააგვიანდეს. და, რადგანაც ეს დაგვიანება თანასწორი არ არის, ამისათვის (ფი-ზიკის კანონის მიხედვით) C-ში, სადაც სხივები ერთდებიან, უნდა მივიღოთ სი-ნათლის ბრჭყვიალი, რასაც ფიზიკაში „ინტერფერენცი“ ეწოდება. ამრიგად ას-წავლიდა ფიზიკა, რომ თუ გზის გავლის დრო C—B—C და C—A—C სხვა და სხვა არის, ჩვენ მივიღებთ C-ში სინათლის სხივების „ინტერფერენცს“. დიდი სისწორით და უნარიანობით მოაწყო მაიკელზონმა თავისი ექსპერიმენტი. მაგ-რამ შედეგი საშინელი გამოდგა: სხივს არც ერთ მიმართულებით არ დააგვიან-და, C-ში მან ვერ მიიღო ვერავითარი ინტერფერენცი. ფიზიკას არავითარი საშუალება არ გააჩნდა მაიკელზონის ეფექტის ახსნისათვის. აბსოლიუტურად უძრავი ეთერის ჰიპოთეზა შეუძლებელი საქმე შეიქნა. სხივის გავრცელებაზე ეთერმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა და ეთერის ჰიპოთეზა გაუქმდა. არა თუ ეთერის ჰიპოთეზა ამით შეუძლებელი შეიქნა, არამედ კლასიკური მექანიკის რელატივიზმის პრინციპი წინ აღუდგა სხივის მედიუმში გავრცელების კანონს.

### ა. ლორენცის კონტრაქცია.

მაიკელზონის ექსპერიმენტიდან ფიზიკამ გააკეთა დასკვნა, რომ სინათლე მიწის მიმართ ყოველ მიმართულებით ერთნაირად მოძრაობს და არავითარი აბ-სოლიუტი მოძრაობა და უძრავი ეთერი არ არსებობს. ეს შედეგი ფიზიკამ ვერ შეარიგა მექანიკის რელატივიზმის პრინციპთან და ძველი ფიზიკა გაიხლართა საშინელ წინააღმდეგობათა ქსელში. პირველი იყო ლორენცი, რომელმაც მოხდენილ ჰიპოთეზის წამოყენებით წინააღმდეგობას თავი გაართვა. ლორენცმა

შემდეგი ჰიპოთეზა წამოაყენა: ყველა სხეულები მოძრაობენ ერთი მიმართ და მოძრაობის დროს მოკლებიან მათი სივრცის  $1 - \frac{v^2}{c^2}$  ით. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო სავსეა უძრავი ეთერით, რომელის მოძრაობის დროს სხეული იმდენად იკუმშება, რამდენადაც მას შეუძლია გაიშალოს კონტრაქციის შემობრუნებისას. ამით მაიკელზონის ეფექტი განმარტებულს წააგავს. თუ გზა ორივე სარკეს შორის თავისთავად მოკლებდა, მაშინ სხივი სივრცის გასავლელად იმდენად ნაკლებ დროს ხმარობს, რამდენადაც გზა თავისთავად შემოკლდა. ამით რელატივიზმის პრინციპიდან გამომდინარე კანონი სინაღვილეში არ არსებობს, მაგრამ ჰიპოთეზა, ისე ხსნის ბუნების ყოველ კანონს, თითქო ეს პრინციპი არსებობდეს. აქ ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ, რატომ არ მიიღო ფიზიკამ ლორენცის ჰიპოთეზა და მოუსმინა მხოლოდ აინშტაინს, ე.ი. რაში მდგომარეობს ლორენცის კონტრაქციის ჰიპოთეზის ნაკლებობა? პასუხი, რომელსაც მე აქ გავსცემ, გაუკვირდება ყველა ფიზიკოსს! ლორენცის ნაკლებობა არის მხოლოდ ფილოსოფიური. ლორენცი სდგას (გნოსეოლოგიურად) ძველი ფიზიკის ნიადაგზე, მას სურს კანონი მოხსნას ჰიპოთეზის საშუალებით. ამის წინააღმდეგ აინშტაინის გალაშქრება და ახალი თეორიის წამოყენება დასაბამში არის ფილოსოფიური საქმიანობა. და ამ ფილოსოფიურ საქმიანობას ბედად ხვდა მოხდინა აზროვნების ისტორიის უდიდესი რევოლუცია.


### 6. სპეციალი რელატივიზმის თეორია.

1905 წელს ცნობილ ფიზიკალურ ჟურნალში *Annalen der Physik* გამოვიდა ახალგაზრდა მეცნიერის ალბერტ აინშტაინის პატარა მოცულობის გამოკვლევა *Zur Elektrodynamik bewegter Systeme*. ამ გამოკვლევით იწყება ახალი ფიზიკის ისტორია. აინშტაინი სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა მაიკელზონის ცდას. მან ინტერპრეტაცია კი არ დაუწყო ეფექტს, არამედ მიიღო ფაქტად, რომ სხივი უნივერსის სივრცეში ყოველ მიმართულებით ერთ და იმავე სიჩქარით ვრცელდება. ამით ეთერის ჰიპოთეზა სავსებით გამოუდევარი შეიქნა. აინშტაინმა ის უკუაგდო და მის ადგილს მიიღო სხივი, როგორც ნივთიერი მატერიის უმაღლესი და დამოუკიდებელი სახე, რომელიც ერთ და იმავე სიჩქარით ვრცელდება უნივერსში. ჩვენი ქვეყნისათვის აინშტაინმა მიიღო პარადოქსალური ფორმულა: სინათლის სიჩქარე  $\times$  დედამიწის სიჩქარეზე = სინათლის სიჩქარეს, ჩვენ ვიცით რომ დედამიწის მოძრაობის სიჩქარე შეტია, ვიდრე ნული და, რადგან ეს ასეა, ცხადია, რომ სალი გონების მიხედვით, ყოველივე კანონი დარღვეულია! ეს სალი გონება არის ძველი ფილოსოფიის და ფიზიკის გონება. სინაღვილეში კანონი კი არ არის დარღვეული, არამედ ჩვენ არ ვიცნობთ სწორ კანონს. საქმის სწორად გაგებისათვის საჭიროა ჩვენი აზროვნების ორი ძირითადი ცნება, დრო და სივრცე სულ ახლად გადავამუშაოთ და მათ ცნებებს ფიზიკალური შინაარსი მივსცეთ.

წარმოვიდგინოთ ახლა რომ რკინისგზაზე ორ ერთმეორესგან დაშორებულ წერტილს A და B-ს დაეცა ელვა. ნათქვამს მიუმატოთ, რომ ელვის დაცემა მოხდა ერთდროულად. რას ნიშნავს ეს ერთდროულობა, ან როგორ შეიძლება ერთდროულ მოვლენების 'შინაარსის' გაგება? ჩვენი მაგალითისათვის შესაძლებელია შემდეგი მოფიქრება. A-სა და B-ს შორის მოენახოთ საშუალო წერტილი M,

დაედგათ აქ ორი სარკე, (რომლის ერთი მეორისაკენ დახრა იქნება  $90^\circ$ ) თუ, A-და B-საგან მომავალი სხივი მოხდა B ერთ მომენტში, და თუ A-M უდრის B-M-ს, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ელვის დაცემა ყოფილა ერთდროული. ახლა ჩვენ შეგვიძლია გამოვწავლოთ საშუალებანი, რომლითაც შეგვიძლია დრო განიზომება; პირველი იქნება რომელიმე საზომი, მეორე <sup>საათი</sup> ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: თუ განსახილავ სხეულის ორ, ერთი მეორესაგან დაშორებულ წერტილებზე სდვას ორი საათი და დროს მაჩვენებელი ორი საათისათვის ერთსა და იმავე დროს აჩვენებს, მოვლენები ამ საგანზე მიმდინარეობენ ერთდროულად. მაგრამ როგორია ეს ერთდროულობა, ანუ რისგან არის დამოკიდებული ეს ერთდროულობა? ძველ ფიზიკას გააჩნია ამის შესახებ ცნობილი დებულება:

„ორ მოვლენათა შორის დროის სიგრძე საესეებით დამოკიდებულია სისტემის მოძრაობის მდგომარეობიდან“. მოვლენათა შორის დრო აბსოლიუტური დარჩება, მიუხედავად იმისა მოძრაობს თუ უძრავია ის სისტემა, რომელზედაც დროული მოვლენა ვლინდება. ეს არის ნიუტონის ფიზიკის ურყევი დებულება, ის დებულება, რომელმაც მაიკელზონის ცდის შემდეგ ფიზიკის მეცნიერება საოცარ განსაცდელში ჩააგდო! წარმოვიდგინოთ ეხლა, რომ რკინისგზაზე მიდის თანასწორი მოძრაობით მატარებელი. მატარებლის თანასწორ მოძრაობას დაუძახოთ მეტ სახელად V. ადამიანები, რომლებიც მატარებელში იმყოფებიან ყოველივე მოვლენას, რასაკვირველია, განიხილავენ მატარებელთან დამოკიდებულებით. ყოველივე მოვლენა, რაც კი რკინისგზაზე მოხდება, უსათუოდ მოხდება მატარებელშიაც. აქ წარმოდგება საინტერესო საკითხი, როგორ ვლინდებიან ის მოვლენები მატარებელში, რომელნიც რკინისგზაზე ერთდროულნი იყვნენ?



ჩვენ ვამბობდით, რომ ელვა A და B-ს დაეცა ერთდროულად. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათი დაცემის ეფექტი მოვიდა M-ში და M იყო A-B წერტილი. ეხლა ვიკითხოთ, როგორ დაინახავს ამ მოვლენას მატარებელში მჯდომი. წარვიდგინოთ, რომ M არის შუა ადგილი მატარებელში მჯდომისათვის. მაგრამ, რადგანც მატარებელი მოდის A-დან B-საკენ, ამიტომ იმ დროს, როდესაც სიგნალი უნდა მოვიდეს M-ში, მატარებელში მჯდომი მოშორდება M-ს, ის მიუახლოვდება B-ს. თუ მას კითხავთ, როდის დაეცა ელვა A-ს და B-სო, ის ცხადია, გეტყვის, რომ B-ს დაეცა უწინ A-ს კი შემდეგ. რკინისგზაზე მდგომი მაყურებელი, რომელიც მოძრავ სისტემიდან კი არ ხედავს ამ ამბავს, არამედ უძრავი, ლიანდაგი სგასწვრივ, ამტკიცებს, რომ ელვის დარტყმა მოხდა ერთდროულად. ჩვენ ვტყობილობთ გასაოცარ ამბავს: მოვლენები, რომლებიც უძრავ რკინისგზის ლიანდაგთან დამოკიდების დროს ერთდროულნი არიან, მოძრავ მატარებელთან დამოკიდებაში არ არის ერთდროული. ჩვენ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყოველივე საგანს და სისტემას აქვს საკუთარი დრო. დრო, ცალკე აღებული, ყველასათვის სავალდებულო, არ არსებობს. მკვირვ უძრავ სისტემას აქვს თავისი დრო, მოძრავს კიდევ თავისი. ეს არის ერთდროულობის რელატივიზობა. ერთდროულობა, დროს ხანგრძლიეობა და გძეობა არ არის თავისთავად არ-



სებული და აბსოლიუტი ცნება, ის ყოველთვის დამოკიდებულია და გამოდის იმ სისტემიდან, რა სისტემიდანაც დრო იზომება. მოძრავე სისტემას ბჭვს ერთი დრო და მისი გძეობა, უძრავს — კი მეორე. აჭ, ასე ვსთქვათ, დროს თავისთავად არსებობა მოხსნილია, და დრო საგნის ნაწილად არის გამოცხადებული. საგნები კი არ არიან დროში და არ მოძრაობენ დროში, არამედ თვით საგანი ქმნის მისთვის საჭირო დროს.

ამ აღმოჩენიდან იწყება აინშტაინის თეორიის გენიალური კვანძი. ის, რამაც უღმობელი რევოლიუცია მოუწყო აზროვნებას; ეს არის აგრეთვე აინშტაინის დიადი ფილოსოფიური საქმიანობა.

ზევით ჩვენ განვიხილეთ ძველ ფიზიკაში არსებული ადიციის თეორემა, ნოიკელზონის ცდა, უპირველეს ყოვლისა, ჩაეარდა საწინელი წინააღმდეგობაში ამ ადიციის თეორემასთან. და ჩვენ ეხლა დროს ცნება იმით გავარელატივეთ რომ დამოკიდებული დრო საგნის ნაწილად გადავაქციეთ ამით უკვე მოხსნილია ყოველივე წინააღმდეგობა. სინათლის სხივი ვაკუუმში ყოველი მიმართულებით უნდა გავრცელდეს ერთნაირ სიჩქარით (რაიც უდრის 300.000 კ. მ. სეკუნდისათვის). ეს ასე უნდა მოხდეს, რადგან სიჩქარე (დროს პრობლემა) გარელატივებულია და ის მხოლოდ სინათლესთან ერთად არსებობს. კლასიკურ ფიზიკის კანონები და ჰიპოთეზები სინათლის ბუნების თვისებისათვის მოხსნილია და მის ალაგს იჭერს სპეციალი რელატივობის დებულება:

სინათლის სხივის სიჩქარე არის უცვლელი სიდიდე ვაკუუმის ყველა მიმართულებით და უდრის 300.000 კ. მეტ. სეკუნდ.

ეს ხომ აღარ არის რელატიური ცნება? შემეკითხება კანონიერად მკითხველი. დიახ არა, ე. ი., რაც ყველაზე უფრო დიდი სიჩქარით მოძრაობს, დატოვებულია უცვლელად, რათა მან სხვა ყოველივეს მისცეს ცვალებადობის და რელატივობის საშუალება. ის დატოვებულია უცვლელად, მხოლოდ აინშტაინის შენობის შესავალში; ე. წ. სპეციალ რელატივობის თეორიაში. თვით შენობაში უცვლელი ბუნებაც შეიცვლება და ისიც რელატიურ სახეს მიიღებს. დროს ცნების გარელატივებით სხივის მოძრაობის უცვლელად დატოვება არ შეიცავს არავითარ წინააღმდეგობას, პირიქით მისი ასეთად დატოვება აუცილებელია რელატიურ დროიდან რელატიურ სივრცეზე გადასასვლელად.

კლასიკურ ფიზიკას აბსოლიუტ დროს გვერდით საფუძვლად უდევს აბსოლიუტი სივრცის თეორემა: ეს თეორემა ამბობს, რომ „მკვრივ სხეულის ორ წერტილს შუა სივრცითი დაშორება არის დამოუკიდებელი სხეულის მოძრაობის მდგომარეობიდან“. ე. ი. სხეული, რომლის ორ წერტილს შორის განიზომება სივრცითი დაშორება, მოძრავი იქნება თუ უძრავი, სულ ერთია, დასახელებული სივრცითი დაშორება იქნება ერთი და იგივე. დროს აბსოლიუტობის სიკვდილის შემდეგ უნდა მოკვდეს სივრცის აბსოლიუტობაც. წარმოვიდგინოთ რომ იმავე რკინის გზაზე გვინდა შევიტყოთ ორი წერტილის სივრცითი დაშორება. მატარებელშიმჯდომი ამისათვის გახონავს ხაზს ვაგონის იატაკის გაზომვით. წარმოვიდგინოთ, რომ მან მიიღო 50 მეტრი, ის იტყვის რომ ამ ორი წერტილის დაშორება არის 50 მეტრი; ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მატარებლის ამავე სიგრძის გაზომვა სურს რკინისგზიდან მაყურებელს. ამისათვის ის დაიმახსოვრებს წერტილს A' მატარებელზე და A მიწაზე შემდეგ B' მატარებელზე და B მიწაზე. A—B-ს გაზომვა მას შეუძლია დროს ცნების დახმარებით. ეხლა საინტერესოა ეს კაციც თუ 50

მეტრს მიიღებს. საქმე იმაშია, რომ ეს ხმარობს რელატიურ დროს და ამიტომ მას 50 მეტრი არ გამოუვა, ასე რომ მატარებელში მყოფისათვის მატარებლის სივრცე სხვა იქნება, რკინის გზაზე მყოფისათვის კიდევ სხვა; გამოდის რომ თვით სივრცობრივი დაშორება დამოკიდებული ყოფილა იმ საგნიდან და იმ სისტემიდან, რა სისტემიდანაც სივრცე განიზომება. სინათლის სხივის უცვლელ სიდიდეთ მიღებიდან ჩვენ მოვსპეთ დრო, როგორც დამოუკიდებელი ცნება, და გადავაქციეთ იგი საგნის ნაწილად, ეხლა კი გარელატივებულ დროი საშუალებით ჩვენ მიუღვექით სივრცეს და ისიც მოკვდა, როგორც თავისთავად არსებული და გამოცხადდა, როგორც საგნის ნაწილი. ჩვენ აღარ ვაგვაჩნია არც დრო და არც სივრცე, ჩვენ ახლა შეგვიძლია ვილაპარაკოთ დრო-სივრცის შესახებ, რომელიც საგნის მხოლოდ ნაწილია და სხვა არაფერი. საგნები კი არ არსებობენ დროში და სივრცეში, არამედ საგნები არსებობს და დრო და სივრცე არსებობს ისე, როგორც ეს საგნის არსებობისათვის აუცილებელია, ჩვენ შეგვიძლია ახლა წამოვყავნოთ სპეციალ რელატივიობის თეორიის უკანასკნელი დებულება:

თუ სინათლის სხივის მოძრაობის სიჩქარე სამყაროს ყველა მიმართულებით უცვლელი სიდიდეა, მაშინ დრო და სივრცე, მათი გძეობა და დაშორება ჰკარგავს ყოველგვარ აბსოლიუტობას, მათ აქვს მხოლოდ რელატიური არსებობა, ე. ი. ისინი დამოკიდებულნი არიან სამყაროში მოძრავ სხეულთა ურთიერთ მიმართებისაგან.

### 7. ოთხგანზომილებიანი ქვეყანა.

აქ ისეთი რამე მოხდა, რაც დღემდე არსებულ აზროვნებისათვის სავსებით უჩვევი იყო. გარელატივებულმა დრომ გაარელატივა სივრცე და ეს დრო-სივრცის კონცინდენტი იქცა საგნის უბრალო ნაწილად. მაგრამ ის ქვეყანა, რომელშიაც ასეთი საგანი არსებობს არ არის ჩვენთვის ჩვეული სამგანზომილებიანი ქვეყანა. აინშტაინის ქვეყანას აქვს ოთხი განზომილება. ძველი მათემატიკა ქვეყანას ზომავდა სამხაზოვან კოორდინატების სისტემით, აინშტაინის ქვეყანა იზომება ოთხხაზოვან კოორდინატით. მგონების ძველის ძველი ოცნება ოთხგანზომილებიან ქვეყნის შესახებ გამოდგა რეალური სინამდვილე და საფუძვლად დაედო ფიზიკის მეცნიერებას. ცხადია, რომ მკითხველი გაკვირვებული დარჩება: გასაკვირია, მაგრამ მართალი. რაშია საქმე? საქმე იმაშია რომ, ვინც მათემატიკას არ იცნობს, ვერ გაიგებს ამ ოთხგანზომილებიან ქვეყნის საიდუმლოებას. პოპულიარული აღწერით ამ შემთხვევაში ბევრს ვერას ვაგვაკეთებთ. ვინც პირველად ააშენა აინშტაინის თეორიიდან ოთხგანზომილებიანი ქვეყნის სისტემა, იყო დიდი ჰ. მიხკოვსკი, მან წამოსთქვა სიტყვა ქ. კელნში 1908 წ. *Zeitung Baum*, სადაც გარელატივებულ დროისაგან გადაიშალა გარელატივებული სივრცე და ოთხგანზომილებიანი ქვეყანა ფაქტი შეიქმნა. ეს იდეები ამავდროულად დაასაბუთა მიხკოვსკიმ ურყევ მათემატიკურ დედუქციების საშუალებით (*Goet Nachr.* 1908. Heft 1.). არა ფიზიკოსს და არა მათემატიკოსს არ შეუძლია ეზიაროს ამ უმშვენიერეს მეცნიერულ ესთეტიკას, ამ შემთხვევაში მან უნდა დაუჯეროს მეცნიერებას. ეს დაჯერება, რასაკვირველია, ბრმა რწმენას არ მოითხოვს: რწმენა ნიშნავს ცოდნის პრინციპიულ შეუძლებლობას, აქ კი ცოდნაა საჭირო. ვაგებისათვის. ყველა, ვინც კი აღის მეცნიერების სიმაღლეზე სჭვრეტს ამ სინათლეს, ხოლო მეცნიერებას

ალარ ძალუძს დამდაბლდეს და გახდეს გასაგები ე. წ. საღ გონებისათვის. ეს შეიძლება ჩვენი საუკუნის ტრადიციული იყოს, მაგრამ იგი რჩება უცვლელ ტრადიციად. რომ მკითხველი ძნელ ადგილებზე ყოველთვის მაყურებლის და დაჯერებულის როლში არ ჩავარდეს, ჩვენ შევეცდებით ერთი ასეთი მათემატიკური საიდუმლოების აზრი გავხსნათ. ჩვენ გავარელატივით სივრცე, ჩვენ ვნახეთ, რომ სივრცობრივი დაშორება, ანუ ზომა, მოძრავ სისტემიდან სულ სხვაა, ვიდრე უძრავ სისტემიდან. სივრცე განიზომება რაიმე საზომით, მაგალ. მეტრით. გამოდის რომ თვით მეტრის სიგრძე სხვა და სხვა სისტემაში სულ სხვა და სხვა არის. დიახ, ეს ასეა. უბრალო გამოანგარიშებით დაამტკიცა ეს რელატივისტის თეორიამ! თუ ჩვენი საზომის სიგრძე უდრის  $a$  — ს უძრავ სისტემაში, ამავე საზომის სიგრძე მოძრავ სისტემაში იქნება  $a \cdot \sqrt{1 - v^2/c^2}$ ;  $v$  არის დასახელებული სისტემის მოძრაობის სიჩქარე,  $c$ -კი სხივის გავრცელების სიჩქარე.

ციფრებით: საზონი უძრავ სისტემაზე იყო მაგ. 1000. სისტემის მოძრაობის სიჩქარე უდრის 10.000, სხივის კი 300,000, მაშინ ფორმულის მიხედვით მოძრავ სისტემაზე 1000 კი ალარ იქნება, არამედ 1000.  $\sqrt{1 - 10000^2/300.000^2}$ . საინტერესო ის არის, რომ აინშტაინმა რელატივისტის თეორიის საშუალებით მიიღო იგივე ფორმულა, რაიც ლორენცმა და ფიტცჯერალდმა კონტრაქციის ჰიპოთეზის საშუალებით. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენს დებულებას, რომ ლორენცის მიერ მაიკელზონის ეფექტის ახსნა, მხოლოდ გნოსეოლოგიურად იყო დაუკმაყოფილებელი.

### 8. სპეციალ რელატივისტის თეორიიდან გამომდინარე დასკვნები.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ნიუტონის კლასიკური ფიზიკა თავის მთავარ ნაწილებში იყო მექანიკა. 19-საუკუნეში ფიზიკის მეცნიერების სისტემაში დიდი ადგილი დაიჭირა ელექტროდინამიკამ და ოპტიკამ. სპეციალ რელატივისტის თეორიის მიერ ელექტროდინამიკა დამთავრდა, როგორც ფიზიკის ახალი სისტემა. დამოუკიდებელი ჰიპოთეზები, რომლისაგანაც ელექტროდინამიკა იყო აშენებული, მოვლინდა, როგორც კანონწყობილი და ცნებად აშენებული მეცნიერება. რაც შეეხება მექანიკის კანონებს, აქ სპეციალმა რელატივისტის თეორიამ ძირბუდიანად შესცვალა საქმის მდგომარეობა.

პირველი და მთავარი შესწორება კლასიკურ მექანიკის კანონებისა შეეხება მოძრავ სისტემას. ის განსხვავება, რომელსაც რელატივისტის თეორია იძლევა მოძრაობის კანონების განხილვის დროს, აშკარავდება, თუ სისტემის მოძრაობა პატარა არ არის. მაგ. თუ სისტემა წუთში ათი მეტრის რაოდენობით მოძრაობს, მაშინ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ სისტემის კანონები სხვაა, ვიდრე უძრავი სისტემისა; ზედმეტია, იმიტომ რომ პრაქტიკულ საშუალებით არ შეიძლება ამ უმნიშვნელო განსხვავების გამოანგარიშება და გადმოცემა. მაგრამ თუ სისტემის მოძრაობა თვალსაჩინო არის, მაშინ განსხვავებაც თვალსაჩინო ხდება. ექსპერიმენტალურად ფიზიკაში ასეთი მნიშვნელოვანი მოძრაობა არის ელექტრონების და იონების მოძრაობა, რაიც ძალიან ადვილი გასარჩევია. ასეთივე მნიშვნელოვანი არის ცის მნათობთა მოძრაობა, რომელიც საერთო თეორიაში იქნება განხილული.

კინეტიური ენერჯიის ცნობილი ფორმულა მატერიალი პუნქტისათვის

$$M \frac{V^2}{2}$$

შესწორებულ უნდა იქნეს ფორმულით:

$$M \frac{V^2}{1 - \frac{V^2}{C^2}}$$



სპეციალ რელატივიზმის თეორიისათვის პირობა არის, რომ სისტემის მოძრაობა არ შეიძლება უფრო დიდი იყოს, ვიდრე სხივის მოძრაობის სიჩქარე  $c$ . (საჭიროა ამ დებულების კარგად დამახსოვრება). თუ  $V$  უდრის  $c$  მაშინ, ცხადია, ფორმულა მიიღებს დაუბოლავებელ სახეს.

ერთი, სპეციალ თეორიიდან გამომდინარე დასკვნათაგანი, არის შემდეგი: კლასიკურ ფიზიკაში არსებობს ორი ერთი-მეორესაგან და დამოუკიდებელი, ფუნდამენტალი დებულება. ეს არის მასის მოუსპობლობისა და ენერჯიის მოუსპობლობის კანონი. რელატივიზმის თეორია ამ ორ დებულებიდან გამოჰყავს მხოლოდ ერთი. ის ამტკიცებს, რომ მასის მოუსპობლობის კანონის შენარჩუნება შეუძლებელი საქმეა, და მან უნდა დაუთმოს ადგილი ენერჯიის მოუსპობლობას; თეორია ასწავლის: თუ რომელიმე სხეულს მიუმატებთ ენერჯიას  $E$ , მაშინ მისი მასსაც გადიდება სისხოთი:

$$\frac{E}{C^2}$$

აქედან, რასაკვირველია, იმის დასკვნა შეიძლება, რომ თვით მასა  $M$  არის ენერჯიის მთლიანობა და სხვა არაფერი. მაშ ენერჯიის ფორმულა იქნება:

$$E = MC^2.$$

ცხადია ფიზიკას მხოლოდ ენერჯიის მოუსპობლობის კანონი შერჩება, მასის მოუსპობლობის დებულების შენარჩუნება კი შეუძლებელ საქმედ ხდება. მასის მოუსპობლობის დებულება, რასაკვირველია, შემოთარგლულ და უძრავ სისტემისათვის ძალაში დარჩება, მაგრამ მისი საერთო კანონის სახით შენარჩუნება შეუძლებელია. თუ სისტემა არავითარ ენერჯიას არ ღებულობს და არც უშვებს მაშინ მისი მასა, რასაკვირველია, კონსტანტი არის, მაგრამ, რადგან ენერჯიის მიღება მას მასას უმატებს და ენერჯიის გაშვება მასას უმცირებს, ცხადია, მასის საერთო კონსტანტობაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ასე წმინდა თეორიულ დებულებიდან შესაძლებელი იყო, ასეთ ხელსაბებ და პრაქტიკულ დასკვნის გამოტანა: თუ ყოველი სხეული არის მხოლოდ ენერჯიის მთლიანობა, მაშინ, ცხადია, რომ ყოველ ნამცვეც სუბსტანციაში უნდა იყოს დაგროვილი წარმოუდგენელი დიდი ენერჯიის ძალა. ეს სწორედ ასეა. რელატივიზმის თეორიიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შესაძლებელია მატერიის გახსნა მისი შემადგენი ენერჯიებით. ასე მაგ. თუ ერთ გირვანქა ქვანახშირი დაგროვილ ენერჯიას ენერჯიად გადავაქცევთ, მივიღებთ ისეთ ძალას, რომელსაც შეუძლია დიდი ოკეანეს ფლოტი ათეული წლები ამოძრავოს ოკეანეს ტალღებში. თქვენ იცით რომ გემები დღესაც ქვანახშირის ენერჯიით მოძრაობს, მაგრამ უთვალავი გირვანქა ნახშირი იხარჯება ამ მიზნისათვის, ჩვენ ნახშირს ვწვავთ და ვიჭერთ მის სათბოს, ენერჯიას ე. ი. ჩვენ ვახდენთ ნახშირის ქიმიურ გადამუშავებას, ეს იცის ძველმა ფიზიკამ. ახალი ფიზიკა კი ასწავლის, რომ შესაძლებელია ნახშირის ფიზიკალური და მის შემადგენელ ძალის დაჭერა, ეს

ძალა ისე დიდი იქნება, რომ ერთი კილოგრამი ნახშირი მთელ ფლოტს ათეულ წლების განმავლობაში ამოძრავებს, ცხადია, თუ რა დიდი პრობლემების და შესაძლებლობის წინაშე სდგას მომავალი ტექნიკა!

აინშტაინის ერთი მეგობარი მოგვითხრობს, როდესაც აინშტაინი პირველად ასეთ დასკვნების წინ იდგა, მის წინ წამოიჭრა საშუალოდ თეორია, მართალია, მაშინ კაცობრიობა, მატერიის იონებათ დაშლის საშუალებით ისეთ საშინელ ენერჯიას გააღვიძებს, რომ ერთ დღეს შესაძლებელი იქნება ჩვენი სამყაროს ნაცარტუტად ქცევაო. თუ დასახელებულ ავტორს დაუჯერებთ, თვით აინშტაინი შეაშინა დასკვნამ, მაგრამ მან მალე გაიგო, რომ ნეცნიერება ამ ენერჯიის დასაკავებელ და მოსავლელ ტექნიკურ საშუალებასაც იშოვნის. ქვეყნის დანგრევა დაუსაბუთებელი შიში იყო. თანამედროვე ფიზიკა კი ამ მიმართულებით უკვე აწარმოებს ცდას და მიღწევებიც არის. მით უმეტეს, რომ ჩვენ გავვაჩნია დღეს სუბსტანცია, რომელიც ასეთი ძალების არსებობისაკენ მიუთითებს, ეს არის ყველასათვის ცნობილი რადი, რომელიც მისი ე. წ. ემანაციის საშუალებით დიდ ენერჯიას იძლევა, ხოლო სუბსტანტის მასას თვალსაჩინოდ არ აკლდება. აქ ჩვენ, უსათუოდ, ატომის ფიზიკალურ დაშლასთან გვაქვს საქმე.

**9. სპეციალი რელატივობის თეორიიდან გამომდინარე ადიციის თეორემა.**

განხილულ კანონებიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ერთი საერთო ხასიათის დებულება. მისი გამოთქმა შეიძლება ასე: თუ რომელიმე სხეული ორ თანაბარ მიმართულების მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფება, ამ სხეულის მოძრაობის სიჩქარე უსათუოდ ნაკლებია, ვიდრე მასზე მომქმედ მოძრაობათა სიჩქარის ჯამი. შესაძლებელ მოსაზრებათა შორის სხივის მოძრაობის სიჩქარე უსათუოდ ყველაზე უფრო დიდია.

ეს იმას ნიშნავს, რომ სხივის სიჩქარე არის უცვლელი და ყოველივე სიჩქარეზე უფრო დიდი ამა ქვეყნად. თუ როგორ შეიცვლება ამ დებულების, პირველი ნაწილი საერთო რელატივობის თეორიაში, ამას ჩვენ ქვევით ვნახავთ. ახლა კი უნდა ვიცოდეთ, თუ რას ნიშნავს ასეთი შემოფარგვლა. რად უნდა იყოს სხივის მოძრაობის სიჩქარე ყველაზე უფრო დიდი ქვეყნიურ მოძრაობათა შორის. თქვენ იცით რომ ყოველივე მოძრაობას აქვს თავისი სიჩქარის საზღვარი, რის მიღმა მოძრავი სისტემა, როგორც ასეთი, არ შეიძლება არსებობდეს. ასე მაგ. ჩვენ შეგვიძლია რომელიმე მექანიკური ბორბალი დავატრილოთ განსაზღვრულ სიჩქარით; თუ შესაძლებელ საზღვარს გადავლახავთ. ჩვენი ბორბალი დაიშხვრევა. ცხადია, რომ მატერიას მსოფლიოში აქვს თავისი საკუთარი მოძრაობის სიჩქარის საზღვარი, რის მიღმა მატერიის, როგორც ასეთის არსებობა შეუძლებელია: აინშტაინის ფიზიკაში ასეთ საზღვრათ მიჩნეულია სხივის მოძრაობის სიჩქარე—300.000. კ. მ. სექ.

საერთო რელატივობის თეორიაში შესწორდება ეს უცვლელი სიდიდე, ამისაკენ უნდა გავკათოთ გზა.

**10. რას მივალწევთ სპეციალ თეორიის საშუალებით?**

ის, რაც გაკეთებულება სპეციალ თეორიაში, ნიშნავს, არანც თუ ჩვენი ფიზიკალური ცოდნის არა ჩვეულებრივ გამარტივებას და ფიზიკის მეცნიერების სისტემის ვალრმავეებას, არამედ, ამასთანავე, ჩვენი აზროვნების ახალ პრობლე-

მების წინ დაყენებას. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ აზროვნებას, არ გააჩნია საშუალება, — მას არ აქვს ე. წ. შესაფერი კატეგორია რითაც აინშტაინის თეორიიდან გამომდინარე დასკვნები თვალსაჩინო და წარმოდგენებში განსასახავე იქნეს. რასაკვირველია, ჩვენმა ინდივიდუალმა და ემპირიულმა აზროვნებამ კარგათ იცის ის, რომ ყოველი დრო და სივრცე, როგორც ეჩვენებოდა მაგ. ის რომ პეტრე დაიბადა 1897 წელს 2 იანვარს დღის 1 საათზე, რელატიური დროა, მაგრამ ჩვენს აზროვნებას არ შეუძლია ჩვეულებრივად იაზროვნოს იმის შესახებ, რომ 10 წუთი, არ არის ათი წუთი, ისე, როგორც ეს ჩვენი აზროვნება ვერც იმის შესახებ იაზროვნებს, რომ მაგ. ხუთ არშინიანი საზომი თავის სიგრძეს დაჰკარგავს და სხვ. ღრმა ფილოსოფიურ-გნოსიოლოგიური პრობლემა, რომელიც საკითხის ასეთი დაყენებით იშლება ჩვენი ცნობიერების წინაშე, შეიძლება უნაკლოდ განვიხილოთ, მხოლოდ მას შემდეგ, თუ ჩვენ საერთო რელატივიზმის ძირითად დებულებებს დაახლოვებით მაინც ვიცნობთ. აქ ჩვენ უნდა შევჩერდეთ თეორიის ფიზიკალურ მნიშვნელობაზე.

სამი ძირითადი საფუძველი: ძველი კლასიკური ფიზიკის დრო, სივრცე და მოძრაობა, აინშტაინის თეორიის მიერ ძირბუდიანად არის შეცვლილი. ნიუტონის მექანიკაში ურყევ დებულებად იყო მიჩნეული, რომ დრო, სივრცე, და მოძრაობა აბსოლიუტი სიდიდეები არიან. ამის საწინააღმდეგოდ აინშტაინის თეორია ამტკიცებს რომ:

1. არ არსებობს არავითარი აბსოლიუტი დრო და აბსოლიუტი სივრცე, არსებობენ მხოლოდ ურიცხვი, სულ სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირად გამოსადეგი და ღირებული დრო-სივრცის სისტემები.

2. ამ სხვადასხვა დრო-სივრცის დამტარებელი არის სხვადასხვა საგანთა სისტემა. (სხეულები).

3. სინამდვილეში დრო და სივრცე კი არ არსებობს, არამედ მხოლოდ მკრივ სხეულთა სისტემა, რომელსაც აქვს საკუთარი დრო და სივრცე და თავის დრო-სივრცეს, ყველა ასეთი სისტემა, სთვლის ერთად-ერთ ჰემმარიტ დრო-სივრცეთ.

4. არ არსებობს არავითარი აბსოლიუტი მოძრაობა, ყოველი მოძრაობა შეიძლება იყოს რელატიური.

5. სინათლის სხივის მოძრაობა არის უცვლელი და ყველა სისტემაში ერთი და იგივე და უდრის 300.000 კილომ. სეკ. ჰვეყნის თვალსაზრისით არ შეიძლება არსებობდეს მოძრაობა, რომელიც სხივის მოძრაობაზე უფრო დიდი (ჩქარი) იყოს.

6. სამყარო არის დრო-სივრცის კოინცინდენცია და მატერია - ენერჯიის მთლიანობა.

7. ასეთ სამყაროს აქვს ოთხი განზომილება. სამი სივრცის კოორდინატი და ერთი (მეოთხე) დროს კოორდინატი და სხვა.

აქ საჭიროა მხოლოდ მეშვიდე დებულების შესახებ ერთხელ კიდევ ვილაპარაკოთ. თვით აინშტაინი თავის ცნობილ წიგნში: Ueber speziel. und allg. Relativitätstheorie ამბობს ოთხ განზომილებიანი ჰვეყნის შესახებ: „რალაც მისტიური ეროუანტელი მოიცავს არა მათემატიკოსს, როდესაც ის ოთხგანზომილების შესახებ რაიმეს ისმენს, მას ჰგონია, რალაც აჩრდილების წინ იდგეს. სინამდვილეში კი არ არსებობს იმაზე უფრო უბრალო გამოთქმა, როგორც ის, რომ ჩვენი ჩვეულებრივი ჰვეყანა არის ოთხგანზომილებიანი დრო-სივრცის კონტინუუმი“. (იხ. გვ. 37).

სივრცე კერძოდ არის სამ განზომილებიანი კონტინუა. სამი კოორდინატის ხაზით, შეიძლება, მასში ყოველი მიმართულება განვსაზღვროთ. ჩვეულებრივი (ევკლიდეს) გეომეტრია სივრცის სამ განზომილებიან თვისებებს უაჩქარეს თვით ქვეყანას, რომელიც ამ სისტემაში არის. ამიტომ აკეთებენ მსგავსი გეომეტრიები აზროვნება დასკვნას, რომ თვით ქვეყანას აქვს სამი განზომილება. ჩვენ ვიცით ამასთანავე, რომ ქვეყანაზე არ შეიძლება მოხდეს, არც ერთი მოვლენა, თუ არა დროს დამატებით; ამისათვის, ქვეყნიური მოვლენების ასახსნელად, სივრცის სამ კოორდინატს უნდა დაემატოს მეოთხე—დროს კოორდინატი. ასე განხილული ქვეყანა რჩება კონტინუა, როგორც იყო, მხოლოდ დრო-სივრცის თვალსაზრისით. ნიუტონის ფიზიკაში დრო იყო დამოუკიდებელი და თავისთავად არსებულ კონტინიუმი, ე. ი. აბსოლიუტი, რომელიც მოძრავ სისტემის მიმართებიდან არავითარ გავლენას არ განიცდიდა. რელატივისტური ფიზიკა ართმევს დროს მის დამოუკიდებელ მდგომარეობას და შეაქვს ის უნივერსის მთლიანობაში, როგორც ამავე უნივერსის მეოთხე განზომილება ე.ი. თვით უნივერსი გადაქცეულია დრო-სივრცის კონცეფციით და ასეთ უნივერსს აქვს ოთხი განზომილება. დროს აღარ რჩება არავითარი დამოუკიდებელი არსებობა, რასაც ყველაზე უფრო ნათლად ე. წ. ლორენცის ტრანსფორმაციის მეოთხე შეთანასწორება გამოხატავს.

ასეთ ოთხგანზომილებიან ქვეყანას აქვს ერთი განსაკუთრებული თვისება, ის, რომ ასეთი ქვეყნის დრო-სივრცის კონტინიუმი სავსებით ჩამოჰგავს ევკლიდეს სამ-განზომილებიან გეომეტრიულ სივრცის კონტინიუმს. ეს მსგავსება, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა არის ფორმალური ბუნების. ოთხგანზომილებიან ქვეყნის ოთხი კოორდინატი ფორმალურად იმავე საქმეს აკეთებს, რასაც ევკლიდეს გეომეტრიის სამი სივრცის კოორდინატი.

დაახლოვებით ასეთია მინკოსკიეს აზრთა წყობა ოთხგანზომილებიანი ქვეყნის შენების და ბუნებისათვის. მათემატიკის აპარატის დაუხმარებლად მის აზრთა წყობის ათვისება ერთობ ძნელი საქმეა. თუ მკითხველი თვით აინშტაინს დაუჯერებს მთელი მისი საერთო რელატივიზმის თეორია შეუძლებელი საქმე იქნებოდა, თუ ეს, მანკოვსკის ოთხგანზომილებიანი ქვეყანა და მისი მათემატიკური დასაბუთება, არ ყოფილიყო აღმოჩენილი. თუ რა უნდა ვააკეთოს საერთო რელატივიზმის თეორიამ, თუ როგორია ახალი თეორიის თვალსაზრისი, სჩანს აინშტაინის ერთ-ერთ პოპულიარიზატორის, ფლიუგერის, სიტყვებიდან. ეს ავტორი ამბობს, რომ მხოლოდ მას შეუძლია საერთო რელატივიზმის თეორიის მაღალი კარები შეაღოს, ვინც მინკოვსკის ოთხდომენსიონალ ქვეყანაში სრულიად თავისუფლად მოგზაურობს, ვინც თეორიის ფორმულებს ისე კითხულობს, როგორც მწიგნობარი ან-ბანს.

თუ ჩვენ ვიკითხავთ, რა იყო ის განსაკუთრებული, რომლის საშუალებით აინშტაინის სპეციალი თეორია თავის რთულ აპერაციებს ახდენს, პასუხი უსათუოდ ის იქნება, რომ სპეციალი თეორიის საკუთველი არის დროს ცნების რელატივისტური დამუშავება. ის, რომ ელექტროდინამიკის და ოპტიკის ზოგიერთ ეფექტის ასახსნელად აინშტაინმა აიღო დრო და გადააქცია ის თვით სხეულთა სისტემის პრედიკატათ, დაიწყო ამენება ახალი, ანუ რელატივისტური ფიზიკის რელატივისტურ დროის საფუძვლებზე. თუ აქ სივრცე და მოძრაობაც კონცეპციაში შემოტანილია, მხოლოდ იმდენად, რამდენად ეს დამოუკიდებელი დროს არსებობის და დროის კონტინიუმის მოსპობისათვის აუცილებელი არის.

გადავალთ თუ არა საერთო თეორიის სფეროში ჩვენ აქ ფუნდამენტალურად დაედგებით სივრცის საფუძველზე და მივიღებთ დამთავრებულ ობიექტიურ რელატივობას.

აქედან ცხადია, რომ საერთო რელატივობის თეორიის შექმნა, დრო ბუნების განხილვით უნდა დაიწყოს.

თუ ჩვენ ამდენ ხანს ვგულისხმობდით, რომ მკითხველმა კარგად იცოდა საშუალო სასწავლებლის კურსი, ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ პატივცემული მკითხველი გაითვალისწინებს აქ გადმოცემულ დებულებების აზრთა წყობას. აქვე საჭიროა ერთი ტერმინოლოგიური განმარტება, რომელსაც უაღრესად სისტემატიური საფუძველი აქვს. აინშტაინის თეორიას სახელად ჰქვია რელატივობის თეორია. სიტყვა რელატივობა ზოგიერთების თავში იწვევს თვალსაჩინო გაუგებრობას. რელატივობის სახელით გულისხმობენ ადამიანის თვალსაზრისს და მის რელატიურ მსოფლმხედველობას, ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ აინშტაინის თეორიის პოპულიარულად გადმოცემის დროს, ჩვენ იძულებული ვართ ვიხმაროთ მაგალითები, როგორც „მაყურებელი“, „ადამიანი ვაგონში“, „ადამიანი ლიანდაგზე“, „გემები“ და სხვ. აქედან ზოგიერთები დაასკვნიან, თითქო ამ მაყურებლის და ლიანდაგზე მყოფის შეხედულებაზე იყო აქ ლაპარაკი. ასეთ შეცდომას ხშირად „ფილოსოფოსები“ სჩადიან და ცდილობენ თავიანთი დაგვიანებული აზრები ახალ ქურქში გამოხვიონ და ახალ საქმედ გაასაღონ, ასე იქცევა მაგ. ერნსტმახის ცნობილი მოწაფე პეტკოლდი. მან აინშტაინის თეორიაში პროტაგორას „ჰომომენზურას“ გამართლებაც კი დაინახა, მაგრამ სინამდვილეში ძნელია ამაზე უფრო ცუდში აზრის წარმოდგენა. აინშტაინის თეორიაში ადამიანი სრულიად არ არსებობს, ადამიანის თვალსაზრისი სავსებით არ არის აქ ნაგულისხმები. აქ აღიარებულია მხოლოდ ობიექტურად არსებული სისტემა და განხილულია მათი მიმართებანი. არც ერთი ადამიანი რომ არ არსებობდეს ქვეყანაზე, მაინც დამოკლდება ყოველივე სივრცე უძრავ სისტემიდან მოძრავ სისტემაზე გადასვლის დროს სიდიდით:  $\sqrt{1 - v^2/c^2}$  თავისი პირველი სივრცისა.

სიტყვა რელატივი შეიძლება ორ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას დაუპირდაპიროთ: აბსოლიუტს და ობიექტს. თუ ჩვენ მას ობიექტს დაუპირდაპირებთ მაშინ მივიღებთ სუბიექტიურად გაფერილ რელატივიზმს. რაიც ფსიქოლოგისტური კონცეპცია იქნება და არა ფიზიკალური. აინშტაინის თეორიაში რელატივი უპირისპირდება აბსოლიუტს და სპობს ყოველივე აბსოლიუტობას. ასეთი რელატივი ინარჩუნებს ობიექტიურ სახეს და არის უაღრესი და ერთადერთი დასაბუთებული ობიექტივიზმი. აინშტაინის თეორია უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მკაცრ ობიექტივიზმის გამეფებას ფიზიკაში. და ამიტომ არის მისი ავტორი ფიზიკის მეცნიერების დიდი ოპტიმისტი.



### 3. ბარნაბიშვილი



## ქვანახშირის შარავი საქართველოში და პერკოტი საქართველოში

დედამიწის ზურგზედ სათბობ მასალის შარავი, ყოველ შემთხვევაში, იმდენად დიდია, რომ მის მოკლე ხანში მოხმარებაზედ ზედმეტია ლაპარაკი, მის სიმცირეზედ და ნაკლებულობაზედ წუხილი უადგილოა.

გამოანგარიშებულია, რომ დღევანდელი ქვანახშირის შარავი, მთელ დედამიწაზე, უდრის დაახლოებით 7.400.000 მილ. ტ. ციფრი შეეხება მხოლოდ ის შარავს, რომელიც გამოკვლეულია და შესწავლილია. აქ ჩვენ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ ის, რომ ბევრი ალაგი გამოუკვლეველია და, მაშასადამე, სრულიად ვერ ამოსწურავს ნამდვილ, შესაძლო შარავს. მოყვანილ ციფრიდან მხოლოდ 700.000 მილიონი ტონი ქვანახშირისა ნამდვილადაა დადასტურებული. მაშასადამე, ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რასაც ამ ჟამად ამუშავენ.

ამ ბუმბურაზ 7.400.000 მილიონ ტონის რიცხვიდან 1913 წ. მხოლოდ 1380 მილიონი ტონი ქვანახშირი ამოულიათ, ე. ი. საერთო შარავის  $\frac{1}{5000}$ ; თუ წარმოვიდგენთ ჩვენ, რომ მოთხოვნილება 5-ჯერ იმატებს, მარტო ეს ცნობილი შარავი საკმარისი იქნება ქვეყნიერობისათვის 1000 წლის განმავლობაში.

უეჭველია, რომ სათბობ მასალის სიმცირის საკითხი გამოწვეულია არა ნამდვილად მის ნაკლებობით, არამედ იმათ, რომ მისი დამუშავება სათანადო სინაღლებზედ არაა დაყენებული. ეს უნდა უმთავრესად მიეწეროს ბურჟუაზიულ ქვეყნების პოლიტიკურ ქიშპობას და კაპიტალისტთა გაუმაძღარ, მტაცებელ ინსტიტუტებს. გაეიხსენოთ თუნდა ის ეპოპეია, რაიც იმპერიალისტურ ომის შემდეგ დატრიალდა გამარჯვებულ სახელმწიფოებთა შორის, ის უთანხმოება, რომელიც მაშინვე, უმეშვეოდ, გერმანიის დამარცხების შემდეგ, წამოიჭრა ინგლისსა და საფრანგეთის შორის. აქ აღვირ-ახსილმა ბურჟუაზიამ უკვე უსირცხვოთ და აშკარად გამოანგლაენა მთელი თავისი ცინიზმი პუანკარეს სახით, რომელსაც მიაწერენ „ფიგაროში“ მოთავსებულ წერილს, სადაც იგი ამბობდა:

„ლოტარინგიით მფლობელობა, მისი ნაღწეულებით, მალაროებით და ბრძმელებით, მხოლოდ რეინ-ბესტუალის უნახშიროთ, — საფრანგეთისათვის უსარგებლოა. ეხლა უნდა მივიღოთ ეს მზითვები. ზედმეტი ნაწარმოები, რაიცა გადააჭარბებს საფრანგეთის მოთხოვნილებას — ყოველთვიურად 5 მილიონ ტონას, თავისუფლად შეიძლება მსოფლიო ბაზარზედ გასაღდეს იმ შემთხვევაში, თუ საფრან-

გეთის მრეწველობას შეეძლება იაფად დაამზადოს და გაჰყიდოს. მხოლოდ გერმანიის ქვანახშირის სარეწავების ერთი ნაწილის სრული მისაკუთრებით და მეორე ნაწილში მონაწილეობის მიღებით — ჩვენ ვუზრუნველვით ჩვენთვის საჭირო შეკვეთას“.

თვით საფრანგეთის კაპიტალისტები თავიანთ ორგანიზაციაში მხოლოდ მალავენ და თავიანთ ზრახვებს გულახდილად აცხადებენ:

„გვექნება რა ხელში რურისა და საარის ნახშირი, სწერს ერთი მათგანი, ჩვენ გავხდებით ევროპის ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილის ბატონ-პატრონი.

ვიქნებით რა რურის პატრონათ, ჩვენ თანაბარ პირობებში შეგვეძლება შევებათ ინგლისელებს და უკვე საკუთარ პირობებსაც უკარნახებთ მათ. ეკონომიური წონასწორობა ჩვენს სასარგებლოდ შეიცვლება“.

რურის დაპყრობით, სახელმწიფოთა შორის ეკონომიურ ძალთა ურთიერთ განწყობილების სურათი შეიცვლება.

და შეცვლილ პირობას, უეჭველია, მოქიშპეთა შეჯახება გაამწვავებს და შედეგად მას უნდა მოჰყვეს ომი. ჩვენ კი ვიცით რა შედეგებიც მოაქვს ომს: ტრანსპორტის მოშლა, სათბობ მასალის დამუშავების შეფერხება და სხვა. ამ გვარად, როგორც ვხედავთ, მიზეზი სათბობ მასალის ნაკლებობისა ყოფილა სულ სხვა რამ.

კერძოდ რუსეთი რომ ავილოთ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში იყო სათბობ მასალის დიდი მარაგი: ტორფი, ქვანახშირი, ნავთი და სხვა, ჯერ კიდევ 1908—1910 წელს რუსეთის მრეწველობა საშინელ გაჭირვებას განიცდიდა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში რუსეთში ქარხნები და ფაბრიკები დღითი-დღე მრავლდებოდა; მეოცე საუკუნის დამდეგში, მსხვილ წარმოებათა რიცხვი, რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი შეტი იყო, ვიდრე ინგლისში. ძლიერ განვითარდა აგრეთვე საფაბრიკო წარმოების ტექნიკა. განსაკუთრებული ზრდა დაეტყო მსხვილ ქარხნებს და ფაბრიკებს. ცხრა წლის განმავლობაში ორთქლის ქვაბების რიცხვი 29<sup>0</sup>/<sub>6</sub>-ით გაიზარდა. 1900 წელს მათი რიცხვი უდრიდა 24 ათას, 1909 წელს კი 31 ათას.

ომის დაწყების 5 წლის წინ, მრეწველობის ბუმბერაზად გავითარების გამო, სათბობ მასალის საჭიროებამ იმდენად იმატა, რომ რუსეთის ფარგლებში ამოღებული სათბობი მასალა არ აკმაყოფილებდა და ვერ მისდევდა მის მოთხოვნილებას. 1913 წელს რუსეთმა თავის მამოძრავებს მოახმარა 40 მილიონი ტონი ქვანახშირი. შაშასადაბე, თუ მომავალში მრეწველობა 5-ჯერ გაიზრდება, საკუთარი ქვანახშირი ეყოფა 50 წელიწადს.

ქვანახშირი საქართველოს ტერიტორიაზედ მრავალ ალავას არის აღნიშნული. ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში, ამ მხრივ, პირველი ადგილი უკავია და ქვანახშირის მადნის მარაგი. რესპუბლიკის ეკონომიკის სიმძლავრის ერთ ღირსეშესანიშნავ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. როგორც ვიცით, ტყვიბულის ქვანახშირს, დიდი ხანია, რაც ამუშავებენ. საქართველოს ქვანახშირიდ უცხოეთის კაპიტალი დაინტერესებული იყო და ეხლაც არის. როგორც მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ მენშევიკების დროს იტალიელ ფირმასთან იყო გამომუშავებული ხელშეკრულება ცნობილ ტყვარჩელის ქვანახშირის საკონცესიოთ გადაცემაზედ ქვემოდ ჩვენ შევეცდებით გავაცნოთ მკითხველს საქართველოს ტერი-

ტორიაზე არსებული ის კუთხეები, სადაც ქვანახშირის ჩანაწოლები და ნიშნები აღნიშნული.

სოხუმის ოლქში, ცნობილი ტყვარჩელის ქვანახშირის ჩანაწოლი, მდინარე ლალიზგას აუზზედ, შუა იურის ზედა ნაწილს ექვემდებარება. ცნობილი განკვეთილია ცალკე მოედნებათ, რომელნიც განშორებულ არიან ტყვარჩელის სისტით.

ლალიზგის აუზი წარმონდგენს მულდას, რომელიც ცარცის მთაგრეხილის ხაზის სიგრძეზედ აბდილია. აუზის მულდისმაგვარი ფორმა გართულებულია ზვავით და კეცებით, რაც აუზს ჰყოფს შემდეგ ნახშირიან მოედნებათ: 1. საუყვარის მოედანი, 2. მაზმე და ხელიყვარის, 3. ალთყვარის, 4. აბჩიყვა-გალაზგის მარჯვენა სათავესი. უკანასკნელი, შესაძლოა, შეერთებული იყოს მდ. ბაშიშიყვარის სათავეს მოედანთან, გალაზგის მარჯვენა შტოსთან; იმავე მარჯვენა ნაპირას მდებარეობს დიდი მოედანი, რომელზედაც ჩამოდის მდ. მუშიყვარები, ფეცხი, აკუდუმევა; ეს უკანასკნელი მოედანი უერთდება პირველ მოედანს. ამ მოედნებიდან ყველაზედ დიდი მნიშვნელობა აქვს მაზმესა და ხელიყვარის მოედანს. დანარჩენ მოედანთა შორის ამ გვარი მძლავრი ქვანახშირის ძარღვი არა ხვდება. ფენებში მცირე მანძილზედ აღნიშნულია განაკვეთის ცვალებადობის თვისებანი, ამასთან ნახშირის მასის სისტის ჯამი ირყევა 2,84 მეტრიდან—8,26 მეტრამდე. მდ. ხელიყვარის სიგრძეზედ მიყოლებულია უდიდესი სიმძლავრის მთლიანი ფენი, 7,1 მეტრის სისტისა, რაც ბურღის ნაპრალითაა აღმოჩენილი.

ნახშირის საერთო მარაგი, წვრილ ფენების გამონაკლისით, 9 მილიარდ ფუთამდეა, ან 140 მილიონი ტონია, თუ ამ წვრილ ფენების ნახშირსაც მიუმატებთ 12 მილიარდ ფუთამდე მივიღებთ.

ტყვარჩელის ქვანახშირის ანალიზებით გამოირკვა მისი ამ გვარი ქიმიური შედგენილება და ფიზიკური თვისება. აღებულია ნახშირის ორი ნიმუში.

	I	II
სინესტე . . . . .	0,93 %	1,00 %
ნაცარი . . . . .	6,37 "	5,92 "
გოგირდი . . . . .	0,98 "	1,39 "
ნახშირბადი . . . . .	79,64 "	79,62 "
O+N . . . . .	7,67 "	5,48 "
კოქსი . . . . .	68,20 "	68,8 "
სითბოს უნარიან.	8314 კალ.	7710 კალ.

შედულებული კიქსი თითქმის ყველა ფენებიდან მიიღება.

მდ. ბზიბის ქვედა ნიმდინარეობაში, ბიჭვინდის ჩდილოეთათ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, კოჯერიფშიან—ნახშირის ძარღვი 7—8 საყენის სისტისა თავის წარმოშობით წააგავს ტყვარჩელისას. იგი შეიცავს ნახშირის და ნახშირის ფიქალის 8 შრეს,  $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$  არშინის სიმძლავრისას. ინჟ. კონიუშევსკი ამ, ჩანაწოლის პრაქტიკულ მნიშვნელობას, იქვის თვალთ უყურებს.

ამ ნახშირის ქიმიური ანალიზი ამგვარია:

	I	II	III
ნახშირი . . . . .	39,6 %	39,6 %	40,0 %
ამქროლი ნივთ. . . . .	16,74 "	24,6 "	20,73 "
სინესტე . . . . .	4,53 "	4,40 "	4,27 "
ნაცარი . . . . .	30,00 "	31,4 "	35,00 "

სამთო ნაწილ. ლაბარატ. ანალიზით.

ინჟ. ლორის-მელიქოვის ანალიზით.

გუდაუთის ჩრდილოეთ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, მაკერულის მდებარეობაში, სოფ. აჯანდარის საზოგადოების მიწებში ახალ ფორმაციის ქვანახშირია (ლიგნიტის აღნიშნული, რიმელიც, როგორც სჩანს, მიოცენის ფენებს უნდა ექვემდებარებოდეს <sup>1)</sup>).

ქ. სოხუმის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდ. ძიეთის <sup>გვიგზის მხარეზე</sup> მხარეზე, სოფ. ეშირის ახლოს, მიოცენის დროის ქვანახშირი შეიცავს:

ნახშირს . . . . .	43,50	%
ამქროლ ნივთ . . . . .	27,50	„
ნაცარს . . . . .	29,00	„
	100,00	%

სოხუმის ოლქში, ამას გარდა, აღნიშნულია ქვანახშირის ბუდეები: ს. საბერის ახლო (სამურზაყანოში), ს. ჩალაურთან დ. ს. აჯანდარასთან.

ქუთაისის მაზრაში, ნაქერალის მთაგრეხილის ძირში ოკრიბის მიდამოებში-ტყვიბულის ქვანახშირის ჩანაწოლი წააგავს ტყვარჩელისას. ეს ადგილი მდებარეობს მდინარე ძირულას ზევითა მიმდინარეობაში, სადაც ამ წყალს ტყვიბულის სახელი აქვს და ნაქერალის მთაგრეხილიდან გამოდის.

იურის ნალექებს დიდი მოედანი უკავიათ, გარდი-გარდმო 20 ვერსის მანძილზე, და ყოველ მხრიდან შემორტყმულია ცარცის ჯიშების რგოლით. იურის ნალექები მიემზგავსება ლალიზგის აუზის ფენებს; ქვანახშირის ნიშნები აქ იურის სამ განყოფილებაში მოიპოვება, მხოლოდ საშუალო განყოფილების ნახშირს აქვს საძრეწველო მნიშვნელობა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში საცდელად წარდგენილ ნიმუშების ანალიზი შემდეგია:

ნახშირბადი . . . . .	67	%	73,89	%
ნაცარი . . . . .	9	„	12,6	„
გოგირდი . . . . .	1,09	„	1,6	„
ამქროლი ნივთ . . . . .	26,11	„	34,0	„
ვიგროსკოფიული N <sub>2</sub> . . . . .	0,39	„	0,19	„
სითბოს უნარიანობა . . . . .	6576		7525	

ცალკე ფენების ხარისხი სხვადასხვანაირია და განირჩევიან: 1. ნახშირი — ცხიმის ელვით, 2. ფურცლოვანი (მეორე ხარისხისა) და 3. მკრთალი და მიწიანი (ცუდი ხარისხისა). გოგირდის კოლჩედანი, წყლით გარეცხვის დროს გამოიყოფა.

ტყვიბულის ქვანახშირის მარაგი ნაფარაუდევია—94,5 მილიონი ტონი.

ქ. ქუთაისის მახლობლად ს. ყურსების, ნაბოსლების და გელათის მონასტრის შუა ადგილებში, ნიუხედავად ქვანახშირის მრავალ ალაგას გამოსვლისა, ნახშირის ფენი არსად არ აღწევს სამუშაო სიმძლავრის სისქეს. ს. ყურსებთან ზედა ფენს აქვს უდიდესი სისქე—1,15 მეტრი, მეორეს კი მხოლოდ 0,53 მეტრი.

<sup>1)</sup> Гурьев. О нахождении лигнита в Абхазии.

ამ ნახშირების ანალიზმა ამ გვარი შედეგები აჩვენა

	I	II
ნახშირი . . . . .	35,40 %	44,85 %
ამქროლი ნივთ. . . . .	32,40 "	28,95 "
სინესტე . . . . .	6,20 "	7,28 "
ნაცარი . . . . .	26 "	18,92 "

(შტეინის ანალიზით)

(ტერენტიევის ანალიზით).

სამთო ინსტიტუტის პროფესორ ალექსეევის ანალიზით კი<sup>1)</sup> იგი შეიცავს:

სინესტეს . . . . .	11,83 %
ნახშირბადს . . . . .	54,45 "
წყალბადს . . . . .	4,75 "
გოგირდს . . . . .	1,38 "
აზოტს . . . . .	0,79 "
ტანგბადს . . . . .	10,67 "

C . . . . . 75,51 %

N . . . . . 1,80 "

H . . . . . 4,77 "

O . . . . . 17,92 "

თავისუფალი H = 2,53 "

კოქსი სრულიად შეიღულეა. სითბოს უნარიანობა—5017 კალორია, ორგანიული მასებისა კი 6934 ერთეულს.

იმავე ცარცის რგოლის შუა, ქვანახშირის ცალკე გამოსვლები და ჯგუფები ცნობილია შემდეგ ალაგებში: მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზედ, ინჟენერ სიმონოვიჩის ცნობით, სოფელ ჩომას ახლოს, იურის ქვიშნარში ზოლებით მიდის მცენარეთა ნაშთებში; ს. ჯიმოსტაროსთან უმნიშვნელო ზოლები იურის ქვიშნარში; ს. რუის ახლო, ქუთაისის ზევით, რიონის მარჯვენა მხარეზედ ქვანახშირი შეიცავს:

ნახშირს . . . . .	39,5 %
ამქროლ ნივთ . . . . .	48,80 "
სინესტეს . . . . .	7,70 "
ნაცარს . . . . .	40,00 "
100 %	

ინჟ. შტეინის ანალიზით.

ს. ქისარეთთან, მდ. ლეხილარის ველზედ; ამის გაყოლებით, ს. ძმუისთან; ქუთაისიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით — ს. ზემოუბნის ახლო მდ. წყალ-წითელას მარცხენა მხარეზედ. ყველა ზემო ჩამოთვლილი ალაგები წინამდებარეს გაგრძელებას წარმოადგენენ.

ქუთაისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით კაპეტის ღელესთან, მოწამეთის ალაგას, ნახშირის ოთხი შრეა გაყოლებული. შრეების სისქე ყველგან ერთგვარი არაა და საერთოდ ორ არშინს არ აღემატება. იგი შუა იურის ქვიშნარებს ექვემდებარება.

<sup>1)</sup> Проф. Алексеев. Ископаемые топлива на Нижегород. выставке 1689 г.

ინჟ. ტერენტიევის ანალიზით ნიმუში შეიცავს:

ნახშირს . . . . .	14,70	%
ამქროლ ნივთ. . . . .	24,57	"
სინესტეს . . . . .	8,75	"
ნაცარს . . . . .	25,98	"



ფხვიერი ნახშირია, კოქსი არ შეიღულება.

მდ. ტყვიბულის ველზედ სოფ. ბზიაულთან, ახალ სოფლის მთის ადგილებში ქვანახშირი ინჟ. ცვიტლინის ანალიზით შეიცავს:

სინესტეს . . . . .	5,38	%	8,78	%
ამქროლ ნივთ. . . . .	22,57	"	30,15	"
კოქსი . . . . .	2272	"	35,89	"
ნაცარს . . . . .	43,03	"	25,16	"

კოქსი არ შეიღულება, ნაცარში რკინა ბლომად ურევია.

შორაპნის მაზრაში მდ. მაჭარულას ველზედ ს. შროშართან, იურის ქვიშნარში, შრეებათ მიდის ქვანახშირი 4—6 ვერშოკის სისქისა.

კავკ. სამთო ნაწილის ლაბორატორიის ანალიზით იგი შეიცავს:

სინესტეს . . . . .	4,20	%
ამქროლ ნივთ . . . . .	13,20	"
ნახშირს . . . . .	67,95	"
ნაცარს . . . . .	14,65	"

ნახშირის გამოსავალი ღირსშესანიშნავია ს. ს. ეტო, ასპეტის და ქალას მიდამოებში. ამათაგან თავის სიმძლავრით განირჩევა ს. ეტოს მიდამოების ქვანახშირი, სადაც ჩანაწოლის ფენი 3 საეენის სისქისას წარმოადგენს. ამ გვარივე საუკეთესო თვისების ქვანახშირი ჩაწოლილია შრეებათ კიმერიჯის ქვიშნარებში მდ. სებურას თავში. ამ წრეების საერთო სიმძლავრე 1 1/2 არშინს უდრის.

ქვანახშირი აგრეთვე აღნიშნულია რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში.

ქ. ახალციხიდან 5 ვერსზედ, მესამეყოფილ დანალეკში ტატნობრივად, რამოდენიმე შრეებათ ჩაწოლილია ლიგნიტი. ამ შრეებში, მნიშვნელოვანს, 12 ვერშოკი სისქე აქვს. ახალციხიდან 6 ვერსით და ს. სუფლისის 3 ვერსის დაშორებით. მოშავო-თეთრ. რბილ-ფხვიერ ფიქალისაგან შემდგარ მთაში, 300 საეენ მეტ სიგრძეზედ მოსჩანს ლიგნიტის რამოდენიმე შრე, რომელთა საშუალო სისქე 12 ვერშოკს უდრის, ამ ადგილიდან ვერს ნახევარზე, ფიქალიან თიხისაგან შემდგარ მთაში—ლიგნიტის რამოდენიმე წრე იმყოფება, 8—10 ვერშოკის სისქისა.

მდ. ფოცხოვ-ჩაის მარჯვენა ნაპირზედ დიდ და პატარა პომაჩისა და ვალეს შუა—მესამეყოფილ დანალეკში ჩაწოლილია ლიგნიტის სამი შრე. ამათგან ერთი 14 ვერშოკის სისქისა და ორი ექვსი ვერშოკისა. ეს ლიგნიტი შეიცავს:

ნახშირს . . . . .	17,4	%
ამქროლ ნივთ . . . . .	16,0	"
სინესტეს . . . . .	2,2	"
ნაცარს . . . . .	64,4	"

100-პროც.

ინჟ. შტეინის ანალიზით.

გორის მაზრაში, სადგურ მეტეხიდან 1 1/2 ვერსის დაშორებით ს. ზეგარდასთან, ქვანახშირი შეიცავს:

ნახშირს . . . . .	44,39	%
ამქროლ ნივთ . . . . .	50,70	"
ნაცარს . . . . .	4,30	"
	<u>100-პროც.</u>	



სტრუვეს ანალიზით.

ქ. ცხინვალიდან და მდ. ლიახვიდან 3 ვერ. დაშორებით ქვანახშირი შეიცავს

ნახშირს . . . . .	37,58	%
ამქრ. ნივთ და სინესტ. . . . .	56,12	"
ნაცარს . . . . .	6,30	"
	<u>100-პროც.</u>	

ს. კასპის მიდამოებში ხვდება ლიგნიტი ამ შემადგენლობისა:

ნახშირი . . . . .	43,75	%
ამქრ. ნივთ. . . . .	32,50	"
სინესტე . . . . .	16,50	"
ნაცარი . . . . .	7,25	"
	<u>100 პროც.</u>	

თიანეთის მაზრაში იორის მარჯვენა ნაპირას ს. კოჭაბანიდან 5 ვერსზედ, მოშაეო-ნაცრისფერ, წვრილ შრეებიან, თითქმის ფიქალიან, რუხ-ნაცარ ფერის თიხიან ქვიშნარში ხვდება შავი ფერის, ცხიმისებური ელვის ლიგნიტი, ზოლუბის სისქე 4 ვერშოკამდეა.

თელავის მაზრაში გომბორის ყაზარმებიდან 7 ვერსის დაშორებით, უღელტეხილის საგუშაგოსთან, ლელეში, მორუხო და ნაცრისფერ ქვიშნართა შორის, გამოსჩანს რუხ ნახშირის გამოსავალები — ფერებათ, 6 — 7 ვერშოკის სისქისა. ნახშირი, ოლიგოცენის ხნისაა და წარმოადგენს საკმაოდ მკვრივს, მოშაეო ფერის, ცხიმისებურ ელვის მასას, იგი შეიცავს:

ნახშირს . . . . .	19,25	%	21,25	%
ამქრ. ნივთ. . . . .	56,79	"	52,63	"
სინესტეს . . . . .	17,54	"	20,83	"
ნაცარს . . . . .	6,45	"	5,70	"
	<u>99,92</u>	<u>%</u>	<u>99,91</u>	<u>%</u>

ინგ. ცეიტლინის ანალიზით.

ნახშირი იწვის გრძელ, კვარტლიანი, ყვითელი ალით და თხვიერ კოქსსა სტოვებს.

სიგნალის მაზრაში, ზემო კაპიჭის მდებარეობაში, მდ. იორის მარჯვენა მხარეზედ, ლიგნიტის შრე 1 არშ. 2 ვერშოკის სისქისა ხვდება. ექვემდებარება მესამეყოფილ ქვიშნარს. ბლომად შეიცავს გოგირდის კოლჩედანს. ეს ლიგნიტი შეიცავს:

სინესტეს . . . . .	4,30	%
ამქროლ ნივთ. . . . .	22,45	"
ნახშირს . . . . .	25,45	"
ნაცარს . . . . .	46,80	"
	<u>100,00</u>	<u>%</u>

ქვედა ბაიდას ხეობაში, იორის მარჯვენა მხარეზე, კიდურების მთის ახლოს, ლიგნიტის რამოდენიმე ზოლი,  $1/2$  არშინის სისქისა. მესამეყოფილ ქვიშნარებში შედის. თვით ლიგნიტი მდიდარია გოგირდის კოალჩედავით.

ლიგნიტი აღნიშნულია აგრედვე ჩატმაში. ქარქუშენუაქ

შიო-მღვიმის მონასტრის ახლო ლიგნიტი ხვდება — მუხრანში მიოცენის ქვიშნარში.

ს. მუხროვანის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ტინტინის სერის მთაგრეხილში ლიგნიტი ჩაწოლილია წვრილ-მარცვლოვან, ფხვიერ, მიოცენის დროის თიხიან ქვიშნარში.

მუხრავანიდან, ტფილისის გზაზე, აბრის ხევში, ფიქალიან ქვიშნარში მიდის ნახშირის შრე, 5-8 ვერშოკის სისქისა.

იმავე მუხრავანის ახლო, მგლის გორაზე, მიდის რუხი ნახშირის ზოლი სარმატის იარუსის ქვიშნარში.

ს. უჯარმას ერთ ვერსის ზევით მდ. იორისაგან მომართულ ფლატეზედ არის შემჩნეული რუხ ნახშირის ორი შრე, ძომლისგანაც ზევითას აქვს 4-6 და ქვეითას 2-3 ვერშოკამდე სისქე.

კარაბულალის ახლოს მესამეყოფილ დროის ქვანახშირი ხვდება, იორის მარცხენა ნაპირზე. ს. ხაშნიდან 3 ვერსის დაშორებით, თეთრ თიხაში ბუდეებათ და ზოლებათ მიდის ნახშირი, ექვემდებრება ქვიშნარ ფხვიერ სისქეს.

მუხრავანის დასავლეთით, 12 ვერსზედ სოფ. ნორიოს ახლოს.

ბორჩალოს მახრამი 10-15 ვერსზედ ჩუბუხლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ფართო მასები სათვის სრულიად უცნობია ჩვენი კუთხის ბუნებრივი სიმდიდრენი, საიდუმლო ზეწრით გადაფარებულია ეს უძრავად მდებარე განძი. ნაკლებადაა შესწავლილი და გამოკვლეული ჩვენი კუთხე პეოლოგიურ-მეცნიერულ მხრითაც და, თუ რაიმე ცნობა გვაქვს, მას სისტემატიური ხასიათი არა აქვს. ეს ცნობები გაფანტულია სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში და მოკლე მასალებათ. ყველა ამ ცნობებს შემთხვევითი ხასიათი აქვს. აკლია მთლიანობა და სასტიკი მეცნიერული გეზი. მიზეზები წარსულში ჩვენ საერთო ჩამორჩინილობაში უნდა ვეძიოთ, რაიც იყო ცარიზმის სპეციფიური პოლიტიკის შედეგი. ამ ფამად ჩვენი მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. საბჭოთა რესპუბლიკის დამკვიდრებით ქართული უნივერსიტეტი მაგარ ნიადაგზედ შესდგა. უნივერსიტეტის მეცნიერთა კადრს, პროფესორთა სახით, უკვე მიუქცევია ყურადღება და ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის პეოლოგიურ გამოკვლევას შესდგომიან. გასულ წლის ზაფხულში სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი იყო სამეცნიერო ექსპედიცია სვანეთის მასსივის გამოსაკვლევად. ექსპედიციას ბრწყინვალეთ შეუსრულებია დასახული მიზანი და მრავალი მასალა ჩამოუტანია თანამედროვე ხანაში მეცნიერთა შორის გაბატონებულია ეგრედ წოდებული ტერიტორიის კუთხური შესწავლა. იმედია სახელმწიფო უნივერსიტეტი წრეულსაც მოაწყობს ექსპედიციებს სხვა დანარჩენ კუთხეების შესასწავლად და, ამ გვარად, წმინდა მეცნიერულ ძიებას, შეეძლება; პრაქტიკული სარგებლობის მოტანა, რაც რესპუბლიკას ახალ ეკონომიურ წყაროებს აღმოუჩენს ბუნებრივ სიმდიდრის სახით, მის აყვავებისათვის და გაძლიერება-აღორძინებისათვის.



ის. ორაბველიძე



## გ ა ა ხ ა ლ გ ა ზ რ ღ ე ბ ა

ევგენი შტაინახის გასაოცარ ცდებმა გაახალგაზრდების შესახებ მთელი ქვეყანა ააღაპარა.

ვინ იფიქრებდა დღემდე თუ ადამიანის გონება ხანგრძლივი შრომისა და კვლევა-ძიების შემდეგ აღმოაჩენდა ისეთ საშუალებას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოხუც, ცხოველების გაახალგაზრდება; ორგანიზმის, ასე ვსთქვათ, გადახალისება.

არავის არ ეგონა თუ ადამიანი გაბედავდა სიკვდილის, ამ სიცოცხლის უძლეველ მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას. ადამიანი ყოველთვის რაღაც უცნაურ შიშს განიცდის სიკვდილის აჩრდილის წინაშე.

სწორედ ამ სიკვდილის შიშმა აიძულა ადამიანი გამოენახა სიკვდილის საწინააღმდეგო საშუალება, თუ, უკვდავება არა, სიცოცხლის გახანგრძლივება მაინც მიღწეულია.

ადამიანი უძველეს დროიდანვე ებრძოდა სიკვდილს; ძველი ეგვიპტელები მიცვალებულების შესანახად იმიტომ ხარჯავდნენ დიდ ქონებას, რომ დარწმუნებული იყვნენ სული სხვადასხვა ცხოველებში გაულის შემდეგ, კვლავ, უკვე დიდი ხნით მკვდარს, დაუბრუნდებოდა უკან. ამიტომ მიცვალებულებს საფლავში თან ჩაატანდნენ იმ ნივთებს და საჭმელებს, რომლებიც სიცოცხლეში უყვარდათ. ასეთი ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ სრულიად მარტივი ხასიათის იყო.

გადიოდა დრო, მიცვალებულის რიცხვი მრავლდებოდა, უკან კი არავინ ბრუნდებოდა. ასი და ათასი წლების განმავლობაში თანდათანობით დაკვირვებამ და გამოცდილებამ დაარწმუნა ყველანი, რომ ამ რიგად სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლა უნაყოფოა.

დროთა სვლაში ადამიანის გონება ვითარდებოდა; მას დასკვნა გამოყავდა, რომ ადამიანის სიკვდილთან ერთად მისი სულიც კვდება. მდაბიო ხალხში კი დიდხანს დარჩა ძველი რწმენა სულის უკვდავების შესახებ.

საშველო საუკუნოებში სერიოზულად შეუდგნენ სიცოცხლის უკვდავების წამლის „ელიქსირის“ ძებნას. ამაზე მუშაობდა არა ერთი და ორი მოაზროვნე კაცი. ამბობენ რომ თვით რენე დეკარტი (1596—1650) მუშაობდა ადამიანის გაახალგაზრდებაზე. ბეკონ ვერულამელმა დიდი წიგნი დასწერა სიცოცხლის და სიკვ-

დილის შესახებ. ის დიდ ყურადღებას აქცევდა სისხლის გამოშვებას და სელიტრის (გვარჯილა) მიღებას. ასეთი რეცეპტი მალე უარყო მედიკინამ.

ერთი უძველეს საშუალებათ გასააბაღაზრებლად ითვლებოდა ე. წ. გეროკონომია (ღრმა მოხუცის სხეულის შეხება ქალიშვილების სხეულთან). ეს თითქოს მოხუცზე დიდ გავლენას მოახდენდა და ძველ ჯანმრთელობას დაუბრუნებდა. ვიცით რომ ძველად ასეთ საშუალებას ბევრი მოხუცებული შიმართავდა ხოლო როგორ ცვლილებას ახდენდა მასში, ეს უცნობია.

მე-18 საუკუნის შარლატნები სხვა და სხვა წამლებს ამზადებდნენ მოხუცებულებასთან საბრძოლველად, როგორც მაგ. წმ. გერმანეს ნაკურთხი წყლით, რომელიც საზიანო უფრო იყო, ვიდრე სასარგებლო.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში და მეოცე საუკუნეში, ამ დიდ კითხვას გამოუჩნდა შესაფერი მკვლევარნი, რომლის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი.

ცხოველთა და მცენარეთა სამეფოებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ რომ ყოველგან სიკვდილი აუცილებელი მოვლენაა.

თუ ჩვენ უფრო ღრმად დაუკვირდებით და სათითაოდ შევისწავლით ცხოველთა და მცენარეთა ეგზემპლიარებს, მაშინ ჩვენს თვალწინ სულ სხვა სურათი გადაიშლება. დავინახავთ, რომ ცხოველები, მაგ., ერთ უჯრედიანები, უკვდავია. დღეს საეჭვოთ აღარ ითვლება ერთ უჯრედიან ცხოველების უკვდავობა და ზოგიერთი მრავალ უჯრედიანისაც. მაგ. ბიოლოგიის ისტორია გვასწავლის, რომ არის სხვადასხვა ქვეყნებში ისეთი ხეები, რომლებიც ასი და ათასი წლობით ცხოვრობენ. აფრიკის ბოაბობები 4,000—6000 წ. წ. ცხოვრობენ და მათ მოხუცებულობა სრულებით არ ემჩნევათ. ბუნებრივად მკვდარი ბოაბობები, ან დიდი ველინგტონები, ძნელი საპოვნელია. ეხლა ავიღოთ ქართოფილი. რაც, ის, ამერიკიდან შემოიტანეს, მას შემდეგ გორგილებით თუ კვირტებით ამრავლებენ, მიუხედავად ამისა, მათ სრულებით არ ემჩნევათ გადაგვარება და არც ნაყოფიერების შესუსტება. იგივე ითქმის კულტურულ ვაშლის, მსხალის და სხვების შესახებაც. დასავლეთ საქართველოში კარგად ხარობს ერთი მინდვრის მცენარე, რომელსაც გურულები უკვდავს ეძახიან. იმას შეუძლია ორ სამ თვეს ხეზე დაკიდული გასძლოს, თუ მზე პირდაპირ არ დაჰყურებს. „ალვის“ ხე თესლით არ მრავლდება, არც ძირებით, როგორც აკაცია. იმის გამრავლება ტოტებით შეიძლება. ამიტომ იმათ ვერ ჩავთვლით მომაკვდავთა რიცხვში.

ჩვენებური ნიორი თესლს არ იკეთებს, არც მიწის ვაშლი. ეს მიწის ვაშლიც კვირტებით მრავლდება.

მცენარეთა სამეფოში ბევრია უკვდავი, მრავალ უჯრედიანი მცენარეები, მაგრამ შეიძლება ასეთი არ იყოს ცხოველთა სამეფოში. არავის არ გაუგონია, რომ ათასი ან ორი ათასი წელი ეცოცხლოს ცხენს, ცხვარს, ირემს ან ადამიანს. „დაბადება“-ში სწერია, რომ მათუსალმა 963 წ. იცოცხლა, ნოემ 595 წ. მაგრამ ეს არ არის მართალი. უწინ ჩვენს ერთ წელს სთვლიდნენ ოთხ წელად და თუ ოთხზე გავყოფთ 963 წ. მივიღებთ 241 წ., რაიც შეიძლებოდა ადამიანს ეცოცხლა.

მართალია, ცხოველების დიდი უმრავლესობა დიდხანს ვერ სცოცხლობს, მაგრამ მათ შორის, მაინც მოიპოვება უკვდავნი. მკითხველს ეკოდინება თუ რა არის მარჯხები, რომლებიც თბილ ქვეყნებში ცხოვრობენ. ისინი უსქესოდ მრავ-

ლდებიან, მაგრამ იმათ არც ზრდას აქვს დასასრული და არც სიცოცხლეს. ზღვის ადიდება, ვულკანური ფერფლი და სხვა მოულოდნელი კატასტროფები, თუ დაანგრევს იმათ სამეფოს... კუ, ზღვის ვეშაპი, თევზები, არა ერთ და ორ საუკუნეს ცხოვრობენ. 99%, ასეთი ცხოველები ბუნების მოვლენათა მსხვერპლნი ხებიან. ბუნებრივი სიკვდილით ისინი, თითქმის, არ კვდებიან.

გადავიდეთ ეხლა ადამიანზე.

ადამიანის უმრავლესობა კვდება 60—72 წ. და 82—95 წლამდე. ადამიანის ისტორიამ იცის ისეთი მაგალითებიც, რომ ადამიანს უცოცხლია 110 წ., 120 წ. და 180 წლამდეც კი. ჩვენს დროში ასეთები ხომ გამონაკლისებია\*)

მეცნიერული გამოკვლევა გვიმტკიცებს, რომ ადამიანი ორ უმთავრეს ჯიშის უჯრედებიდან შესდგება: სამემკვიდრეო და სომატიური უჯრედები. (სომატიური ისეთი უჯრედებია, რომლებიდანაც შესდგება ჩვენი ორგანიზმი, სამემკვიდრეო უჯრედებს გარდა). მკითხველმა შეიძლება სთქვას: ორგანიზმი თუ კვდება, პიროვნებაც ხომ კვდება, მაშასადამე, მარტო სამემკვიდრეო უჯრედი არას ნიშნავსო. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენ ღრმად დავაკვირდებით ადამიანის ბუნებას, — დავინახავთ შემდეგს: თუ არა სჩანს საბოლოო ხსნა, ან არ არის შესაძლებელი უკვდავება, სიცოცხლის გახანგრძლივება არის მოსახერხებელი. დღემდე ამაზე ლაპარაკი სერიოზულად არ შეიძლებოდა, მაგრამ ეხლა ამის სასარგებლოდ ფაქტები ლაპარაკობენ: არის შესაძლებელი, მოხუცს დაუბრუნოთ დაკარგული ძალა, ის გავაახალგაზრდოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ადამიანის სიკვდილი ბუნებრივი არ არის. ათასგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები, ათასგვარი მიკრობები, უძროოდ ბოლოს უღებს ადამიანს.

ვიდრე შტაინახის მიერ წარმოებულ ცდებს შევეხებოდეთ გაახალგაზრდებაზე, მანამ უმჯობესია მოკლედ გავეცნოთ სასქესო აპარატის ზოგად მნიშვნელობას.

სასქესო აპარატს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის პრობლემისათვის. სასქესო აპარატი სიცოცხლის პირველ ნასახთან ერთად ჩნდება, მისი შექმნა ვარჯიშობით ცხოველს არ შეუძლია; მისი მიზანი არის გამრავლება, ახალ-ახალ თაობათა შექმნა. ამ სასქესო აპარატის დიდი მნიშვნელობა ნეუნიშნავი არ დარჩა. საბერძნეთის მეცნიერ-ფილოსოფოს არისტოტელს. ის ამბობდა: ორგანიზმი იცვლება არა მარტო სხვა და სხვა პირობების გავლენით, არამედ საგრძნობ ცვლილებას იწვევს კასტრაცია (დასაჭურისება). მისი აზრით, დასაჭურისებული ფრინველები არ გალობენ და არც ბუნებრივი მოთხოვნილება აქვთ. იგივე ითქმის ადამიანებზედაც. თუ ვაჟს ადრე, ბავშობაში დაასაჭურისებენ, წვერ-ულვაში არ ეზრდება, ხმა არ ეცვლება, ხოლო თუ ხანში შესული დავასაჭურისეთ, თმა სცვივა. ხმა დასაჭურისებულ მამაკაცისა ქალის ხმასა ჰგავს. თუ პატარა ირემს დაასაჭურისებენ, რქები არ ეზრდება. თუ რქიანს დაასაჭურისებენ, რქები არ გაეზრდება და არც მოშორდება, თავს არ იცვლის.

განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველების სასქესო აპარატი სხვა ორგანოებისაგან გამოყოფილია, ის მხოლოდ ერთ მოვალეობას ასრულებს.

\*) ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობს ერთი მოქალაქე, რომელმაც 1921 წელს შეიროთო მე-5 ცოლი და იყო მაშინ 185 წლის, ის დღემდე მხედრობს და თავს არხეინათ გრძნობს.

სხვა ცხოველებს განსაკუთრებით მარტივ ცხოველებს, სასქესო აპარატი ისე თვალსაჩინოდ გამოყოფილი არ აქვთ. მაგ., მიწის ქიებს, მარჯნებს, წურბლებს, ლოკოკინებს და სხვებს. მარჯნები რამდენ ნაწილადაც არ უნდა დაეჭრათ, ყველანი ცალკე მარჯნებათ იქცევიან. ეს მაგალითები იმას გვეუბნება, რომ სასქესო აპარატის ნასახები ყველა უჯრედებშია. ამიტომ არის, რომ ერთ სქესიანები ან ჰერმაფროდიტი—მცენარეები უფრო მალე კვდებიან, ვიდრე ის უჯრედები, რომლებიც სასქესო აპარატის ნასახების მატარებელია, ე. ი. რომელ მარტივ ორგანიზმებში შრომა უჯრედებს შორის დაყოფილი არ არის, იმათი სიცოცხლე უფრო ხანგრძლივია, ისინი უფრო ადვილად ებრძვიან სიკვდილს. მარტივი ცხოველების და მცენარეების ბუნება ამით იმას კი არ გვეუბნება, თითქო უცვდავება, ან სიცოცხლის ხანგრძლივობა მარტო იმათ უფლებამაა და სხვებს კი არ ძალუძთ ეღირსონ ამ ბედნიერებას. არა, სიცოცხლის დიდხანს შენარჩუნება ყველას შეუძლია, მაგრამ ამ მხრივ განსხვავებაა მალალ ცხოველებსა და მარტივ ცხოველებსა და მცენარეებს შორის. მარტივ ორგანიზმებში ბუნებრივია ხანგრძლივობა, რთულ ორგანიზმებში კი ხელოვნურად უნდა გამოიწვიონ.

დედაკაცის და მამაკაცის სასქესო აპარატები სხვა და სხვა შენებისა არიან, ხოლო დანიშნულება ერთი აქვთ—მსგავსთა გამრავლება. კერძოდ დედაკაცის სასქესო აპარატი გაცილებით რთულია, ვიდრე მამაკაცისა.

დედაკაცი კვერცხებს ამზადებს ორ საკვერცხეში, რომლებთან შეერთებულია კვერცხების გამტარებელი მილები. როცა კვერცხები დამწითლდება, საკვერცხე გარსი სკდება და კვერცხები მილებში ჩამოდის, იქიდან საშვილო საშოში და, შემდეგ, სრულიად იწმინდება. დედაკაცი 14 წლიდან 45 წლამდე ამზადებს კვერცხებს, შემდეგ ეს შეწყდება, რაიც დიდ ცვლილებას იწვევს ორგანიზმში. კვერცხების დამზადების შეწყვეტის შემდეგ თანდათანობით ძალა აკლდება, პირისახის სილამაზე ჰქრება და იწყება მოხუცებულება.

მამაკაცის სასქესო აპარატი უფრო მარტივია, ხოლო სათესლე ჯირყვლები იმასაც ორი აქვს. ამ სათესლე ჯირყვლებზე არის სხვა ჯირყვლებიც, რომლებიც ხელს უწყობენ თესლის დამზადებას, ან და ორგანიზმში ინიადავს ამზადებენ. ამისათვის, სხვათაშორის, ასეთია შუამდებარე ჯირყვლოვანი ქსოვილი, რომელსაც ვენელმა პროფესორმა შტაინახმა პუბერტატიული ჯირყვალის უწოდა. ეს ჯირყვალის ხელს უწყობს მეორე ხარისხოვან სასქესო ნიშნების წარმოშობას, მაგ. წვერულვაშს, ხმამაღლა ლაპარაკს, სილამახეს, სხეულის ელასტიურობას (მოქნილობა) და სხ. მეორე ჯირყვალის, რომელსაც დამხმარე ჯირყვალს უწოდებენ, მოთავსებულია საშარდე მილის და თესლის გამომყვან მილს შუა. ადამიანს ეს ჯირყვალის აქვს ტაზის ქვედა ნაწილთან: ფორმით ვაშლსა ჰგავს, ფერით მოწითალო დარიჩინის ფერია. ეს ჯირყვალის ოკდაათ ღია კარებით იხსნება, შარდის გამომყოფ მილთან. თესლის გამოყოფის დროს ამ ჯირყვალის თეთრი სითხე გამოდის და უერთდება თესლს.

როგორც დედაკაცში, ისე მამაკაცში, დიდი ცვლილების გამოწვევა შეუძლია სათესლე ჯირყვლებში თესლის გაშრობას. ამის შემდეგ მოხუცებულობა უფრო ღრმად იდგამს ფესვებს და ოკანიზმს ძველებურად აღარ შეუძლია არც თავისთავზე და არც სხვაზე ზრუნვა. მართალია, დიდი ხნის ისტორია არ აქვს ადამიანის გაახალგაზრდების თეორიას და, არც საბოლოოთ გამორკვეულია, თუ როგორ და რაფერად შეიძლება ადამიანის სამუდამოდ გაახალგაზრდება. ჯერ

მხოლოდ ცდებს აწარმოებენ, მაგრამ ამ ცდებიდან სჩანს, რომ მეცნიერება მალე გამონახავს გაახალგაზრდების საშუალებას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ამ დიდ ამოცანის გადაჭრას შეუდგა პარიზის გამოჩენილი ფიზიოლოგი ბროუნ სეკარი. მან აიღო ზღვის ღორის, თუ სხვა ცხოველის სასქესო ჯირყვალის გამონაწერი სითხე და თავის საკუთარ კანში შეიშხაპუნა. რამოდენიმე დღის შემდეგ ბროუნმა უკეთესობა იგრძნო და გადასწყვიტა ცდების გაგრძელება, რაკი თვითონ დარწმუნდა, რომ ჯირყვალის გამონაწერი სითხის შეშხაპუნება ადამიანის კანში ცუდ შედეგს არ იძლევა, შემდეგ სხვა ადამიანებზე გაბედა ამავე ცდის განმეორება. მაგრამ სამწუხაროდ ყველა მოხუცებზე ერთგვარად არ იმოქმედა, ყველას ჯანმრთელობა არ გააუმჯობესა, პირიქით ზოგს სიცოცხლეც კი მოუსპო, სევარს ნელ-ნელა გაუჩნდა მტრები. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ სეკარი იძულებული შეიქნა ლონდონში გაპარულიყო. სეკარს იქაც გულგრილად შეხვდა ოფიციალური მეცნიერება.

ყველაზე უფრო საინტერესოა მეორე დიდ მეცნიერის ცდები სიცოცხლის გახანგრძლივებაზე. ეს მეორე მეცნიერი, ქ. ვენაში მცხოვრები, პროფესორი ევგენი შტაინახია. მან ჯერ დაბალ ცხოველებზე მოახდინა აპერაციები, მაგ. თაგვებზე. აიყვანა დედალ-მამალი თაგვი, ორივეს სასქესო ჯირყვლები გამოჭრა, მამალის სასქესო ჯირყვლები დედალს შეამყნა, დედალის — მამალს. რამოდენიმე კვირის განმავლობაში შეცვლილი ჯირყვლები ორივეს შეეხორცა და კიდევ დაიწყო თავისებურ გავლენის გამოწვევა: დედალი თაგვი მამალის როლს ასრულებდა და პირიქით. ნასესხები ჯირყვლების აქტივობამ დიდი ცვლილება შეიტანა არა მარტო ორგანიზმის შიგნით, არამედ მის გარეთა სახურავშიც. ამისადაგვარი ცდები მოახდინა პროფ. შტაინახმა ზღვის ღორებზე და კარგი შედეგი მიიღო. შემდეგ შტაინახმა კიდევ სხვა გვარი ცდები გააკეთა. აიყვანა, როგორც დედალი, ისე მამალი თაგვები, ორივეს გამოაჭრა სასქესო ჯირყვლები და გადაიტანა არ იქ, სადაც მათი ბუნებრივი ადგილია, არამედ მუცლის ქვეშ შეამყნა, — დედალის ჯირყვლები მამალზე გადაიტანა, მამალის — დედალზე. აპერაცია ჩინებულად ჩატარდა. როგორი ცვლილება შეიტანა ამ ჯირყვლების შეცვლამ და მუცლის ქვეშ გადატანამ? მოკლედ უნდა ვთქვათ, რომ ამ ცდამაც თვალსაჩინო შედეგი გამოიღო: თაგვები არაჩვეულებრივად გრძნობდნენ თავს და ცდილობდნენ ერთმანეთის დაგრილებას, მაგრამ ნაყოფის მიცემა კი არ შეეძლოთ. მსოფლიო ომის დაწყების წინ, ამბობს ნ. კ. კოლტოვი, ჩვენ ვიყავით ვენაში. შტაინახმა მაჩვენა მამალი თაგვი, რომელშიაც გადაეტანა დედალის სასქესო ჯირყვლები. ამ გადედლებულ მამალ თაგვს ძუძუები გაზრდოდა და თითების დაქვრით რძე ადვილად გამოდიოდა ძუძუებიდან. გამამლებულ დედალს ძუძუები არ ეზრდებოდა, ხოლო კლიტორი იმდენად ეზრდებოდა, რამდენად პენის მამალს. ასეთი დედლები ეთამაშებიან ნამდვილ დედლებს. როცა მამალ თაგვის ტყავის შიგნით ისევ მამალის სათესლე ჯირყვლები შეაშხაპუნეს, ბუნებრივად მოთხოვნილება ერთიორად გაუცხოველდა და უფრო ხშირად აგრილებდა დედლებს. იგივე ითქმის დედალ თაგვებზე. ისინი დიდ დაუდევრობას იჩენენ და დიდი სურვილი აქვთ ხშირი სქესობრივი კავშირისა. შტაინახმა იფიქრა: რაკი სასქესო ჯირყვლებს დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ჯანმრთელობის გაუკეთესებაში, მაშასადამე, შესაძლებელია ასეთი ცდების მოხდენაც. ბებერ დედალ თაგვს, რომელსაც ათი თვის განმავლობაში შეილი არ ჰყოლია, გამოვაჭრათ

ძველი უვარგისი საკვერცხეები და სანაცვლოდ შევამყნათ ახალგაზრდა დედალ თაგვის საკვერცხეები. ნეცნიერებამ ეს სისრულეში მოიყვანა. აპერაციის შემდეგ თაგვი მორჩენილა, ბუნებრივი მოთხოვნილება განახლებია, აგრეთვე მისი გარეგნობა ისე შეცვლილა, რომ მამლებს საგრძნობლად აჯანსაღებდა აყვარებდა თავს. ამას მიჰყვა ბუნებრივი დაგრილება და 29 ივნისს დაიწყო შვილები გაუჩნდა. ამ გაახალგაზრდებულმა თაგვმა იცოცხლა 37 თვე მაშინ, როცა თაგვები კვდებიან 23-40 თვეებში. ამის დაგვარი ცდები შტაინახმა არა ერთი და ორი მოხდინა. მაგრამ სასქესო აპარატის ბუნების შესასწავლად საჭირო იყო სხვა გვარი ცდების წარმოება. შტაინახს სურს მიიღოს ორ სქესიანი ცხოველები. ესეც ადვილად და მალე მოახერხა, ერთ სქესში ორივე სქესის ჯირყვლები გადაიტანა. აქედან მან მიიღო: შერეული სქესის ეგზემპლიარები მამლებს დაემზავსენ და დედლებს დასდევდენ, ხოლო მეორე შემთხვევაში დედლებს ჰგავდნენ და მამლებს ეარშიყებოდნენ. მეორეგვარი ცდით, პირველად, დედალის ჯირყვალის სჭარბობს და ბოლოს მამალის. როგორც ამ ბოლო ხანს აღმოჩნდა, დანეთის ბიოლოგს, კნუტ ზანდს, მოუხერხებია, შტაინახის მეთოდის მეოხებით უფრო უკეთეს ორ სქესიან ცხოველების მიღება, ვიდრე ეს მოახერხა დღემდე ვენელმა ბიოლოგმა.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნათ ის გასაოცარი ცვლილება, რომელიც გამოიწვია ბებერ თაგვში ახალგაზრდა თაგვის ჯირყვლების გადატანამ. ასეთი აპერაციის გაკეთების შემდეგ შტაინახმა მიიღო შემდეგი: რაკი მორჩა თაგვი, ორგანიზმმა დაიწყო აფუძელიანი გადახალისება: თვალები ცეცხლივით უბრწყინავდა, მოძრაობა და გარეშე საგნებთან დამოკიდებულება ეადვილებოდა, დედალ თაგვებს დიდი ხალისით დასდევდა, სქამდა ზომაზე მეტს, სადაც ბალანი არ ჰქონდა სიბერის გამო, იქ ახალი ბალანი ამოუვიდა, ტყავი გაუსქელდა და დაურბილდა, დაულამაზდა, ჯირყვლები დაეზარდა, სხვა დამხმარე ჯირყვლებმაც იწყო ზრდა და სითხეების მოშხადება... ასე გაახალგაზრდებული თაგვი 19 ჯერ აგრილებდა 15 წამში დედალ თაგვს, რაც შტაინახს წეუნიშნავი არ დარჩა. გაახალგაზრდებული თაგვები 8-9 თვით მეტს ცხოვრობენ სხვა თაგვებზე.

შტაინახი ამით არ დაკმაყოფილდა, მან გადაჭრა ბებერი მამალი თაგვის თესლის განტარებელი ერთი შილი. ამის გამო მეორე სასქესო ჯირყვალის იმდენად შეიცვალა, რომ დაიბრუნა უწინდელი ჯანმრთელობა. ეხლა იგი ჯირყვალში თესლსაც ამზადებდა და კარგი ჯანმრთელი შვილებიც წარმოიშვა.

ასეთი მაგალითები იმას გვეუბნიან, რომ ორგანიზმში დიდი ძალა ყოფილა დამალული, და თუ ამ ძალას გამოვიყენებთ ჩვენ, მაშინ ოთხფეხ ცხოველებს, მაგ. ცხენს, ხარს, ძროხას, კამეჩს და სხვებს, უფრო დიდხანს ვიმსახურებთ, უფრო ბევრს ვისარგებლებთ იმათგან, ვიდრე ვსარგებლობდით.

მე-20 საუკუნემდე სასქესო ჯირყვლების შინაგანი სეკრეციის ძალა უცნობი იყო, ამიტომ გაახალგაზრდებაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. ეხლა, როცა მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ჯირყვლები აღმოაჩინეს და გაიგეს იმათი მნიშვნელობა, ძნელი არ არის სიცოცხლის გახანგრძლივება, ამ ჯირყვლების ერთი ორგანიზმიდან მეორე ორგანიზმში გადატანით. შტაინახმა ცდები მხოლოდ ცხოველებზე მოახდინა, მაგრამ ეს მაგალითები, თუ ცდები, არ ეწინააღმდეგებიან ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას, პირიქით უფრო შესაძლებლად ხდის მას. ცხოველები და ადამიანები ორივე ერთ ზოგად კანონის (განვითარების

კანონი) ზეგავლენით განვითარდენ. ადამიანები ცხოველებიდან გამოჩაქლისს არ წარმოადგენენ: როგორც პირველის, ისე მეორეს სიცოცხლე ერთი უჯრედიდან იწყება, ვითარდება, აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს და მერე ბერდება და კვდება. ცხოველებზე ცდების წარმოება ექსპერიმენტისათვის სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. ადამიანს სურს, თანდათან სიცოცხლე გაახანგრძლივოს და გააუკეთესოს და სწორედ ამ მოსაზრებით აწარმოებენ ცდებს ცხოველებზე, რომ შემდეგ ადამიანებზედაც სცადონ. შტაინახიც ასე მოიქცა. მან საკმარისად მოახდინა ცდები ცხოველებზე. ამის შემდეგ მზად იყო ასეთი ცდები ადამიანებზეც მოეხდინა. როგორც ვიცით, შტაინახმა ერთი ცდა მოახდინა ადამიანზე. მამამ შვილს დაუთმო ერთი ჯირყვალი, რომელიც აპერაციის გაკეთების შემდეგ ჩინებულად გრძნობდა თავს.

ბიოლოგიის ისტორია გვასწავლის, რომ ადამიანის ხანგრძლივი სიცოცხლე აიხსნება მეორეჯერ გაახალგაზრდებით. ხშირია ისეთი მაგალითები, როცა ადამიანი ცხოვრობს 110 წ., 140 წ., 173 წ. და 183 წ. სად უნდა ვეძიოთ ასეთი ხნიერობის მიზეზი ადამიანში? ცხადია, სასქესო აპარატში, რომელსაც ხელს უწყობს გარეშე მიზეზებიც. შეუძლებელია ადამიანს კბილები ისევ ამოუვიდეს, თეთრი თმა გაუშავდეს, ბუნებრივი მოთხოვნილება დაუბრუნდეს, თუ პუბერტატიული ჯირყვალის გადახალისება არ მოხდა და ამასთან ერთად მოელი სასქესო აპარატის. ეს უბრალო სიცოცხლის გაახანგრძლივება კი არ არის, არამედ მეორეჯერ გაახალგაზრდებაა. ეს უტყუარი ფაქტი მაჩვენებელია იმის, რომ ბუნება მიუთითებს ადამიანს მეორეჯერ გაახალგაზრდებისაკენ და გვარწმუნებს, რომ ადამიანის სიცოცხლე, არც ისე ხანმოკლეა, როგორც ეს პირველ შეხედვით გვგონია. აქ ერთ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება: საჭიროა ცოდნა ორგანიზმის ბუნებისა და, კერძოდ, შინაგანი სეკრეციისა, რომ შესაფერად გამოყენებულ იქმნას თავის დროზე ყოველგვარი ჯირყვლები, რომელიც კი საჭირო იქნება პაციენტისათვის.

გერმანულ ჟურნალებიდან ვიცით, ამბობს კოლცოვი, რომ სამი უდროოდ მოხუცებული მამაკაცი გაახალგაზრდებიათ. იმათთვის სასქესო ჯირყვლები კი არ ამოუჭრიათ, როგორც შტაინახმა თავებს ამოაჭრა, არამედ სასქესო ჯირყვლებსა და შუამდგომელ ჯირყვალს შუა მილი დაუკავებიათ, სადაც შეუძლებელი გახადეს სპერმის გადასვლა ერთ ადგილიდან მეორე ადგილას. პაციენტებს ოთხი თვის შემდეგ უგვრძნიათ გამოჯანმრთელება: ერთი ყოფილა 51 წ., მეორე 53 წ., მესამე 62 წ.

როგორც ზევით ვთქვით, ადამიანის გაახალგაზრდება შტაინახმაც სცადა, მაგრამ ამ ნხრით, უფრო საინტერესო ცდები მოახდინა რუსმა ქირურგმა ვორონოვმა, პარიზში. ვორონოვმა შტაინახის დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნამდე რომ მოხუცი ადამიანის გაახალგაზრდება არის შესაძლებელი. ის ცდებს აწარმოებდა არა მარტო ცხოველებზე, არამედ ადამიანებზედაც.

ვორონოვმა პარიზში აიყვანა 12—14 წ. მამალი ცხვარი, რომელიც მოხუცებულობისაგან კანკალებდა, ფეხებზე ძლივს დგებოდა, შარდს ვერ იკავებდა. 7 მაისს 1918 წ. მას ჩაამყნეს ჯირყვლებში ოთხად გაჭრილი, ახალგაზრდა ვერძის ჯირყვალი და 2 თვის, შემდეგ მოხუცი ცხვარი მორჩა და, რაც დრო გადიოდა, თანდათან უკეთესდებოდა. ბოლოს იმდენად მორჩა, რომ 1919 წ. სრულიად ნორმალური ბატკანი წარმოშვა. როგორც ვიცით, ვორონოვი მალე დარწმუნდა, რომ შეიძლებოდა მაიმუნიდან სხეულის ნაწილის გადატანა და ადამია-

ნის ორგანიზმში შეწყნა, რომელიც ამას ადვილად შეითვისებდა. ამის შემდეგ მის წინ სიძნელე აღარ იყო, ამიტომ პირდაპირ ცდაზე გადავიდა. მან/გამოაჭრა პავიანს (მაიმუნია) ფარისებური ჯირკვლები და შეამყნა 14 წლის კრეტინს. ბავშვის ორგანიზმმა ჩინებულად მიიღო მაიმუნის ჯირკვალის დასაქმებულნი იმდენად გამოჩნა, რომ 1917 წ. სამხედრო სამსახურში მიიღეს. აპერაციამდე 14 წლის ბავშვი ჰგავდა 8 წლისას, რომელიც სიმაღლეს არ მიატულობდა და სულიერადაც არ ვითარდებოდა, შემდეგ კი სიმაღლევ მოიმატა, გონებაც გაეხსნა და ნორმალურ ახალგაზრდას დაემსგავსა. ვორონოვმა მეორეჯერ შიმპანზედანი ისესხა ფარისებური ჯირკვალი და გადაიტანა კრეტინ ბავშვზე. აქედანაც კარგი შედეგი მიიღო. ამის შემდეგ ძნელი არ იყო ეთქვა ვორონოვს, რომ მაიმუნიდან სასტესი ჯირკვლების გადატანა არის შესაძლებელი ადამიანზე. ეს უკანასკნელი განზრახვაც შეასრულა მან და დაუმტკიცა ქვეყანას, რომ მეცნიერებას დაუძლეველი და გაუკეთებელი არაფერი დარჩება. იგი დასძლევს სიბერეს, გაახანგრძლივებს ათეული წლებით სიცოცხლეს და ბოლოს თვით სიკვდილსაც დაამარცხებს.

სიცოცხლის გაახანგრძლივებაზე რუსეთშიც მუშაობენ. მეცნიერმა მ. მ. ზავოდოვსკიმ მნიშვნელოვანი ცდები მოახდინა ქათმებზე. მან დედალი ქათმები მამლებათ გადააქცია და მამლები დედლებათ. გასაოცარია ის, რომ გამამლებულ დედლებს ეზრდება ბიბილო, დეზები, სხეული უდიდდება, ბუნებრივი მოთხოვნილება უმახვილდება, ბუმბულიც მამლისას ემსგავსება. დედლები მამლებით ყვირიან, მამლები დედლებით კაკანობენ.

ამ უკანასკნელ წლებში ბევრმა მეცნიერმა მიაპყრო ყურადღება ამ დიდ მნიშვნელოვან კითხვას და უნდა ითქვას, შორს არ არის ის დრო, როცა ადამიანი გაიმარჯვებს სიბერეზე და ბევრ იმედ დაკარგულ ადამიანს გაუახანგრძლივებს სიცოცხლეს.

შენი შენა: პატივცემულ ავტორს არ აქვს სრული ინფორმაცია პროფ. შტაინახის მუშაობის შესახებ. მოხუც ადამიანის გაახალგაზრდების იდეა ეჭვსა გარეშეა შტაინახს ეკუთვნის, თუ ვენელი მეცნიერი თავის შესანიშნავ ცდებს ადამიანზე ვერ ავრცელებდა. ამის მიზეზი იყო ის რომ, მას მატერიალური საშუალება არ ჰქონდა ასეთი ცდების საწარმოებლად. მას შემდეგ კი, რაც ამერიკელ მეცნიერების საზოგადოებამ შტაინახს მატერიალურად დაეხმარა და შესაფერი ინსტიტუტი მოუწყო, შტაინახი საუცხოვოდ. აახალგაზრდებს ათეულ მოზუცს და უღროვოდ ჯანდაკარგულებს. დღეს საშუალო ევროპის ყველა მედიცინურ ცენტრებში არსებობენ ასეთი გაახალგაზრდების ინსტიტუტები. მაგ. ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში თქვენ შეგიძლიათ ყოველ დღე ნახოთ ათეული „გაახალგაზრდებული“. აქ თქვენ ნაბაგოთ სიცოცხლით სავსე ქალებს, ვნებით აღსავსე თვალებით, სხეულის დამთავრებული გრაციით, რომელთა შესახებ კლინიკის ასისტენტი მოგიხსრობს რომ, ეს ქალები რამდენიმე თვის უკან იყვნენ უსიცოცხლო ბებრებიო.—უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებას პრობლემის შესახებ ჯერ კიდევ არ უთქვამს. საზოგადოება მოეალება ასეთ სიტყვას მოუცადოს. დღემდის კი, ამ გაახალგაზრდების ინსტიტუტებს, თან დაჰყოფა ერთი დიდი სოციალური ზასიათის ბოროტება, სახელდობრ ის, რომ ასეთ ინსტიტუტებში მეცნიერები მეტ ნაწილად აახალგაზრდებენ მხოლოდ ბანკირების მოზუც ცოლებს (მიზეზი გასაგებია!).

რედაქცია.





# „მუშათა პარტიის“ მთავრობა ინგლისში

საპარლამენტო არჩევნებმა ინგლისში, წარსული წლის დეკემბერში, მიაღწია ამ ქვეყნისათვის ჯერ უნახავ შედეგებს: „მუშათა პარტია“ მოექცა სათავეში უდიდეს კოლონიალურ სახელმწიფოს.

არჩევნებმა საგრძნობლად შესცვალეს შემაღვენლობა პარლამენტის ანუ, როგორც მას უწოდებენ, თემთა პალატის. საარჩევნო ბრძოლაში სამი უმთავრესი პარტია იღებდა მონაწილეობას: კონსერვატიული, ლიბერალური და „მუშათა პარტია“. მკითხველს რომ საშუალება მივსცეთ ნათელი აზრი შეადგინოს ყველა ამ პარტიების ძალებზე (პარლამენტში) არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, საკმაო იქნება შემდეგი ცხრილი:

## პარლამენტის შემაღვენლობა

1922 წ. ნოემბრის არჩევნების შემდეგ	1923წ. დეკემბრის არჩევნების შემდეგ
კონსერვატორები . . . . . 346	კონსერვატორები . . . . . 253
„მუშათა პარტია“ . . . . . 144	„მუშათა პარტია“ . . . . . 192
ლიბერალები . . . . . 115	ლიბერალები . . . . . 151
სხვა პარტიები . . . . . 9	სხვა პარტიები . . . . . 8
კომუნისტები . . . . . 1	კომუნისტები . . . . . 0

როგორც ვხედავთ ინგლისის ყოფილი მთავრობა (ბალდვინის) ემყარებოდა პარტიას, რომლის დეპუტატთა რიცხვი (346) ბევრათ აღემატებოდა ყველა დანარჩენებისას, ერთად აღებულს. ხოლო წარსული წლის დეკემბრის არჩევნებიდან გამოსულ პარლამენტში, კონსერვატიული პარტია წარმოდგენილია საგრძნობლად შეთხელებული რიგებით. მის მიერ დაკარგული ადგილები ხელში ჩაუვარდა ყოფილ ოპოზიციონურ პარტიებს: ლიბერალებსა და „მუშათა პარტიას“. დეპუტატების რიცხვით ყველაზე უფრო ძლიერი თუმცა ისევ კონსერვატორები დარჩენ, მაგრამ

ორივე დანარჩენი პარტია ერთად, შეადგენენ პარლამენტში დიდ უმრავლესობას. ამ გარემოებამ გადაწყვიტა კონსერვატიული მთავრობის ბედობა. 21 იანვარს, ბალდვინის სიტყვის შემდეგ, რამზეც მაკ-დონალდი ავიდა ტრიბუნაზე და განაცხადა: „უმუშევრობის გაძლიერებამ ინგლისში დაამსხვრია კაპიტალიზმის უმრავლესობა, რომელსაც ეყრდნობოდა კონსერვატიულ მთავრობა. კაპიტალიზმის პალატა გადასდგამს დღეს ნაბიჯს, რომლითაც, ვიმედოვნებ და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, აღინიშნება მნიშვნელოვანი მომენტი დიდი ბირიტანეთის ისტორიაში. — თ. კამათი იყო დეკლარაციის შინაარსზე, რომელიც უნდა შეემუშავებია, კონსერვატორების წინადადებით პარლამენტს. მეთვის სიტყვაზე საპასუხოთ „მუშათა პარტია“, მაკ-დონალდის პირით, შეიტანა ერთი დამატება ტექსტში, სადაც ნათქვამია:“ მოვალეთ ვთვლით ჩვენ, თავს ვაუწყოთ პატივისცემით თქვენს უდიდებულესობას, რომ თქვენი მრჩეველნი, წევრები დღევანდელი მთავრობის, აღარ სარგებლობენ თემთა პალატის ნდობით“. უნდობლობის ამ ფორმულის ხმის მიცემის დროს გამოირკვა, რომ ის მიღებული იქნა 328 ხმით 256 ხმის წინააღმდეგ, ე. ი. მას მხარი დაუჭირა მუშათა დეპუტატებთან ერთად ლიბერალების დიდმა უმრავლესობამ. აშნაირად კონსერვატიული მთავრობა დაეცა და ადგალი გაეხსნა ახალს.

ვის უნდა შეედგინა ეს ახალი მთავრობა?

ინგლისის საპარლამენტო ტრადიციების თანახმად, ძველი მთავრობის დამარცხების შემდეგ, ახალს ადგენს ის ოპოზიციონერი პარტია, რომელიც უფრო ძლიერია, რომლის დეპუტატები უფრო მრავალრიცხოვანია პარლამენტში. ასეთი აღმოჩნდა არჩევნების შემდეგ „მუშათა პარტია“ და აშნაირად მან შეადგინა კიდევაც ახალი სამინისტრო.

რას წარმოადგენს „მუშათა პარტიის“ მთავრობა, რა პირობებში უხდება მას მუშაობა, რისი გაკეთება შეუძლია მას? როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მასთან?

ერთი ბელადთაგანი „მუშათა პარტიისა“, ფილიპე სნოუდენი, დღევანდელი ფინანსთა მინისტრი ანუ, როგორც მას უწოდებენ ინგლისში, ხაზინის კანცლერი, ერთ თავის წიგნში (სათაურით „როდესაც მუშები ჩაუდგებიან სათავეში მართვამგებობას“...), რომელიც გამოვიდა ბევრად ადრე დეკემბრის არჩევნებამდე, სწერდა სხვათაშორის შემდეგს: „ექვს გარეშეა, რომ მუშათა მთავრობა ბევრ თავის კრიტიკოსებს გააკვირვებს ნით, რომ ის არ იქნება კლასიური მთავრობა. მე არ მინდა, ამ სიტყვებიდან ის დასკვნა გამოიყვანონ, თითქოს მუშათა მთავრობა არ შეეცდება საერთოდ გააუმჯობესოს მუშათა კლასის მდგომარეობა. მე ვფიქრობ, რომ მუშათა მთავრობა უფრო კონსერვატიზმისაკენ გადაუხვევს, ვინემ ექსტრემიზმისაკენ“.

ეს განცხადება არ გააკვირვებს არაფის, ვინც ცოტათი მაინც იცნობს ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიას და ეგრედ წოდებულ „მუშათა პარტიის“ როლს ამ მოძრაობაში.

ინგლისის კაპიტალის მონოპოლიურმა მდგომარეობამ მსოულის ბაზარზე თითქმის მიმდინარე საუკუნის დასაწყისამდე, მისი მოგებისა და, რაც უმთავრესია, ზე-მოგების კოლოსალურმა ზრდამ, რომლიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი წილად ხედებოდა ინგლისის მუშებს — საზოგადოდ და მაღალი კვალიფიკაციის წარმომადგენლებს ამ მუშებიდან განსაკუთრებით, ასეთმა მდგომარეობამ სპეციფიკური

ელფერი მისცა მუშათა მოძრაობას და მის იდეოლოგს ინგლისში, „გასუქებული“ მუშა შეიქნა საკმაოდ ტიპიური მოვლენა. შედარებით ადვილია დაკმაყოფილება მის ოთხოვნილებათა „ლეგალური“ გზით, კაპიტალის მაგნატებთან შეთანხმების საშვალლებით. ნიადაგს აცლიდა რევოლუციონური შეგნების განვითარების შესაძლებლობა მას სოციალიზმისაგან თვით მისი ისეთი გაგებითაც, რომელიც ტიპიური იყო მეორე ინტერნაციონალის ზომიერ მიმდინარეობათათვის. „ზომიერი გონიერება და გონიერი ზომიერება“ ამ სიტყვებით წევრიდლია განოვხატოთ ის გზა, რომლითაც მიმდინარეობდა მოძრაობა კუნძულზე. პოლიტიკა, ამ სიტყვის პროლეტარულ—კლასიურ გაგებით, უცნობი ხილი იყო იქ და თუ შეიძლება ლაპარაკი რაიმე პოლიტიკაზე, მხოლოდ ტრედიუნიონისტულზე, ვიწროდ შემოფარგლულზე ყოველ დღიურ კორპორაციულ შინაარსით. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელია რაიმე კლასიურა შეგნება, შეგნება კლასიურ ინტერესების, მოწინააღმდეგე კლასთან შეურიგებლად დაპირისპირების და ჩვენ კიდევაც ვიცით, რომ თავის მოძრავ ნაწილში პროლეტარიატი დაკავშირებულ იყო ბურჟუაზიულ პარტიებთან. მუშათა პარტია, თვით ისეთიც, როგორსაც ჩვენ ვხედავთ დღეს ინგლისში არ არსებობდა. „აქ არ არის მუშათა პარტია—სწერდა ენგელსი, არიან მხოლოდ კონსერვატიული და ლიბერალური რადიკალები. მუშები კი მშვიდათ სარგებლობენ მათთან ერთად ინგლისის კოლონიალურ მონოპოლიით და მისი მონოპოლიით მსოფლიო ბაზარზე“-ო. „ლიბერალური მუშათა პარტია“, რომელიც არსებობდა დღევანდელ „მუშათა პარტიის“ შედგენამდე თემთა პალატაში, არსებითად არ განირჩეოდა ლიბერალურ რადიკალებისაგან, თავისი მოქმედებით. ზოგიერთი მისი წევრი შევიდა 1874წელს პარლამენტში, რათა კანონმდებლობითი სანქცია მოეპოებიათ პროფესიონალურ კავშირებისათვის მუშაობის შეწყვეტაზე კონფლიქტების დროს. „მუშათა პარტია“, რომელიც დაარსდა შემდეგ, არაფითარ პრინციპიალურ აპოზიციას არ უწევდა მთავრობას, მაგრამ ვინაიდან ის იყო ერთად ერთი ორგანო, რომელიც იკრებდა თავის ირგვლივ ინგლისის მრავალ რიცხოვან პროლეტარიატის თანაგრძნობას, ბუნებრივია მას ანგარიშს უწევდნენ და გაბატონებული პარტიები ნებაყოფლობით მიდიოდნენ ყოველ შესაძლებელ დათმობებზე, რომლებიც, ბუნებრივია, არ სცილდებოდნენ არსებულ წესწყობილების ფარგლებს. ბურჟუაზიის ასეთმა ტაქტიკამ, პოლიტიკურად, იქონია ის ეფექტი, რომ „მუშათა პარტია“, მისი ბელადებით, მოშინაურებული“ აღმოჩნდა ბურჟუაზიისათვის იმ ზომამდე, რომ ზოგიერთი გამოსვლები ბელადების, შემდეგში, მიდიოდნენ პირდაპირ ლალატამდე მუშათა ინტერესების მიმართ. ბელადების ასეთმა საქციელმა აიძულა ერთხელ ენგელსი გაჯავრებით ეთქვა, რომ ზოგიერთმა ბელადთაგანმა სრულიად დაიშინა ბურჟუაზია მაგარი სილის გარტყმით. ამნაირად ინგლისის პროლეტარიატი, მისი შემთანხმებული ბელადების მეტაურობით, შეზღუდული შეიქნა ბურჟუაზიის ეტლში იმ ზომამდე, რომ გამოდიოდა ბურჟუაზიის უბრალო დანართად, მის მანჩანხალად.

არასოდეს ამ მდგომარეობას არ მოჰყენია ისეთი ნათელი ყველას დასანახათ, როგორც ეს მოხდა წარსული ომის დროს.

ყველა მუშათა პარტიები, ასე თუ ისე, დასაბუთებას აძლევდნენ „სამშობლოს დაცვის“ ღონისძიებას, ამ ომის დროს, მაგრამ განსაკუთრებული იყო ეს დასაბუთება იმ პროლეტარიატის „იდეოლოგიებისათვის“, რომელიც „აღიზარ-

და“ დიდი სამრეწველო ქვეყნის გაშლილ კოლონიალურ პოლიტიკის წარმოების პირობებში. ამ ომის დროს დასაბუთდა ის თვალსაზრისი „ხმამშობლოს დაცვის“ საკითხში, რომელიც კაუცკიმ გამოხატა 1916 წელს ორი სიტყვით „პროლეტარული იმპერიალიზმი“. თუ ამ „პროლეტარულ იმპერიალიზმს“ მიმდევრები ყავდა გერმანიაში (კაუცკის ყავდა მხედველობაში მაშინ სწორედ გერმანია), განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მან ინგლისში. „პროლეტარული იმპერიალისტები“ პირდაპირ ლაპარაკობდნენ იქ (და „ამტკიცებდნენ“): ჩვენი მიზანია რაც შეიძლება დიდი სამუშაო ხელუფასი. ასეთ ხელუფასს ჩვენ მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ გაძლიერდება, აყვავდება, გამდიდრდება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრია. ეს კი შეუძლებელი იქნება თუ დაეკარგეთ ჩვენი კოლონიები, რომლებიც კვებავენ ნაციონალურ, მეტროპოლიის მრეწველობას ნედლი მასალით. ამიტომ დავამარცხოთ გერმანია, რომლის გამარჯვება ნიშნავს კოლონიების დაკარგვას, ინგლისის მრეწველობის საზრდოობის წყაროს დაშრობას, ჩვენს გაღატაკებას და დაღუპვას.

ინგლისის ბურჟუაზიამ შესძლო ეს თვალსაზრისი მოეხეია თავზე ინგლისის პროლეტარიატის საგრძნობ ნაწილისათვის და ამაში მას გაუწიეს დიდი დახმარება დღევანდელ მუშათა პარტიის ზოგიერთმა ბელადებმა, ჰენდერსონის მეთაურობით. სიმართლე მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ ინგლისის მთავრობის დღევანდელი თავჯდომარე, მაკ-დონალდი, ინგლისის „სოციალისტებისათვის“ უჩვეულო ენერჯით გამოდიოდა მაშინ წინააღმდეგ ამ ლათაიებისა და თვით ომის გაგრძელებისა, მაგრამ უფრო ბურჟუაზიულ პაციფიზმის, ვინემ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით.

ასეთია „მუშათა პარტია“ და მისი ბელადები.

ეს პარტია მოექცა დღეს სათავეში, ინგლისის ლიბერალების დახმარებით. მოხდა ეს პარლამენტარული გზით ურევოლიუციოთ, როდესაც ხელუხლებელია ეკონომიური ბატონობა ბურჟუაზიის. ეს გარემოება საზღვარს დაუდებდა „მუშათა პარტიის“ მოქმედებას იმ შემთხვევაშიდაც, თუ ის იქნებოდა პროგრამულად რადიკალური გარდატეხის მომხრე ინგლისის ყოფაცხოვრებაში. მაგრამ ეს ასე არ არის. მაკ-დონალდმა პირდაპირ განაცხადა, რომ ბურჟუაზიას არავითარი საფრთხე არ მოულის „მუშათა პარტიის“ მთავრობისაგან, მას არ აქვს განზრახული რაიმე ძირითადი ცვლილების მოხდენა. „მე მსურს-სთქვა მან ერთ კრებაზე „ძალაუფლების“ ხელში აღებად --, რომ პარლამენტი, ეს დიდი ნაციონალური დაწესებულება შეიქნეს კიდევ უფრო ძლიერი, მან დაიმსახუროს მეტი პატივისცემა და ავტორიტეტი, ვინემ როდისმე, მე არავითარ განსხვავებას არ დაუშვებ ხალხის მთავრობისა და მეფის მთავრობის შორის“-ო.

ამ სიტყვებში ნოცემულია მთელი პროგრამა. და ეს არა იმიტომ, რომ მაკდონალდი დარწმუნებულია პრინციპიალურად წინააღმდეგში და რომ ეს სიტყვები დიპლომატიური მანევრია მისი მხრივ, არამედ იმიტომ, რომ ასეთია შეხედულება „მუშათა პარტიის“ ხელმძღვანელ ჯგუფისა დღეს და, გარდა ამისა, ასეც რომ არ იყოს, ვერავითარ რადიკალურ ცვლილებას ის ვერ შეიტანს მდგომარეობაში, რამდენადაც ის იმოქმედებს პარლამენტარიზმის ფარგლებში, და დამოკიდებული იქნება პარლამენტის წიგნი არსებულ ძალთა განწყობილებისაგან, რომელიც, როგორც ხემოდ მოყვანილ ცხრილიდან დავინახეთ, არავითარ განსაქანს არ მისცემს რადიკალურ რეფორმებს, კიდევაც რომ შედიოდეს ასეთი გან-

ზრახვა „მუშათა პარტიის“ ბელადების დღევანდელ სამოქმედო პროგრამაში. „განსაცდელის ჟამს“ „მუშათა“ მთავრობის წინ აღიმართება ერთიანი რეაქციონური მასის“ გაუვალე კედელი, გამაგრებული კონსერვატორებისა და ლიბერალებისაგან.

ასეთ პირობებში რისი გაკეთება შეუძლია მაკ-დონალდმა პროტექციონიზმს? შეუძლია (თუ ეს საზოგადოდ შესაძლებელია არსებულ პირობებში) გაკეთება მისი, რაც სურდათ და ვერ მოახერხეს კოალიციონურმა და შემდეგ კონსერვატიულმა მთავრობებმა ინგლისში.

მაკ-დონალდმა ერთ თავის, ზემოთ გაკვრით ნახსენებ სიტყვაში, მართალი სთქვა, ბალდვინის მთავრობამ უმუშევრობის საკითხზე მოიტეხა კისერიო, და მართლაც ეს საკითხი ერთი დიდი ნაწილია იმ დიდი საკითხის, რომლის ირგვლივ სწარმოებდა საარჩევნო ბრძოლა ნოემბერში და დეკემბერში.

ინგლისის ხალხს „შეეკითხენ“: ხარ თუ არა მომხრე პროტექციონიზმისო. „ხალხმა“ უპასუხა უარყოფით, მან გაიყვანა პარლამენტში მომხრენი „თავისუფალი ვაჭრობის.“ „თავისუფალი ვაჭრობის“ პლატფორმაზე შეთანხმებული აღმოჩნდნენ, როგორც ლიბერალების ორივე გაერთიანებული ფრაქციები ასკვიტისა და ლლოიდ-ჯორჯისა, ისე „მუშათა პარტია“.

ბალდვინის მოსაზრება ასეთი იყო: გარედან შემოსული საქონელი მეტოქეობას უწევს ნაციონალურ პროდუქციას, მრეწველობა ამით შეფერხდება, უმუშევრობა ვითარდება. ამიტომ გაუწიოთ მფარველობა ნაციონალურ მრეწველობას, შემოვიღოთ პროტექციონიზმიო.

ლიბერალებიდან და მუშათა პარტიიდან მას უპასუხეს: პროტექციონიზმით ისარგებლებენ ისეთი დარგები მრეწველობის, კონკრეტულად, პირადათ ის მრეწველები, რომლებიც ისედაც არ ამუშავენ ბევრ მუშებს. უმთავრესი დარგები კი ამ მრეწველობის, რომლის შეჩერება ამრავლებს სწორედ უმუშევართა რიცხვს და რომელთა სრულიად ამოძრავება შეისვამს ღრუბელივით მილიონ ნახევარზე მეტ უმუშევართ, ეს დარგები ვერ იმუშავენ, თუ მათი პროდუქციისათვის არ გავიჩინეთ უცხოეთის ბაზარი, რადგან ინგლისის შინაური ბაზარი მისთვის არ არის საყოფიო.

გარდა ამ მოსაზრებისა აღსანიშნავია კიდევ ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ინგლისს მხოლოდ კვირაში ორ დღეს ეყოფა ის პირველ მოთხოვნების საგნები, რომლებიც ადგილობრივ მოყავთ. კვირაში ხუთი დღე და წელიწადში დაახლოებით 250 დღეს ის დამოკიდებულია უცხოეთისაგან. ასეთ შემთხვევაში პროტექციონიზმი, როგორც არ უნდა „გაცხრილო“ ის, მომასწავებელი იქნებოდა სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე ფასების უზომო ზრდის. აქედან, რასაკვირველია, მოიგებდნენ ის მემამულეები, ლონდლორდები, რომლებიც მიჰყვებიან კონსერვატიულ პარტიას ინგლისში. ფასების ასეთი ზრდით წააგებდნენ ყველა მომხმარებელნი და უფრო კი საგრძნობი იქნებოდა ეს მუშებისათვის.

ყველა ამ მიზეზების გამო პროტექციონიზმი დამარცხდა, ფრიტრიდერებმა არ უღალატეს ტრადიციას და გაიმარჯვეს.

ზემოთქმულიდან ცხადია, „მუშათა მთავრობა“ უნდა შეეცადოს მოუპოვოს ინგლისის მრეწველობა საგარეო ბაზარი, დაკეტილი ომის პირობების გამო, მხოლოდ მუშებს კი ამით — სამუშევარი. ამაში შეთანხმდნენ, როგორც ბურჟუაზიული პარტიის, ისე მუშათა პარტიის ინტერესები. და ამიტომ ლიტონი სიტყვები არ

ყოფილა როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ ინგლისი იძულებულია იცნოს საბჭოთა მთავრობა, რათა მით გაიხსნას ბაზარი თავისი ნაწარმოებისათვის, აახმაუროს ქარხნები, სამუშევარი მისცეს უმუშევრებს, რომელთა პენსიაზე იხარჯება ნიშნულოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტის და რომლებიც ვერა და ამისა (და ეს არის უმთავრესი) შეადგენენ სახიფათო სოციალურ მასალას, რომელიც შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ცეცხლად იქცეს და მოედოს „ძველი ინგლისის“ ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეებს.

ამაშია გასაღები იმ ამოცანისა, რომელსაც წარმოადგენს ინგლისის მთავრობის მიერ ევროპაში ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის ცდა, და ამ ცდაში, საბჭოთა კავშირის ცნობა ფაქტიურად და იურიდიულადაც. თუ ჩვენი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის ისეთი, როგორც სასურველია, არანაკლებ ცუდია და ბევრი მხრით უარესიც მდგომარეობა ძველ კაპიტალისტურ ინგლისისა, ისევე, როგორც დანარჩენ ბურჟუაზიული ქვეყნების ასეთი თუ ისეთი მეტინაკლებობით.

„მუშათა მთავრობას“ ჩააბარა ინგლისის ბურჟუაზიამ უდიდესი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. ეს მოიმოქმედა მან მას შემდეგ, რაც თვითონ ვერაფერი გააწყობა საშინაო და საგარეო საქმეების მოწესრიგების მხრივ. ამ მთავრობას იმედით შესცქერის ბურჟუაზია, რადგან იცის, რომ რაც არ უნდა გააკეთოს მან, ყველაფერი ეს მოხდება კერძო საკუთრების, არსებულ ეკონომიურ რეჟიმის შენარჩუნების ნიადაგზე. ვინაიდან ეს უმთავრესი პრინციპი დაცული იქნება, დანარჩენი, — დამარცხდება ახალი მთავრობა თუ ის გაამართლებს მის იმედებს, ორივე შემთხვევაში — მისთვის გამოსადეგი იქნება. სახელდობრ: თუ მან მოაგვარა საქმე, შექმნა „ნორმალური“ პირობები შიგნით და გარედ, ხომ კარგი. ბურჟუაზია ამით გადასჭრის ამოცანას. ეს ნიშნავს, რომ მან ისარგებლა შიგნით მუშათა კლასის (რომელიც დიდი ფაქტორია ინგლისში) ნდობით მუშათა პარტიისადმი, ნდობით, რომელითაც არც ერთი ბურჟუაზიული პარტია ლტურვილი არ არის ისე, როგორც მაკ-დონალდ-ჰენდერსონის კომპანია; და ბოლოს მან ისარგებლა მით, რომ იმპერიალისტური ინგლისი უფრო ადვილად შესძლებას ლაპარაკს საბჭოთა კავშირთან მუშათა პარტიის „პირით, ვინემ კერზონის ულტიმატუმებით. ხოლო რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულებას დიდი ადგილი აქვს მის საერთო „ორგანიზმში“. აქ, ვხედავთ, ბურჟუაზია მოგებულნი დარჩება. და ამისათვის ღირს მოითმინოს, როგორც გარდამავალი ხანის „ორნამენტი“, „მუშათა პარტიის“ მთავრობა.

ან და ეს უკანასკნელი ვერ გადასჭრის წამოყენებულ კითხვებს და დაპყრობას ნდობას მუშათა კლასისას, რომელიც იტყვის, რომ ვერც მისმა ბელადებმა უშველეს მას, ვერ გამოასწორეს მისი მდგომარეობა. ამ რეაქციით მოხერხებულად ისარგებლებს ბურჟუაზია და ამნაირად, ამ მხრივაც, ის არაფერს არ დაკარგავს.

ორივე შემთხვევაში ის, ასე ვთქვათ, „თავის ჭკუაზეა“.

მაგრამ არა მარტო ბურჟუაზია შესცქერის იმედით მის კომბინაციას. თავის მოტყუება იქნებოდა გვეთქვა, რომ მუშები აქ არაფერ შუაშია, რომ ისინი წინააღმდეგი არიან თავიანთ დიდ ნაწილში ოპორტიუნისტული ბელადებისა. ეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ასე არ არის. მათ იმედი აქვთ და იცდიან. მაგრამ მათ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ისინი ეძებენ სამუშაოს, შიათ და

ტიტველნი არიან. მათ უთხრა მაკ-დონალდმა: აგერ არის პარლამენტი, წავიდეთ იქ, ჩვენ ვართ მთავრობაში, ვიმუშავოთ, ლეგალურ, პარლამენტარულ კლასებთან ერთად, უკეთესად მოვაწყობთ შენს ცხოვრებასო.

მუშებმა იცინა, რომ არის ორი გზა, თანდათანობის, თანამშრომლობის და „რუსული მეთოდი“, ანუ როგორც სწორედნა სიტყვა „ქვეყნისთვის“

ინგლისის მუშაც თვალყურს ადევნებს და იცდის. რუსეთის მეთოდს ის გაცნობილია დაახლოვებით, გაცნობილია, თუმცა თავისი ბელადების პირით, მაგრამ საერთოთ გაცნობილია, იცის სახელდობრ, რომ რუსეთის მუშებმა დაამარცხეს თავიანთი ბალდვინები, ასკვიტები, ლლოიდ ჯორჯები და თან მიაყოლეს მაკ-დონალდები და ჰენდერსონები, გარეკეს თავიანთი „თემთა პალატა“, დაამსხვრიეს ძველი სახელმწიფო მანქანა, შევარდნენ მეფის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში და ქუჩაზე გამოყარეს ძველი ხელშეკრულოლები, იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან რომ დასდო ძველმა მთავრობამ. იცის, რომ „რუსებმა“ მიწა ჩამოართვეს თავიანთ „ლენდლორდებს“ და დაურიგეს გლეხებს; კაპიტალისტებს წაართვეს ფაბრიკა-ქარხნები და გადასცეს მუშებს, მუშათა სახელმწიფოს; ხელთ იგდეს თავიანთი „სიტის“ ბანკები და, რაც იყო, ჩააბარეს მუშათა სახელმწიფოს. იცის ინგლისელმა მუშამ ისიც, რომ ყოველივე ამისთვის და კიდევ იმისთვის, რომ ამ „უნივერსალურ ნგრევის დროს რუსეთის „უხეშმა“ მუშებმა „მახოლზე“ ფეხი დააჭირეს ინგლისელ კაპიტალისტებს, რომლებიც ატყავებდნენ რუსეთის მუშებს და გლეხებს, ისაკუთრებდნენ ქვეყნის სიმდიდრეს; იცის, ვაზობთ ჩვენ, რომ ამისთვის ინტერვენცია მოუწყვეს მუშათა მთავრობას, ბლოკადა გაუშართეს მთელ სახელმწიფოს. ეს იცის მან და ამიტომ ინტერვენციის წინააღმდეგი იყო.

ყოველივე ეს მისწვდა მის სმენას და გონებას.— ეს ერთი მეთოდი. მეორეთი მას დღეს უმასპინძლებიან და საშუალება მიეცემა შეადაროს ერთმანეთს ორი გზა.

ჩვენ მოვუცდით იმ დროს, მის განაჩენს. მაგრამ არა უმოქმედოთ და გულზე ხელდაკრეფილები.

ამიტომ, ჩვენი ამხანაგები ინგლისში, კატეგორიულ უარყოფით არ შეხვდნენ თავის უმრავლეს ნაწილში, ახალ მთავრობას.

თავის წიგნში „ბავშვობის“ „მემარცხენეობის“ ავადმყოფობაზე ამხ. ლენინი სწერდა: „რომ ჰენდერსონები, კლაინსოები, მაკ-დონალდები, სწორედნები უაღრესად რეაქციონერები არიან, ეს მართალია. ასეთივე სიმართლეა ის, რომ მათ სურთ ხელთ იგდონ ხელისუფლება (თუმცა უპირატესობას აძლევენ კოალიციას ბურჟუაზიასთან), რომ მათ სწადიათ „მართონ“ ძველი ბურჟუაზიულ წესების მიხედვით, რომ ისინი, როდესაც მართვა-გამგეობას ჩაუდგებიან სათავეში, ისევე მოიქცევიან როგორც შეიდეგანი და ნოსკე. ყოველივე ეს მართალია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ მათი მხარის დაჭერა დალატია რევოლიუციის, არამედ ის, რომ რევოლიუციის ინტერესი მოითხოვს, რათა რევოლიუციონერებმა მუშათა კლასის რიგებიდან, ერთნაირი პარლამენტარული დახმარება აღმოუჩინონ მათ“.

გამოსული ამ დებულებიდან და კომინტერნის მოწოდებიდან, ინგლისის კომუნისტური პარტია აღუთქვამს დახმარებას „მუშათა პარტიას“. აღუთქვა რა დახმარება მთავრობას, კომპარტიამ წარუდგინა მუშათა პარტიის აღმასკომს სახვრის პირველ რიცხვებშივე შემდეგი მოთხოვნები:

1. უმუშევრების დანმარება იმ ნორმით, როგორც გადაწყვეტილი აქვთ ტრედ-იუნიონებს, სანამ მათ სამუშევარს არ მიუჩენენ.

2. შემუშავება სახელმწიფოებრივი გეგმისა მუშათა ხარჯიერებებზე სახლების ასაშენებლად. კონტროლი საცხოვრებელ სახლების საკრძალოების მოდენისა იმ ბინებიდან, რომლებიც მათ უკავიათ.


3. მალაროების ნაციონალიზაცია, სამუშაო ხელფასის მაქსიმუმის გამო.

4. საჩქაროდ სრული ცნობა საბჭოთა რუსეთისა.

5. ყველა ერების წარმომადგენელთა კონფერენცია რუსეთისა და გერმანიის მონაწილეობით იმ კითხვების მოსაწესრიგებლათ, რომლებიც შეეხებიან მშვიდობიანობას.

გარდა ამისა კომინტერნი მოუწოდებს ინგლისის მუშებს დემონსტრაციებისათვის, რომ გავლენა იქონიონ „მუშათა მთავრობაზე“, რათა განახორციელოს ნაციონალიზაცია მალაროების, რკინის გზების, კონტროლი მრეწველობაში. მოუწოდებს იბრძოლონ ირლანდიის, ინდოეთის და ეგვიპტეს გასანთავისუფლებლად. მოუწოდებს დაარღვიონ ვერსალის ხელშეკრულება, მოსთხოვონ მთავრობას მისცეს კრედიტი რუსეთს.

ჩვენ ახლო მომავალში ვნახავთ, როგორ გაანადღებს „მუშათა პარტიის“ მთავრობა ინგლისის მუშათა კლასის იმედებს.







## ჰიმალაეზის ჩრდილო

მესამე ადამიანთა და ძველნივე დაბრუნული ატიან ბ. ს. ა.  
ს. ბ.-ს და 1923 წელს უდაბნოთ, რამდენიმე საუკუნის დრმა პილით,  
უკუნით შთათა ვამხელ ზრტვით და შაღუნელ შრეულმანუტ სმლით).

### 1. დ ი პ ლ ო მ ა ტ ე ბ ი.

ძველებურ აღმოსავლეთის სასახლესთან მყოფ დიპლომატიურ კორპუსზე მეტი უაზრობა არ არსებობს. მეტი უაზრობა და ეგზოტიკა.

თავის მკვდარ ზოლში თურქესტანსა და ინდოეთს შუა აზია ყოველგვარ აფუქტაციის გარეშეა. კასპიის მლაშე ტბებიდან მოყოლებული ჰაიბერდის უღელტეხილამდე, რომელთა იქეთ იწყება იდუმალებით მოცული ინდოეთი, იგი განისვენებს დასაბამიდან უძრავი და მტრედისფერად ბრწყინავს თავის გაშიშვლებულ მთათა გრეხილით. მათ ჰმოსავს სიჩუმე, სივრცე, ჟამთა დენა. თუ რაიმეა ფანტასტიური ამ ძველ მხარეში თითონ ეს მხარე კი არა, ტელეგრაფის ბოძებია, მდევრო ნაბიჯებით მთებისაკენ რომ ესწრაფიან, ხევებს და ველურ, აქაფებულ, მეხრისაგან გაბოროტებულ შესანიშნავ აქლემების მგზავს ნაპრალებს რომ ახტებიან.

ზღაპრულია რკინის გაშიშვლებულ მთისაკენ მიმცოცავ ავტომობილის ნათელი ცეცხლები. ზღაპრულია სამოცდალიან მოტორის გულის ძვერა, რომელიც აყრუებს აზიის ლამის ყველა ხმებს. თითქოს სინამრში, თეთრად მოსჩანან ელექტროს ნაკადები, შუქში ბანაობენ ქვები, ეკლის ბუჩქები და ჩამონაქცევები, რომელთა ნაპირებზე ფრთხილად მიჰყავდა ცხენი ალექსანდრე დიდს.

მაშ რაღა ეგზოტიკა აქვს თითონ აღმოსავლეთს? აქ სულ სადათ ჰვედებიან და ასევე აგდებენ მიწაში. არც სახელი, არც მოგონება. იოლად აღრჩობენ ქურდებს და ხნავენ ხის ეშვით, რომელსაც მიათრევს წყვილი, ირმის ფერი, რქადაგრეხილი, მშვენიერი ხარი. ყველაფერი ეს ჩვენ მხოლოდ, იმიტომ გვეჩვენება სასწაულად, რომ სადღაც არსებობს მიქელ-ანჯელოს აკლდამები, ამერიკული მექანიური გუთნები, კანონთა კრებულები და გილიოტინის სწრაფი დანა. სოლიმანის მთებისათვის კი აქლემები — საუკეთესო და თან ყველაზე ჩქარ მი-

მოსვლის საშუალებაა; მოელვარე, მღვრია და ჩქარ მდინარეთა ვასწვრივ აუცილებებელია ლერწამი, რათა ნასწი ინადიროს და იძინოს მტაცებელმა. იქ კი, სადაც ეწერი გადაუწვავს მოხეტე ხალხს, სურნელოვანი, საფლობი მიწის პირი გადაუმწვანებია ხაშხაშის ფოთლებს, თერიაქის მინდვრებს, სკაფოლეს, ხვრელში გამართულია ლერწამით დახურული წისქვილი, რომელზეც დადგნენ მღვრია წყალით და ხმაურობს თავის პირველყოფილ ქვით. ასე ყოფილა და ასე უნდა იქნეს უკუნითი უკუნისამდე.

იქ, სადაც აზია ეხება რუსეთს, იქაც კი, სადაც ის ძალით შეჭრილია რუსეთში, — იგი საერთოდ არ სტოვებს თვალსაჩინო კვალს.

რომელიმე უმსგავსი პოშტამტი ბუზარულ ბაზრების ხალისიან სილატაკეში; წითელიარმიელა ძველ მანარაში და დაგლეჯილ ჩექმებში, კუნჯისა და ჩილდუხტორანის საზღვარზე სხვა ყველაფერი კი ჩვენ ხომ ერთნაირი გვაქვს. სინარმაცეც, მწერებიც, სილარიბე, თავის დროის, თვით სიცოცხლის მელანქოლიური უარყოფაც. არიან ქვეყნები ისეთი უდაბნოისებური სიშორით, ისეთი გადამკვდარი ცით, რომ იქ აჩქარება უხერხულად გეჩვენება. ერთი ხიდი ოქსუსზე, ამუდარიაზე, ყვითელ ურდოსავით რომ მიაქანებს უდაბნოში თავის ტალახიან, მღვრია ტალღებს — უცხო კულტურის აჩრდილივით გადაკიდულია ნაპირიდან ნაპირზე. მაგრამ ჭეშმარიტად ეს ხიდი, რომელსაც, გარდა თავის ბეტონის ბურჯებისა, სხვა დასაყრდნობი არა აქვს რა ამ უდაბნოში, ისევე განმარტობულადაა აზიაში, როგორც ზეკასპიის ველებში. ის ამართულია დროის და ცალიერ სივრცის ლეშზე, როგორც ხმელი, ქედ-მაღალი და ზვიადი განდგომილი.

სულ სხვანაირად იჭრება ინგლისი ავღანურ აზიის საზღვრებში. იქ, სადაც ჩვენი თურქესტანის ველები მორწყულია უსახელო ჯარისკაცთა სისხლით, დიდი ბრიტანეთი რწყავს და აშრობს მიწებს, თბრის არტეზიანულ ქებს. ასე რომ მომავალ შეტევის გეზზე, ჰაიბერდის ვასავალთან, ეხლა ცხენები და აქლემებიც კი სვამენ გზის პირას თხრილებში მიმავალ დაწმენდილ წყალს.

შოსსეთა ორმაგ მწკრივითაა შეერთებული ინდოეთი ავღანისტანთან, რომელსაც მან თითონ მონობაში მყოფმა, მომავალში ხუნდებით უნდა შეუკრას და ყელში მუხრუჭი ჩასჭიდოს. ტელეგრაფი და ტელეფონი თვით საზღვართანაა მიტანილი, მიუხედავად დამოუკიდებელ ტომთა ასწლოვან წინააღმდეგობისა, რომლებიც იცავენ ემირატის სამხრეთის საზღვარს, ყველაზე მეტად საშიშარს.

ბოლოს საკომუნიკაციო ხაზმა გადალახა ვაზირთა გადამწვარი სოფლები, რომელთაც ჰაეროპლანიდან უშენდენ ბომბებს მათ არწივის ბუდეებში, ციდან რომ არიან გაწლილი; აგრეთვე გადალახა, ერთხელ გამიჯნული პოლიტიკურ საზღვრების ხაზიც. ინდო-ინგლისის კაბელის დაქიმულ მავთულებში ქაბულის ბაზრებზე უკვე დამღერის ზამთრის ქარი; და ქარავნების მეთაურები უკვე ნდობით და არხეინათ აბამენ აქლემებს კაბელის გამცემ და ახიდულ ბოძებზე, რომელნიც ჩამოსხმული არიან იმავე ლითონიდან, რომლისაგანაც გაკეთებულია კოლონიალურ არმიების ზარბაზნები და ხიშტები.

წინანდელ ემირთა ნახევრად დაქცეულ, ქალაქ გარეთ მყოფ სასახლეებს და ჰარამხანებს საჩქაროდ სავაჭრო ფაქტორიებად აკეთებენ; ინგლისის ელჩი მთელი უბნის გაშენებას აპირობს — ავღანის მომავალ ვიცე-კაროლის სამყოფად. დიად საბრძანებლოს პიონერები შეუდარებელ თავდაჭერით ითმენენ ლანძღვა-

გინებას და შევიწროებას ადგილობრივ მკვიდრთაგან, რომელთაც გენერალურ შტაბის საიდუმლო რუქაზე შემოვლებული აქვთ ხაზი, მიკვრებული არიან ფეშავერის პროვინციას და საერთო ინდო-ბრიტანულ სამშობლოს და შემოკალულან რუსეთისგან გრილ ნეიტრალურ ზომით, რომელიც სწორე <sup>სწორე</sup> შემოუვლია ტოპოგრაფს შუა-გზაზე. სადმე მაზარი—შერიფს და ქაბულს <sup>ან</sup> ქანდაგარსა და პერატოსს შუა.

საზღაპრო ქალაქი სამხრეთ აჰლანისტანის ბოლოში, ჯელალაბადი, ცოცხალი ძეგლია ძველი ეხლა მიტოვებულ დიდ-ბრიტანეთის პოლიტიკისა აღმოსავლეთის პატარა დესპოტიებში. ეს შუა-აზიის უდაბნოს ნაჭერია, სასუქ მოყრილი, განაყოფიერებული და ნაკურთხი ინგლისურ ოქროს შადრევანით. ფინიკის ხის წვეროები, ლითონის მარაოებათ რომ შრიალებენ აღთქმულ ცაზე, ვარდები და ლევკოები იანვარში, ოქროთი და თაფლით დამძიმებული მიმოზები, თეთრი სასახლეები, შადრევანები და ხელოვნური მდინარეები ყველაფერი, ეს, მშვიდობიან სასწაულის მაგალითებია, რომლითაც გაივსება მიყრუებული ქვიანი უდაბნო, თუ კი მისი მეომარი და უფიცი ხალხი ნებას მისცემს კაპიტალის ოქროს ჯოხს მიეკაროს მის უსაზღვრო მოსაწყენ სივრცეებს.

ავღანისტანის ძველი ემირი ჰაბიბულახანი მოიხსილდეს ინგლისელებმა. იმათ ასწავლეს მას სიმდიდრის მოხმარება, განუვითარეს მას ფუფუნების უზომო მადა. მუდამ შზად მყოფი ათას ერთი ღამის სულელები, სიმსუქნიდან გადადულეებულ და აუადმყოფობამდე გარყვნილ შაჰისტვის, შესცვალეს ინგლისის ინჟინერებმა ტეხნიკოსებმა. ცივილიზაციამ თავისი განმაკეთილშობილებელი მუშაობა ჰარამხანის საპირფარეშოებისა, ევროპიულ სამხარეულოების და მშვენიერ გზათა მოწყობიდან დაიწყო, რომ მის უდიდებულესობის ავტომობილს დაუყონებლივ შეძლებოდა გადაძრომა ერთ საეჭვო ბინიდან მეორეში, რომელიც მოუწყვიათ მისთვის მის ევროპიულ მეგობრებს უდაბნოს მეორე კიდებზე და მიუგდიათ მტვერიან ქარებისა და გულგრილად მიმავალ აქლემების ამარა.

ოქროს ჯელალაბადი, რომელმაც არ იცის არც სიცივე, არც სიცხე, ჩაუარული ნესტიან სითბოში, ქაობიანი, სურნელოვანი ბალნარი თერიაქისა და ვარდებისა, დარჩებოდა იმ პოლიტიკის უმაღლეს მიღწევათ, რომელსაც ესოდენ ბრწყინვალეთ ატარებდნენ და აქამდე განაგრძობენ ინგლისელები ინდოეთში: პატარა მეფეების და მათთან მყოფ მუქთა მჭამელ უმუშავარ დიდკაცობის მშვიდობიან დაპყრობის პოლიტიკას მოყიდვის და გარყვნის გზით.

თითონ ხმელ, მოძრავ, ტროპიკულ მზის ქვეშ გამომხმარ, მსოფლიოს ყველა გზების მტვერით დაფარულს და ქინაქინის სიმწარით გამსჭვალულს, კვირაობით ღვთის მლოცველს, საქმე დღით მომჭირნეს და მომთმენიანს, ბილწი ანგლიკანური ლოცვების წიგნივით, ბრიტანელს მოაქვს აღმოსავლეთის სასახლეებისთვის არა მარტო პრეზერვატივები, პორნოგრაფიული სურათები, ზიგნეულის დამწველი ჯინჯერი და ვისკი, ინდოეთის ცაზე და ცხელებაზე უფრო მწველი, არამედ ახლად შემოღებული ფილოსოფიაც, სუბუქი, ქიქაში მოთამაშე გედეონისტური მსოფლმხედველობა. ეს ახალი რელიგია რაჯათა ათანხმებს ბუდდიზმის სიძულვილს კანონისა და სახელწიფოსადმი ახალ ოპერეტის გულკეთილ ცინიზმთან ბალეტს საღმრთო თამაშობასთან, უსაზღვრო ქეიფს ასკეტთა თავდავიწყებასთან, რაც ერთ და იმავე შედეგს იწვევს: ცნობის მიხდას, უწმიდეს პირუტყვობას ხორცის მოკვდინებას. ხომ სულ ერთია, — ასკეტიზმის თუ დრო გადასულ უძლურობის გზით სვლა.

და აი საოკეანო გემის ბანქაზე პატარა სუფრებს უსხედან ინდოეთის პრინცი-ცესები და, სკლიან რა მესამე ბოთლს, ქანაობენ უმსგავს ფოქსტრატებთან ერთად, და თან ცოტა რცხვენიათ თავის შავგრემან კანის, რომელიც ვერ მალაეს პუდრის ქვეშ თავის ქარვისა და სპილენძის ფერ ფურცლებს. ვინმე თეთრ კანიანების წრიდან, მეუფეთა კასტიდან, სოდა-ვისკის მსმელი, დაიფლავებდა ყუბებს პირქვე დანარცხებულ ინდოეთის თავზე და შეიყვანს პრინციცესებს გემის ოთახში, რომ მერმე მოჰყვეს კლუბში, სადაც ვერ ბედავს შესვლას ვერც ერთი ადგილობრივი მკვიდრი, ლაქიას გარდა, იმაზე, თუ მეეტლზე მეტად მთვრალი ინდოეთის მეფე-ქალი შეხერახადა, დამაინტი, როგორ არ ჰკარგავს ცნობას და უცნობ ვარდოვან ფლამინგოს მსგავს ენაზე განაგრძობს ყბელობას.

თეთრკანიანები ალოთებენ და ასიებენ ძველ ინდუსთა ოჯახებს ბალღმით და ტალახით. უილოებენ მათ ცრუმორწმუნოებასთან და რელიგიასთან კავშირის გაწყვეტას. საკუთარ ჯიბიდან ისტუმრებენ მათი ცოდვების და სადისტურ გმირობის ხარჯებს და იმავე დროს მათივე ხელით გახრწნილ ინდუსთა არისტოკრატისაგან გამოუთქმელ ზიზლის კედლით ირკალებიან. ოქროსა და ბრილიანტებში ჩამჯდარი, ფანტასტიურ სასახლის კარის მუნდირებში და ბეწვებში გაჭიმული, ეს კასტა, დაავალებულია ყველა ცუდი სენით, რომელიც კი მოასწრო დაემზადებინა და ჩამოეტანა ინგლისს კოლონიაში. იგი მიბარბაცებს, ძლივს მიეთრევა, ერთ სკანდალიდან მეორისაკენ, საძაგლობიდან საძაგლობისაკენ, ორ პატიოსან და ფხიზელ, ინდოელი პოლისმენისგან ფრთხილად ხელ-ჩაკიდებული.

ეს ზემოდან გახრწნის და ქვემოდან დამშვიდების პოლიტიკა თავიდანვე არ გამოდგა ავლანისტანში. ჰაბიბულა ჩამოაგდო მისმა შვილმა, ჯელალაბადის თეთრ სასახლეში ხალხმა დაამტვრია მთელ კედელზე გაჭიმული, ათასად ღირებული, სარკეები და ინგლისი, მძიმე ომის შემდეგ, იძულებული შეიქნა ყველაფერი თავიდან დაეწყო. და ამ შემთხვევაში სულ სხვანაირ მეთოდებით და მისვლით, ეხლა დიდი ბრიტანეთის ელჩს თავმდაბლათ უჭირავს ჯელალაბადის ერთ-ერთი სასახლე, მისი მთავრობის ფულთი აგებული.

მაგრამ დაუბრუნდეთ თემას. როგორც ნათქვამი იყო, ავლანისტანის ეგზოტიკაში არაფერია უფრო მეტად მსგავსი გროტესკისა, როგორც ევროპიული დიპლომატიური კორპუსი, თავგამოდებით მოთამაშე უდაბნოში საერთაშორისო ზრდილობათა კომედიისა. ყოველ ქოხზე, რომელიც მიჩნეული აქვს უცხოეთის წარმომადგენლობას, ამართულია უხარმაზარი ერევნული დროშა. არა უბრალო ბაირალი, არამედ ალაში და კი არ ამართულა, — ამაღლებულა, ფრთას ჰშლის.

ყველაზე უფრო მედიდურად, ზანტად ფრიალებს ქარში მის უდიდებულესობის კოროლის დროშა. ამ საღმრთო დროშის ქვეშ მცხოვრები ელჩი თავის პიროვნებაში აერთებს თავისუფლად მუაზროვნე, სადარბაზო შარვლის მსგავსად გაუთოებულ, ცხოვრებისაგან გაცვეთილ ადამიანს ძველ მოლიპულ პარკეტზე დაბერებულ ფრთხილ დიპლომატის გამოცდილებასთან, რომელიც ტრიალებდა ძლიერ რყევებს დაჩეუულ, პერიოდულ პასატებით და გუმსონებით დარბილებულ მონარქიის ატმოსფერაში.

გრათ Ne-ს, თავის გვარის სააკალდამო მიწის გარდა, არ შერჩენია არც ერთი მეტრი მიწა, მას ჰყავს ბებერი ჯეკო, აბრეშუმის ფერი წითური ძაღლი, წიწილების და თავგების დაქნილი წევარი, ერთად ერთი ნაშთი, ოდესღაც მრავალრიცხოვან ძაღლთა მოდგმისა, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრაფი მაინც

ითვლება დიდ მიწათმფლობელად თავის წარმოდგენით და მონადირეთ ტრადიციის ძალით. ამნაირად, ძველებური ღერბი და კარის კაცის ლოიალობა ბედნიერად შეერთებულა ბატონის დამცინავე გულკეთილობასთან, ხევისთან ყოფნის გამძლეობასთან და მოქნილობასთან; ბატონისა, რომელიც კლასიკურ ცენტრებზე პროცენტები გადაუბღია და შეჩვეულა საკვირველის გრაცობას; მცვენი მკერვალის და საყვარლის მოდგმის უკუგდებას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო დიპლომატიურ უნარის განვითარებას, ასწავლა №-ს ფულის დაფასება და პატივისცემა. მან მოწყალებით მიჰხედა მსხვილ ბურჟუაზიას, აიძულა ის სამაგიერო მიეზლო მის მომთმენიანობისა, ადვილად მიმსვლელობისა და დემოკრატიულ თავმდაბლობისათვის. მილიონერებს, რომელთაც თავის ღერბზე ნავთი, შაშხი, ნაკარონი და ავტომობილის შინები აქვთ, აშკარა ქვემძრომობაზედ უფრო მოეწონათ ეს ფილოსოფიური თავისუფლება. მეორეს მხრით, ბრძნულ მომთმენიანობაზე უფრო კარგად არაფერი არ უხდება ჩვენს მშფოთარე დროს. მართლაც, დღეს მთავრობაში განათლებულ მოხელეთაა დროა, სოციალიზმზე და მის ღირსებებზე რომ ებაასებიან მთხოვნელებს. ხვალ შეიძლება რაღაც მუსსოლინისებური და ზეგ კიდევ, ვინ იცის, კომუნისტების ან კლერიკალურ რეაქციის სუნი დატრიალდეს. საჭიროა გექნეს ისეთი პოზა, ისეთი დამცველი ფერი, რომ კაბინეტის უეცარ გამოცვლის დროს არ შესცვალო არც შენი ყოფაქცევა, გეზი და არც პირადი შეხედულებანი, რომელთაც №-ი დაუდევარ მედიდურობით გადმოგცემთ და ამ დროს ერთიმეორეზე გადასდებს თავის ჯიშინ ფეხებს თეთრ გამაშებში და რამოდენიმედ ოპერეტულად გადაიგდებს კეფაზე უმსგავს, ფართო გაბრტყელებულ ცილინდრს.

პირველი და ძირითადი წესი ასეთი პოლიტიკისა, დამოუკიდებელის ყველა საერთაშორისო განწყობილებისაგან, მფრინავის, ასე ვსთქვათ უპაერო სივრცეში, — არის მშვიდობიანად იყო განწყობილი ყველასთან, არაფერი არ უარპყო, არაფერი არ გაიკვირვო. და მეორეც — არ გამოაშკარავო შენის ყოფა-ქცევით არც ერთი პრინციპიალური, მიმყოლი გეზი: არც სახელმწიფოებრივი, არც საერთოევროპიული. დიპლომატიური კორპუსი გრატ №-სთვის — ეს ცოტათ თუ ბევრად იღბლიანად შედგენილი კრებულა ერთი წრის სასურველ, კარგად გაზრდილ ადამიანთა, საუბედუროთ გადახვეწილთა ისეთ კუთხეში, როგორიცაა ქაბული, სადაც მათ ერთმანეთთან უნდა იმხიარულონ და მოიწყინონ კიდევ. ყოველი ელჩის საღმრთო მოვალეობას შეადგენს პირნათლად ებრძოლოს თავის კოლეგების მოწყენას და თავის დროზე მიაწოდოს მათ რეპლიკები იმ უმაღლესად დახვეწილ და დასრულებულ დიპლომატიურ თამაშში, რომლის ფესტებიც კი ჯერ კიდევ ვენის კონგრესზეა დაწესებული. და, სულ ერთია, იდგმება ეს დიპლომატიური „თეატრი თავისათვის“ გონოლულუხზე თუ აელანისტანში, ნიამპიამებსა თუ პაჭუასებში. საერთაშორისო ეტიკეტი არსებობს თავის თავად, დროსა და ადგილისაგან დამოუკიდებელი. როდესაც ორი ავგური, ორი ცალსერ ღვდელთ მსახურების მცოდნე შეიყრება საღმრთო ექსტერიტორიალურ მიწის ნაჭერზე, იქნება ეს პარკეტი თუ თიხის მიწის რგვალი ადგილი, კაცის მჭამელთა მიერ ცეცხლთან გატყეპნილი — იმათ იმ წუთშივე ერთმანეთთან უნდა გააბან ოფიციალური ურთიერთობა, გამართონ ურთიერთში დარბაზობა, აკეთონ რევერანსები, დანიშნონ ურფიქსები, გასცვალონ სადარბაზო ბარათები, ვესტონის მაგიერ ჩაიცვან სადარბაზო ტანთსაცმელი, ამის მაგიერ კიდევ ფრაკი, რათა გააოცონ მკვიდრნი პე-

რანგის შეუბღალავ სითეთრით, და დაიმალონ ფლანელის სიწმინდის სიგანიერეში, კოლონიალურ ჩაუხუტით დაჩრდილულებმა. სამწუხაროდ, ადამიანი თავისუფალი არ არის თავის მშობლების ამორჩევაში და ელჩი კი — თავის ამხანაგებისა დიპლომატიურ პიესაში. ქვეყანა, ვერსალის შემდეგ, სავსეა კვანძობებით და რიგიან ადამიანებს უეცრად უხდებათ საერთო მაგიდაზე შეჯამებული მოულოდნელ პიროვნებებს გვერდით მოუსხდნენ.

ლანძღავდნენ, ლანძღავდნენ ბოლშევიკებს, და ეხლა კი — არ ხედავთ, არც ერთი რიგიანი კონფერენცია არ ჩაივლის ამ საკვირველებათა დაუსწრებლად.

მაგრამ ყველაფრის დამტევმა ლოიალობამ, აქაც გამოიყვანა გრაფი უხერხულ მდგომარეობიდან. ის ხომ ხელს ართმევს არა ბოლშევიკს, არამედ სრულ უფლებიან მინისტრს, მაღალ იურიდიულ პიროვნებას, რომლის შესახებ განსჯაში შესვლა ზედმეტია. და თუ, საბედნიეროდ, დიდებულ წოდების მატარებელი გამოვარდნილი ბოლშევიზმის გახურებულ ცეცხლიდან, სუფრით ცხვირს არ იხოცავს, და არც ორანგ-უტანგია გრაფი მზათაა დაივიწყოს ჩვენი რევოლუციის ცოდვიანი წლები და პატივი სცეს მის პიროვნებაში ძველ აჩრდილებს ნეტარ ხსენებულთა საზონოვის და გირსის, იზოლსკის და გორჩაკოვის, არა პიროვნებას, არამედ უფლებრივ იდეას, კანონიერების აჩრდილს, უკვდავ დიპლომატიურ დინასტიას. მემკვიდრეობის ცხოველი ფიქცია იოლათ გადაახტა იმ ორმოს, რომელშიაც ჩაჰყარეს რომანოვების გვარეულობა, მისთვის იმპერატორი არასოდეს არ ჰყვდება და ყოველთვის განაგრძობს იმპერატორობას: იგი აბსოლუტურად შეუჩერებელია თავის მეტაფიზიკურ არსებაში. და თუ არწივის და სამთყურთან დროშის მაგიერ ცაში უეცრად აფრიალდა წითელი რ. ს. ფ. ს. რ.-ით, ეს ნიშნავს, რომ იმპერატორის რუსეთი მოჰკვდა უკვდავების დაუკარგავათ და დაუბადებლად იშვა ახალი, საბჭოთა რუსეთი. ასეთი საკვირველებანი ხომ ძველ კანონიერ მონარქიებსაც ემართებოდათ: ხომ სცნობდა ევროპა ვიღაც გოლშტინიის პაწია თავადებს გადაშენებულ რომანოვის დინასტიის მემკვიდრეებათ.

ევროპიელ დიპლომატის იურიდიულად მოქნილ, კულტურულ შეგნებაში ბოლშევიკებმა დაიკავეს დაახლოებით ის ადგილი, რომელიც მისი წინაპრის რომელიმე პაპის ნუნცის ან ფეოდალის სქოლასტიურ მსოფლ მხედველობაში ეჭირა რომელიმე ოთხფეხ ოსტ-გოტს თავის ბარბაროსულ ურდოების ფარიდან პირდაპირ რომ გადაალაჯებდა რომის იმპერიის საღმრთო ტახტზე და მეფეთ ეკურთხებოდა წმ. პეტრეს ტაძარში კეისარის გვირგვინით, შეკრულით ცხენის ულაგმო აღვირისაგან. და ყოველივე ეს ხდებოდა იმდენათ, რამდენათაც ველური მხედრები ოტტონისა და თეოდორიხისა იდგნენ საუკუნო ქალაქის ბქეებთან, და მთვრალი აბჯროსნები აბოყინებდნენ და ნაძარცვ ფარჩის ტანოსაცმელ ქვეშ ცხენის ოფლით ამყრალებულნი, არა ჰკარგავდნენ ხმლის მოქნევის, ქალაქების გადაბუგვის და პაპების ანგელოსურ ზავის მოყვარეობისაქენ გადახვრის უნარს.

მაგრამ, რასაკვირველია, სრული პოლიტიკური ცნობა, რომლითაც სარგებლობს საბჭოთა მთავრობა ქაბულში, სრულიადაც არ ეყრდნობა ვისიმე იურიდიულ აზროვნების მოქნილობას. საქმე იმაშია, რომ ავღანისტანში შეუძლებელია რუსებისთვის ბოიკოტის გამართვა, თუ არ გასურს სრულ მარტოობაში ამოჰყო თავი. რსფსრ-ის სასარგებლოდ აქ ლაპარაკობს მისი სანაპირო ჯარების ძალა, სივაჭრო ინტერესთა რეალობა და ყველა ადგილობრივ მკვიდრთა ინგლისელებისადმი სიძულვილი.

საფრანგეთის ნახევრად ოფიციალური წარმომადგენელი, აკადემიკოსი ფ. ჰააგის კონფერენციის გახურებულ მუშაობის დროს იძულებული აყო/ეცნო ჭეშმარიტი არსებობა საბჭოთა რუსეთისა ბლოკადის ხაზით შემოკლებული ცარიელ ადგილზე, რომელიც ამოდენი ხანია ინახება საფრანგეთის ბლოკადით გეოგრაფიაში მესამე რესპუბლიკათ.

ნეტი არ იქნება, რამოდენიმე სიტყვა ითქვას ცნობილ მეცნიერის პროფესორ ფ.-ს შესახებ, რომელიც დაასახელა ოფიციალურ სიტყვაში თვით მილიერანმა როგორც „ჩვენი სახელგანთქმული“. ეს უტკბილესი და უზრდილობიანესი გამოხატულებაა ფრანგულ სახაზინო მეცნიერების. თოვლივით თეთრი თმები გვირგვინივითაა შემოკლებული ვარდისფერ მელოტის გარშემო, არაჩვეულებრივად ახალი სახის ფერი, სანდომიანი მტრედის ფერი თვალები, თავმდაბალი ღიმილი, რომელიც აჩენს ნშვენიერად გაკეთებულ ჩადგმულ ყბას, მაგარი ლოყის ძელები და ოთხკუთხი შეუბრალებელი ნიკაპი ადამიანისა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ღრღნიდა მეცნიერებას და ევროპის კულტურულ კუჭის მილში გზავნიდა იაფ, სუბუქ და ნოყიერ პატენტდაკრულ ფაფას. დაჩვეული სწორ მუშაობას, გამჭრალ ქალაქების ქვების და გარდასულ ადამიანთა სახლის საგანძურის ღრღნას, ის ეხლა მაგრად ჩაეჭიდა ავღანისტანს. უკანასკნელის ველური ნანგრევები, აღწერილი და დანომრილი, იკარგებიან ამ ყველაფრის მულაპავ და გამათახსირებელ მეცნიერულ პირში. და იმ ზომით, რა ზომითაც ბამიანის კერპები და ჯელალაბადის აკლდამების საიდუმლო წარწერანი აწარმოებენ თავის ორგანიულ სვლას არქეოლოგიის წვრილ და მსხვილ ნაწლავებში, მეცნიერების ბრმა წელში და მკვდარ კვანძებში, პარიზში, მეცნიერებისა და დიად აღმოჩენათა სამინისტროში რომელიმე მაგიდის უფროსი, ალექსანდრეს და დიდ მონლოლის მტვერიან წიგნების მცველი, ფრთხილი ხელით აღნიშნავს აკადემიკოსის დამსახურებას და ნეტარ სახსენებელ დღეს, როდესაც მის სერთუკს დაამშვენებს ორდენის ლენტი. როგორც ყველა ჭეშმარიტი ბურჟუა-რესპუბლიკელი, ფ. მონარქიისადმი ოდუმალ სიყვარულის მატარებელია. აღთქმული სიტყვა „სირ“, ესოდენ მოკლე და მედიდური, გამოუთქმელის სინაზით მოსწყდება ხოლმე მის თაფლის ბაგეთა.

პროფესორი მზრუნველ ძიძასავით თავს დაფუსფუსებს რომელიმე უაგვისტოეს გვარის ჩასქელებულ წევრს, რომელიც განუწყვეტილ ცოხნითაა მოლაღუელი და ხან ერთ თვალს ხუჭავს, ხან მეორეს; ხელების ფშვინეტა, ღიმილი, შემპარავი და თან გაბრწყინებული კრეჭა და თავის დახრა გამოხატავს მოწიწებულ და ალერსიან თანხმობას მეცნიერების კაცისას, უბრალო საღ უნარიანობასთან, რომელიც დაბუდებულა აქლემის მუხლივით სქელ ავღანის სარდალის თავის ქალის ქვეშ.

ასეთ წუთებში აკადემიკოსი ფ. ნაზ და ადვილად მომდებ ლიანასავით ეხვევა აბსოლიუტურ ძალაუფლების იძიმე ქვის სვეტს.

გამოუთქმელ ქვემძრომობის სურათს წარმოადგენს უმაღლეს აიუდიენციების დროს მაღამ ფ., აკადემიკოსის მეუღლე. ის შვილის შვილი თუ შვილთა შვილია ერთ-ერთ იმ განთქმულ პურის მოვაჭრეთა, რომელთაც 1789 წ. მოახერხეს დიდძალ დოვლათის შოვნა და შენახვა, მიუხედავად სენტ-ანტუანის გარე-უბნების დრტვინვისა და „ხალხის მეგობრის“ მწარე იერიშებისა. მაღამ ფ.-ს ოჯახი დიდი ხანია რაც დაეცა, თანამედროვე სპეულიაციამ ჩაყლაპა

ოდესღაც გულუბრყვილო ნატურალურ ძარცვით ნაშოენი მიღწერები. მაგრამ განთქმულ პურის მცხოვრების შთამომავალს შერჩა ფრანგულ / შაქრიან პურის სითეთრე, ის წყლიანი, თბილი, სირბილე, რომელშიაც საუკუნოთ ჩაიფლა მხცოვან არქეოლოგიის ჩაყენილი ყბა. იგი ქერაა, კვერცხის <sup>გვერდის</sup> წითელი პურის კვერცხით ამოვლებულ; ცომის მოსახელ მტრედისფერ <sup>ნოტიის მსგავს</sup> პატარა ღია თვალეზზე მოსჩანან თეთრი წამწანები თითქოს ფქვილ გადაყრილი. საკონდიტრო მხარბეჭი, გადახელილი წელი, მძიმე უკანალი და მძლავრი მუცელი, რომელსაც დიდგდა მიაკრავდა ფუთიან შავ პურს, როდესაც აჭრიდა მათ ცხელ-ცხელ ნაჭრებს. სორბონის დიდი ჰონორარების ცომის ხაში წყალობით ვარდისფერ მოთეთრო მადამ ფ.-ს მშვენიერი შესაძლებლობა რამოდენიმედ დანოტიოვდა, გადალახა საზღვარი, გაიზარდა ხორცის მათ, როგორც ცომის სახელში, ვიწრო და გამსჭვირვალე ტანისამოსში, ეხლანდელ პარიზში რომ ატარებენ. ავლანის სამეფო კარის ქალთა წრეში, მათი ნავთულის ღეროზე წამოცმულ ქალაქის ყვავილთა სასტიკ გრაციით, მადამ ფ. მოსჩანს სამხარეულოს მაგიდაზე გათხლეშილ ცომივით. ის კი არ შედის პარამხანაში, არამედ შეგორდება თავის თეთრ, ნოტიო მუცლით, წელით იღიმება, სალამს იძლევა თავის ცივ ტანის ყველა ასოთი. სასახლის ძველი მსახური ქალები ხითხითებენ საჭურისი პირდაღებულნი, გაქვავებული მისჩერებია ამ ქონის მძლავრ გადაგორებას, რომელსაც აღძვრია თავდაუჭერელი ლაქიური ერთგულების ბნედა, უცხო დინასტიის მიმართ ერთგულ ქვეშევრდომის გრძობათა გამკლავების სენი.

დედა ენირისა, პატივ-მოყვარე და ჭკვიანი ქალი, რომელსაც უნახავს თავის ოჯახის წევრები არა მარტო კარის მხატვართა მიერ დახატულ სახეიმო პორტრეტებზე, არამედ ტყვიითაც, გატანილ თავის ქალით, დანით დაჭრილ გასიებულ შავი მკერდით, — ეხლა, შეჰყურებს რესპუბლიკის ნანდილოსანს, გაქვირვებულის ზიზლით, ასე უანგაროთ და უსაზღვროთ რომ განართხულა მის წინ.

ანგარიშიან აღმოსავლეთს ვერ გაუვია შეგნებული მონობა, არ ესმის უკვე განთავისუფლებულის აღტაცება ძალღის საყელურის და ძველ ბატონის მათრახის დანახვაზე. აქ მხოლოდ სუსტებს და ღარიბებს სჭირდებათ თავის დამცირება, რომ გამოიღინონ რამოდენიმე ტკბილი წვეთი მლიქვნელობის ოფლისა. ძლიერები კი ამაყი, გულფიცხი და დამოუკიდებელნი არიან. შეიჭმუნის რა ნახევრად დახატულ წარბებს და გაქვავებული გამოუთქმელად ცივ ზრდილობაში, ემირის ცოლი ნელ-ნელა ანგარიშობს ჭკუაში, თუ რომელი, არც ისე ძვირი ბეჭდებით, ნახმარი ბეწვეულით და დაბერებულ, მაგრამ გარეგნულად ჯერ კიდევ ახოვანი ცხენებით დააჯილდოვოს ეს მომაბეზრებელი ერთგულობა.

## 2. მ გ ლ ე ჯ ე ლ ე ბ ი

ინდოეთის ტანს უხვად ასეგია თეთრი წურბლები. დრო და დრო თავგანწირულ მოძრაობით ის ახერხებს თავის დასერილ გვერდებს მოჭვლიჯოს გამაძლარ მწოველთა მტევანი — მაგრამ თავგანწირულ აჯანყების ადგილზე იდეალურ გზების წყალობით ისევე ჩნდებიან დამსჯელი რაზმების ჯავშნიანი ავტომობილები და არტილერია.

როგორც ყოველთვის, კლუბებში ნასადილევს თამაშობენ ვალსს, და ხრინწიან ხმებს და ცხოველურ ვაცოფებას ზედ ერთვის აჯანყებულ ადგილისაკენ



მიმდინავ საჭაერო ფლოტის შრიალი. მოთამაშენი იღიმებიან, როდესაც თეთრ, გახურებულ სახლის თავზე დაიჭერენ ამ არწივთა ფრენის ხმას. ერთი საათის შემდეგ მოსახლვრე ცეცხლმოკიდებულ სოფლებს რომ უნდა თავს დაასხან ათასი სიკვდილი. ერთი კვირის განმავლობაში მაინც კოლონიალურმა ძალებმა სწერს ამბოხებულთა მხეცობის შესახებ, აქვეყნებს რესპექტაბელურ ფაქტულად თეთრ განიერ, წითელ კისრიან პლანტატორის სურათს, რომელიც მოჰკლეს მთელი მისი ვარდისფერ და მრგვალ ოჯახით.

მერმე — „პაიონირი“ და „ინგლისმენი“ სურათებიან დამატებაში მოათავსებენ იმ გმირებს, რომელთაც გარეკეს ბრბო ზემინდარის თეთრ ტერასიდან, სამი დღე რომ გაატარეს ბარიკადებზე, გრძელ, მომყოლ და ნასადილევის მოსვენების ნომნატრებულ გრძელ სკამებიდან რომ იყო ამართული.

შემდეგ ტეხნიკა შეაკეთებს ყველა აფეთქებულ ხიდებს და გადმობრუნებულ ტელეგრაფის ბოძებს. მართლმსაჯულება დახვრეტს იმ დამნაშავეებს, რომელთა დაჭერა და დახვრეტა ვერ მოასწრეს დახიანებულ გორაკებთან და გაძარცვულ პოშტამტებთან.

ამის შემდეგ ვიცე-კოროლი ძველი ებრაელის ჭკვიანი და მშრალი ღიმილით, რომელმაც იცის ყველაფრის ფასი ჭვეუნად, დაჰკიდებს ათიოდე სულელ არისტოკრატს ახალ ფულივით გალაპლაპებულ ორდენს.

ვიცე-კოროლის შეუღლე, უაიტ-ჩეპლის წინდების მალაზიის ძველი ვარდი, თავის მწუხრის უამს კიდევ ერთხელ იგენებს თავის ღირსების ნეფურ პატივს. კარის მანდილოსნები თითქმის იატაკამდე დაიბრებიან მის წინ ცალი მუხლით, და ტიტულოვანი ბატონები კი, როგორც პატარა ყმაწვილები, ვერ გაბედავენ განძრევას და პაპიროსის მოწვევასაც კი, გარინდულნი დადგებიან ამ ვიცე-უდიდებულესობის კარებთან, სამეფო მირონი რომ ბირჟებსა და სამინისტროს მოხელეებისგან სცხებიან. აქ, ინდოეთში, მევახშეთა და ფერად კაცის ხორცის მოვაჭრეთა გვირგვინოსანს ნამდვილ მეფის პატივს მიუძღვნიან. ვიცე-კოროლის სასახლის კარის ეტიკეტს ვერ შეედრება ძველ ევროპიელ მონარქიების ვერცერთი სასტიკი და წვრილმანი მოთხოვნა. იქ თავისუფლება და სისადავეა, იქ უდიდებულესს გარს ახვევია ბრწყინვალეებათა და უბრწყინვალესთა გუნდები, რომელნიც მას სთვლიან ტოლთა შორის პირველად, და ბშირად მხარს მალდა სწევენ, როდესაც საქმე შეეხება სამეფო სახლის სიძველეს და მის სისხლის სიწმინდეს.

თავის სამშობლოში ესოდენ განებივრებული ფეოდალური დიდ-კაცობა, „შექსპირის ქრონიკებს“ რომ ავსებს თავის მედიდურ თავგასულობით, ინდოეთში, ინდოეთის ვიცე-კოროლის გარშემო ატრიალებს წმინდა აზიურ პატივისცემას, მძიშე და მათთვის დამამცირებელ ცერემონიებით, ფერად მონების მსგავსად იგი აშკარად ამჟღავნებს თავის დამოუკიდებლობას მეფისაგან, რომელიც ბოძებული აქვს ბანკებისა და სიტის მოვაჭრე სენიორებისაგან.

დღელში კაპიტალი მღმდელთ-მსახურებს მოკრძალებულ სიჩუმეში, გარემოცული დაჩოქილ კარისკაცთა გუნდით, კეთილშობილ ლედების უძველეს და უპატიოსნეს არმიის წარმონადგენელთაგან, თითქმის იატაკამდე რომ დაუშვიათ ჯიშინი ნაწნავეები, ვერვინ ბედავს გაინძრეს, ჩაახველოს, ფეხი შეიცვალოს. ყოველივე გაქვავებულა საპატიო, საღმრთო სიჩუმეში; ისმის მხოლოდ პოზიპის გაძნელებული სუნთქვა, თავისი მძლავრი ხორთუმი რომ შეურჭვია ინდოეთის

გულში; მოსჩანს, თუ როგორ სჩქევს ცოცხალი სიბზე მითროლოგად გასიებულ ძარღვებში, ჯერ კიდევ ნაყოფიერ მოვარდნის ძალით რომ იცვლება/მის ძველ კრილობებიდან. ისმის დამსჯელ ექსპედიციათა უკანასკნელი სროლა, ვიცე-კოროლის ცოლი ულიმის მის პლებეურ ფეხთა წინ მოციმციმე ვარსკვლავთ შორის სითეთრის მსგავს ბრილიანტებს, თან პრეტენციოზულ ვიწრო ფეხსაცმელებიც აწუხებენ, და „წმინდა“ განდი თავის ციხიდან უხმობს ხალხს ბოროტებას წინ არ აღუდგეთო.

წმინდა ინგლისურ მჭამელთა კოლონიების შორის შეხიზნულან ნაკლებად ძლევა მოსილ სავაჭრო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ისენი ფეხებში ეჩრებთან გამარჯვებულებს, აგროვებენ მათ ნასუფრალს, ისწრაფიან თეთრ ინდოეთის კანის ყოველი ნაჭრისაკენ, რომელიც კი შემთხვევით გამოჩნდება მათზე დასეულ მჭამელ კიბოთა გუნდებიდან. რალაცას კიდევ ახერხებენ გერმანელი, იაპონელი და იტალიელი ვაჭრები, უფრო ეს უკანასკნელნი. სიღარიბე გამბედაობას მატებს მათ, და მყვირალა ტიტულები კი მათ კომპივოიაჟორულ თავბედობას არისტოკრატიულ თავისუფლების გამომეტყველებას აძლევენ. თითონ ინდოეთში ამ ვაჭბატონების გამარჯვება არ იყო მოსალოდნელი. მაგრამ მათთვის მოულოდნელად გაიხსნა მოქმედების ახალი ასპარეზი: საშინელი ავღანიისტანი რომლისაც ასე ეშინიათ მათ მეგობარ ინგლისელებს.

თან წაიღეს რა ფრაკი და წყვილი აბრეშუმის საცვლები, ისინი ხტუნაობით გასცილდნენ სანეტარო სახლვარს; მათ თან გაჰყვა შურიანი და დაბინდული თვალი მოსახლვრე პოლიტიკურ მოხელისა, რომელიც დღე და ღამე იცავს ამ წყეულ უდაბნოს, ამოდენა ინგლისური ძვლები და ოქრო რომ შექამა.

ორივენი, გრაფი და კომანდორი — „აბრეშუმის ქვის მეფე“ — დიდებული იყვნენ უდაბნოს, შიშველ მთების და იმ მედიდურ გულგრილობის ფონზე, რომლითაც აღმოსავლეთი ყოველ გამვლელს აძლევს ნებას მალა ავიდეს და გადაიაროს მის ცივ, დიდ ხნის დაძინებულ გულზე.

ჩინებულმა მგზავრებმა, ძლივს მოასწრეს ქვეყნისთვის ხერცლე თვალის გადავლება, რომ უკვე გაიმსჭვალენ მისდაძი გამოუთქმელ ზიზლით. არ სჩანს არავითარი მოსაგები რამ, არაფერი მზა-მზარეული. არც სპილოს ძვალი, რომელსაც ველურები ცვლიან არაყზე, არც ლალი და ნოხები დაეანგულ სამართებლებზე, შუშის ნატეხებზე და წითელ კოლენკორზე გასაცვლელად მათი მადა ოდნავ შეეხო ავღანიისტანის შიშველ კლდეებს, მსხვილ, მრგვალ კატისებურ ემირის სახეს და ვერსად ვერ შეჩერდა, ყველგან დასცდა წერტილს და მოეშვა. ათი დღის უმანკობის შენახვით აღელვებულნი (რადგან ამ ბარბაროსულ ქვეყანაში ადგილობრივი ქალებიც კი არ ჰყიდიან თავს), შეურაცყოვილნი მინდვრების სილატაკით, მყრალ განოყიერებას და მძიმე მაშინებს რომ თხოულობენ, გაწბილებულნი თეთრ-წვერა ვაჭრების წყრილმან გაუბედაობით, ყოველ გროშა კბილებზე რომ შინჯავდნენ და მყისვე რომ დაუსვარეს და დაუგლიჯეს იტალიელებს ძაფზე ანცმული ნიმუშები — ახალგაზრდები გამობრუნდნენ უკან.

წასვლის წინ ისინი სადაბარზოდ იყვნენ ბოლშევიკურ სრულუფლებიან წარმომადგენლობაში. რალაც უხერხული იყო იმათი სრულიად ტიტველ სახის შეხედვა მოხახულობათა სრული ხელმუეუხებლობით რომ ამაყობდნენ და საჩვე-

ნებლად რომ გამოუკიდიათ ყველა სურვილების სიშიშველე, ძველ ბურჟუაზიულ ფიგის ფურცლის გასალიზიანებლად.

ყველაფერი ამკარადაა გამოხატული ამ სახეებზე, თავხედი შუბლი, ჩაცვენილი, მღვრია დამბრჩვალ თევზივით გაციებული რუხვი, კვამლ-კანჭრული და დასრესილი ხაზით შემორკალული თვალები; მადა დაკარგული, მედიდური ტუჩები, გარშემოკრული ორ მოსაწყენ და მკაცრ ჩაღრმავებით, ორი დიდი გატკეპნილი გზით, რომელზედაც ძარცვავენ და ჰყვლეფენ, რომ მერე სიყვარულში გაფლანგონ საშინელ წითურ დედლებთან, რომელნიც ამათრახებენ ამ ბანდიტებს კიდევ უფრო მეტის მოურიდებლობით, ვიდრე თვითონ ესენი არიან თავის სუსტ მეტოქეების მიმართ — გაუნაძღარნი, შეუბრალებელნი და ძლევამოსილნი. და რა გასაკვირვალია, რომ ამათ სახეების დანახვაზე პატარა ავლანისტანმა მყისვე ჯიბაზე ხელი ისტაცა და გაეშურა სახმობებისაკენ, რათა გადაეთვალია იქ გაკიდული ბეწვეულობა. ვერ იპოვეს ვერც ერთი იმდენათ კულტუროსანი ვაჭარი, რომ ამ ორ დიდებულ მგლეჯელთან მისჯდომოდა სათამაშო მაგიდას და სანთელთა ბრწყვიალში და გაქათქათებულ სახელოთა ტრიალში ორ წუთში წაეგო თავისი დუქანი, ხალიჩები და სათუთად გადათვლილი, მოქსოვილ ბუხარულ საფულეში ჩაწყობილი და გულზე დაკიდებული ოქროები.

ამ წამგლეჯელებს, ასეთის მედიდურის მონოკლით რომ თვალი გადაავლეს ამ პირქუშ სპეკულიაციის სიმალლეს ვერ მიღწეულ ქვეყანას, ვერაფრით ვერ გამოარჩევდით მილიონ სხვა მათ მსგავსთაგან, მათ ავანტიურიზმს რომ შეგნებულ და აგრესიულ ფაშიზმის ბეჭედი არ დაღაუდეს.

მათი გათავხედებული გაბედულება ნიშნავს არა მარტო იმას, „რომ თქვენი ფული მალე ჩვენი გახდება“-ო, არამედ იმასაც, რომ „არ არსებობს ქვეყნად ჩვენი ხელის შემშლელი ისეთი უფლებრივი, პარლამენტარული და სარწმუოებრივი აბდა-უბდა, რომ დღის სინათლეზე პალტო არ აგწაპნოთ ან კისერი არ დაგიზილოთ ამ ჩვენი დიდი თეთრი ხელებით, მათში დაგროვილ ორ კარგად დანაყრებულ მხეცის ძალით, სიღინჯით და მოქნილობით“-ო.

ამ ახოვან, ფრაკში გაჭიმულ ვაჟკაცებს ისეთი უთოს მსგავსი მძიმე სახეები აქვთ, ზედ დამჩნეულ თვალებისა და პირის, თითქოს დანასრესს ნაკვალევით, რომ არც კი სჭირდებათ თვალთმაქცობა, არც კი ფიქრობენ დარცხვენაზე, ზედმეტ სიტყვებს არ ხარჯავენ, არაფის იცოდებენ და არც თითონ ითხოვენ კედლისგან შეცოდებას, როდესაც მათ ესმით სიტყვა „პარლამენტი“, „კონსტიტუცია“, ან „სახალხო წარმომადგენლობა“, ისინი როგორღაც ცხოველურად იღრიტებიან თავის გახამებულ პერანგებიდან და თანაგრძნობით, სრულის გავებით შემოგცქერიან. „თქვენც ხომ თავი დააღწიეთ ასეთ მდგომარეობასო“.

რუსეთზე ლაპარაკობენ საკვირველის, ცინიკურის პატივისცემით და ამ დროს მათი დიდი განიერი და წმინდა ფრჩხილებიანი ხელები ნელ თამაშს იწყებს სუფრაზე თითქოს უნდათ ერთად ერთ ღირსეულ მეტოქეს რაც შეიძლება მალე ყელში ხელი წაუჭირონ. მათთვის მთელი ქვეყანა, გარდა ამ რ. ს. ფ. ს. რ.—ისა, ძლიერთა კუთვნილ ნადავლივით ზიზლის უფსკრულის ძირზე ჰგდნია. მათთვის ქვეყანა მშიშარა და ფარისეველი ჯოგია, რომლისაგანაც ძლევამოსილის ღრენით ყოველთვის შესაძლოა და აუცილებელიცაა გამოიტაცო უმსუქნესი ცხვრები და იმავე დროს კბილებზე გრძნობდე სანტიმენტალურ სუნს, იმათ ინტელიგენტურ ბეწვებს და თან იღრჩობოდე ბლავილით იმის შესახებ, რომ

„ძალი არ ნიშნავს უფლებას“, რომ არაფერი ვსთქვათ შეუძლებელ კლასზე, სად-  
 ლაც დაბლა რომ ჰკდია და რომლისაგან საკმარისია მალღობსავე წამოწევის  
 მარტო სურვილის გამჟღავნებაც კი, რომ თოფის კონდახების და ეხსდარმების  
 ჩექმის დარტყმით ყოველთვის უკუქცეული იქნეს. ესენი ხომ კანონს გარეშე  
 არიან და ჯერ-ჯერობით სათვალავშიც არ მიიღებიან. გიგანტური

ჩვენთან შეხვედრას უღიან, როგორც აუცილებლობას, რის შემდეგ მხო-  
 ლოდ ერთი პატრონის ხელში იქნებიან. შეხვდნენ რა საბჭოების წითელ დრო-  
 შას აზიის ამ განაპირზე, რომელსაც მეორეს მხრივ მჭიდროთ მოუახლოვდა ინ-  
 გლისი, ზრდილობიანი და ცნობისმოყვარენი, ისინი მოვიდნენ, რომ დაენახათ  
 ბოლშევიკები, ძუით, რომელიც უნებლიეთ ყალყზედ ადგა მათ მგლის თაფარზე.

კარებში გრაფმა მოიბრუნა თავისი მძიმე სახე და ღიმილით სთქვა:

— ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა თქვენისთანა მოწინააღმდეგეების შეხ-  
 ვედრა ბარბიკადებზე. ორმა ჩემიხმა თავი დაჰხარეს, და სანთურმა გაანათა  
 მათ წინ შავი ბალი თითქოს მათ ვილაცა მიჰყავდათ, ან ისინი ვილაცამ წაიყვა-  
 ნა გილიოტინისაკენ.

### 3. „როგორ იწერება ისტორია“.

ჩვენთვის გასაგებია იდეების გამძლეობა; არავის არ გააკვირვებს ჩვენს  
 დროში ადამიანი, სულდგმული იმ სიძულვილით და სიყვარულით, რომელიც  
 ჰქონდათ რუსსოს, შოპენჰაუერს ან გოეთეს. იქნება მოინახოს ისეთი ვინმე, ვი-  
 საც ტასო ან ჯიორდანო ბრუნო უყვარს, რომლისთვისაც წმ. ანგელოსის ცი-  
 ხის თეთრი კედლების ჩრდილი დღემდის ეცემა ცხელ შუადღის გზას, როგორც  
 სევდა და სიგიჟე. ზოგან კიდევ დარჩენილა შავ იეზუიტურ ანაფორის შიში,  
 საღმრთო კოცონების სიცხე შორეულ შიამომავალთა ძვლებში სიცივეთ ქცე-  
 ულა. — მაგრამ არსად ძველ მტრობას იმდენი გამძლეობა არ გომოუჩენია, რო-  
 გორც აღმოსავლეთში. ბევრმა საუკუნემ განვლო მას შემდგომ რაც არმაზს და  
 არიმანს სძლია მაჰმადმა; დიდი ხნის დაწერილია და უკვე დაძველებაც მოას-  
 წრო პოეტ ჭირდუსის მეფეთა წიგნმა, მაგრამ ისევე, როგორც ხელთნაწერების  
 ბაჯალლო ფურცლებზე, — მკვდარი იდეები განაგრძობენ დავას, ერთი მუდამ მო-  
 წინააღმდეგე, მეორე მუდამ შემტევი.

აღმოსავლეთში მათ დაატარებენ თავისებური მეცნიერები, თანამედროვე  
 ლიტერატორის და ძველებურ მოქადაგის შერეული ტიპი, ახალ იდეათა კომპი-  
 ვოიაჟორები და დაძველებულ ქეშმარიტებათა მასწავლებლები. სწორედ ასეთია  
 ავღანისტანის ახალი სტუმარი მირზა-აბდულ-მოჰამედი, განათლებული კაცი,  
 ლიბერალურ გაზეთის განმომცემელი ეგვიპტეში. ამირ ამანულ-ხანის სასახლეს  
 ის ესტუმრა, როგორც ინგლისელები ესტუმრებოდნენ გერმანელთა გარეთუბან-  
 ში იოანე მრისხანეს, პოლლანდიელები პეტრეს და როგორც აქამდე მოგზაურო-  
 ბენ ბედის მაძიებელნი, ხელოსნები და საერთოდ წერა-კითხვის მცოდნენი ჩა-  
 მორჩენილ, მაგრამ მდიდარ მეზობელთა ქვეყნებში. ქაბულში მან თან ჩამოიტა-  
 ნა აბრეშუმის საპროფესორო ქუდი, მშვენიერი სერთუკი, მედიდურება და სიმ-  
 ძიმე წმინდა ადამიანისა — და ავღანისტანის ისტორია შეიდ ტომათ, ორ-ორი  
 ათასი ფურცლით თითოში, რომელზედაც მას უშროპია თორმეტი წელიწადი,  
 გარეშე არა მომავალ გულზე ჯილდოზე ფიქრისა. სასახლის კრებულმა  
 პატივით მიიღო მეცნიერი, ძალიან მოიწონა მისი ჟურნალის „მართლ-

მორწმუნის იმედი“-ს ან „რა ჰქნას სართლმორწმუნე მაჰმადიანი ჩნ შორები, მაგრამ ბინათ მიუჩინა მას მეტად ზომიერი სადგომი იმპერატორ ბაბურის საუღლაგთან და ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცეთ თავიდან აიცილა ქვეყნის გადახდა გამოწერილ „მაჰმადის შვილების სასოება“-ში, შემუშავებული მისი ენაწყლიანობისა და ბეჯითობისა. სპარსელი მეცნიერი პატივის მეტს ვერაფერს იძენდა დიდ მოღოლის ცუდათ გათბობილ, მაგრამ მედიდურ ნანგრევთა შორის. მოხიბლვის დაკარგვამ, გამოურკვეველ დაპირებებზე და მთავრობის წმინდა პლატონიურმა აღერსმა უფრო გულლიათ ალაპარაკეს უნებლიე განდევილი, თავის უდაბნოს მარტოობაში მან არა ერთი გამთბარი ფურცელი მოიფიქრა და დაამზადა ავღანისტანის „ქეშმარიტ“ მდგომარეობის შესახებ, ამ, მისი აზრით, „ჩამორჩენილ დესპოტიაზე, რომლის ამალღება შეუძლია მხოლოდ მოსყიდულ კალამს და არა ყოველ ამაოების გარეშე მყოფ მოაზროვნის თავისუფალ ჭკუას“ (უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება, რაღა თქმა უნდა, აღნიშნული სპარსელიც, პროგრესის გამწვევი).

ასეთია აღმოსავლეთის ლიტერატორის ეს ტიპი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მოგზაურობს ქაირსა, პორტას, ქაბულსა და პირამიდებს შუა, მიმოაქვს ლიბერალიზმი, სუბუქი სკეფსისი სართლმორწმუნოების ნილაბის ქვეშ, ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეები, ქორები და ახალი ამბავი, რომლებისგანაც ბოლოს და ბოლოს შესდგება პოლიტიკურ მოღვაწეთა დი მთავრობათა რეპუტაცია.

ეს მოხეტიალე საზოგადოებრივი აზრია ფულისა და თეთრეულის ზომიერ მარაგით, მაგრამ მით უფრო გადამეტებულ თავ-მომწონობით მან გულნაკლულმა დატოვა ავღანისტანი. არც ეღირობოდა ასე დაწვრილებით შეჩერება მეექვსე სამთავროს ამ წარმომადგენელზე, რომ მას თავის გულის დანაკლისით არ გამოეშკარავებინა მეტად ორიგინალური, გეოლოგიურად წმინდა ფენი ცოდნისა და იდეებისა. მირზა-აბდულ-მოჰამედი უბრალოდ კი არ ლანძღავდა ავღანისტანს: იგი ილანძღებოდა ისეთ გაბოროტებით, რომელიც პრინციპიალურში გადადიოდა. იგი ათეისტი გახდა ქაბულის ფარისევლობის დანახვაზე; რეფორმატორიც — გაბატონებულ უძრავობის სამეფოში; რევოლიუციონერიც კი — პეტრემდე ყოფილ მონურ ქცევის დანახვაზე (აბდულ-მოჰამედის თქმით, ქაირის დარბაზებში დიდი ხანია მიტოვებულია ის დაწესებული ქვემდროშობა, რომლითაც ჯერ კიდევ სერიოზულად სტკებდა ქაბული), და რაც უმთავრესია ამ ქეშმარიტ სპარსელის სულში, მისი სწავლულობით და სინარმაციით, დაჩვეულის პოლიტიკურ სიტყვა გესლიანობას და თუ ბეჭდვის არა, ცენზურის ინგლისურ თავისუფლებას მაინც, გაიღვიძა მოქალაქეობრივ სიამაყის შორეულმა მსგავსებამ უთუოდ აბსოლიუტურ თვითპყრობელ „ბოლშევიკთან“ შეჯახების დროს. სპარსელმა ვერ აიტანა ხელთა კოცნა, განუწყვეტელი სახეში ცემა, პატრიალქალური მექთამეობა, და უმთავრესად აუტანელი ეროვნული დიდ-გულობა პატარა ხალხის, ამ საერთაშორისო სცენის მეტიჩარისა.

თუმცა თითონ მოხეტიალე მეცნიერი იყო, მაგრამ მაინც სპარსელი, მაშასადამე ადამიანი, ვის ძარღვებშიაც სჩქევს ძველთა-ძველი კულტუროსანი სისხლი, მის გამო მან გადასინჯა თავისი ავღანისტანის ისტორია და აღმოაჩინა, რომ მასში სრულიად არ მოიპოვება კულტურა. აღმოჩნდა, რომ ყველა შვიდი ტომი ამ თვალსაზრისით განხილული, ბნელეთის თაყვანის ცემის მატთანე იყო,

რომელსაც ათი საუკუნის განმავლობაში ამოეწვა ხელოვნების და აზროვნების ყველა სიმწვანე. სილა, ქვა და მოლუნული ხმალი — სხვა არაფერი არ სჩანდა.

სიტყვა სიტყვას, მტკიცება მტკიცებას მისდევდა, და სასახლის/კარზე მიტმასნებულ ისტორიკოსის ნილაბიდან გადმოიხედა ირანის ~~ქვეყნულ~~ დაწმენდილ სისხლის სპარსელმა, დამმონებელ, ყველაფრის დამკოდაც არაბების/სპარსუნოებისადმი ძველებურ სიძულვილით აღესიღმა. ყურანი — ეს ხომ ტლანქ უაზრობის, პირუტყვულ მგრძნობელობის წიგნია, უმეცარ მოხეტყთა კარვების ღირსი, საიდანაც იგი გამოვიდა კაცობრიობის საუბედუროთ მხოლოდ იმისათვის, რომ გადაებუგა ძველი აყვავებული ქალაქები, წიგნთსაცავები და ბაღები, სრულ დატემაშდე შეეყვანა მხატვრობა და ხუროთმოძღვრება, არარად ექცია ანტიურ აზროვნების ყველა მონაპოვარი.

მხოლოდ სპარსელებმა დაიცვეს ცეცხლისა და ხმლისაგან არისტოტელის და პლატონის თარგმანები. ისეთ ველურ არაბთა მპყრობელების გარშემო, როგორიც იყო, მაგალითად, ჰარუნ-ალ-რაშიდ, სპარსელები თავს უყრიდენ მინისტრთა, პოეტთა, ექიმთა და მეისტორიეთა ბრწყინვალე კრებულს. მიმავალ კულტურის ყვავილებით შეამკეს მათ მისი სისხლიანი მეფობა, ზოროასტრის სიბრძნით, ძველ ცეცხლის თაყვანისცემელთა, პირველ მოგვთა და ვარსკვლავთ-მრიცხველთა ჰუმანიზმით შეანელეს მაჰმადის ველური და წვრილმანი წესდებულება. ბერძნულმა ფილოსოფიამ სპარსეთის საშუალებით მოავარაყა წვრილი კოლონები და სახეებიანი გუმბათები მავრიტანიისა. მაშ საიდანაა ბთელი არაბეთის კულტურა?

ირანელის სახე დაჰსერა აღელვებამ, ძველი სიძულვილით განათებულმა და დაუმცხრალმა ბომბეის ახლო ფარსიდულ წმინდა საკურობეველზე შენახულ ცეცხლივით. როდესაც ჩვენი დროის ცოცხალი ადამიანი ლაპარაკობს ჰარუნ-ალ-რაშიდის სასახლეზე, როგორც ისეთ რამეზე, რაც იყო გუშინ და შესაძლოა არსებობს დღესაც; როდესაც ის მკვდარ ცხედარს, დაფერფლილ საუკუნეებს ჩაბერავს თავის ცხოველ, დამტანჯველ სიძულვილს, ისინი ცოცხლდებიან, ახალგაზდდებიან ნამდვილ ბრძოლის, ქეშმარიტ ვნების და ხელშესახებ სიძულვილის პავლანიურ რკალში ჩაბმულნი. უკვე არა ცოცხალი მოწინააღმდეგე მკვდარ წამწამებს ახელს, რომ შთამომავალთა ნაგვიანვე შუოთს პასუხი გასცეს უსხივო, ფინიან და კიდევ მაინც მედიდურის გადმოხედვით.

— „ჰარუნ-ალ-რაშიდი — ბარბაროსია, ველური, მოძალადე, რომელსაც აღმოსავლეთის მედიჩის, ხელოვნების მფარველის სახელი მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ ძლეულთა დახვეწილი კულტურა გამარჯვებულთა ფესთ ქვეშაც განაგრძობდა აყვავებას. ირანის გასრესილი ვარდები საუკუნოთ სურნელოვანი დარჩენ, ყურანის უდაბნო გაიჟღენთა მათი კეთილ-სუნოვანებით“.

დიდი ხანია, რაც სპარსელმა მიატოვა მეცნიერულ მტკიცებათა ასპარეზი, ციტატების და ქრონოლოგიურ თარიღების დასახულება. ლეგენდამ გაულომას ცისფერი მინანქარივით კარი და საბრალლო მეცნიერი თავის გახამებულ სახელოებით და უმსგავს ევროპიულ სერთუკით მორჩილათ გაჰყვა მისი ზღაპრების მსუბუქ მუზას.

— „როდის დაიღუპა სპარსეთის კულტურა — როდის? მე ეხლავე ვიამბობთ ამას. ამ თავისნება მბრძანებელს, ჰარუნ-ალ-რაშიდს, ერთი ირანელი მინისტრი ჰყავდა, რომელიც თავის შვილთან ერთად მისი სამეფოს დამამამშვენებელი იყო. არაბის სასახლეში მათ შეჰყარეს განთქმული სპარსელნი მეცნიერნი,

და პოეტები. მათგან გამართული შედრესები ჰყვოდნენ სწავლულებით და ენა მეტყველებით, გამარჯვებულთა ზნე-ჩვეულება დაიხვეწა, ენა დაარბილდა და შეითვისა პოეზიის და რიტორიკის ბედნიერი ბრუნვები.

ჰარუნმა სახელი მოიხვეჭა არა მარტო იარაღის ძლევით და უამრავ სიმდიდრით, არამედ მის ტახტთან დაგროვილ მბრუნველთა მსახურებით და აი, დიდი მინისტრის შვილს, შშვენიერ სპარსელს შეუყვარდა ჰარუნ-ალ-რაშიდის ქალი და მოისურვა მასთან შეუღლება. არაბის მთელი სიამაყე ყალყზე დადგა, როდესაც მან გაიგო, რომ მისგან დამცირებულ ტომის შვილმა სპარსელმა, თავისუფლება აყრილმა კაცმა, თითქმის ტყვემ, რომელსაც არა აბადია რა გარდა განათლებისა, გაჰბედა ოცნება მძლეთა-მძლე — მეფის ქალზე. მაგრამ რადგან ახალგაზრდებს უკვე რამოდენიმეჯერ ენახათ ერთმანეთი ქალაქ გარეთ ერთ დახურულ გადაშლილ ვარდებით, ფარშავანგებით და ანკარა წყალით საესე ბაღში, რადგან ოსანს პირბადე ახდილი დაენახა თავის სატროფოს სახე და ამით მუსლიმან-ქალისთვის ლაქა მოეცხო, ჰარუნ-ალ-რაშიდი დასთანხმდა ქორწინებაზე, მაგრამ იმ პირობით, რომ ახალგაზრდა ქმარი ვერასოდეს ვერ ნახავდა თავის ცოლს, არც ერთი წვეთი დაბალ სპარსულ სისხლისა არ შეერეოდა არაბეთის მეფეთა სისხლს.

ოსანი დასთანხმდა — და სევდიანი ხელშეკრულება ძალაში შევიდა. ჰარუნ-ალ-რაშიდის ქალი ვერაფერს იგებდა, და ქმრის ასეთმა მოქცევამ საშინელ გაოცებაში ჩააგდო. მთელი წლის განმავლობაში ის ამაოთ ცდილობდა ქმრის მიახლოებას: ქმარი ამაყად იდგა და მტკიცეთ ეჭირა თავისი სიტყვა. ბოლოს, საბრალო ქალმა უამბო თავისი დამცირება დედას, და ამან გამოუძებნა საშველი ერთხელ დედოფალი მიუახლოვდა თავის სიძეს და უთხრა მას:

„შენ მოწყენითა ხარ და უსიყვარულოდ ატარებ დღეებს. ამ საღამოს მე საოცარ სილამაზის ბერძნის ქალს გამოგიგზავნი, დასტკბი მასთან, ჩემო შვილო, მაგრამ ოთახს ნუ გაანათებ. ის ქალი უმანკო და მორცხვია“.

დასთანხმდა. — და აი, ღამით მივიდა მასთან მისი ცოლი, ჰარუნ-ალ-რაშიდის ქალი. წვედიადით და სიჩუმით მოტყულებულმა, მან პირველ ღამესავე დააიორსულა იგი. ამ რიგად მძლეველი და ძლეული მზათ იყვნენ სამუდამო შერიგებისათვის: მიმჭრალმა სპარსეთმა თავისი სილატაკე, სიბრძნე და პოეზია შეაერთა არაბების სიმდიდრესთან და ბარბაროსულ ძალასთან. მაგრამ მეფემ არ აპატია თავის ქალს მისივე დამცირება. ერთ ღამეს მან თავი მოჰკვეთა თავის მინისტრს, მის შვილს და ბევრ განთქმულ ფილოსოფოსს და მხატვარ სპარსელს, ვინც კი იყო მის კარზე და უზარმაზარ სახელმწიფოს ყველა კუთხეებში.

და ახლად შობილმაც, რომლის სახით წარსული ურიგდებოდა მომავალს, გაიზიარა თავის მამის ბედი“.

სპარსელი ჩაჰქრა, გაისწორა ცხვირზე სათვალეები და შეტი არა დაუმატებია რა.

#### 4. ქალთა ეროვნული დღესასწაული „ბაბურ“-ის სასახლეში.

რამაზანის უკანასკნელ დღეს მთელი ქაბულის ქალები იკრიბებიან იმპერატორ ბაბურის ბაღში. ყველანი, განურჩევლად ჰასაკისა და საზოგადოებრივ მდგომარეობისა, მოდიან ახალი ნთვარის დღესასწაულზე: მის მაცდურ და წვრილ ნამგლის გამოჩენასთან ერთად თავდება ოცდაათი დღის მარხვა. ბაღის კარე-

ბამდი ათას ქალს ერთმანეთისაგან ვერაფრით ვერ გაარჩევ. ისინი შავ საბურავებში არიან, შავ შარვლებში, შავ წინდებში — თვალებისთვის ამონაქური ადგილიც შავი ქსოვილითაა აფარებული. უსახო, ნილაბიან ჩრდილოთა მწკრივად მიიმართებიან სიციხიან გსებზე, მაღალ მწვანე პურის ჯვარდნებზე — მამაურებულ ბაზარზე. ხელში კი დაუქვრიათ ბალისიანი, მშვენიერად მშვენიერად ქალაქის პეპლებით ქუდებზე, სურმით დახატულ თვალებით, ფეხებზე და ხელებზე შებმულ დაფით და შუშის მარგალიტებით. მკვდრებს მიაქვთ ცოცხალი ყვავილები; მკვდრები თავის სუდარით მტვრისაგან იფარავენ ბავშვთა სახეებს.

გარშემო მოწვიმე ბუნებაა, ლილის ფერი მთებია თოვლის ქუდებით, სურნელოვანი მინდვრები მაღალი ბალახით, ბალები, ვარდთა დამთრობელ სუნთქვას რომ ავრცელებენ. ნილაბები და დომინოები ჰჭრებიან ბაბურის მაღალ თიან კედლებში. ქარი აიტაცებს ქალაქის ყვავილებით და ბრჭყვიალებით შემკულ ათას თეთრ საბურველს. საუკუნოებით შემუშავებულ თავისებურ სიკობტავით კვლებზე გადარბიან მედიდური ბარკლები, გადაკეცილი ფოსტლები, და იატაკს სწვდებიან ნაწნავის მგავსი შავი, ფართო გამსჭვირვალე თავის მოსახვევის ქვეშ კეფაზე ნიმაგრებული ლენტები. მდიდარ მოქალაქეთა ქალები ნობდენილ ლია აბრეშუმში, უძარღვო სახეებით და ზანტი თვალებით, და ძონძებში გახვეული, გადაცმულ დედოფლების მსგავსი სხვა და სხვა ტომის ქალები სამი გზით მიიწართებიან მთისაკენ, რომლის ძირში იმყოფება სუბუქი სახაფხულო სასახლე, დაფენილი აივანი და აუზი. იქ ასწლოვანი ჭადრებია, ფართო ნაკადულები, რომელთა დაქანებული დენა გაჩერებულს დამსგავსებია. უფრო ახალგაზრდა ქალები სატანელასკენ გარბიან, მაგრამ უმრავლესობა პირდაპირ მიწაზე ჯდება ხმაურობით, რომელიც თანდათან მშვიდდება და სწყდება. დაბოლოს საუბარი რაკრას, თითის ტარის შრიალს ემსგავსება. იმ ოქროს ბუზების უძრავ გაფრუნას, რომელთა ფრთები ცაზე დაკიდულნი, დაძინებულნი და გაყინულნი თითქოს სდგანანო ჰაერში.

დღესასწაული ბოლოს და ბოლოს ნარტოოდენ ჰვრეტით ამოიწურება; დიდ ხანს გაჩერებულ, მოძრაობას და ჰაერს გადაჩვეულ ქალებს მალე ჰღალავს უჩვეულო თავისუფლება. მათ იზიდავს ბალიჩა. მინა, ფეხებ შემორთხმული შერვეული პოზა. ფრენას გადაჩვეულ ფრინველებივით ისინი ჩამომჯდარან. დასასვენებლად. უძარღვო და ბუნებულებით თეთრი ტანი რბილ, ჩამომდნარ და მოხდენილ მოძრაობაში იღვენთება. მიწაზე მშვიდათ ჩამომჯდარ დედათა შორის საკვირველ სახეებს ნახავთ. აი თუნდაც ეს მომწიფებელი, ლამაზი, სავსე ქალი. მან აუჩქარებლათ იპოვა თავისი ადგილი და ეტლიდან ჩრდილოვან ჭადრამდე რამოდენიმე ნაბიჯით თითქმის სულ შეწუხებულმა დაეშვა ბალიშზე, და მერმე დამშვიდების შემდეგ ასწია თავისი სახე — სახე მარიამისა. წმინდა, მოდიდო მშვიდი. მეტად თეთრი სწორი შუბლით, წვრილი წარბებით და ისეთი სევდიანი, არა ცნობის მოყვარე, დაუღვეარ გამოხედვით — თითქოს ყველა სხვების მსგავსი — ეს თავისი სიცოცხლე მან რამოდენიმეჯერ განიცადა. მისი სათავე, მისი ბოლო — ამ მძინარე ჩანჩქერის გაჩერებული წყალია. და ის კიდევ შერიგებია გარდაშავალ უიმედოთ ერთფეროვან ერთხელ განსახლებულ დენას. მოსაწყენი ყვირილი, რომელიც არ სცხრება გაზაფხულის ღამეებში; მთვარის დაღვევა და გავესება; პირველი ყვავილები და პირველი თოვლი, უთუოდ პირუტყველ შიშს ჰკვრიან მას; ამ შიშს ვერ გაიგებს მისი საქმეებით გართული, არც ისე ახალგაზრდა შედ-



ლებული ქმარი. ის წინასწარ გრძნობს შავბნულ დროს ხერხელისაგან, რომ ისწრაფის და შიგ ინთქმება შემოდგომის წყალივით, და ისევე მშვიდად შეჭურვებს აღმოსავლეთის თიხიან, მღვრია, წვრილწყალა ლენტს, როგორც დაბურვილ მიერს, სითბოს, მწიფე გაზაფხულის აღტაცებას, რომელიც მასთანაა გადაწლილა მის წინ ათეულ დაუთვლელ ვერსის მანწილზე.

მაგრამ რომელ სანახაობისათვის ეშხადება მაყურებელ ქალთა კრება?

აი, ჩვენც გავიარეთ და მოგვესალმენ გასაკვირვლად მეგობრულ სალამით, ბებერ ხელთა კეთილ და გამომცდელ შიკარებით, ახალგაზრდულ ღიმილით, ბავშთა ტირილით და წივილით, განსაკუთრებით ლატაკები, ქალები თავის შიშველ მიწურ სადგომებიდან ძონძებში და ფეხშიშველი რომ მოსულან ბაბურში. არავინ არაფერს არ გვთხოვდა, არც ერთი ხელი არ გამოწვდილა, — მარტო გვესალმებოდნენ, გვაჩვენებდნენ, რომ მათაც ესმით ჩვენ ვინა ვართ, ვიპი — „ხანუნ“-ები, და რომ ჩვენ შორის უკვე არსებობს ის სიტყვით გამოუთქმელი ინსტინქტიური სოციალურა სიმპატია, რომელსაც ამაოდ უშლის ხელს აღმოსავლეთის სკოლა და ბაზრის იდეოლოგია.

მაგრამ სანახაობა მხოლოდ ეხლა იწყება. თანდათან მოდის დიდკაცობა. რამოდენიმე ავტომობილში მალალ თეთრ მუხარადიანი ქალებია, რომელთაც ახურავთ პატარა, ნახევრად ვამსჭვირვალე „ემანსიპაცია“ ქმნილი ჩადრი, და ჩქარა ამ ათასების, ამ ფრთოსან მოსასხამების ზღვის, ძონძების ფერუმარილით გათვთრებულ სახეების, ველურ, აბურდულ თმების, დიდ შარების მტვრით გაბურულ ბრინჯაოს სახეების წინ გამოჩნდებიან მდიდრების ქალები. ძალზედ შეღებილი სახეიმო ნიღაბები, ვაჭურჩქნილი თმები, ფეხები ვიწრო წვეტიან ფეხსაცმელებში, კორსეტებში და უმსგავსო ევროპიულ სამოსში გაჭიმული ნოყიერი ტანები სკამებზე ზიან გულმოდგინე, მრავალათასოვან ამფითეატრის წინ, რომელიც სცდილობს სამუდამოთ დაიმახსოვროს, თუ როგორ ირხეოდა წითელ შლიაპაზე მწვანე ფრთა, როგორი მარგალიტები ელაგა ფარჩის მკერდზე, როგორი წინდა ეკვროდა ამ წმინდა დღეს, რომელიმე მანდილოსნის თეთრ და სქელ ბარძაყს. შეძლებულთა და ლატაკთა შუა დატოვებულია ხალხისთვის მისასვლელი ასპარეზი, რომელსაც სამხედრო სკოლის შეგირდები, ბავში — ჯარის კაცები იცავენ, მათთვის თოფები მიუციათ, ისინი დიდობიას თამაშობენ, სცდილობენ ყველაფერში მათ ნიბაძონ. გაცელქებულ ბავშვების თაყვანისცემებით ყველა მხრისაგან აჩეჩებენ თოფის კონდახებს, სცემენ პაწია ბაუშებს, ყველას სცემენ კისერში, მუცელში, მკერდში — სადაც მოხვდება. ვერავინ ბედავს გააჩეროს ეს პატარა ნაწაკაცები. ბიჭები, სარგებლობენ რა სრულის უპასუხისმგებლობით, იქვევინ ქალისადმი იმ გამოუთქმელ, — მხეცურ ზაზლით, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მათი აღზრდის საქმე, საერთოდ მთელი მათი სიცოცხლე და ქალი, რომლისთვისაც შექმნილია ეს დღესასწაული, მისი ერთად ერთი გმირი და მომწყობი, წელიწადში ერთხელ ჩადრის მომხსნელი, დღეს დაკული ოჯახის, ქმრის, ძმის და მამის უღლისაგან, კისკარს იქეთ ვირებით და ეტლებით მოწიწებით რომ უცდიან მათ, ამ თავის ძლევის იშვიათ დღეს მსხვერპლი ხდება აღმატებულ ხარისხით დაჯილდოებულ ბიჭებისა, საკუთარ შვილებისა, ოჯახის აქ არ მყოფ ნახევარის მაგიერ და დიდთა აღვირახსნილობით რომ სცემენ მათ.

აუხის გარშემო სხდებიან ქალები ეროვნულ სიმღერების სამღერით. მათ შორის ბევრია მოხეტე ტომის ქალი, ველური, შემოგლეჯილი, დიდებული სანა-

ხავი; მათი სუბუქი სიარული; მოყვანილობა, ყოველგვარ ჩადრის უჩვეულო კანის ოქროსებური ბრჭყვიალი აჯავრებს სუფთად დავარცხნილ ხქელი ცხვირის მსგავს მოქალაქეთა ქალებს. ისინი უცქერიან ველურ-ქალებს, როგორც ცხვრები: გაშლილ მოკლე ფეხთა შუა. ტილოს ნაჭრით დაკავებულ თავის სქელ ცხვირის ძაღად მიმათრევი, როგორც სუბუქ ქალწულ თვალებიან ჯგირნებს, ამ შთის კრიკინებს, ძველ თოფებიდან რომ ხოცვენ მთებში. სქელი ბებრები თავის მუდმივი, სასტიკი ღიმილით უცქერიან ამ ჩამოგლეჯილ მომღერლებს, — მემდეგ შეუმჩნეველი თვალითა მოძრაობა და პატარა ჯარისკაცების ბრბო თავს ესხმის ამ ხოროს, ერეკება, ფეხებით სცემს. ამოვარდნილი ქარი აყრის ბრბოს საშინელ, ყვითელ მჭამელ მტვერს. და სანამ ქალები, სილიან ქარით დაბრმავებულნი, თვალებს იფშვნეტენ და პირს იბანენ აუზში, უკნიდან მათ კონდახებსა სცემენ და გარეთ ერეკებიან. არაეინ არ ფიქრობს მათ დაცვას, არაეინ წინააღმდეგობას არ უწევს. ოთხი საათის შეხლა-შემოხლის დროს მე ვერც ერთი განრისხული მოძრაობა, ვერც ერთი თავისი ან ბავშვების ამ დაცინვისგან დაცვის ცდა ვერ შევამჩნიე. ეს დიდი, ღონიერი ქალები, რომლებსაც იოლად შეეძლოთ გაელახათ თვითთელი ამ საზოგადო წესის დამცველთაგანი, ნებას აძლევდნენ პირუტყვებივით გაერეკათ ისინი, როგორც მართებულს, ისე იღებდნენ ყველა დაცინვას და ცემით დაღურჯებას. ვერც ერთმა ვერ გაბედა უკუეგდო 9—10 წლის მანაკაცი. ვერც ერთმა — გარდა ერთი გაყი ბებრისა, რომელიც ერთის წივილით და ყოფით გადააგდეს აივნიდან ქვაფენილზე. ყვითელ გავარვალებულ მტვერის ნისლში ჩამდგარი, გათხუპნილი, ამ მწესაეით ჩაყანგული, ცხელ ქვიშის ღრუბელში — დიდხანს იძაბდა რაღაცას ქარში და მიმტრინავ ბურში. და რა რიგადაც არ სცდილობდნენ ჩაეხშოთ მისი ხმა, მან მაინც შეასრულა თავისი საქმე, — დასწყევლა.

და ყველა ამისაგან შორს მოშორებულმა ტირილს და მტვერს, ამა ადამიანურის სილამაზით გასხივოსნებულმა, ბაღში გაიარა ავღანისტანის უმშვენიერესმა ქალმა ახალგაზრდა ემირის ცოლმა.

ი. გელვანიშვილი



## პროლეტარულ სკოლებში პროლეტარული

სამხედრო კომუნიზმის ხანამ განვლო. ჩვენ შეუდექით ახალი ცხოვრების შენებას. საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების მიუდგომელი მეთვალყურე, უსათუოდ აღნიშნავს თვალსაჩინო მიღწევებს ეკონომიკაში და საზოგადოთ კულტურულ სფეროში. თუმცა ჩვენში ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რადგან ჩვენ მხოლოდ განვითარების პროცესის დასაწყისში ვართ. ამასთანავე ისიც აშკარაა, რომ ჩვენი საზოგადოებრივ განვითარების პროცესში ნათლად სჩანს გარკვეული სისტემა და მტკიცე გეზი. საერთო მეურნეობაში, მრეწველობის და საზოგადოებრიობის განვითარების პროცესი ხასიათდება სწორედ იმით, რითაც უნდა ხასიათდებოდეს ახალი ცხოვრება, აქ აშკარად სჩანს ორგანიზაცია. და სწორედ ამით განსხვავდება ეს ახალი ცხოვრება ძველ ბურჟუაზიულ ცხოვრებისაგან. რომელიც ხასიათდებოდა არა ორგანიზაციით, არამედ ანარქიით.

სამწუხაროდ იგივე არ ითქმის თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. აქ ჯერ თითქმის ქაოსი ტრიალებს, მხოლოდ ამ ქაოსში ძველი უფრო მოსჩანს, ვიდრე ახალი.

კლასობრივი პროლეტარული იდეოლოგია უაღიარებელია. ისახება ახალი პროლეტარული ფსიქოლოგია. მაგრამ ახალი, პროლეტარული ყოფა-ცხოვრება და ლიტერატურა ჩამორჩენილია და ვერ მისდევს ცხოვრების განვითარებას მაშინ, როდესაც ლიტერატურა ხშირად უნდა უსწრებდეს ცხოვრებას.

პოლიტიკაში, მრეწველობაში პროლეტარიატმა დაამყარა თავისი დიქტატურა. ამ ორივე დარგს თავისი კლასობრივი დალი აშკარად დააჩინა, მაგრამ ლიტერატურაში ეს ჯერ-ჯერობით არა სჩანს. ეს ადვილი გასაგებია.

პოლიტიკაში და ეკონომიკაში პროლეტარიატი არსებითად ფაქტიური შემქნელი იყო ყოველგვარ ღირებულებებისა, იგი იყო ნამდვილი დინამიური ძალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს წარმოადგენდა ცხოვრების შემოქმედების წყაროს. მართალია, მისი შემოქმედების ნაყოფით სხვა სარგებლობდა, მაგრამ მწარმოებელ ძალთა საერთო განვითარებაში მას ეკუთვნოდა აქტიური როლი. ცხადია, რომ როდესაც პროლეტარიატი თვითონ ჩაიგდებდა ხელში შრომის

\*) სადისკუსიო.

ორგანიზაციას, იგი შესძლებდა მთელი თავისი დინამიური ძალის გამოყენებას, იგი დასძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას და მოკლე ხანში შრომის ორგანიზაციის ფაქტიური მეთაური გახდებოდა. და ჩვენ ვიცით, თუ რამდენი ენერჯის დახარჯვა დასჭირდა პროლეტარიატს ამ ორგანიზაციის მოქცევისათვის.

გ ი მ ზ ლ ი მ ი მ ე მ ე ჯ ა

აქტიურმა, დინამიურმა ელემენტმა მიიღო ისტორიული მემკვიდრეობა.

პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში გამარჯვებულმა პროლეტარიატმა უკვე გადალახა დაბრკოლებათა მთელი რიგები და თუ ზოგჯერ მას უხდება გზის გადახვევა, „ნების“ შემოღების გამო, ეს მხოლოდ მოხდენილი მანევრია.

პოლიტიკა და ეკონომიკა წმინდა გონების სფეროა. მაგრამ იქ, სადაც პროლეტარი გონებრივად, ცოდნით, უნარით, გამოცდილებით და ტექნიკით შედარებით ჩამორჩენილია, ამ ნაკლს რევოლუციონური ფსიხიკით და ალტყინებით აინახლაურებს.

რევოლუციონური ალტყინება ამახვილებს და მალლა სწევს გონებას, რევოლუციონური ნების ყოფა აორკეცებს პროლეტარიატის დინამურ უნარს.

პროლეტარიატი თავის არსით, ბუნებრივად კოლექტივისტია და ეს კოლექტივიზმი უადვილებს მას ძველ ინდივიდუალისტურ ცხოვრების დანგრევას.

ამ კოლექტიურ ფსიქიკას კი თვით პროლეტარიატის მუდმივი ცხოვრების ობიექტიური პირობები ჰქმნიან. იგივე ქარხანა, იგივე მანქანა და აქ მუშაობა თავისთავად, უშუალოდ ჰქმნის ამ კოლექტივობის ინსტინქტს, რომელიც თანდათანობით პროლეტარიატის ფსიქიკაში შედის და გავლენას ახდენს მთელ მის გონებრივ შეგნებაზე.

ამ რიგად პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოთ სოციალურ სფეროში, მთავარი ასპარეზი გონებას, შეგნებას ეკუთვნის, და გრძნობანი, განცდანი და ერთობ ფსიქიკა, გავლენას ახდენენ იმ მხრით, რომ ან აჩქარებენ, ან პირიქით, აფერხებენ განვითარებას.

სულ სხვას ეხედავთ, ხელოვნების სფეროში. ხელოვნებაც ერთერთი დარგია იდეოლოგიისა, მაგრამ ისეთი დარგი, სადაც მთავარი როლი გრძნობას და განცდას უჭირავს, აქ თავს იჩენს ეგრედ წოდებული ქვედა შემეცნება: ტრადიციას, სუბიექტიურ თვისებებს და ხშირად პირდაპირ ბიოლოგიურ, ორგანიულ ფაქტორებს დიდი ადგილი უჭირავთ. აქ გონება მხოლოდ რეგულიატორია, ზოგჯერ მძლავრი და მკაცრი, ზოგჯერ კი ჩვილი და სუსტი. ყოველ შეითხვევაში აქ გონება უფრო კრიტიკოსის როლში გამოდის. ამით ჩვენ სრულიადაც არ უარყოფთ გონების მუშაობას ხელოვნების შემოქმედების სფეროში.

ჩვენ დავინახეთ, რომ პროლეტარიატის გონების და შეგნების განვითარებას ხელს უწყობდნენ ცხოვრების ობიექტიური პირობები. თვით მისი ყოველდღიური მუშაობა, შრომა და ის ფაქტორები, რომელნიც ხელს უწყობდნენ მწარმოებელ ძალთა განვითარებას, იმავე დროს ქმნიდნენ პროლეტარიატის შეგნებას და, ასე ესთქვათ, წრთვიდნენ და ამზადებდნენ პროლეტარიატს მომავალ ახალ ცხოვრებისათვის; ამიტომ იგი ამ ცხოვრებაში შემოვიდა საკმაოდ შეიარაღებული და მომზადებული. აქ გრძნობას და განცდას იმდენი ძალა არა ჰქონდა, რადგანაც მათი განვითარებისათვის ძველ ცხოვრებაში არ არსებობდნენ ხელის შემწყობი პირობები. ხელოვნურ შემოქმედების პროცესი პირდაპირ დამოკიდებულია ცხოვრების ისეთ ელემენტების განვითარებაზე, რომელნიც ადა-

მიანზე, მის განცდაზე და ფსიქიკაზე უშუალო გავლენას ახდენენ. ასეთი ელემენტებია ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება, ტრადიცია და ერთობ ფსიქოლოგია. ბურჟუაზიულ ქვეყანაში და ცხოვრებაში კი ყველა ეს სწორედ პროლეტარიატის შეგნების წინააღმდეგი ხასიათისაა, იგი მხოლოდ გაბატონებული კლასის შემოქმედებითი მოღვაწეობის წყაროა, და არ მოიძებნება ისეთი ფუნქციები, რომელნიც პროლეტარიატს ცხოვრების ამ დარგის დარდაქმნისაკენ მოუხმობდნენ და ახალ ცხოვრებისათვის ამზადებდნენ, როგორც ამას ვხედავთ პოლიტიკურ და ერთობ სოციალურ სფეროში. ეს უკვე რევოლუციის შემდეგი საფეხურია, მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც პროლეტარიატი იმარჯვებს პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში, როდესაც აქ მყარდება მისი დიქტატურა, იწყება იმ ფაქტორების გადამუშავება—გადახალისება და გარდაქმნა, რომელნიც უშუალო გავლენას ახდენენ მის გრძნობა განცდაზე, მის ფსიქიკაზე და მაშასადამე მის ხელოვნებაზე. და აქ მთავარი როლი ეკუთვნის მის გრძნობებს, განცდებს, მის ფსიქიკას. შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების ეს დარგი პროლეტარიატისათვის უფრო ძნელი დასაძლევეია, ვიდრე პოლიტიკური და სოციალური ასპარეზი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, თვით ობიექტიური პირობები ცხოვრებისა ხელს უწყობდნენ პროლეტარიატის ბრძოლას; და დიქტატურას პროლეტარიატმა საკმაოდ მომზადებულმა და შეიარაღებულმა მიაღწია. ხელოვნების სფეროში კი იგი ნაკლებად გაწვრთნილი და მომზადებული შევიდა.

აქ იბადება საკითხი. პროლეტარიატი ხანმოკლე კლასია, მისი ბრძოლა საბოლოო მიზნისათვის ჯერ მართალია არ დამთავრებულია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ეს ბრძოლა მაინც და მაინც დიდ ხანს არ გასტანს და საბოლოო მიზანი მიღწეულ იქნება ახლო მომავალში, მიზანი კი, ბოლოს და ბოლოს, უკლასო საზოგადოების შექმნაა, სადაც უკვე პროლეტარიატი, როგორც კლასი, აღარ იქნება. პროლეტარიატის ბრძოლა დღეს, ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და, თუ ჩვენში, მან უკვე დიდი გამარჯვება მოიპოვა და დიქტატურას მიაღწია, ჩვენს ირგვლივ, ჩვენს გარედ ხომ მისი ბრძოლა, მხოლოდ ჩანასახშია. მაშასადამე, ჯერ ჯერობით, მთელი მისი გულის ყური ამ ბრძოლისაკენ უნდა იყოს მიქცეული და მას ხელოვნებითი შემოქმედებისათვის არ სცალიან. და თუ ეს ასეა, მაშინ პროლეტარულ ხელოვნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

აქვს თუ არა ადამიანს ჩანერგილი ბიოლოგიურად ესთეთიური მოთხოვნილებანი? ამას არავინ არ უარჰყოფს. ესთეთიური გრძნობის დაკმაყოფილების საშუალება ხელოვნებაა. ესთეთიური გრძნობის განვითარება და მის დამაკმაყოფილებელ საგანთა თვისება დამოკიდებულია ადამიანის ფსიქიკაზე. ფსიქოლოგია კი შედეგია იდეოლოგიისა, ეს უკანასკნელი კი დამყარებულია და წარმოშობილია მწარმოებელ ძალთა განვითარებით, მაშასადამე კლასობრივი მოვლენაა.

აშკარაა რომ პროლეტარიატს, როგორც კლასს, თავისი იდეოლოგია და ფსიქიკა აქვს. აშკარაა რომ პროლეტარიატი სულაც არ არის მოკლებული ესთეთიურ გრძნობას და მის დაკმაყოფილების წყურვილს. პროლეტარიატს, როგორც კლასს, თავისი კლასობრივი ხელოვნებაც უნდა ჰქონდეს და თავისი ფსიქოლოგიაც, აქ ხანმოკლეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. თუ არსებობს კლასი, მას თან უნდა სდევდეს კლასის აუცილებელი ატრიბუტები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კლასი არ არის.

მეორე კითხვა: მოიპოვება თუ არა დღეს პროლეტარიატის სინამდვილეში ისეთი ელემენტები, რომელნიც ხელს უწყობენ პროლეტარულ ფსიქოლოგიის შექმნას და მის ხელოვნების განვითარებას და რაოდენი ექსტენსიუობით ვითარდება ეს ელემენტები? შესძლებს თუ არა პროლეტარულ ფსიქოლოგიის შექმნას მოკლე ხანში, რომელიც მის განკარგულებაში რჩება?

რომ დღეს ჩვენში ყალიბდება ახალი ყოფა-ცხოვრება, ახალი ფსიქიკა, ეს აშკარაა. მრავალ საუკუნეთა გამეფებული ფეტიში რელიგია, სულ 2—3 წელიწადში საგრძნობლად შეირყა, ყოველ შემთხვევაში მისკენ მიმავალი ხიდი ჩატყდა, გაბზარულია. ის, რითაც ხასიათდებოდა ძველი დახვესებული საზოგადოება—მეშჩანიზმი, უსაქმო ფუფუნება, პარაზიტობა, რომლითაც ამყობდა და თავი მოჰქონდა ამ საზოგადოების „მოწინავე“ ნაწილს, დღეს გათელილია და უარყოფილი. უსახსრო ინდივიდუალიზმის ნაცვლად ყველგან ფეხს იკიდებს კოლექტივიზმი. ყველა ის ელემენტები, რომელნიც ხელს უწყობენ ხელოვნების ზრდა-განვითარებას და თავის კლასობრივ დასს აჩნევენ, აშკარად მოსჩანან თანამედროვე ცხოვრებაში. და ეს ხომ სულ 3—4 წლის ამბავია. ბოლოს და ბოლოს საუკეთესო საბუთს და პასუხს ჩვენი მთავარი კითხვისათვის იძლევა თვით მიუდგომელი და უტყუარი მსაჯული—ცხოვრება. პროლეტარული ხელოვნება, შეიძლება ჯერე სუსტი, ახლად ფეხადგმული და მეტად ნორჩი იყოს, მაგრამ მაინც არსებობს. არიან პროლეტარული მწერლები, მუსიკოსები, ხელოვნები. ეს ფაქტია.

დიახ, პროლეტარული ხელოვნება არსებობს, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ ისახება. თვით რუსეთში ამ ეამად აუარებელი მხატვრული ხასიათის ჟურნალ-წიგნაკები გამოდის. არსებობს მრავალი ლიტერატურული ჯგუფები, მიმართულებანი, სწარმოებს დიდი დავა, კამათი პროლეტარულ ხელოვნების პრობლემების ირგვლივ.

ზოგი თითქოს სრულიად უარყოფს ასეთ ლიტერატურის შესაძლებლობას, ზოგი, პირიქით, მეორე უკიდურესობაში ვარდება,—სრულიად უარყოფს ძველ ხელოვნებას და მოითხოვს თანამედროვე ლიტერატურის ძალთა გაწმენდას და იძულებით, ხელოვნურად პროლეტარულ ლიტერატურის დამყარებას. ზოგს კიდევ ამ საკითხში საშუალო პოზიცია უკავია: ლებულობენ ძველ ლიტერატურას, ზოგიერთ გამონაკლისით, მოუწოდებენ პროლეტარულ მწერლებს ძველი კლასიკებისაკენ და სხვა. თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში შესამჩნევი ადგილი უკავია ეგრედ წოდებულ „თანამგზავრებს“ („პოპუტჩიკი“). ეს ის მწერლები არიან, რომელნიც აღიარებენ რევოლიუციას და ეგუებიან მას, მხოლოდ თავად პროლეტარულ ელემენტს არ წარმოადგენენ. აქ კამათი ზოგჯერ მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს: „კუხნიცა“, „ნა პოსტუ“, „ლევ“, „ოქტიაბრ“, „კრასნაია ნოვ“-ი და სხვანი. ამავე დროს „თანამგზავრნი“ მშვიდათ მუშაობენ და თავის საქმეს აკეთებენ. წარმოებულ კამათი მოწმობს, რომ პროლეტარული ხელოვნება კერძო ძიების ხანაშია, იკვლევს გზებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი დასაწყისშივე ჩიხში მოემწყვდა.

თვით ცნება „პროლეტარული ხელოვნება“ ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ ზოგადი მოხაზულობანი, მისი ჩონჩხი, უკვე აშკარად მოსჩანს.

რა არის საზოგადოებრივი ხელოვნება? ხელოვნება, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი სფერო, პირველყოველი არის ცხოვრების შესწავლა-შეცნობა. ისევე, როგორც მეცნიერება. ამიტომ ხელოვნებისათვის არ კმარა სუბიექტური გრძნობანი ხელოვანისა, იგი ნარტო კეთილ გრძნობათა აღმდგენი, მისივეა. ხელოვნება იძლევა განსაზღვრულ მსოფლმხედველობას. მეცნიერება სჭრეტს და შეისწავლის ცხოვრებას და სინამდვილეს ცნებათა საშუალებით, ხელოვნება კი სახეების საშუალებით. მეცნიერება ანალიზია ცხოვრების და სინამდვილისა, ხელოვნება კი — სინტეზი.

ამ რიგად მეცნიერება განყენება, ხელოვნება — კონკრეტობა.

ხელოვნების შემოქმედებითი პროცესში, სადაც თვით ხელოვანის „მე“ უსათუოდ გამოსჭვივის, თავის თავად ცხადია, რომ მასში იჭრება სოციალური ელემენტი. ხელოვანი თავის ეპოქის შვილია, იგი დატვირთულია კლასის ტრადიციებით. ამიტომ მხატვრული ნაწარმოები შედგება ხელოვანის სოციალური და წინდა მხატვრული ვინაობისა. მაშასადამე, მხატვრული ნაწარმოები უნდა დაიფასოს სოციალური და მხატვრული მხარეებით.

ამიტომ გავება და განმარტება ხელოვნებისა მხოლოდ მაშინ დაემყარება მტკიცე მეცნიერულ საფუძველს, როდესაც ხელოვნებას შევხედავთ როგორც სოციალურ ფაქტორს, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს და კლასობრივ ფსიქოლოგიის გამოსახულებას.

## შალვა დადიანი

ტომი I, პიესები. სახელმწიფო გამომცემლობა 1923 წ. არასოდეს ვერ ქართული საზოგადოებრივი აზრი ასე დაჟინებით არ მოითხოვდა თავისი ნაციონალური მეობის გარკვევას. აქედან დაიბადა საკითხი, სხვათაშორის, ჩვენი ახალი მწერლების თხოვლობათა გამოცემისა. სახელმწიფო გამომცემლობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ასეთ წიგნებზე და ბევრი თანამედროვე მწერალი ერთი დავიდარაბით და ჭაპანწყვეტით თვითონ კისრულობს თავის ნაწარმოების გამოცემას. ჩვენ მაინც არა დაგვრჩენია გარდა იმისა რომ სიხარულით არ მივეგებოთ ყოველ წიგნს, რომლის გამოშვებასაც სახელმწიფო გამომცემლობა კისრულობს. ასეთებიდან ამ უკანასკნელ დროს აღსანიშნავია შალვა დადიანის პიესების კრებული და ჩვენ გვსურს მასზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

დიდ ტანიანი წიგნი თითქმის 400 გვერდამდე, გამოცემულია ლაზათიანად, კარგა ხანს აიტანს აუკინძველობას და ეს ქართული წიგნისათვის კარგი ნიშანია. ავტორის სურათი და სამხატვრო ნაწილი კობტადაა შესრულებული. ამ წიგნში მოთავსებულია შალვას შვიდი პიესა: **მღვიმეში, როს ნადიმობდენ, შენი ჭირიმე, გუშინდელნი, ვარამი, გეგეჰკარი და მოულოდნელი შემთხვევა**, ამათაგან სამი უკანასკნელი პირველად იბეჭდება. თუმცა ორიოდ პიესა სხვა და სხვა მიზეზების გამო არ შედის ამ კრებულში, მაგრამ შალვა დადიანი აქ სრულიად გამართულია როგორც დრამატურგი.

როდესაც კითხულობთ ამ ოციოდე წლის მანძილზე დაწერილ პიესებს, თქვენ არასოდეს არ გწორდებათ ის აზრი, რომ შალვა დადიანი თვითონ მსახიობია და მისი პიესები დაწერილია კონკრეტულ პირობებში წარმოდგენილ ანსამბლის კარნახით. ასეთ გარემოებას არ შეუძლია რამე მიუმატოს პიესის ლიტერატურულ ღირებულებას, პირიქით შეუძლია რამე მიუმატოს პიესას ლიტერატურულ ღირებულებას, პირიქით, შეუძლია ბევრი რამეც დააკლოს მას. და და მართლაც, ზოგიერთ მის პიესებს ეტყობა ეს გარემოება და კიდევ სიჩქარით გამოწვეული ნაკლი.

დრამა საზოგადოთ არ არის სრული მხატვრული კონკრეტი. მეორე მისი მხარეა სახიობა. შალვას პიესები დაწერილია სწორედ წარმოსადგენად და მათი ესთეტიური დაფასება თეატრალური რეცენზენტის საქმეა. მაგრამ რამდენადაც მე მის პიესებს ვეხები როგორც მკითხველი, უფრო სუსტად მეჩვენება სწორედ ის პიესები, რომლებიც სცენაზე შეიძლება უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ასეთებია ჩემის აზრით, **რას ნადიმობდენ, შენი ჭირიმე და გუშინდელნი**.

მხატვრულად უფრო გამართულია 1905 წელს დაწერილი პიესა „მღვიმეში“ — ფანტასტიური სანახაობა სამ ნაწილად. ეგ ფანტასტიური სანახაობა მეტად გამჭვირვალე ალეგორიებით გვიხატავს ბრძოლას გაზოგადოების განახლების ნიადაგზე და ამ ბრძოლის შედეგს. რევოლიუციის განთიადზე ჩვენში ავ-



ტორს ისე ღრმად აქვს განცდილი პიესის გმირები: სახიერი, მზენა, ფიცხელა და საზოგადოთ მზის მაძიებლობა, რომ ორი აზრი შეუძლებელია იმის შესახებ თუ ვის მხარეზეა იგი.

მაგრამ აი, ბრძოლა დასრულდა. მიზანი მიღწეულია. ნაქონი უფროსი თავის ბედნიერებას და ვერ ამჩნევს, რომ მეორე მონობის ხუნდები უკვე გადაეხლართა მის გაშლილ ფრთებს. ძველი ქვეყნის გმირი უშუყ-ვეზირი უეცრად ახალი ქვეყნის გმირად გადაიქცა. ამისთვის საკმაო იყო თურმე მარტო კანის განოცვლა. ფლიდი და გაიძვერა ის ისევ გაბატონდება ამ ხალხზე და ახალი მზის სინათლეზე ეს კვალ აბნეული ბრბო უფრო მწვავედ იგრძნობს თავის სისაწყლეს და გაჭირვებას. ამის შესახებ ხალხს დღესვე აფრთხილებს მგოსანი **ზენისი**. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზენისი და მზის მაძიებელი ეხლა სულ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ზენისისათვის არაფერს არ წარმოადგენს დღევანდელი, ის შორს იხედება, ის დარწმუნებულია, რომ შორსაა ნამდვილი ბედნიერება და თავისუფლება. და ამ თავის დროის ჩაადევისათვის სინამდვილე იმდენად დაცილებულია იდეალისგან, რომ მას თვით ამ სინამდვილის არაფერი სწამს. და შორეულის სევდიანი სიყვარულითაა აღზნებული მისი სული, როცა ის მიმართავს ბრბოს კადნიერი სიტყვებით: „ოო, უგუნონო! იცით კი რაშია სიდიადე?.. განა თქვენ ისევ იმ ხროვას არ წარმოადგენთ, რომელმაც მგელს გამოსტაცა თავი, მაგრამ ეხლა მელას აბარებს?.. თხვენ მხოლოდ კანი იცვალეთ, შინაგნობა კი ისევ ძველია! ისევ ის უსამართლობა, ისევ ის ჩაგვრა დიდისგან პატარისა, ისევ უფროს უმცროსობა... ძველი ხმები, ძველი კილო! თალი კი დაანგრიეთ, მზე კი ჩამოუშვიო! მერე რათ? თვითაც არ გესმით! ჯერ არ აღზრდილხართ თვითონვე თქვენ და სამართლიანობა კი გინდათ დაამყაროთ ქვეყნად. არა მძულხართ დიდის სიძულვილით ბრმები და უგუნონი!“.

შეურაცხყოფილი ხალხი ჩაქოლავს ზენისს, მაგრამ ეს უკანასკნელი დარწმუნებულია, რომ მისი აზრი ჩაექდო ხალხის ტვინს, მოედო მის გონებას და, როგორც უკანასკნელი სიმართლე, ბოლოს გაიმარჯვებს.

1905 წელში ზენისის ტიპი რევოლუციონურ დრამაში ორიგინალური და სერიოზული ლიტერატურული სკოლის ნიმუშია.

შალვა დადიანი შეუდარებელია, როდესაც მხატვრულ სანახაობას გვიშლის ისტორიულ პერსპექტივით. აქ ყოველთვის და სხვათა შორის პიესებშიაც შალვა დადიანი დიდი ხელოვანია. მისი „ვარამი“ და „გეგეჭკორი“ ცხადათ მოწმობს თუ რა ტანჯვითა და სიყვარულითაა მიჯაჭული მისი აზრი ჩვენს წარსულზე. იქ, წარსულში ხშირად გადატანილია თანამედროვე კითხვები. მაგრამ გზა და გზა ავტორის მძაფრი ინტუიცია ხორცს ასხამს წარსულის ლანდებს, და ჩვენ ვხედავთ, ვგრძნობთ გაცოცხლებულ საუკუნის მაჯის ცემას...

მომაჯადოებელია უბრალოება, რომელშიაც სჩქეფს შემოჭმედების ანკარა წყარო და რა შეედრება მაგ. თამარის სახეს უბრალო და მტკივე ხატუნებით: თამარი—მეფე, თამარი თავისი ქვეყნის მოქალაქე და თამარი—ქალი! ორი კალმის მოსმით ჯერ არავის არ მოუცია ჩვენში ისეთი დასრულებული და ხელშესახები სახე. ასეთივეა ამ დრამის სხვა გმირებიც.

„გეგეჭკორი“ ისეთივე თანამედროვე ისტორიული დრამაა, როგორც „ვარამი“, მაგრამ შალვას ამ დარგის ნაწარმოებებში ის ყველაზე უფრო ღრმადაა შესრულებული. ფსიქოლოგიური მასალა გამიყენებულია დიდის ხელოვნებით;

ტიპები — მკვეთრად გამოქანდაკებული; სულის სიღრმეში გწვდება არა მარტო ის სანახაობა, რასაც ავტორი გვაჩვენებს, არამედ კიდევ რაღაც სხვა, რაც დაფრინავს სიტყვებსა და მოქმედებას შუა და გარდაუვალა როგორც ბედისწერა. შეადგამ თუ არა ფებს ამ პატარა მაგრამ ტიპიურ დესპოტიკულ-დადის სასახლეში, უკვე გრძნობ, რომ ყველა და ყველაფერი აქ განწირულია და დაფრინებული საუკუნოების ბერკეტს შეუძლია გადააყიროს ის, რასაც ასეთი თავგანებებით ეკვეთება მარტოხელ სამართლიანობის მოტრფიალე რევოლიუციონერი. აქ არ არსებობს არავითარი „უეცრად“, მოქმედება პირდაპირ და გარდაუვალი ხაზით მიდის თავის დასკვნამდე და ადამიანის სულისათვის გადაუჭრელი შინაგანი წინააღმდეგობა საშინელის ტანჯვით გაჰკივის ქვეყნის უსამართლობაზე...

„გეგეკორზე“ სიტყვის გაგრძელება შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მსურს დავათავო, ხოლო ორიოდ სიტყვით აღვნიშნავ შალვას შემოქმედების ერთ მხარეს, რომელიც შეუძლებელია დაივიწყო, როცა კი მის ნამოქმედარს თვალს გადაავლებ. მე ვამბობ შალვაზე როგორც მოქალაქეზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ შალვას შემოქმედებაში მისი პიროვნება აღმართულია როგორც ძველი მისი ქვეყნის ღირსეული შვილისა და მოქალაქისა.

მას არასოდეს არ შეშლია ერთხელ აღებული გეზი მტკიცე რწმენით მორწმუნე რევოლიუციონერისა. წელთა განმავლობაში ჩვენი პოლიტიკური პორტიონტი ბევრჯერ დაფარულა შავი და მკონარე ღრუბლებით, მაგრამ შალვას რწმენა არასდროს არ შერხეულა. ის დიდის დაკვირვებით ადევნებს თვალს საზოგადოებრივი იდეალების ცვალებადობას, ახალ კლასიური იდეოლოგიის შემოქრას (როს ნადიმობდენ), ძველი კლასების გახრწნისა და გადაგვარების პროცესს (შენი ჭირინე), ინტელიგენციის მერყეობას „მოდის“ იდეალებით გატაცებას ან უიდეალობას (გუშინდელნი), მენატრიანეს სისწორით აღნიშნავს აჩქარებას თუ მოდუნებას კხოვრების მაჯის ცემისას, თვითონ კი, როგორც იბსენის ბრანდი მუდამ იხედება შორს და ზევით და მისი თვალი ჯვერ არ მოშორებია და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, არც მოშორდება ვარსკვლავის გზას.

ვინჩი.

## ბიბლორ თევაია

„კერძო და საზოგადოებრივი მეურნეობა“ ვერნალ „კოოპერაციის“ რედაქციის გამოცემა, 134 გვ. ფასა 75 კ. ჩერვონციით. წიგნში, როგორც უკვე სათაურიდან სჩანს დასმულია საკითხი: კერძო და საზოგადოებრივ მეურნეობის ღირსება ნაკლულოვანებაზე. ძნელია ეკონომიურ აზროვნების ისტორიაში აღინიშნოს ისეთი საკითხი, რომლის შესახებ, ესოდენი აზრი გამოთქმულიყოს, ესოდენი აზრთა სხვადასხვაობას ქონოდეს ადგილი. ეს აიბსნება რასაკვირველია იმ მდგომარეობით რომელშიაც იმყოფება დასახელებული საკითხი. სახელდობრივი შეეხება წმინდა პრაქტიკულ ეკონომიკას, ყველა სახელმწიფოთა წინაშე იგი დგას, როგორც პრაქტიკული ამოცანა. ავტორი თავის გამოკვლევას ევროპის სახელმწიფოთა დაკვირვებაზე აფუძნებს და აგრეთვე თეორიულ დასაბუთებას მაჩქის ეკონომიურ მოძღვრებაში ეძებს. ასეთის მსჯელობის გზით ავტორი იმ დასკვნებამდე მიდის, რომელიც მიზის აზრით ძირეულად ეწინააღმდეგებიან ლორდ ავენბაუერის წიგნში გამოთქმულ შეხედულებათ. უწინარეს 1) საზოგა-

დობრივი წარმოების ორგანიზაცია თანდათან ვითარდება და კარგავს ბიუროკრატიულ იერს; 2) საზოგადოებრივი მეურნეობაში საქონლის ფასი უფრო იაფია ვიდრე კერძოში. პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს საზოგადოებრივი წარმოება საგრძნობ დახმარებას უწევს; 3) საზოგადოებრივ მეურნეობაში, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ვიდრე კერძო მეურნეობაში.

ამ დებულებათა საწინააღმდეგოთ არაფერი გვაქვს სათქმელი, საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ ავლნიშნათ რომ, როდესაც საზოგადოებრივ მეურნეობაზე ვლაპარაკობთ, გარკვეული უნდა იყოს მკაფიოთ თვით ცნების შინაარსი, ამისათვის კი უწინარეს საჭირო იყო გარკვევა, თუ რა პრინციპიალური საფუძველი მიაჩნია ავტორს აუცილებლად საზოგადოებრივ მეურნეობისათვის, რადგანაც ეგ უკანასკნელი ვიცით ჩვენ, შეიძლება სწარმოებდეს საჯარო — უფლებრივ ხასიათის ნიხედვით ან და კერძო უფლებრივ ხასიათით. ამ უკანასკნელში საზოგადოებრივი ორგანიზაცია გამოდის როგორც კერძო პირი აქ არ არის განსხვავება პრინციპიალურ ხასიათის. პირველ შემთხვევაში კი შესაძლებელია **სახარკო** პრინციპი, როდესაც საზოგადოებრივი მეურნეობა სარგებლობს მოსავლით და წარმოებებს შემოატანიებს საშუალო კომერციულ მოგების გარდა ხედმეტს. ეს არის ხარკი. მაგალითად თამბაქოს მრეწველობა საქრანგეთში. შესაძლებელია აგრეთვე საფასურის პრინციპი ე. ი. სპეციალურ ნაღვაწევი გაწეულ მსხვერპლისათვის.

შესამე წმინდა გასავლის პრინციპი საზოგადოებრივ მეურნეობის უპირატესობის გარკვევის დროს ავტორმა სახელმძღვანელოდ ერთ-ერთი პრინციპი უნდა მიიღოს ან და მათი განაწილების შესაძლებლობა დასახოს, მაშინ გარკვეული იქნებოდა საქმის ვითარება.

საზოგადოთ უნდა ითქვას, წიგნს აკლია კრიტიკა კერძო მეურნეობითი ინიციატივის და დაპირდაპირება კერძო მეურნეობითი პრინციპით წარმოებულ საზოგადოებრივ მეურნეობისადმი. საფასურის პრინციპი საზოგადოებრივი საქროების შედეგია, მხოლოდ იგი შეუძლებელია გავრცელებულ იქმნას ყველა დარგებზე, რადგანაც წარმოების დეფიციტი ხარკითაა ანაზღაურებული. ამით აიხსნება ის გავრცელება საზოგადოებრივ მეურნეობისა თუნდაც ინგლისში, რომელიც ყველაზე ძლიერ დამცველია ინდივიდუალურ თავისუფლების. აქედან გამოვიდნენ ცნობილი მოციქულები ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის.

ხსენებული წიგნი ავტორის მიერ მდიდარ მეცნიერულ დასაფუთებით არის დაწერილი და ჩვენს ღარიბ ეკონომიურ ლიტერატურაში ის დადებითი მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

### თბილისის უნივერსიტეტის მოაგბე.

უნივერსიტეტის პირველ რექტორს, დამსახურებულ პროფესორს, ქიმიის დოქტორს პეტრე მელიტიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის თავზე. აღწვად პროფესოროთა საბჭოსაგან. თბილისი 1923 წ.

ჩვენ ხელო გვაქვს უკვე მე-III ტომი თბილისის უნივერსიტეტის მოაგბის კრებულისა და, როგორც ყოველთვის, კრებული, აუარებელ მდიდარ მასალას იძლევა თითქმის ყველა მეცნიერულ დარგებიდან. კრებულის შესამე ტომი ეკუთვნის ძღვნად პროფესოროთა საბჭოსაგან დამსახურებულ პროფესორ პ. მელიტიშვილს. პირველი წერილი მ. შალამბერძის, ეკუთვნია პ. მელიტიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვას. გარჩეულია მოკლედ მისი ორიგინალური შრომები. წერილის ბოლოში დასახელებულია პროფ. მელიტიშვილის ნაშრომთა სია, როგორც

რუსულ, აგრეთვე უცხო ენებზე. წერილი—ლეინის მთავარ მომქმედი ნეიტორების საკითხის შესახებ, — ეკუთვნის ი. ქუთათელაძეს. წერილს დართული აქვს ხოგადი განმარტება მოუღებია შესახებ და მოყვანილია საილიუსტრაციით 20 მრუდე. წერილი ნ. მუსხელიშვილის — *Sur l'équibilibite des corps élastiques soumis à l'action de la chaleur* — არ ეფუძნება მასაზრებებს აყენებს დრეკად სხეულთა წონასწორობის შესახებ გათბობის დროს შექმნილი წერილი ეკუთვნის კეკელიძეს — ლეონტი გროველის ლიტერატურული წყაროები. — ლეონტი გროველის მთავარი შრომა — ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესაეთა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, შეიცავს ქართველთა ისტორიას წარმართობის ხანაში, გაქრისტიანების ამბავს და თავგადასავალს მირიან მეფიდგან ვახტანგ გორგასლანამდე. ეს შრომა როგორც ისტორიული ნაწარმოები განხილული აქვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს. პროფ. კ. კვცილიძე კი არჩევს თავის წერილში ამ ძეგლს როგორც ლიტერატურულ შრომას. კრებულში მთავარებულთა აგრეთვე ფილოსოფიური წერილი პროფ. შ. ნეცუბიძისა „შემეცნება როგორც ფილოსოფიური პრობლემა“. ეს წერილი, თუ შეიძლება ითქვას, ავტორის მიერ თავის „ალეუსოლოგიის საფუძვლებში“ გამოთქმულ მთავარი აზრების დაცვას წარმოადგენს.

ნათლად და გარკვევით გვიშლის თვალწინ თუ როგორ უნდა იქნეს გაკვებული შემეცნების საკითხის დაყენება, როგორც ფილოსოფიურ პრობლემის.

შემდეგ მიდის წერილები — ალექსანდრე ჯავახიშვილის — „კავკასიური მოდგმა“, — ივანე თიკანაძის, — შორეული შედეგები უკან გადაღუნული საშვილოსნოს წამლობისა *Doleris—cilliam bardesou*-ს წესით. არჩილ ხარაძის — ზოგიერთი გამოცნებანი ერთი კერძო სახის პალინომებისა — პროფ. გ. ჩუბინაშვილის წერილი საქართველოს საერთო ხუროთ-მოდღერების რამდენიმე ნიმუში — ფრიად საინტერესო მასალაა ჩვენი, საერთო ხუროთ-მოდღერების საკითხის გასარკვევად. სრულიად სამართლიანად ამბობს პროფ. ჩუბინაშვილი: „ჩვენი ქვეყნის ტაძრები სრულიად ინდივიდუალური მხატვრული ფორმებით იმდენად თავისებურნი არიან და იმდენად მაღალ ღირებულებას წარმოადგენენ რომ არ შეიძლებოდა არ გამოეწვიათ მათ ბელოვების დამდასებელთა შორის აღტაცება და განცვიფრება, ხოლო რაც შეეხება საერთო ხუროთ-მოდღერებას, მისი ძეგლები არ იქცევიდნენ ყურადღებას, რადგანაც მთელი მათი შინაგანი მორთულობა დაკარგულია დროთა განმავლობაში. პროფ. ჩუბინაშვილი იხილავს ნანგრევებს საერთო შენობებისას, რომელშიც წარმოადგენენ ფეოდალებისა და ეპისკოპოსების წინაშეებს. ესენი არიან სასახლეები ნეკრესის ტერების, ენთასისა, ვაჩნაშიანთში და კვეტრაში. აგრეთვე აგადემია იფალთოში. კრებულში წერილი „*Datus praedicatoris*“ ასურ ენაში“ ეკუთვნის პროფ. გ. ახვლედიანს. შემდეგ მოთავსებულია ექსპერიმენტალური გამოკვლევა დოლობერიძისა — გლიკოგენი ორსულობის დროს — სურათების დანართით და განმარტებით. შ. ბუქიას ეკუთვნის წერილი — ზოგიერთი ჩვენებური ლეინის ანალიზი — მოთავსებულია აგრეთვე ანალიზების ცხრილი. შემდეგი წერილი ეკუთვნის სიმონ ყაუბჩიშვილს — შატბერლის კრებული სასწავლო წიგნი — პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა — ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდი უცნობი ისტორიკოსის თხზულება — ფრიად ღირსშესანიშნავ მასალებს იძლევა. შემდეგი წერილი — საშვილოსნოს პერფორაცია ბოროტი განზრახვით მუცლის მოწყვეტის დროს, — ეკუთვნის ე. კვცილიძეს. კრებულში მოთავსებულია პროფ. გრ. წერეთლის გამოკვლევანი — მენანდროს კომედიების შესახებ — მენანდროს კომედიებზე შენობამ პროფ. წერეთელს დიდი მეცნიერის სახელი გაუთქვა. ამ გამოკვლევათა ქართულ ენაზე დაბეჭდვა ფრიად ღირს-შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

წერილი ვალი და გირათ როგორც კლების დამონაგების საფუძველი უძველეს საბერძნეთში, — ეკუთვნის გ. ნათაძეს.

ნიხა ციციშვილის წერილი — ჩვენებური ნიგვზის და თხილის ანალიზები — და მიხ. შელამბერიძის — ჩვენებური ნიგვზის ზეთის თბობის უნარი ყურადღებას იპყრობენ. შემდეგ მოთავსებულია ალ. ნათიშვილის — ადამიანის კოლინჯის ფიქსაციის მექანიზმი და გ. ალექსანდროვის გერმანულ ენაზე *Ueber die Zusammenziehung der Blattesfläche der kräutigen Pflanzen.*

საინტერესოა აგრეთვე დოც. ს. დანელიას — „არისტოტელის მნიშვნელობა საბერძნეთის ფილოსოფიის ისტორიოგრაფიისათვის“ — წერილში გარჩეულია არისტოტელი, როგორც ფილოსოფიის ისტორიის წყარო. 2. არისტოტელი როგორც ფილოსოფიის განვითარების ისტორიკოსი.

შემდეგ მიდის წერილები — ალ. დიდებულისა პალიფესტების რეპროდუქციისათვის —

ელ. ფუნქციის ცენტრალური წერტილის სისტემის მეორადი მრავლობითი გლიომები—2 სურათის დართვით, გ. ნიკოლაძის—*Einige Eigenschaften der Bisspunktkurven in der Variationsrechnung*—ალ. თვალჭრელიძის—თავის საბანი შიშა და ზოგიერთი მისი მოსაპოვარი ადგილი დასაველეთ საქართველოში—შალვა შიქვლაძის სისხლის წინფე მაღაროს ტროს—და აკ. შანიძის ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. წერილს დართული აქვს ჰაემეტის ტექსტების ნიმუშები. წიგნი დაბეჭდილია კარტაგენის შრიუტი და კორექტურა. წიგნი ღირს 2 მანეთი ჩერვონეცით და შეიქმნა კარტაგენის უნივერსიტეტის სამკითხველოში.

დ. 8.

### რევოლუციის მატიაწე.

(პარტიის ისტორიული ჟურნალი № 3)

საბჭოთა ხელისუფლების დროს ერთ მეტად სიმპატიურ საქმეს ჩაეყარა საძირკველი, ესაა კომპარტიისა და საზოგადოთ რევოლიუციის წარსულის შესწავლის საქმე. ნიკოლაძის ბატონობის დროს ასეთ საქმეზე ფიქრი წარმოუდგენელი იყო. მენშევიკების ხანაში მისთვის არავის ეცალა. თუმცა ისიც შეიძლება ითქვას რომ არც უნდაც მთავრებოდა.

სულ ხუთი ნომერი გამოვიდა წლის განმავლობაში. პირუთენელად უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ახლად გამოსული ნომერი მასალების სიმდიდრითა და სიპრულით სჯობია წინა ნომერს.

მე-5 ნომერი გარდა ოფიციალურ განყოფილებისა შეიცავს 8 განყოფილებას. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია ისტორიული ხასიათის წერილები ს. თალაკვაძისა და რ. კალაძისა. პირველი ავტორი ირილავს საქართველოს რევოლიუციის უახლოეს წარსულს 1902 — 85 წლების ხანას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრარულ მოძრაობას, რომელმაც იმ ხანებში დართო ხასიათი მიიღო. აგრეთვე აღნიშნავს სხვა სახით რევოლიუციონურ გამოსვლებს, ს. დ. პარტიის საქმიანობას, მოწინააღმდეგე პარტიების წარმოშობის ისტორიას და სხვა. ეს ისტორია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულად, შას ვერ დარტევეს 20 გვერდი, მაგრამ ამ მხრივ როგორც პირველი ნაბიჯი უსათუოდ დამაკმაყოფილებელია.

რამდენ კალამე მოგვითხრობს ბოლშევიკების კერძოდ, რევოლიუციის საერთოდ, ორგანიზაციის ისტორიას 1905 წ. 1920 წლამდე. ამ ისტორიის კითხვის დროს თქვენთვის ნათელი ხდება მენშევიკების მნიშვნელობა, გაუბედაობა, არშეფერება, ოპორტიუნიზმი და ბოლშევიკების თავიდანვე გატაცებული და თავდადებული რევოლიუციონერობა. წერილში ბევრი საინტერესო ცნობები და მასალებია დაგროვილი, რაც დიდი ხალისით და გატაცებით იკითხება.

შემდეგი განყოფილება მოგონებათა განყოფილებაა. ეს განყოფილება იხსნება აბელ ენუქიძის მეტად საინტერესო მოგონებით არა ლეგარულ სტამბების შესახებ კავკასიაში. ამ საქმესაც სათავეში უდგებიან იმ თავიდანვე ბოლშევიკები, არა მარტო საქართველოს და ამიერ კავკასიის, არამედ რუსეთის მასშტაბით. შემდეგ მას მიყვება მოგონებანი გ. ჩხეიძის კ. ცინცაძის, თ. კალანდაძის, ს. თოდროსის, ნ. შიროტაძის, დ. რუხაძის, ი. ცაბაძის, კ. ცინცაძის, გ. ნუცუბიძის და ბ. დავითაშვილის. ამ მოგონებებში თქვენს თავაწინ იხსლება საქართველოს სხვადასხვა კუთხის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია, როგორც ნიკოლაძის, ისე მენშევიკების დროს.

ავტობიოგრაფიების განყოფილებაში დაბეჭდილია ფილიპე მახარაძის ავტობიოგრაფია. შემდეგ მიჰყვება რევოლიუციის მსხვერპლთა განყოფილება.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია პარტიული არქივი. ამ განყოფილებაში მთლიანად არის დაბეჭდილი კობა ჯულაშვილის წიგნაკი „გაკერით პარტიულ უთანხმოებაზე“. შემდეგ ფ. მახარაძის მოხსენება მე-3 კომინტერნის მეორე კონგრესის შესახებ და სხვა.

საერთოდ ეს ნომერი მეტად მდიდრულად არის შედგენილი და დასურათებულია 9 სურათით.

მეგობარი.

### ლ. ტროცკი. ოპტოგრაფის რევოლუცია.

ავტორის წინასიტყვაობით ქართულ გამოცემისათვის. საქართველოს კომუნისტურ პარტიის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამოცემა თბილისი 1922 წ. გვერდი 112.

წიგნი, როგორც ავტორი ამას წინასიტყვაობაში აღნიშნავს, დაწერილია ბრესტლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებების დროს ნაწილად-ნაწილად და რამდენიმედ ზეპირათაც, პირად გა-

სხენებით. მუხედავათ ამისა წიგნში სისწორით, სრულად და მხატვრულად აღნიშნულია ყველა ის მომენტები, რაც წინ უძღოდა ოქტომბრის რევოლუციას და რაც შემდეგ მოხდა ბრეტ-ლიტოვესკის საზავო მოლაპარაკებამდე. წიგნი დანიშნული იყო პირველ ხანებში უმთავრესად საერთაშორისო მუშათა კლასისათვის, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის მტრები და ამ რევოლუციისაგან დამჯობხალ-დაზინებულებმა ოთხი ზღაპარ-არაკი გააფრეცულეს. მაგრამ მისი გამოცნობა მაინც საჭიროდ იქმნა ცნობილი რუსულ ენაზე და მთელ რუსულ ენაზე, სადაც იმ დროს ოქტომბრის რევოლუციის მტრები და მათ რიცხვში ქართველი მენშევიკები ისევე ზღაპრებით კვებავდნენ საქართველოს მუშათა კლასს.

წიგნის შინაარსი ასეთია: მუშანურ ინტელიგენციას რევოლუციამ მოულოდნელად მოუხსრო, რევოლუციამ ის საბელმწიფოს სათავეში მოაქცია. ინტელიგენციის მუშანურ ბუნებას ვერ განეკუთრება დროის ძირითადი მოთხოვნებიანი ნაცვლად იმისა, რომ ხალხისათვის ფართო რეფორმები მიეცა, ის დაუკავშირდა ბურჟუაზიას. მუშათა კლასმა მოითხოვა დაუკონებლივი ზავი, მეფის საიდუმლო ხელშეკრულების გამომდგენება. დროებითმა მთავრობამ ესვრების და მენშევიკების ლოცვა-კურთხევით მუშათა კლასის ასეთი მოთხოვნა არ ისმინა. პირობით, ამის შემდეგ აუწყა ანტანტის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ჩვენც ხელს ვაწერთ მეფის ხელშეკრულებებსო, ხოლო ჯარს უბძრძანა თავდასხმაზე გადასვლა. იწყება ოცბრვლის ბურჟუაზიულ რევოლუციის კრიზისი. უკმაყოფილო ხალხი პეტროგრადასა და მოსკოვში დემონსტრაციებს ახდენს ჯერ 18 ივნისს, შემდეგ 3—5 ივლისს. ხდება უკიდურესი კლასიური გამოჯენა, გადაბანაკება. მუშები, გლეხები, ჯარისკაცები ბოლშევიკების დროშის ქვეშ სდგებიან, თეთრ გვარდიელები, ყოფილი ოფიცრები, იუნკრები, კაპიტალისტები, მოტყუილებული კაზაკთა მცირე ნაწილი, კაპიტალისტების შვილები, სტუდენტები, მუშანური ინტელიგენცია და სხვა ნაძირალები დროებით მთავრობას აფარებდენ თავს, იწყება საშინელი კომპანია ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკები უკვე არა ლეგალურად მუშაობდნენ. საბჭოების არჩევნები სადაც კი ხდება, მიუხედავად საბჭოების დევნისა, ბოლშევიკები იმარჯვებენ. ამ დროს ასპარეზზე გამოადის სამხედრო კონტრევოლუცია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ. მაგრამ ბოლშევიკებმა არ დააცალა კონტრევოლუციის და ჩანთაგდო კონტრევოლუციონური მთავრობა, შემდეგ დაწვრილებითაა მოთხოვნილი კერენსკის ვალაშქრება, მისი დამარცხება, დამფუძნებელი კრების გარეკა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და სხვა. წიგნი ათბულიარული ნაშრომია.

**ს. ხუნდაძე თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები.**

წიგნი პირველი, იმპერიალიზმი ნავთის საკითხში. 209 გვ. სახელმწიფო გამომცემლობა.

ამხ. ხუნდაძის პირველი წიგნი უთუოდ დასაფასებელია: თემა თითქმის უცნობი არის ჩვენი საზოგადოებისათვის. წიგნი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გამოაშკარავებულია იმპერიალისტების აგრესიული პოლიტიკა. წიგნის პირველ თავში მოცემული არის საწყაე მასალებისა (ნაშშირის და ნავთის) და რკანის გარშემო არსებული უთანხმოების ზოგადი მიმოხილვა, საიდანაც მკითხველისათვის თვალნათლივ იშლება ის გზა, რომლითაც ევროპისა და ამერიკის საბელმწიფოები მოემართებიან საერთაშორისო ბრძოლის სარბიელზე. აქვეა ევრსალის ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობის გარკვევა და შემდეგი წლების ინტერესი ამ საკითხისადმი.

მკითხველისათვის სანახევროდ გაუკებარი დარჩებოდა ნავთის გარშემო ატყხილი ბრძოლის ძირითადი მიზეზები, რომ ის წიგნის მეორე თავშივე არ ეცნობოდეს ნავთის რაოდის მნიშვნელობას მსოფლიო მეურნეობაში. ამ თავს აღბად მრავალი წაიკითხავს განსაკუთრებული ინტერესით და მრავალთათვის გახდება ნათელი ნავთის ტუბნიკური მნიშვნელობა, მისი როლი საერთაშორისო ომსა და წარმოებაში.

მესამე თავში იმპერიალისტურ საბელმწიფოთა ნავთის პოლიტიკაა გადმოცემული. ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის შეწყვეტა მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისის ბრძოლა ეკონომიური გზით ნავთის რაიონების დასაპკრობად, ნავთის მარაგით უპირატესობა ინგლისის ამერიკასთან შედარებით და ამ ნიადაგზე დაფუძნებული კონფლიქტი, ყოველივე ეს გადმოცემულია ზედმეტი ციფრებით დატვირთვით გარეწე, და რაც მნიშვნელოვანია, გაშუქებულია უცხოელ დაინტერესებულ მხარეთა ავტორებით. ამავე თავში მოყვანილი არის თანამედროვე კაპიტალიზმის კალონიალისტურ და იმპერიალურ პოლიტიკის საუცხოვო დოლიკები. ამ თავში,

რალაც გარემოების გამო არაა მოცემული მთლიანი განხილვა გერმანიის იმპერიალისტური პოლიტიკისა ნავთის საკითხში. ვერსალის ზავის მიერ გერმანიის ჩამოკლება ნავთის წყაროებიდან იმას არ ნიშნავს, თითქოს გერმანიის იმპერიალისტურ პოლიტიკას ამ საკითხში თავისი ისტორია არ ქონდეს. ამის წინა ათეული წლის განმავლობაში გერმანიის მრეწველებმა, რომელთაც სათავეში ბანკები Deutsche Bank და Disconto Gesellschaft უდგნენ დიდი ბეჭობა გასწიეს რუზინის ნავთის მრეწველობის მოსაწესრიგებლად და მასაწყობად გერმანიის უმთავრესად ამ გზით იკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამას გარდა გერმანიას თავისი წილი ქონდა მესობოტანიის ნავთის ექსპლოატაციის საქმეში (1914 წლის ინგლის გერმანიის ხელშეკრულება). ამ უკანასკნელ წლებშიც - გერმანიის მსხვილმა სამრეწველოებმა Deutsche Erdöl Aktien-gesellschaft და სხვებმა შესძლეს თავისი ხვედრი წილი გაჩენაც მექსიკისა და სამხრეთ-ამერიკის ნავთის მრეწველობაში და წინა სოაპერაციო წელს 400 პროც. დივიდენდიც კი დაურიგეს თავიანთ აქციონერებს. ასე რომ, საკითხის ამ მხრივ გაშუქება, კიდევ უფრო მეტ სისრულეს ნისცემდა წიგნს.

წმდეგ თავში დალაგებულია ნავთის გარშემო არსებული ბრძოლის მიმოხილვა, დაწვებული ვერსალის ზავიდან; განსაკუთრებულ ინტერესით იკითხება გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით განხილული საქართველოს საკითხი და მენშევიკების ცდა ნავთის საკითხის გამოყენება. აქ მკითხველი ნათელ წარმოდგენას მიიღებს იმ საკითხზე, რომელიც მას კურომოკვრით სმენია და რომელიც ასე აღელვებდა ჩვენს საზოგადოებას.

წიგნის მეზუთე თავი გასულ საკითხისაღმია მიძღვნილი, რომელშიც გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის ბრძოლის სურათია გადაშლილი „ავადმყოფი ადამიანის“ სხეულზე. წიგნი იხურება კაპიტალისტური მეღრნობის მოკლე ანალიზით და პროლეტარიატის ინტერესების განვითარებით იმპერიალისტურ ბრძოლის ორომტრიალში.

ენის მხრივ წიგნი დამაყნაყოფილებელია; დეჟექტები უმთავრესად წიგნის პირველ ნაწილშია მოცემული: არის დაუწყებელი გამოთქმებიც („სადამოქონო“, „სნარიადები“ და სხ.) ტენიკურად წიგნი კარგადაა გამოცემული.

### ყოველ-თვიური სამეცნ. კრებული „ჩვენი მემნიერება“

ნოემბერი-დეკემბერი № 6—7 ტბილისი, 1923 წ. რედ-გამომცემელი ან. შილაკაძე

თითქმის ერთი წელიწადი სრულდება, რაც სამეცნიერო კრებული ჩვენი მეცნიერება გამოადის. ამ ხნის განმავლობაში არ გამოსულა არც ერთი ნომერი, რომელიც შინაარსის მხრივ მდიდარი არ ყოფილიყო. მე 6 — 7 ნომერში პირველი წერილი ეკუთვნის ნ. ქოიავას: პარადოქსები ფასების ჩამოყალიბებაში, არ შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერების მხრივ წერილი სავსებით დამაკმაყოფილებელი იქოს, რაც იმას ნიშნავს რომ, იმ პარადოქსზე ფასების ჩამოყალიბებაში, რომელზედაც ავტორი მოგვითხრობს, ძალიან ცოტა არის ნათქვამი და დაუმთავრებელ აზრის შთაბეჭდილებას ჰქმნის მკითხველში. ავტორი იხილავს ფასების ჩამოყალიბების საკითხს ომის შემდეგ, და ეხება კერძოდ გერმანიას. რას ვხედავთ აქ ავტორის აზრით? — ერთსა და იმავე ბაზარზე არსებობს არა ერთი და იგივე, არამედ სხვადასხვანაირი ფასი ერთსა და იმავე საქონელზე. მეორეს მხრივ მყიდველები ორჯგუფად არიან გაყოფილი თვისტომებად და უცხოელებად და ერთსადაიმავე სავაჭროში, ერთსადაიმავე საქონელზე ამ ორი ჯგუფისათვის სხვადასხვანაირი ფასი არის დაწესებული. თვისტომი ნაკლებს იხდის ვიდრე უცხოელი, და განსხვავება მეტად ხელსახეები და მნიშვნელოვანია. ასეთ წესს არა მარტო კერძო სავაჭროებში ვხვდებით, არამედ სოციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგ. უნივერსიტეტში და სკოლებში, მუზეუმებში შესვლისათვის და სხვა. ავტორი არკვევს ამის მიზეზებს და დასკვნის, რომ შემცდარია შ. ეიდის შეხედულება რომლის აზრით, თითქოს იმა არც ერთი ეკონომიური კანონი არ დაერღვიოსო. ნ. ქოიავას აზრით დღევანდელ ეკონომიურ ცხოვრების მიმდინარეობაში მრავალი კანონი უარყო და ახალი კვლევა-ძიების წინ დააყენა ეკონომიური მეცნიერება.

მეორე წერილი ეკუთვნის სოფიო წერეთელს. „ადრეული სუსტკონცხიანობით შეპყრობილი ბავშვის სწავლების ცდა.“ წერილი წაომოადკენს იმ ექსპერიმენტის შედეგის დალაგებას რომელიც ს. წერეთელს მოუხდენია 1920 წ. სუსტკონცხიანობით შეპყრობილ ბავშვზე. ავტორი ამ ცდის და მისი შედეგების დეტალური აღწერის შემდეგ დაასკვნის რომ მისმა ცდამ დაადა-

სტურა რამდენამდე დრრევის „ჰიპოთეზი“ იმის შესახებ, რომ სისტემატორი გარჯიშობის შენ-  
წყობით შესაძლებელია სუსტგონებიანი ვონებრივი ძალები დაკულ იქმნენ საბოლოო დაშლისა-  
გან და რამდენადმე განვითარების უნარიც გამოიჩინონ.

შემდეგი წერილი „სკოლა და სახალხო განათლება ძველ სსრკ-ში“ ეკუთვნის ალექ-  
სანდრე წერეთლის წერილს. დაკვირვება და მუშაობის დალი ამხედრება.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის ქართული ერის ისტორია  
და იწყება დალაგება მეფე კიორგი ალექსანდრეს ძის პროფ. გ. ახვლედიანის შენიშვნა „კვა-  
რები, ეარე“-ს შესახებ. წერილი „უმართებულ პასუხთა სიმპტომთ კომპლექსის ფსიქიური შე-  
ქანიზმები ისტერიის დროს.“ ეკუთვნის დოც. მიხეილ ასათიანს.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ბიბლიოგრაფია ხუთ უცხო და ქართულ ენაზე დაწე-  
რილ შრომებზე, და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების 1921 წლის ანგარიში.

კრებული სხუთად არის დაბეჭდილი და ღირს 70 კ. ჩერვონეცით.

დ. 8.

# ქ რ ო ნ ი კ ა

## უგავთულო - კავშირი \*)

უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში რადიო-კავშირი ჩქარი ნაბიჯით  
წავიდა წინ; ჩვენ დაახლოებითი წარმოდგენაც კი არ გვაქვს იმაზე, თუ როგორ  
დიდ როლს თამაშობს დღეს რადიო კაცობრიობის ცხოვრებაში.

განსაკუთრებით გაძლიერებულია რადიო-საქმე ამერიკაში, ჰოლანდიაში და  
ინგლისში.

რადიო-კავშირი არის ორი ურთიერთისაგან მდებარეობით დაშორებულ  
ადგილთა შორის კავშირის გაბმა ელექტრონის ანუ ჰერტცის ტალღების საშუა-  
ლებით — ყოველგვარ ნივთიერ გამტარის დაუხმარებლად. გადამცემი სადგუ-  
რი — საგანგებო ბატარეის საშულებით აღძრავს ენერჯიის იმპულს, რომელიც  
ატმოსფერულ ელექტროს ტალღებით, სისწრაფით 300.000 კილომეტრისა წუთ-  
ში, გადაიცემა მიმღებ სადგურზე, გადაცემის მანძილი, რასაკვირველია დამოკი-  
დებულია აღძრულ იმპულსის სიძლიერეზე, დღეს ის მაქსიმალურად გაზრდი-  
ლია — რადგან დედამიწის სფეროს ორი დიამეტრალურად მოპირდაპირე წერ-  
ტილებს შორის უკვე დამყარებულია რადიო-კავშირი. განსაკუთრებით ბევრი  
მიმდევარი და მოყვარე იპოვა რადიო-საქმემ ამერიკაში, სადაც მან უკვე სავსე-  
ბით წაართვა პირველობა თვით იდეალურად განვითარებულ ტელეგრაფიასაც კი.

აქ შესაძლო გახდა, ყოველგვარი აკუსტიური (ხმის) ენერჯიის — ლაპარაკი,  
მუსიკა, ყოველგვარი ბგერა და ხმიანობა — როგორი ძალისაც არ უნდა იყოს ის,  
შესაძლო გახდა გადაიცეს რა გინდ შორეულ მანძილზე — სრულიად გარკვეულად

\*) ცნობები ამოღებულია: Deutsche allg. Zeit და Manch gard. ტუნიკური დამატე-  
ბისაგან.



და დაუმახინჯებლად. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა მთელი არმია რადიო-საქმის ერთგულთა და მოყვარულთა, რომელნიც უნეტეს შემთხვევაში მას იყენებენ აგრეთვე წმინდა სავაჭრო-კომერციულ მიზნებისათვის; ეს გარემოება რა თქმა უნდა — თავის მხრივ დიდ იმპულს ჰქმნის რადიო-საქმის თეორიულ და პრაქტიკულ წინსვლისათვის. გაჩნდა უთვალავი მსახურე-გადამცემებისა და გადამცემ სადგურებისა, რომელნიც მთლიანად ემსახურებიან მხოლოდ კერძო პირთა საჭიროებას. მათი რიცხვი დაახლოებით აღრიცხვით რამოდენიმე ათი ათასს აღემატება. ყველას შეუძლია გავიდეს ბაზარზე და იყიდოს დამზადებული გადამცემი და მიმღები სადგურები. სადგურის ელემენტები, რომელიც თვისი უბრალო კონსტრუქციის გამო თითოეულ ჩვენგანს ადვილად შეუძლია თვით ააგოს; ასე, ამრიგათ, ჩვენ სულ უბრალოდ გვეძლევა საშუალება ვიცოდეთ ჩვენს სახლში ყველაფერი ის, რაც ამ წუთში აინტერესებს კაცობრიობას, აღვლევებ მცენიერებას, აღაპარაკებს დიპლომატიას, ჟურნალებს და გაზეთებს. მარტო ნიუ-იორკის შტატში დღეს სამ მილიონზე მეტი ასეთი კერძო მიმღები სადგური არსებობს და ბროდუკესტინგი, როგორც ამერიკელები იტყვიან ხოლმე, ეპიდემიურ მოვლენად გადაიქცა. გამოდის აუარებელი ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ და მხოლოდ რადიო-საქმის შესახებ, გადამცემი სადგურები მუშაობენ უფრო და უფრო გაფართოებულ პროგრამებით; თქვენ შეგიძლიათ თქვენს ოთახიდან გარეთ გამოუსვლელად იცოდეთ ამიდის ცვალებადობა სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ქვეყნებში, შეგიძლიათ იცოდეთ ახალი პოლიტიკური, ეკონომიური, მცენიერული და სხვა ამბები და ფაქტები, შეგიძლიათ ისმინოთ სადღაც, შორეული მანძილით თქვენგან დაშორებულ ქალაქში შესრულებული მუსიკა, ოპერა, მცენიერული მოხსენება, კონცერტი, მიტინგი, კონფერენცია და სხვა.

ორი კვირის წინად, როგორც „მანჩესტერ-გარდიენ“-ის ტექნიკური დამატება 29/1-24 წ. იუწყება ოქსფორდში პროფ. ჰემსონმა შესძლო ისეთი აპარატის აგება, რომელიც არა ელექტრ. ენერჯის, არამედ სინათლის სხივებით გადასცემს ხოლმე; სხივთა ტალღების ზოგიერთი თავისებურების გამო ამ გამოკვლევას ძალიან დიდი ღირებულება შეიძლება მიეცეს. დაწვრილებითი პრინციპი და კონსტრუქცია პროფ. ჰემსონის გამოკვლევისა ჯერ ცნობილი არ არის.

დღეს ინგლისის ჩვეულებრივი რადიო-სადგურის პროგრამა ასეთია: საღამო 6 საათიდან ზვიდის ნახევრამდე — მოთხრობანი ბავშვთათვის, პარალელურად 6. 15—9. 15-მდე. ახალი დეპეშები და ამბები, კლასიკური და ნახევრად კლასიკური მუსიკა. 7—30-ან პასუხი. წერილობითი შეკითხვებზე, საინტერესო ტექნიკური და პოპულიარული ლექციები, 8 — 10-მდე სიმღერა და ინსტრუმენტალური მუსიკა, ცეკვის მუსიკა. ასეთია დღეს ზოგიერთი გამოყენება რადიო-კავშირის, რომ არაფერი ვსთქვათ მის სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვან მხარეებზე. რადიო-კავშირი უდიდესი კულტურული ფაქტორია ხალხის ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს რა თქმა უნდა კარგად იცის და ამიტომაც ყოველ ღონისძიებას ხმარობს რადიო-საქმის გასანვითარებლად. ზოგიერთი შედეგები ამ მხრივ ტფილისშიც მიღწეულია, ამ რამოდენიმე დღის წინად ტფილისის ერთ-ერთ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა დაწვრილებით და ზედმიწევნით მოისმინეს ოპერის თეატრში მიმავალი „კარმენი“.

## მაგნიტის ანომალია კურსკის გუბერნიაში

კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერმა სპირნოვმა აღმოაჩინა, რომ კურსკის გუბერნიაში არსებობს მაგნიტის ანომალია. მაგნიტის ისარი არ სდგას ჩრდილოეთით მიმართული, არამედ იხრება განზე. მეცნიერებისათვის ეს მოვლენა დიდ ხანს საიდუმლოებას შეადგენდა. შემდეგ ანომალიის საფუძვლიანად შესასწავლად მოსკოვიდან კურსკში გაემგზავრა მეცნიერი ლაისტი. ლაისტმა მთელი ოცი წელი იმუშავა კურსკის გუბერნიაში და ყოველმხრივ შეისწავლა ანომალიის მოვლენა. ხოლო 1913 წ. ლაისტი წავიდა გერმანიაში და იქ მოკვდა. მისი დიდი შრომა მის ნათესაეებს დარჩათ და რუსეთის საბჭოთა მთავრობის მოთხოვნაზე ლაისტის მემკვიდრეებმა მის შრომაში სასყიდლად მოითხოვეს ძალიან დიდი თანხა. ფულის გადახდის მაგივრად საბჭოთა მთავრობამ შეადგინა მეცნიერთა ახალი ექსპედიცია და გააგზავნა კურსკის გუბერნიაში ანომალიის შესასწავლად. მეცნიერებამ მალე აღმოაჩინეს, რომ კურსკის გუბერნიაში ორ ადგილს მიწაში სდევს რკინის უზარმაზარი ფენები. აკადემიკმა ლახარევმა გამოიანგარიშა, რომ რკინის გიგანტიური მარაგი იმყოფებოდა 150-200 მეტრის ქვეშ, რაიც მალე თვალსაჩინოთ დამტკიცებული იქნა. მადაგი შეიცავს თითქმის წმიდა რკინის 70% და, როგორც ასეთი, დიდი მნიშვნელობისა არის, როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს ეკონომიკისათვის. (ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში მოვათავსებთ უფრო რთულ ცნობებს ამ ასკითხის შესახებ).

## ახალი ელემენტი

ორმა კოპენჰაგენელმა ქიმიკოსმა აღმოაჩინეს ახალი ქიმიური ელემენტი, რომელსაც ისინი სახელად Hafnium — ჰაფნიუმს უწოდებენ. კიდევ 1845 წელს დანეთის ცნობილმა ქიმიკოსმა ტომზონმა იწინასწარმეტყველა ბუნებაში ამ ელემენტის არსებობა. ახლად აღმოჩენილი ელემენტი თუმცა ჯერ კიდევ გამოყოფილი არ არის ბუნების სხვა ელემენტებისაგან, მაგრამ მისი თვისება და ვითარება სავსებით შესწავლილია სპექტრალი ანალიზის საშუალებით. უკვე ცნობილი ელემენტებისაგან ჰაფნიუმს ჩამოჰკავს ცირკონიუმი და ბუნებაში ისინი თითქმის ერთად გვხვდებიან. მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა სისტემის წყებაში ჰაფნიუმი დაიჭერს მე-72 ადგილს.

## ახალი საშუალება სიფილისის საწინააღმდეგოდ

ამერიკის სამედიცინო საზოგადოების ჟურნალი იტყობინება, რომ იქ გამოუგონებიათ ახალი საშუალება სიფილისის საწინააღმდეგოდ, რომელიც გაცილებით უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე უკვდავი ერლიხის საღვარზანი. ახალ წამალს სახელად ჰქვია ტრიპარსამიდი. მასში, როგორც ერლიხის პრეპარატში არის მიშიაკი და მისი ქიმიური ფორულა იქნება:  $C_{11}H_7(N \equiv HCH_2 CO N \equiv H_2)$  ( $AgO, OH, O, N \equiv a$ ).


ეს პრეპარატი უპირველეს ყოვლისა უცდიათ სიფილისით დაავადმყოფებულ ცხოველებზე და შედეგი ყოფილა არაჩვეულებრივად დადებითი: შემდეგ

ცდები მოუხდენიათ აღამიანებზე და 80% პროცენტი უმძიმეს სიტუაციის შემთხვევისა წამლობის შემდეგ ვასერმან-მაინეკეს ანალიზი ჰქონიათ ნეგატიური, რაიც განკურნებისაკენ მიუთითებს. ყოველ შემთხვევაში მედიცინა მოეალეა ჯანსაღი კრიტიკა გაუწიოს ამ აღმოჩენასაც. მით უმეტეს, რომ როგორც მასსოვს ამ ორი სამი წლის წინად ერთმა პარიზელმა მეცნიერმა აღმოაჩინა სიფილისის საწინააღმდეგოდ ვისმუტის მარილის კანში შეშხაპუნება; ამ წამლის შესახებაც მაშინ აღაპარაკებულ იყო მთელი ევროპის პრესა, დღეს კი შედარებით დუმილია, სჩანს შედეგი არც ისე დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, როგორც ეს ეგონათ.

### ახალი მინა

დიდი ხანია, რაც ტექნოლოგია ამუშავებს საკითხს ისეთი მინის აღმოჩენის შესახებ, რომელიც არც ადვილად დადნეს და არც გატყდეს. ცნობილი გერმანული მინის სამრეწველო ფირმა ცაისი და ამხ. მთელ ლაბორატორიას ამუშავებს ამ საკითხის გარკვევისათვის. უკანასკნელად კი ვტყობილობთ, რომ ასეთი მინა გაუკეთებია პარიზელ ინჟინერს დოქტორ გორაკს. გორაკის მინა სავეებით ჰგავს ჩვეულებრივ მინას, ხოლო ის არ ტყდება და უძლებს 400° c სიცხეს. ასე რომ სამზარეულოსათვის ყოველგვარი ქურკლოულობა შეიძლება ამ მინისაგან დავამზადოთ.

ერთი ინგლისური ცნობის მიხედვით იქ კაუჩუკი გადაუკეთებიათ მინის მზგავს სუბსტანციით, რასაც ექვს გარეშეა დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკისა და მეურნეობისათვის.



# შეთავრების შეცდომების გასწორება

პერიდი	შევიდან	ამჟამად	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
1	—	16	ცხოვრებულნი	ცხოვრებულნი
5	—	14	რაიონიდან	რაიონიდან
17	—	6	აღელვება რომ არ დაეყარა	აღელვება რომ არ დაეყარა
26	15	—	Malar'a-ს	Malaria-ს
43	3	—	ფეხარება	ფეხარება
46	5	—	მედიდურად	მედიდურად
46	18	—	გარეთ გავიდა	გორსტი გავიდა
48	4	18	გოტანოვთან-გოტანოვს	მიტანოვთან—მიტანოვს
48	—	3	წამოსასხმელიც	წამოსასხამიც
50	—	22	ადრე!	ადრე!
53	—	14-15	მაგას	მამას
54	—	20	ცოტა შენთვის	ცოტა რაა შენთვის
61	—	13	და შეესცვალა	და შესცვალა
61	—	8	სახლებო	საგლებო
71	—	6	მომუნისტები	კომუნისტები
77	—	24	მკერდში	გვერდში
88	12	—	პარალელი	პარაბოლი
90	1	—	ფესპერიმენტისათვის	ფესპონენტისათვის
91	2	—	$1 - 2^2/C_1$	$\sqrt{1 - q^2/C_1}$
92	—	14	წარვიდგნათ	წარმოვიდგინოთ
96	12	—	რელატივობის თეორია	რელატივობის თეორიას
101	5	—	მხოლოდ ის ტაზის	მხოლოდ იმ
112	—	10	ტაზის	მენჯის
114	—	4	შტაინანმა	შტაინანმა
119	3	—	მოთხენილებათ	მოთხენილებათა
122	4	—	ნიშენელოვანი	მნიშენელოვანი
123	12	—	ხელწერულილები	ხელწერ
123	14	—	„ლენდლორდებს“	„ლორდებს“
124	—	4	ვანსათაგისუფლებლებს	ინება, რომ ვანსათაგისუფლებლებს
126	2	—	აუცილებებელია	და რომ აუცილებელია
128	1	—	ბანჯახე	ბაქახე
128	17	—	დაავადებულია	დაავადებულია
131	—	1	სტუდიაცია	სტუდიაცია
132	9	—	ცომის ხაში	ცომის ხაშის
134	—	4	ანცარული	ანხმული
135	—	5	ჭედნიმ	ჭედი
137	1	—	სართლმორწმუნე	მართლმორწმუნე
155	19	—	გასულ	ხსენებულ

